

ქველი ქართული ენის ქვბლები. 3.

უიღბუი ზიციჭიჭიჭი

ჯეღიქიქი
უაუიქიქი ზე უფთქიქი

გამოსაგემად დააზადა

იგ. ჯაგანიჭიჭიჭი

გიორგი მთაწმილის ენა

იოგანეს და უფთქიქის ცხოვრების მიხედვით

ა. უანიქიქი

შ ი ნ ა ა რ ს ო

	83
რედაქტორისაგან	VII
От редактора	IX
From the Editor	XI
ივ. ჯავახიშვილი. გიორგი მთაწმიდელი როგორც ისტორი- კოსი (წინასიტყვაობა)	- 1
გიორგი მთაწმიდელი. ცხოვრება იოვანესი და ეფთვიმესი	13
სვინაქსარული რედაქცია იოვანეს და ეფთვიმეს ცხოვრებისა	56
იოვანეს და ეფთვიმეს ცხოვრების ხელნაწერები	61
ა. შანიძე. გიორგი მთაწმიდლის ენა იოვანეს და ეფთვი- მეს ცხოვრების მიხედვით	67
გრამატიკა	68
ლექსიკონი	82
ტექსტის გამოცემისათვის	162
საძიებელი	163
სათანხმებელი	167
ბეჭდვითი შეცდომები	169

რედაქტორისაბანი

XI საუკუნის ქართველ ლიტერატორთა შორის ერთი უპირველეს ადგილ-
თავანი უპირაეს, უეპველია, გიორგი მთაწმიდელს. რომელიც სათავეში ჩაუდგა
ეფთვიემის მიერ დაწყებულ ფართო სალიტერატურო საქმიანობას და ლირსეუ-
ლად განაგრძო იგი. გიორგის კალამს მრავალი ლიტერატურული ძეგლი ეკუთვნის,
უმთავრესად ნათარგმნი ან ნარედაქციევი. ნათარგმნ თხზულებათაგან შე-
იძლება დავასახელოთ: დიდი სენაქსარი, თვენი, დიდი პარაკლიტონი, დიდი
ზარხვანი, ზატკი, დიდი კურთხევანი, აგრეთვე აგიოგრაფიული თხზულებანი:
თეოდორე ტვირონის წამება და წმ. გიორგის წამება. რაც შეეხება ნარედაქ-
ციევ თხზულებათ, აქ პირველ ყოვლისა უნდა დავასახელოთ სახარება, შემდეგ
სამოციქულო (საქმე მოციქულთა, პავლეს ეპისტოლენი და კათოლიკე ეპისტო-
ლენი) და ფსალმუნი¹. მაგრამ გიორგის სალიტერატურო მოღვაწეობის ყვე-
ლაზე უფრო მნიშვნელოვან ნაწარმოებად უნდა ჩაითვალოს მისი ორიგინალუ-
რი თხზულება „ცხოვრება იოვანესი და ეფთემისი“, რომელიც ათონის ქარ-
თველთა მონასტრის დაარსებისა და მისი შინაგანი წყობილებას ავბებს მო-
ვითხრობს. ეს ძეგლი რამდენსავე ხელნაწერშია დაცული, რომელთაგანაც ყვე-
ლაზე უფრო მნიშვნელოვანია კარგად ცნობილი „ათონის კრებული“ (ამჟამად
საქართველოს მუზეუმის ხელნაწერი A 558), რომელიც ორჯერ აღწერეს: ერთ-
ხელ მოკლედ თ. შორდანიამ² და მეორედ ვრცლად ნ. ბეკძენიშვილ-
მა³. ეს კრებული, რომელიც უკვე მოლიანად არის გამოცემული⁴, გადაწერილია
1074 წ., მაშასადამე, გ. მთაწმიდლის გარდაცვალებიდან რვაოდე წლის შემ-
დეგ და უაღრესად საინტერესო ცნობებს შეიცავს არა მარტო საქართველოს
ისტორიის შესახებ, არამედ აგრეთვე საბერძნეთის შესახებაც, როგორც ეს
პროფ. რ. ბლეიკმა აღნიშნა⁵.

¹ გიორგი მთაწმიდლის ლიტერატურული მოღვაწეობის შესახებ ვრცლად ნახეთ ე. კე-
კელიძის ქართ. ლიტ. ისტ. I, გვ. 188—207.

² Описание рукописей, II, გვ. 85—86.

³ ათონის კრებულის რედაქცია: საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XI—B,
გვ. 25—40.

⁴ ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელნაწერი აღაქებთ. საიუბილეო გამოცემა სა-
ეკლესიო მუზეუმისა. თბ. 1901. გვ. 1—277. წიგნს მიუძღვის ა. ხაბანაშვილის შესავალი
წერილი ქართულად, გვ. I—VIII, და მ. ჯანაშვილის ანოტაციულად, გვ. IX—XXVII ამას გარ-
და, ბოლოში დამატებად დაბეჭდილია: გ. მთაწმიდლის „ცხოვრება“ (A 170 ხელნაწერიდან),
გვ. 249—358. სულ ბოლოს ახლავს საკუთარ სახელთა სარჩევი, 359—368.

⁵ R. P. Blake. Some Byzantine accounting practices illustrated from Georgian sources
(Harvard Studies in Classical Philology. Volume 51, pp. 11—33).

გ. მთაწმიდელი უდიდეს ავტორიტეტად ითვლებოდა ენის საკითხებში¹ და არაწვეულებრივი ნაყოფიერების წყალობით, რომელიც მან სამწერლო ასპარეზზე გამოიჩინა, ღრმა კვალი დააჩნია ქართულ სალიტერატურო ენას.

„ცხოვრება იოვანესი და ეფთემესი“ ორჯერ იყო გამოცემული წინათ: პირველად იგი 1882 წელს დაიბეჭდა², მეორედ კი—1901 წელს³. მას ყურადღება მიაქცია და ლათინურად თარგმნა, შესავალი წერილი წაუშმღვარა და საგულისხმო შენიშვნები დაურთო ბელგიელმა ორიენტალისტმა P. Peeters-მა⁴. ამ ძეგლის მნიშვნელობა, როგორც იშვიათი საისტორიო წყაროსი, გამოარკვია აკად. ივ. ჯავახიშვილმა⁵. მასვე განზრახული ჰქონდა ძეგლის მეცნიერული გამოცემა და ტექსტი მოამზადა კიდევ სასტამბოლ, მაგრამ, ჩვენდა სავალალოდ, საქმის ბოლომდე მიყვანა არ დასცალდა.

აკად. ი. ჯავახიშვილის მიერ გამოსაცემად დამზადებულ ტექსტს წინასიტყვიანად წამედღვარა მისივე გამოკვლევა ამ ძეგლის შესახებ (გვ. 1—11), დაერთო ბოლოს სვინაქსარული რედაქცია (გვ. 56—61) და მოკლე აღწერილობა ხელნაწერებისა (გვ. 61—63).

ამას გარდა, გამოცემას ახლავს ჩემი გამოკვლევა გ. მთაწმიდლის ენის შესახებ. გამოკვლევა ორი ნაწილისაგან შედგება: გრამატიკული მიმოხილვისა და ლექსიკონისაგან. სალექსიკონო სიტყვების ამოკრეფისას მთავარი ყურადღება ექცეოდა ისეთ ფაქტებს, რომელთაც მნიშვნელობა აქვთ ქართ. სალიტერატურო ენის ისტორიისათვის. სხვათა შორის, ამ ლექსიკონში შემოტანილია ერთი ძირის ზმნების პირიან ფორმათა დალაგება გარკვეული სისტემით. აქ პირველად არის გამოყენებული ე. წ. ინდექსები, რომლებიც აადვილებენ ქართული ზმნის რთულ ფორმებში გარკვევას და ლექსიკონის მოხმარებას.

გ. მთაწმიდლის თხზულების გრამატიკული ფორმებისა და ლექსიკური მასალის განხილვა ამტკიცებს, რომ ქართ. სალიტერატურო ენის განვითარება შემდგარია ახალ გზაზე: ძეგლში მკაფიოდ ასახულია საშუალო ქართულის დასაწყისი პერიოდის მოვლენები.

20.11.1946.

ა. შ.

¹ დამახასიათებელია, რომ გიორგის შესახებ შემდეგს ამბობს მისი ბიოგრაფი: „ესე ყოველთა უწყით, ვითარმედ ეგვიპთარი თარგმანი, თვნიერ მამისა ჩუენისა ეფთემესა, სხუა არა გამოჩენილა ენასა ჩუენსა და ვგონებ, თუ არცა გამოჩინებდა არს“ (ცხოვრება გ. მთაწმიდელისა“. ათონის კრებული, გვ. 30ყ, 7—5 ბ.). ეს სიტყვები გამოერება თვითონ გიორგის წინადადებისა, რომელთაც მან თავისა წინაორბედი ეფთემეი დაახასიათა: „ეგვიპთარი თარგმანი, გარეშე მათ პირველთასა, არღარა გამოჩინებულ არს და ვგონებ, თუ არცადა გამოჩინებდა არს“ (47, 6—8).

² მ. საბინინი. საქართველოს სამოთხე. პეტერბურგი 1882, გვ. 401—432.

ამაზე ადრე მ. საბინინმა ძეგლის შინაარსი რუსულად გამოაქვეყნა: Жизнь святых преподобных отцев наших Иоанна и Евфимия: Полное жизнеописание святых Гриванской церкви. Ч. II, СПб. 1872, стр. 127—160.

³ ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელთნაწერი ადაპტებით.

⁴ P. Peeters, *Histoires monastiques géorgiennes* (Extrait des *Analecta Bollandiana*, tome 36—37). Bruxelles 1923, pp. 8—68.

⁵ ი. ჯავახიშვილი, ისტორიის-ძიხანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ეხლა. წ. I. ძეგლი საისტორიო მწერლობა. I გამოც. (1916). გვ. 73—84, II გამოც. (1921), გვ. 125—137.

ОТ РЕДАКТОРА

Среди блестящих представителей грузинской духовной литературы XI в. одно из первых мест занимает, безусловно, Георгий Святогорец (иначе: Георгий Мтацмидели, Георгий Афонский). Продолжив широкую литературную деятельность, развернутую его предшественником Евфимием († 1028 г.) в Иверской лавре на Афонской горе, Георгий успешно вел ее до самой смерти († 1066 г.).

Перу Георгия Святогорца принадлежит большое количество литургических и других памятников, переведенных им с греческого, как-то: Великий синаксарий, Минея, Октоих, Триодь (постная и цветная), Треник, Мученичество св. Феодора Тирона, Мученичество св. Георгия и др. Не менее известен он своей редакторской деятельностью: Георгий дал новую редакцию древних переводов некоторых книг Священного писания, сверив их по греческим спискам; таковы: Четвероевангелие, Деяния апостолов, Послания Павла, Кафолические послания, а также Псалтырь. Однако самым замечательным трудом Георгия Святогорца является его оригинальное произведение: „Житие Иоанна и Евфимия“, дающее обстоятельные сведения об основании и внутренней жизни Афоно-иверского монастыря при первых его игуменах Иоанне и Евфимие в конце X и начале XI века.

Памятник сохранился в нескольких рукописях; самой замечательной из них является т. н. „Афонский сборник“ (ныне рукопись Государственного музея Грузии в Тбилиси А 558), описанный дважды: сперва кратко Ф. Жордания¹, а затем пространно Н. Бердзенишвили². Этот сборник, переписанный на Афоне в 1074 году (значит, через 8 лет после смерти Георгия Святогорца) и уже изданный целиком³, содержит богатые сведения не только для истории Грузии, но, как отметил проф. Р. Блэйк⁴, и для истории Византии.

„Житие“ было издано дважды: первый раз М. Сабининым⁵, а второй раз Церковно-археологическим музеем⁶. Бельгийский ориенталист Р. Peeters, включив этот памятник в круг своих научных интересов, дал

¹ Описание рукописей Тифлисского церковного музея. Кн. II, 1902, стр. 85—86.

² Редакция «Афонского сборника»: Вестник Государственного музея Грузии XI—V, стр. 25—40.

³ ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელნაწერი აღაშუბით (С предисловием А. Хачанашвили и М. Джанашвили) Тифлис, 1901.

⁴ R. P. Blake, Some byzantine accounting practices illustrated from georgian sources (Harvard Studies in Classical Philology. Volume 51, pp. 11—33).

⁵ საქართველოს სამთიხე («Рай Грузии») СПб, 1882, стр. 401—432. Еще раньше М. Сабинин издал «Полное жизнеописание святых грузинской церкви» в двух частях (СПб. 1871—72), куда он внес подробное содержание проповедей Г. Святогорца под заглавием: «Житие славных преподобных отцов наших Иоанна и Евфимия» (ч. II, стр. 127—160).

его латинский перевод, снабженный введением и комментариями¹. Как исторический памятник, „Житие“ нашло блестящую оценку в статье акад. Н. Джавахишвили, помещенной здесь в качестве предисловия (стр. 1—11). Он же собирався дать и научное издание текста, но, к великому прискорбию, не успел довести начатого им дела до конца. Обработанный им для издания текст, разделенный на главы и стихи, с указанием разночтений, был еще тщательно сверен с первоисточниками и напечатан в настоящем издании (стр. 13—53). В качестве дополнения в конце приложена краткая (синаксарная) редакция „Жития“ (стр. 56—61), подготовленная к печати М. Кахадзе по указаниям покойного историка, а также краткое описание рукописей, использованных для настоящего издания (стр. 61—63).

Кроме того, я считал необходимым поместить в конце мой очерк „Язык Георгия Святигорца по Житию Иоанна и Евфимия“ (стр. 65—160) и указателя собственных имен (стр. 162—166). Очерк состоит из грамматического обзора (стр. 67—82) и глоссария (стр. 82—160). При выборе слов для глоссария особое внимание уделялось фактам, имеющим значение для истории грузинского литературного языка. Здесь дана, между прочим, первая проба расположения глагольных форм одного корня по определенному порядку с индексами, вводимыми мной в практику грузинской лексикографии и дающими возможность легче разбираться в сложной системе формообразований грузинских глаголов.

Обзор главных языковых особенностей „Жития“ (грамматических и лексических) показывает, что груз. литературный язык делает усилия повернуть от ряда древнегрузинских книжных форм и заменить их новыми, взятыми из живого разговорного языка. В памятнике ясно вырисовывается сдвиг в сторону фонетического упрощения слов, уподобления спряжения глаголов страдательного залога спряжению глаголов действ. залога в I группе скрив или рядов (т. е. „времен“ и „наклонений“), изменения системы выражения глагольной категории вида и связанной с ним перегруппировки форм глагольного спряжения, в частности, выделения футурных форм из презентных и т. д. Тем не менее, надо подчеркнуть, что автор в основном стоит на позициях последнего периода (IX—X в.) древнелитературного грузинского языка. Кроме того, язык „Жития“ еще свободен от эллинофильского направления, внесшего впоследствии (XI—XII в.в.) причастные обороты и избегающего относительных форм глаголов. Это и определяет место языка Георгия Святигорца в истории развития груз. литературного языка. Памятник отражает, несомненно, начальный период среднегрузинского языка.

20.11.1946.

А. Ш.

¹ *Histoires monastiques géorgiennes* (Extrait des *Analecta Hollandiana*, tome 36—37). Bruxelles 1923, pp. 8—68.

FROM THE EDITOR

George the Hagiorite (George Mtatsmideli, George the Athonite) undoubtedly occupies one of the first places amongst the brilliant representatives of Georgian ecclesiastical literature of the 11th century. Continuing the great literary activity begun by his predecessor Euthymius (ob. 1028 A. D.) in the Laura of Iviron on Mt. Athos, George led it and largely contributed to it, up to the day of his death (ob. 1066 A. D.).

George the Hagiorite is well known as a translator from Greek into Georgian of many liturgical and hagiographical books. Besides, he revised old Georgian versions of several books of the Bible, comparing them with the Greek mss.; e. g. the Four Gospels, the Acts of the Apostles, the Psalms etc.. But his most important literary work is his original composition «The Life of St. John and St. Euthymius» which tells us about the founding and the internal organisation of Iviron cloister where John and Euthymius were the first higumens at the end of the 10th and the beginning of the 11th centuries.

Several copies of this work are extant. The most remarkable of them is inserted in the so called Athos Codex (now A 558, in the State Museum of Georgia) which has been described twice: once, briefly, by Th. Jordania¹ and then, in detail, by N. Berdzenishvili². This Codex was copied on Mt. Athos in 1074 (that is, some eight years after George's death). It is already fully edited³ and contains many interesting facts concerning not only Georgian, but, as was noted by R. P. Blake⁴, also Byzantine history.

«The Life» has been edited twice: firstly by M. Sabinin⁵ and secondly by the Ecclesiastical Museum⁶. This work drew the attention of P. Peeters, who translated it into Latin, preceeding his translation with an introductory article and providing it with the necessary footnotes⁶.

¹ Описание рукописей Тифлисского церковного музея. Кн. II, 1902, стр. 85—86.

² ათონის კრებულის რედაქცია: საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XI—B, 83. 25—40.

³ ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელთნაწერი აღაქებით (with prefaces by A. Khakhanashvili and M. Janashvili). Tiflis 1901.

⁴ Some Byzantine accounting practices illustrated from Georgian sources (Harvard Studies in Classical Philology. Vol. 51, pp. 11—33).

⁵ საქართველოს სამოთხე СПб. 1882, стр. 401—442. Still earlier M. Sabinin published Полное жизнеописание святых грузинской церкви in two parts (СПб. 1871—72), in which he introduced in detail the contents of the work of George the Hagiorite (II, pp. 127—160).

⁶ Histories monastiques géorgiennes (Extrait des *Analecta Bollandiana*, tome 36—37). Bruxelles 1923, pp. 8—68.

«The Life» received high praise from J. Javakblishvili, who especially stressed its value as a historical source. Javakblishvili's article concerning it is included in the present edition as preface (pp. 1—11). He also intended to publish a critical edition of «The Life», having divided the text into chapters and verses and having notes made of different readings, but, to our great regret, he did not live to see his aim accomplished. Thus prepared for publication, the text was once more carefully collated by me with the primary sources and printed in the present edition (pp. 13—53).

A short (syntaxary) redaction of «The Life» has been inserted at the end of this edition (pp. 55—61). M. Kakhadze prepared it for printing according to the instructions given to him by the late historian. Then follows a short description of the mss. which were used for the present publication (pp. 61—63).

Besides, this edition contains, as a supplement, my study «The Language of George the Hagiorite according to his «Life of St. John and St. Euthymus»». It consists of two parts: a grammatical survey (pp. 67—82) and a vocabulary (pp. 82—160). When selecting words for the latter, I gave special attention to the facts that are important for the history of the Georgian literary language. Verbs belonging to the same root are placed in the vocabulary in a certain order and are furnished with indexes which are introduced by me for the first time in the practice of Georgian Lexicography. These indexes make it easier to find one's way in the complicated system of Georgian verb.

A close examination of the chief peculiarities of the language of «The Life» shows us that the Georgian literary language is striving to follow a new course, substituting for old words and forms new ones taken from the spoken language. The change is seen clearly in different directions: the words are phonetically simplified; the conjugation of verbs in the passive voice begins to assimilate with the conjugation of verbs in the active voice in group I of the «scrives» (i. e. «tenses» and «moods»), the old system of expressing the category of aspect begins to break up and, because of this, the body of group I of the scrives is dividing into two sub-groups: the present scrives and future scrives etc.

Still, it must be owned that George the Hagiorite holds closely to the traditions of the last period of the old Georgian literary language (9th and 10th centuries). There are no traces here, of course, of the Greacophile tendency which later (11th—12th centuries) influenced the Georgian literary language, introducing participial turns and at the same time avoiding relating forms of verbs. On the whole, this defines the place we must assign to George the Hagiorite in the development of the Georgian literary language. There is no doubt that his work reflects the initial period of Middle Georgian.

A. Sh.

ღუძიყუ შთაქმუიშქოთ

ც ე დ ბ ე ლ ტ ა
ქ დ ზ ტ ნ ე ს ე ს ტ ე ფ ტ ვ ზ ე ს ე ს

გამოსაცემად დაამზადა
ივ. ჯანაშიანი

წინასიტყვაობა*

გიორგი მთაწმიდელს ქართულ მწერლობაში მარტო შესანიშნავი მთარგმნელის სახელი აქვს მრჩეველი, მაგრამ მას არანაკლები ღვაწლი მიუძღვის ისტორიის წინაშეც. იგი იმავე დროს გამოჩენილი ისტორიკოსიც იყო¹. მას ეკუთვნის: „ცხოვრება ნეტარისა მამისა ჩუენისა იოანესი და ეფთჳმესი და უწყება ღირსისა მის მოქალაქობისა მითისაჲ, აღწერლი გლახაკისა გეორგის მიერ ხუცეს-მონაზონისა“.

როგორც სათაურიდან ჩანს, ავტორს განზრახვა ჰქონდა აეწერა იქნ და ეფთჳმეს „ცხოვრება“ და „ღირსი მოქალაქობა“, ე. ი. მათი თავგადასავალი და ღირს-შესანიშნავი მოღვაწეობა. ჩვენ ვიცით, რომ ამ თხზულების დამწერმა გიორგი მთაწმიდელმა იქნ და ეფთჳმეს მოქალაქობის შესწავლას თითონ მიაქცია განსაკუთრებული ყურადღება. მივიდა თუ არა იგი ათონის ივერთა მონასტერში, მან „პირველითგანვე... მოსწრაფებითა და წადიერებითა და გულსმოდგინებით გამოწულიღვით გამოიკითხა და გამოიძია მოწაფეთაგან და მეგობართა წმიდისა მამისა ჩუენისა დიდისა ეფთჳმესთა მიხეულოთა მიმსგავსებული და კაცთა ბუნებისა აღმატებული ცხოვრება და უსხეულობაჲ მისი და ნეტარისა მამისა მითისა იოანესი და სხუათა წმიდათა ბერთა და დიდებულისა ამის ლავრისა შენებაჲ და განგებანი, რომელნი წმიდასა მამისა ეფთჳმეს დაესხნეს“². ათონის მონასტრის დამაარსებელთა და განსაკუთრებით ეფთჳმის მწერლობითი მოღვაწეობის შესწავლა თვით გიორგი მთაწმიდელისათვის პირადად საჭირო იყო იმიტომ, რომ მას უნდა განეგრძო ეფთჳმის მიერ დაწყებული ქართული საეკლესიო მწერლობის შეესება, გამდიდრება და შესწორება. ხოლო ამისათვის მას, რასაკვირველია, უეჭველად უნდა სცოდნოდა, თუ რის გაკეთება მოასწრო ეფთჳმემ და რა დარჩა კიდევ განუზოცრციელებელი. როცა გიორგი მთაწმიდელის მოძღვარმა დაარწმუნა, რომ მას „ნეშტი დარჩომილი (ე. ი. ეფთჳმის) სრულ-იყო“, მან თავისი მოწაფე „მთაწმიდას, ათონს წარგზავნა... რათა, ვინა-იგი წყაროს-თული სიბრძნისა აღმოეცინა მომრწყველად ნათესავისა ჩუენისა, მიერვე აღმოეცინეს ნეტარნი გულისკმინა-ყოფისანი და კაცმან ამან ლუთისამან მდლრად დაათროს სამყარო ეკლესიათა ჩუენთა“³. ათონის მონას-

* წინასიტყვაობაში დამოწმებელი ადგილები გადმოყვანილია ამ გამოცემის თავებზე და მუხლებზე (არა სტიკონებზე). ა. შ.

¹ გიორგი მთაწმიდელის დიდი ღვაწლის შესახებ ქართული ეკლესიის განაზღვებაში და, ქართული საოგადოებრივი და სოციალური ცხოვრების წარმატებაში იხ. კლ ერის ისტორია, II, გვ. 483—505.

² ცხოვრებაჲ გიორგი მთაწმიდელისაჲ, ათონის კრებული, საეკლ. მუხ. გამოც. გვ. 299.

³ იქვე, 294.

ტერზი იმიტომ იყო საკირო გიორგი ვადასახლებულიყო, რომ იქ ინახებოდა ეფთჳშის ყველა ნაშეშაკვი თხზულებები.

გიორგი მთაწმიდელი, ერთი სიტყვით, თავის მოღვაწეობის ნაყოფიერების ვკლისათვის ბეჯითად შესდგომია თავის წინამორბედის ცხოვრებისა და მოქალაქეობის შესწ-კლას..

მაგრამ ამისდა მსუხუდევად, ამ თხზულების დაწერის მიზენი ერთი სხვა გარემოებაჲც იყო. მაინც-და-მაინც ათონის ივერთა მონასტრის დაშარსებელთა ცხოვრების აღწერა თვით გიორგის განწარახული არ არის. იმ განსაკუთრებულმა გარემოებაჲ, რომელმაც აიძულა ავტორი ეს თხზულება შეედგინა, თვით „ცხოვრების“ სივრცესა და შინაარსზეც არსებითი გავლენა იქონია.

თვით გიორგი თავის თხზულების შესავალში ამბობს, რომ, რაკი „ესე ნეტარნი მამანი ჩუენნი არარაჲთ უნაკულო იყენეს პირველ გამაჩინებულთა წმიდათასა..., არა ჯერ-ვიჩინეთ მოღუქსენებელად დატეობაჲ ცხოვრებისა მათისაჲ და მამათაჲ ჩემთა სულიერთა მიბრძანეს ამისი გელ-ყოფაჲ“-ო [3].

ხოლო მისევე თხზულების ბოლოში მოთხრობილია ის შემოხვევა, რომელმაც ათონის ქართველი ბერები აიძულა, რომ ათონის ქართველთა მონასტრების დამაარსებელთა ცხოვრების აღწერისათვის ეზრუნათ. ეფთჳშის მოადგილის დროს, რომელსაც ბიზანტიის კეისრის წინააღმდეგ შეთქმულობაში მონაწილეობის მიღება დასწამეს, ბერძენმა ბერებმა ყოველი ღონისძიება იხმარეს, რომ ქართველები დაემცირებინათ, ათონითგან განედევნათ და მათი დიდებული ლავრა-მანულები ხელში ჩაეგდოთ. როდესაც ბრალდებული წინამძღვარი მთავრობამ მონასტრითგან განაძევა, „ბერძენთა ესევეთარი ჟამი პოვეს, გელ-ყვის ყოვლითა ღონისძიებითა, რაჲთამცა ქართველნი ამის მონასტრისაჲგან აღმოჴფხურნეს, და ამის პირისათჳს დიდი მოსწრაფებაჲ აჩუენეს და სთაჲ ყოველი თანა-შეიწიეს და საბერძენეთისა დიდებულნი და პლატისა წარჩინებულნი ყოველნი მიბრძენეს და მრავალი შრომაჲ და ჰირი და რუდუნებაჲ ჩუენ ზედა მოაწიეს, და, რაჲთა მოკლედ ვთქუა, რამეთუ, არა თუმცა უფალი შეწეულ იყო ჩუენდა..., დღეს არცამცა ერთი ქართველი არა იპოების ესევეთარსა ამას ვრცელსა და დიდებულსა ლავრასა შინა, რომელი-ესე ფრადითა წარსაგებელითა და მრავლითა ოფლითა მათ წმიდათა მამათა ჩუენთაჲთა ჩუენ ქართველთათჳს აღშენებულ იყო და აღმართებულ“ [117]. განმძვივნარებულმა ხარბმა ბერძენმა ბერებმა თავისი გაიტანეს კიდევ: მათ რანდენჯერემ დააწიოკეს ქართველები და მონასტერი უსირცხვილოდ სამჯერ ზედიზედ გაჴურდეს და გაანადგურეს.

მაგრამ ესეც არ იკმარეს. ბერები მოგვითხრობენ, რომ ბერძენებს „ესეცა ენება, რაჲთამცა სახელიცა მაშენებელთაჲ აღმოჴკოცეს“-ო [118, 12]. ეტყობა, იოანეს, თორნიკესა და ეფთჳშის სახსენებელი სურდათ მოესპოთ. ამ გარეწოებაჲ, ასეთმა გამწევავებულმა მტრობამ დიდს საგონებელში ჩააგდო ქართველი ბერები და „რაჲთა ესევეთარი ესე ბოროტი, რომელი მოაწიეს ჩუენ ზედა ბერძენთა, არა დაიფყებულ იქმნას, და კუალად შემდგომად ჩუენსა მომავალნი ესევეთარსაჲც ჰირსა შთაცუვენ, ამისთჳს ზოგადითა განზრახვითა... წერილი მოსაქსენებელი დაეწერეთ“-ო, ამბობენ ისინი [118, 1]: ამ მოსახსენებელი წერილის ბოლოს ისინი ხელმოკრედ სწერენ: „ამის ყოვლისაგან შეგუეშინი და მოსაქსენებელი ესე აღეწერეთ და დაედევით შემდგომად ჩუენსა მომავალთა“

ნათესავთათვის, რადთა არა დაეწყებულ იქმნას და გარეწარ ესეგითარი ესე მრავალტერი ლელვად“-ო [118, 27].

ამავე მიზეზის გამო უნდა „ეძმანებინათ სულეგრ მამებს“ გიორგი მთაწმიდელისათვის, როცა იგი ათონის მონასტერში ღვანოზად იყო¹, აქვეყნა ათონის ქართველთა მონასტრების დამაარსებელთა იქსი და ეფთჳმის ცხოვრება და მოქალაქობა. რაკი ამავეარი თხზულების საჭიროება ზემოაღწერილ ბერძენ-ქართველთა გამწვევებულმა მტრობამ და მისმა შიშმა გამოიწვია, ამის გამო იგი მარტო იქსა და ეფთჳმის მოღვაწეობას კი არ შეიცავს, არამედ აგრეთვე ათონის ივერთა მონასტრის თავგადასავალსაც დაარსებითგან დაწყებული ბენძენ-ქართველთა უფლის დამთავრებამდე.

აი რა იყო ამ თხზულების დაწერის მიზეზი.

გიორგი მთაწმიდელი „ცხოვრებას“ პატარა შესავალით იწყებს და იქ შეგვიძლიან შევისწავლოთ მისი საზოგადო შეხედულება როგორც კაცობრიობის ცხოვრების მიზნინარეობის შესახებ, ისე ისტორიის მიზნისა და მეთოდების შესახებ. ეს შესავალი ავტორის თეორიულ შეხედულებას გვისურათებს.

„კურთხელა არს ღმერთი, ამბობს გიორგი მთაწმიდელი, რომელსა ყოველთა კაცთაჲ ჰნებაეს ცხოვრებაჲ და მეტნიერებასა ჰეშმარებებისასა მოსლვად“-², რომელი-იგი... უმჯობესსა ყოველთასა განაწესებს და მიუწოთმელთა სახიერებთა თჳსითა თჳთოეულთა ჟამთა შინა ღირსთა და სათნოთა თჳსთა გამოაჩინებს სარგებელად კაცთა ნათესავისა და სადიდებელად ღმრთეებისა თჳსისა“-ო (1,1). ამ წინადადებითგან ჩანს, რომ ავტორის შეხედულებით ღვთაებას კაცობრიობის ცხოვრება და ჰეშმარებების შთაგონება სურს და მარად „უმჯობესსა ყოველთასა განაწესებს“; ერთი სიტყვით, იგი ოპტიმისტური შეხედულებისა და მოძღვრების მიმდევარია. კაცთა სათესავისათვის „უმჯობესისა“ დამყარებისათვის და „სარგებელად“ განგება „თჳთოეულთა ჟამთა შინა ღირსთა და სათნოთა თჳსთა გამოაჩინებს“. მაშასადამე, კაცობრიობის ისტორიის ყოველ ხანაში, ყოველ დროს თავისი ღირსი მოღვაწე მოველინება ხოლმე, არც ერთი ამგვარ წყალობას გიორგი მთაწმიდელის შეხედულებით მოკლებული არ არის ხოლმე³. აქი იგი ამბობს კიდევ, რომ „ჩუენთაცა ამით ჟამთა შინა გამოაჩინნა ნეტარნი მამანი ჩუენნი იოვანე და ეფთჳმე, და იოვანე და არსენი ებისკოპოსი ნინოწმიდელი და იოვანე გრძელისძე და შემდგომითი-შემდგომად სხუანი იგინი მოწაფენი მათნი და მობაძენი სათნოებისა მათისანი“-ო [1,2]. ამგვარად, რახან „თვითოეულ ხანას თავისი მოღვაწეები მოველინება ხოლმე განგების მიერ, მოღვაწეთა მოქმედება შეუწყვეტლივ მიმდინარეობს. ღვთაების მიერ ჰეყენად მოვლენილი კაცები მოღვაწეობდნენ კაცობრიობისათვის „სარგებელად კაცთა ნათესავისა“ და „სადიდებელად ღმრთეებისა“.

ამ მოღვაწეთა ცხოვრებისა და მოქალაქობის და სხვაგვარ ღირს-შესანიშნ-

¹ ათონის კრებულის, გვ. 299.

² I ტომოთე, 2,4 [ც' მოწმობა ტომოთედან ი. ჯავახიშვილს ხელით მიუწერია თავის დაბეჭდილ ცალში, II გამოც. გვ. 127. რედ.].

³ თითქმის ამგვარივე შეხედულებისა იყო ბასილი ზარხმელიც (ძე. ქართ. საისტ. მწერლ., III გამ., გვ. 126).

ნაც მოკლენათა აღწერის საჭიროება თვით ღვთაებამ ასწავლა კაცობრიობას: თუმცა ღმერთმა ყველაფერი უწყის, დასაბამიც და აღსასრულიც, მაგრამ „სიგრძე ეამთაჲ“, ნუხთალი დრო „ყოველსავე დაფიწყებად მოიღებს“ და ამიტომ „ესრეთ განაწესა ყოვლად ბრძენმან მან განგებულებამან მისმანო, რაათა წიგნთაცა შინა აღიწერნენ საღმრთონი იგი და ყოვლად შუენიერნი საქმენი სოფლის შესაქმისანი და საუფლონი იგი მცნებანი და ბრძანებანი მისნი და ღირსთა მათ და ნეტართა მონათა მისთა ყოვლად ქებულნი ცხორებანი და მოქალაქობანი, რომელნი თვთოეულთა ეამთა შინა ჯერ-იჩინნა გამოჩინებად სახიერებამან მისმან სარგებელად კაცთა ნათესავისა“ [2,3]. „ესე ცხად არს დასაბამითგან სოფლისაჲთ და ვიდრე აქამომდე აღწერილთა წიგნთაგან“-ო, დასძენს გიორგი მთაწმიდელი [2,6]. ამგვარად, წარსული ცხოვრების და თანამედროვე მოღვაწეთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის აღწერა ღვთისნიერ, თითქმის სავალდებულო საქმედაა აღიარებული გიორგი მთაწმიდელის მიერ.

შემდეგ მოკლედ, მაგრამ მკაფიოდ ავტორი საისტორიო თხზულებათა მეთოდების შესახებ ცნობებს გვაძლევს. თუმცა იქ იგი თავის დაწერილ ცხორების თაობაზე ლაპარაკობს, მაგრამ ამისდა მიხედვით ჩვენ შეგვიძლიან წარმოვიდგინოთ ავტორის საზოგადო შეხედულება ამ საგანზე: „დაღაცათუ ჩუენ, ამბობს გიორგი, შემდგომად მრავლისა ეამისა ღმრთისა მიმართ მისწავისა მათისა ჯელ-ჟუჟავთ მცორედთა ამით სიტყუთა აღწერად, გარნა ურწმუნოსა ცუ ვინ არს, რამეთუ ჩუენ თავით თუსით არარაჲ აღვკწერია, არამედ რაჲ-იგი ვისწავეთ კაცთა სარწმუნოთაგან და სულიერთა მამათა, რომელთა-იგი ეხილენეს და ემსახურა მათდა, რომელნი-იგი უცხო იყენეს ყოვლითურთ ტყუეილისაგან“-ო [4,1]. ამ საყურადღებო ნაწყვეტიდან ჩანს, რომ, თუ მწერალი რომელიმე მოღვაწის ან შემთხვევის ამბის აღწერას შეუდგებოდა „შემდგომად მრავლისა ეამისა“, მაშინ გიორგი მთაწმიდელის შეხედულებით მკითხველს შეეძლო „ურწმუნო“ ყოფილიყო, ეკვის თვალთ შეეხედნა ამგვარი თხზულებისათვის. მაგრამ თუ ისტორიკოსი განსაზღვრულ პირობებს ასრულებდა თავისი თხზულების დაწერის დროს, მაშინ მკითხველი ურწმუნო არ უნდა ყოფილიყო. ჯერ ერთი, რომ მას „თავით თუსით არარაჲ“ უნდა დაეწერა, ე. ი. როცა ავტორი მოთხრობილი ამბის, ან მოღვაწის თანამედროვე არ იყო, მას არც შეეძლო თითონ პირადად, როგორც თვითმხილველსა და მცნობელს, დაეწყო ამბის აღწერა და მოთხრობა. თუ კი მას სურდა, რომ მკითხველი მიჰნდობოდა, იმას უნდა აღენიშნა, როგორც და ვისგან გაიგო მოთხრობილი ამბავი, იმიტომ რომ ცარიელი წყაროს აღნიშვნა ისტორიის ღირსებას არ ამტკიცებს. იმ კაცსაც, რომელიც ისტორიკოსს რომელსაჲე მოღვაწეზე ან შემთხვევაზე უამბობდა, ეს მოღვაწე ან ეს შემთხვევა უეჭველად თავისი თვალთ უნდა ენახა, მისი დაახლოვებული კაცი უნდა ყოფილიყო („ემსახურა მათდა“). მაგრამ არც ესა კმაროდა: იგი თითონაც ნდობის ღირსი, „სარწმუნო“ უნდა ყოფილიყო, რომელნი-იგი უცხო იყენეს ყოვლითურთ ტყუეილისაგან“. თორემ თვითმხილველსაც ხომ შეეძლო ბევრი სიცრუე და ტყუილი ეამბნა ისტორიკოსისათვის.

ამნაირი პირობების ასრულება იყო საჭირო ზეპირი წყაროებით სარგებლობის დროს.

საყურადღებოა, რომ ავტორს, როგორც ეტყობა, ზოგიერთს შემთხვევაში სანდო პირების ყოველგვარ ცნობებისათვისაც ტყუილ-უბრალოდ არ დაუჯერებია: თავდაპირველად იგი უკვეის თვალით შეზხედავდა და, თუ განსაკუთრებით არ დარწმუნდებოდა, ნაამბობს არ დაიჯერებდა ხოლმე. როცა, მაგალითად, გიორგი მთაწმიდელს „სულიერმა ძმებმა“ მოუთხრეს, რომ გაბრიელ ქართველი და ლეონ ჰრომი, რომელთაც არც ერთს „თვისა ენისაგან კიდე“ სხვა ენა არ სკოდნიათ და ამისდა მიუხედავად მაინც ვითომც ერთმანეთს მთელი დღეობით ელაპარაკებოდნენო, „დასხდიან და ვიდრე წარსლვადმდე ამას ესრეთ ჰყოფდიან ყოველთა მწუხრთა“-ო [52, 2], მას, ეტყობა, არ დაუჯერებია და თუ თავის თხზულებაში ეს ამბავი ჩაურთავს, მხოლოდ მას შემდეგ, როცა იმ სულიერმა ძმებმა, რომელნიც „გარემოვს მათსა იყენეს“, ჩვენ „ფიცით დაგუარწმუნეს“... „და წამებდეს, ვითარმედ, მათისა სიწმიდისაგან ყოველივე შესაძლებელ იყო და სარწმუნო, რამეთუ დიდ იყვნეს იგინი წინაშე ღმრთისა და სრულ“-ო [52, 3]. ყურადღება მიაკვირეთ, რამდენად ექვით უნდა ყოფილიყო გამსჭვალული ავტორი, თუ კი გაბრიელისა და ლეონის თვით-მხილველ სულიერ ძმებს, თუ არა ფიცით, სხვაფრივ არ დაუჯერა. ნუ დაგვიფიცებდა, რომ ეს საქმე წმინდანებს ეხებოდა და ამისთანა საქმეებში ექვით საშუალო საუკუნეებში, მეტადრე XI საუკ., დიდ თავისუფლებად უნდა ჩაითვალოს. მაშასადამე, ავტორი ყოველგვარს, თუნდაც თვით მნახველის ნაამბობს და თუნდაც წმინდანის შესახებ მოთხრობილს, ისე ადვილად არ დაიჯერებდა. რასაკვირველია, ეხლა ეს ამბავი ჩვენ სულ სხვაგვარად შეგვიძლიან აეხსნათ, მაგრამ ამის გამო გიორგი მთაწმიდელს ვერ ვუსაყვედურებთ, იმიტომ რომ ჩვენსა და მას შორის რვა საუკუნეზე მეტი მანძილი ძვეს და შეუძლებელია XI საუკუნის მეცნიერი XIX—XX-ს. მეცნიერების აზრისა იყოს.

ყურადღების ღირსია, რომ გიორგი მთაწმიდელს მარტო ზეპირი წყაროებით სარგებლობა არ აკმაყოფილებდა. „ჩუენ თავით თვისით არარაა აღგუწორია, არამედ რაჲ-იგი ვისწყვეით... თუთ მეგრ მათ საქმეთაგან, რომელნი-იგი ღმრთით წამებენ და ჯმა-მალად ქადაგებენ ღუაწლთა და შრომათა მათთა: ლავრაჲ ესე დიდებული... რომელსა შინა აღმპართენს ეკლესიანი ცათა მობაძაგნი და აღაენეს იგინი წიგნთა მიერ ღმრთივ სულიერთა და განაბრწყინენეს იგინი ხატთა მიერ პატიოსანთა და მოუგნეს დაბანი და სოფელნი და მონასტერნი და დასაყუდებულნი და განუწყესნეს წესნი და კანონნი დიდებულნი და ყოვლად შუენიერნი და დაუხსნეს სიმტკიცენი და კელით-წერილნი და ოქრო-ბეჭედნი ღმრთის მსახურთა მფეთხანი... შეამკვეს და აღაყუავეს ენაჲ ჩუენი და ქუეყანაჲ თარგმანებითა წმიდათა წერილთაჲთა“-ო [4].

მაშასადამე, სანდო ზეპირ წყაროებს გარდა, ჩვენს ისტორიკოსს საქიროდ მიაჩნდა თავისი თხზულება დაეწერა „თუთ მეგრ მათ (ესე იგი იოანეს და ეფრემს) საქმეთაგან, რომელნი-იგი ღმრთით წამებენ და ჯმა-მალად ქადაგებენ ღუაწლთა და შრომათა მათთა“, ესე იგი ისეთი ნივთიერი საბუთებით, რომელნიც ღმრთითაც კი მოღვაწეთა დიდ საქმეებს ამტკიცებდნენ. საყურადღებოა,

¹ შემდეგი ზემოთ იყო მოყვანილი.

რომ ავტორი ნივთიერ წყაროებად ყოველგვარ მასალებსა სთვლიდა, როგორც სამეურნეო ქონებას, რომელიც მათ ივერთა მონასტერს შესძინეს, მაგ., ლავრა, ეკლესიანი, დაბანი, სოფელნი, მონასტერნი და დასაყუდებულონი, ისე სხვადასხვა სამწერლობო ძეგლებსა და იურიდიულ საბუთებს, მაგ., წიგნები, რომლებითაც მათ ლავრა ააგეს, მათი თარგმანებით შექმული და აყვავებული ქართული ენა, მათ მიერ დადგენილნი სამონასტრო წესნი და კანონნი, მფლობელობის სიმტკიცენი, ჯელწერილნი და ბიზანტიის კეისართა ოქრო-ბეჭედნი, ანუ ხრიზობულნი. ერთი სატყვეთ, გიორგი მთაწმიდელს უსარგებლია მათი მოღვაწეობის დამახასიათებელი ყოველგვარი ნაშთებითა და საბუთებით. თხზულების დაწერის დროს არც ერთი მცირედი და წერილმანი მასალაც კი არ გამოჰპარვია ავტორის ყურადღებას: შეწირული სამკაულისა და ხატების სიაც კი არ დავიწყებია მის. გიორგი მთაწმიდელი მართლაც უხვად სარგებლობს ყოველგვარი წერილობითი საბუთებით [იხ., მაგალითად, თთ. 5, 31, 32, 43, 58].

როგორც ეტყობა, გიორგი მთაწმიდელი მხოლოდ „ჯელთა ნუსხა“-ს სთვლიდა „ქეშმარიტ“, „უტყუველ“, და გამოსადეგ მასალად, ე. ი. იმის საბუთებს, რომელიც თვით იმ მოღვაწის საკუთარ ხელით იყო ნაწერი. იგი, მაგალითად, ერთ ალაგას მკაფიოდ ამბობს: „ესე ყოველი თვთ წმიდისა მამისა ეფთჳმეს ჯელთა ნუსხისაგან დაგვწერია, ვინაჲცა ქეშმარიტ არს და უტყუველ“-ო [31,7]. ცოტა ქვემოთ იგივე ავტორი ამბობს: „ესეცა ყოველი მამათავე ჩუენთა დაწერილისაგან დაგვწერია“-ო [32,6]. ერთი სიტყვით, გიორგი მთაწმიდელის თხზულებითგან ნათლად ჩანს, რომ მას კარგად ესმოდა, რა დიდი განსხვავებაა საბუთის დედანსა და მეს პირს შორის, კარგად სცოდნია, რომ ექვმიუტანელ, საუკეთესო საბუთად შეიძლება ჩათვალოს მხოლოდ საბუთის დედანი, რომელიც თვით მოღვაწის საკუთარი ხელით არის ნაწერი. ესლა ღირსეულად ვერც კი დავაფასებთ, თუ რა დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა გიორგი მთაწმიდელის ამ შეხედულებას ისტორიის მეთოდების წარმატებისათვის. ამგვარად, ცხადია, რომ გიორგი მთაწმიდელის მეთოდოლოგიური შეხედულებისად თანახმად ისტორიკოსს, თუ კი სურდა, რომ მისი თხზულება სარწმუნო ყოფილიყო, „თავით თვისით“; არაფერი უნდა დაეწერა, არამედ უნდა ზეპირი წყაროებითა და ნივთიერი საბუთებით ესარგებლნა. ზეპირი ცნობები უქველად „კცთა სარწმუნოთაგან“ და თვით-მხილველთაგან უნდა ყოფილიყო შეკრებილი, ხოლო ნივთიერ საბუთებად ყოველგვარი ნაშთი და ძეგლი ჩათვლებოდა, ერთი სიტყვით, მოღვაწეთა ყოველი „საქმენი, რომელნი-იგი დუმილით წამებენ და ქადაგებენ ლუაწლთა და შრომათა მათთა“. თანამედროვე საისტორიო მეთოდოლოგია ამ მხრივ ასეთისავე წყაროებითა და ამგვარისავე საშუალებებით სარგებლობს. ქართულ მწერლობაში, მაშასადამე, მეთერთმეტე საუკუნეში გიორგი მთაწმიდელის წყალობით საისტორიო თხზულებათა მეთოდოლოგიური მხარე იმდენად განვითარებული და დამთავრებული იყო უკვე, რომ თანამედროვე მკაცრ სამეცნიერო მოთხოვნილებასაც კი თითქმის დააკმაყოფილებდა.

გიორგი მთაწმიდელის სიტყვებითგანა ჩანს, რომ, ვიდრე იგი თხზულების წერას შეუდგებოდა, მას უკვე გეგმა მოფიქრებული ჰქონია, მაგრამ წერის დროს

იძულებული ყოფილა შეეცვალა მოთხრობის წეს-რიგი და ღრობით გეგმისათვის თავი დაენებებინა. გიორგი ამბობს: „გარნა, რომლისა-იგი ზემორე მეგულეობდა თქუმაჲ, იგი ხოლო ვთქუჲ პირველად და მერმე... მოკლითა სიტყუთა მიგითხრა. რამეთუ ვინადავან დღეთა ამათ უკუნანასკელთა მოვიფიქრეთ და, ვითარცა ზედაჲ, ფრიადი სივრდიელ იხილვების ჩუენ შორის, ნუჲუჲე ვინმე ჰგონებდეს და აცთუნებდეს თავსა თუსსა, თუ პირველითვან ესრეთ იყვნეს ძმანი ჩუენნი; ნუ იყოფინ“-ო [6,1-2]. მაგრამ შემდეგ, როცა ავტორს თავისი დამამტკიცებელი საბუთები მოჰყავს, იგი ისევ მოთხრობის დედააზრს უბრუნდება და ამბობს: „ხოლო ჩუენ პირველსავე სიტყუასა მოვიდეთ“-ო [7].

რასაკვირველია, გიორგი მთაწმიდელს უფრო მეტი ცნობები ჰქონდა, ვიდრე თავის თხზულებაში მოყვანილი აქვს. ბევრგან იგი თვით ამოკლებს მოთხრობას: „აჲ უჲე დავაცადოთ ესევითარისა ამის პირისათჳს სიტყუაჲ, ამბობს, იგი, რამეთუ, ვითარცა ვთქუთ, არცა თუ შესაძლებელ არს ყოველთა მათ ქველის საქმეთა მათთა თითოეულად წარმოთქუმაჲ“ [32,9].

„ცხორება“: რასაკვირველია, წასაკითხავად იყო დაწერილი [30] და ავტორი ცდილობდა მისი თხზულება ადვილი და სასიამოვნო წასაკითხავი და მსასამენი ყოფილიყო და მეტის-მეტად გაქიანურებული, გრძელი არ გამოუსულიყო. ამიტომ გიორგი მთაწმიდელს იგი და ეფთჳმას შესახებ ყველაფერი კი არა აქვს მოთხრობილი, „გამოწულილვით“ კი არ აღწერს ხოლმე [27, 2], არამედ მხოლოდ ზოგიერთი. ერთს ალაგას იგი თვით ამბობს: „რომელთაგანი რაოდენიმე მოვიქსენოთ და სხუაჲ იგი დავაცადოთ, რაჲთა არა ფრიადი სიმრავლე წერილისაჲ იქმნას და საწყინო ვიქმნეთ მკითხველთა და მსმენელთა“-ო [30]. უძველია, ავტორს გარკვეული შეხედულება უნდა ჰქონოდა იმაზე, თუ როგორ უნდა ყოფილიყო დაწერილი თხზულება. „ცხორების“ წერის გარეგანი, ტექნიკური მხარისათვისაც განსაკუთრებული კანონი არსებობდა. ზემომოყვანილი ნაწყვეტიდან ჩანს, რომ კარგს ავტორს, რომელსაც არა სურდა მკითხველთათვის „საწყინო“ ყოფილიყო, უნდა რაც შეიძლება მოკლედ ეწერა, „რაჲთა არა ფრიადი სიმრავლე წერილისაჲ იქმნას“. ამისათვის ავტორს თვითოეული აზრის დასამტკიცებლად მხოლოდ ორიოდ მაგალითი უნდა მოეყვანა ხოლმე, დანარჩენი კი გამოეტოვებინა („სხუაჲ იგი დავაცადოთ“). მაგრამ ზოგიერთს შემთხვევაში გიორგი მთაწმიდელი ამათუიმ მოღვაწის სათნოებთა „გამოწულილვით აღწერასა“ „ნეფსით თანა-წარკლებოდა“ ხოლმე [27]. ცხადია, რომ ავტორი დაწვრილებით მაშინ მოგვიმოთხრობდა ხოლმე, როცა ეს მკითხველის სულსაველის მარგებელი იქნებოდა.

რასაკვირველია, ხშირად მოხდება ხოლმე, რომ აღამიანი არ ასრულებს თავისსავე თეორიულს მისწრაფებას. ჩვენს ისტორიკოსსაც შეეძლო საუცხოო აზრები გამოეთქვა საისტორიო მეთოდების შესახებ, მაგრამ თვითონ პირნათლად ვერ აესრულებინა თავისი მოვალეობა. მაშინაც, უძველია, მის ღვაწლს ღირსება არ მოაკლებოდა. მაგრამ ასევე უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს და ფასიც უმაღლესი ედება იმ ისტორიკოსს და მეცნიერს, რომელიც თავის მალალ მეთოდოლოგიურ იდეალს თითონაც ნამუსიანად იცავს და ბრწყინვალედ ახორციელებს. სწორედ ამის გამო, გიორგი მთაწმიდელი ქართულ საისტორიო

მწერლობაში შესანიშნავ მეცნიერ-ესტორიკოსად უნდა ჩაითვალოს: იგი სინდისიერად მისდევს თავის ზემოაღნიშნული მეთოდების გვემას და ერთს სტრიქონშიაც კი ჭეშმარიტებას არ ჰლატობს. თვითოეული მისი ცნობა დამყარებულია მართლაც უტყუარ საბუთებზე და ეხლაც მათი ჭეშმარიტების დამტკიცება შეიძლება, ამნაირი მაგალითების ბლომად მოყვანა ადვილია, მაგრამ მხოლოდ რამდენსამე მოვიყვან,

გიორგი მთაწმიდელს მოთხრობილი აქვს, რომ ეფთჳმე, „რომელი-იგი გამოჩნდა სამკაულად ნათესავისა ჩუენისა და მობაძეად წმიდათა მოციქულთა, განანათლა ქართველთა ენა და ქუეყანა...“, ვითარცა წამებენ მის მიერ თარგმნილთა წიგნთა შინა აღწერილი ანდერძნი, ამის ღირსისა (ე. ი. ეფთჳმის მამის იოანეს) მოლუაწებითა განსწავლულ იქმნა ყოვლითა სიბრძნითა განმანათლებულად და შემამკობელად ეკლესიათა ჩუენთა“-ო [5]. პატარაობითაგანვე მოყოლებულიო, ამბობს გიორგი მთაწმიდელი, იოანე თავის შვილს მუდმივ აკუნებდა: „შვილო ჩემო, ქართლისა ქუეყანა და დიდად ნაკლულევან არს წიგნთაგან და მრავალნი წიგნი აკლან, და ეხედავ, რომელ ღმერთსა მოუმადლებია შენდა. აწ ილუაწე, რათა განამრავლო სასყიდელი შენი ღმერთისაგან“-ო [47]. მამასადამე, იოანეს საგანგებოდ გაუწვრთნია და მოუშაღებია თავისი შვილი, რომ მთარგმნელობა შესძლებოდა. ჩუენი ავტორის ეს ცნობა სრული ჭეშმარიტებაა. ეფთჳმის მამის იოანეს მართლაც მათეს თავის სახარების თარგმანში „ანდერძი“ აქვს დაწერილი, სადაც ამბობს: „ენასა ამას ჩუენსა ქართულსა არაეინ სადა პოვნილ იყო აქამომდე, რათამცა გამოეხუნეს წმიდანი ესე წიგნი—თარგმანებანი წმიდისა სახარებისანი, არამედ საბერძნეთისა ესე ეკლესიანი და ჰრომისანი საესე იყენეს ამითგან, ხოლო ჩუენისა ამის ქუეყანისანი ნაკლულევან; და არა ესეოდენ წიგნი აკლდეს ენასა ჩუენსა, არამედ სხუანიცა მრავალნი. ამისთჳს მე, გლახაკი ესე და ნარჩევი ყოველთა მონაზონთა იოვანე, მწუხარე ვიყავ ამის საქმისათჳს, რომელ ესრეთ ნაკლულევან იყო ქუეყანა ქართლისა და წიგნთაგან და დიდი ხარკება და მოლუაწება და ვაჩუენე და შვილი ჩემი ეფთჳმე განვსწავლე სწავლითა ბერძულითა სრულიად და გამოთარგმანებად წარკჳმართე წიგნთა ბერძულისაგან ქართულად და აღიწერნეს ჩუენ მიერ“-ო¹.

გიორგი მთაწმიდელს „ცხოვრება“-ში ეფთჳმის ყველა ნათარგმნი წიგნებისა მოჰყავს. ამ სიის სიმართლის დამტკიცებაც ადვილად შეიძლება. იმავე მათეს თავის თარგმანების „ანდერძში“ იოანეს ჩამოთვლილი აქვს თავისი შვილის ნათარგმნი წიგნები. აი ორივე სია:

ანდერძით

ცხოვრებით [თ. 49]

- | | |
|---|--|
| 1. პირველად თარგმანებია იოვანეს თავისა სახარებისა. | 1. თარგმანებია იოვანეს თავისა სახარებისა. |
| 2. მერმე სწავლანი წმიდისა მამისა ჩუენისა ბასილისნი, თაჳი ლ. | 2. სწავლანი წმიდისა მამისა ჩუენისა დიდისა ბასილისნი. |

¹ წყაროსთვის XI ს. ხელთნაწერი (თ. 10 რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები I, 140—141).

ა ნ დ ე რ ძ ი თ

ც ხ ო რ ე ბ ი თ

- | | |
|---|--|
| 3. მისივე თარგმანებად ფსალმუნთაჲ, თავი იბ | 3. მისივე თარგმანებად ფსალმუნთაჲ. |
| 4. წიგნი იოვანესი, რომელ არს კლემაქსი, ლ. | 4. წიგნი წმიდისა კლემაქსისი. |
| 5. წიგნი მაკარისი სრულიად. | 5. წიგნი წმიდისა მაკარისი. |
| 6. მიმოსლვად და ქადაგებანი წმიდისა ანდრია მოციქულისანი. | 6. [ნახე № 27]. |
| 7. წიგნი წმიდისა ისაკისი და სხუათა მამათა გამორჩეულნი სწავლანი. | 7. წიგნი წმიდისა ისაკისი, რომელსა შინა არიან სხუათაცა მამათა გამორჩეულნი სწავლანი. |
| 8. წიგნი წმიდისა დოროთესი. | 8. წიგნი წმიდისა დოროთესი. |
| 9. წამება და სასწაულნი წმიდისა მოწამისა დიმიტრისნი. | 9. წამება და სასწაულნი წმიდისა მთავარმოწამისა დიმიტრისნი. |
| 10. ცხორებად და წამებად წმიდისა სტეფანე ახლისაჲ. | 10. ცხორებად და წამებად წმიდისა სტეფანე ახლსაჲ. |
| 11. ცხორებად და წამებად წმიდისა კლიმენტოს ჰრომთა პაპისაჲ. | 11. ცხორებად და წამებად წმიდისა კლემენტოს ჰრომთა პაპისაჲ. |
| 12. წამებად წმიდისა კლიმი ანკრელისაჲ. | 12. წამებად წმიდისა კლიმი ანკრელისაჲ. |
| 13. ცხორებად წმიდისა გრიგოლ ღმრთის მეტყველისაჲ და თქმულნი მისნი. | 13. ცხორებად წმიდისა და დიდისა ბასილი კესარიელისაჲ [=ანდ. № 14]. |
| 14. ცხორებად წმიდისა ბასილი კესარიელისაჲ. | 14. ცხორებად წმიდისა გრიგოლ ღმრთის-მეტყველისაჲ და თქმულნი მისნი [=ანდ. № 13]. |
| 15. ცხორებად წმიდისა ბაგრატისი. | 14a. წამებად წმიდისა აქეთსიამასი. |
| | 15. ცხორებად წმიდისა ბაგრატისი. |
| | |
| 16. წამებად წმიდისა სამთა ყრმათა: ალფიოს, თილადელფოს და კრიონესი. | 16. წამებად წმიდათა სამთა ყრმათა: ალფიოს, თილადელფოს და კრიონესი. |
| 17. ცხორებად წმიდისა ონოფრესი. | 17. ცხორებად წმიდისა ონოფრი მძოვრისაჲ. |
| 18. ცხორებად მარიამ მეგვპტელისაჲ სრულიად. | 18. ცხორებად წმიდისა მარიამ მეგვპტელისაჲ. |
| 19. სწავლანი წმიდისა ზოსიმესნი და წმიდისა ეფრემისნი. | 19. სწავლანი წმიდისა ზოსიმესნი. |
| 20. სუნაქსარი ბერძული, რომელ არიან კრებანი. | 20. სუნაქსარი საწელიწდომ, უმცროსანი. |

¹ წყაროსათვის XI ს. ხელთნაწერი: ქრონიკები I, 141—142. შეადარე აგრეთვე იქვე, გვ. 164, 168, 169, 170, 171, 172, 179.

ა ნ დ რ ძ ი თ

21. მიმოსლენი და ქადაგებანი წმიდისა იოანე მახარებელისანი.
22. თარგმანებად ვალატელთა და თესალონიკელთა და პრომაელთა ებისტოლისაჲ.
23. დასდებელნი მარხვათანი სრულიად.
24. და სხუათა წმიდათა ვალობები.
25. წამებად წმიდისა მოწამისა პროკოპისი.
- [26]. თარგმანებად მათეს თავის სახარებისაჲ¹.

ც ხ ო რ ე ბ ი თ

21. მიმოსლენი და ქადაგებანი წმიდისა იოანე მახარებელისანი.
22. თარგმანებად ვალატელთა და თესალონიკელთა და პრომაელთა ეპისტოლისაჲ.
23. დასდებელნი მარხვათანი სრულიად.
24. და მრავალთა წმიდათა ვალობები (sic).
25. წამებად წმიდისა მოწამისა პროკოპისი.
26. თარგმანებად წმიდისა მათეს თავისა სახარებისაჲ.
27. მიმოსლენი და ქადაგებანი წმიდისა ანდრეა მოციქულისანი [ნახე ანდერძში № 6].

ამ ორი სიის შედარება საუცხოოდ გვიჩვენებს, რომდენად სწინდისიანად სარგებლობდა გიორგი მთაწმიდელი თავისი წყაროები: ნუსხა სიტყვა-სიტყვით არის გადმოწერილი¹. რაც იოანეს ანდერძში ვერ ეწერებოდა—იმითომ რომ მისი სიკვდილის შემდეგ ეფთჳმეს კიდევ ბევრი უთარგმნია—იმ წიგნების შესახებ ცნობები ავტორს დედნებითან აქვს აზოღებული. საზოგადოდ, თვითოეული ცნობა, რომელიც კი მოჰყავს გიორგი მთაწმიდელს იოანესა და განსაკუთრებით იმის შეილის ეფთჳმისა ან ივერთა მონასტრის შესახებ, თუ უტყუარ ზეპირ გადმოცემაზე არა, უეჭველად ამათუიმ წერილობითსა და ნიეთიერს საბუთებზე აქვს დამყარებული.

ამ თხზულების დაუფასებელს თვისებას სწორედ ის გარემოება შეადგენს, რომ „ცხოვრება“-ში ასე უხვად შეტანილი ცნობები უმეტეს ნაწილად საბუთებითან არის აზოღებული. გიორგი მთაწმიდელი თავის წინამორბედს გამოიყენილს ქართულს მთარგმნელს ეფთჳმეს თავგანწირულ მუშაკად და მოღვაწედ და მსახურს: თავის თავს არა ჰზოგავდა და ღამეებს თეთრად ათენებდა ხოლმე, ოღონდ კი თარგმნისათვის მეტი დრო ჰქონოდაო. მონასტრის წინამძღვრობის დროსაც ეფთჳმე, თუმცა დრო და მოცალეობა ძალიან ცოტა რჩებოდა, მაგრამ „აზის ყოვლისა თანა კეთილსა მას შრომასა თარგმანებისასა არა დააკადებდა, არცა სცემდა განსუენებასა თავსა თვსსა, არამედ ყოვლადვე იკირვინ და ღამეთა ათენს, რამეთუ უფროდნენ წიგნი ღამით სანთლითა უთარგმნიან, ვითარცა ეთქუთ, ფრიადისა უცალოებისაგან და საუარავთა“-ო [50, 4]. სრული კეშმარიტე-

¹ ი. ჯავახიშვილს ბირველ გამოცემაში „სიის“ ნაცულად ყველგან „ნუსხა“ აქვს ნახმარი. თვალსაჩინოებისათვის წიგნებს ნომრები დავუსხით, როგორც ეს არის წყაროს თავის ხელნაწერის ანდრეის ნუსხაში (ქრონიკები, I, 141—142). დანომრვა გაეავრცეთ ცხოვრების ნუსხაზედაც. შედარება აჩვენს, რომ ანდრეის ნუსხის მე-6 ნომერი ცხოვრებაში ბოლოს არის შეტანილი [№ 27]. სიის „ცხოვრებაში“ უფრო სრულად არის წარმოდგენილი. ხუდმეტი წიგნების ადგილას წერტილები სხდს. ა. შ

ბაა. ეს ცნობებიც ნამდვილ საბუთებზეა დამყარებული. ოითონ ეფთვემე თავის ნათარგმნი გრიგოლის ცხორების ბოლოში სწერს: „ლოცვა-ყავთ გლახაკისა ეფთვესუს მთარგმნელისა და შემინდევით: მრავალთა ზრუნვათაგან დიდითა შრომითა და ჭირითა დამიწერია“-ო¹. ხოლო მათეს თავის სახარების თარგმანების ბოლოს ეფთვემე პირდაპირ ამბობს: „ვინცა იკითხვიდეთ, შრომისათეს ლოცვა-ყავთ და ზომად წერისათეს შემინდევით: უცალო ვიყავ და უფროდსი ღამით მიწერია“-ო².

ერთი სიტყვით, გიორგი მთაწმიდელის თხზულება უარესი ნდობის ღირსია, მრავალმხრივად შინაარსიანია, ღრმა და მაღალი საზოგადოებრივი და ეროვნული აზრებით გამსჭვალულია. საუცხოო ქართული და მომხიბლავი გულწრფელი კილოთი ნაწერი, იგა სამართლიანად ძველი ქართული საისტორიო მწერლობის საუკეთესო ძეგლად უნდა ჩაითვალოს.

გამოცემულია ორჯერ: პირველად საბინინს მიერ („საქ. სამოთხე“), მეორედ 1072 წ. ხელთნაწერისა მიხედვით საეკლ. მუზეუმის მიერ 1901 წ..

გიორგი მთაწმიდელს იმდენად დიადი ღვაწლი მიუძღვის საქართველოსა და ქართული საისტორიო მწერლობის წინაშე, რომ მისი თხზულება უკეთესი გამოცემის ღირსაა. ეს ჩვენი მოვალეობაც არის.

ივ. ჯავახიშვილი

[აკად. ივ. ჯავახიშვილმა პირნათლად შეასრულა თავისი მოვალეობა, რომელზედაც ის ზემოთ მოყვანილი წერილის ბოლოს ამბობს: გ. მთაწმიდელის თხზულება მან დაყო თავებად და მუხლებად, ამოაწერინა ვარიანტები ხელნაწერების მიხედვით, შეამოწმა და განართა ტექსტი ძველი ორთოგრაფიის მიხედვით, ერთი სიტყვით, მოამზადა ძველი მეცნიერული გამოცემისათვის, ოლონდ, სამწუხაროდ, ამ საქმის ბოლომდე მიყვანა მას არ დასცალდა.

ტექსტი ამჟამად ქვეყნდება იმ სახით, როგორც ის განსვენებულმა მეცნიერმა დატოვა. თავში ერთვის (წინასიტყვაობად) მისივე წერილი „გიორგი მთაწმიდელი როგორც ისტორიკოსი“³, ბოლოში კი—განსვენებულის მითითებათა თანახმად გადმოწერილი სეინაქსარული რედაქცია ცხორებასა ხელნაწერთა მოკლე აღწერილობითურთ და ჩემ მიერ შედგენილი ენის მიმოხილვა, ლექსიკონი და საძიებლები.

ა. შ].

¹ ქრონიკები, I, 164.

² ქრონიკები, I, 139.

³ ამოღებულია აკად. ივ. ჯავახიშვილის წიგნიდან „ისტორიის მიზანი, წყარობი და მეთოდები წინათ და ეხლა: წ. I. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, I გამოც. (1916), გვ. 73—84, II გამოც. (1921), გვ. 125—137. შდრ. II-III შეესებულ გამოცემა, 1945 წ., გვ. 135—144.

ნეტარისა მამისა ჩუენისა ~~მოქალაქისა~~ და ეფთჳმესი
და უწყებად ღირსისა მის მოქალაქობისა მათისაჲ,

აღწერილი გლახავისა

გეორგის ¹ მიერ ხუცეს-მონაზონისა

მამაო, გუაჟუროხენ ²

I ტიპ. 1. 1. კურთხეულ არს ღმერთი, რომელსა ყოველთა კაცთაჲ ჰნებავს ცხო-
 2, 4 რებაჲ და მეცნიერებასა ჰეშმარიტებისასა მოსლვაჲ, რომელი-იგი გამოუთქუმე-
 ლითა მით განგებულებითა თჳსითა უმჯობესსა ყოველთასა განაწესებს, და მი-
 უწუთომელითა სახიერებითა თჳსითა თუთოეულთა ეამთა შინა ღირსთა და საო-
 ნოთა თჳსთა გამოაჩინებს—სარგებელად კაცთა ნათესავისა და საღიდებელად
 ღმრთეებისა თჳსისა; 2. რომელმან ჩუენთაცა ამათ ეამთა შინა გამოაჩინა ნე-
 ტარნი მამანი ჩუენნი: იოვანე და ეფთჳმე და იოვანე და არსენი ეპისკოპოსი
 ნინოწმიდელი და იოვანე გრძელის ძე და შემდგომითი-შემდგომად სხუანი
 იგი მოწაფენი მათნი ¹ და მობაძენი სათნოებისა მათისანი, რომელთა სახელ-
 ვილ. 4. 3 ბი აღწერილ არს წიგნსა მას ცხორებისასა. 3. რომელთა მეთხეობი A ბ
 ჩუენცა გლახაქნი ესე ღირს გუჳვენი უფალმან მობაძეჲ ყოფად სათნოებათა-
 მათთა ² და ნაწილსა მას მარჯუენეთასა ³ მიმთხუეჲად.

2. 1. ხოლო ვინაჲთჳან სიგრძე ეამთაჲ ყოველსაჲე დაეიწყებად მოიღებს,
 დაღაცათუ წინაშე ღმრთისა ყოველივე ცხად არს და საჩინო და უწყის ყოველ-
 თა დასაბამი და აღსასრული, 2. და რომელთა-იგი სათნოდ მისა აღასრულეს
 ცხორებაჲ თჳსი, წინაშე მისსა ბრწყინვენ მარადის და არცა ერთი რაჲ ¹ უნმს
 ჩუენმიერი ჳსენებაჲ, 3. არამედ ესრეთ განაწესა ყოვლიდ ბრძენმან მან გან-
 გებულებამან მისმან, რაჲთა წიგნთაცა შინა ² აღიწერენ საღმრთონი იგი და
 ყოვლად-შუენიერი საქმენი სოფლის შესაქმისანი და საუფლონი იგი მცნებანი
 და ბრძანებანი მისნი და ღირსთა მათ და ნეტართა მონათა მისთა ყოვლად
 ქებულნი ცხორებანი და მოქალაქობანი, რომელნი თუთოეულთა ეამთა შინა
 ჯერ-იჩინა გამოჩინებად სახიერებამან მისმან სარგებელად კაცთა ნათესავისა,

ხელნაწერთა აღსანიშნავად ნახმარი ლიტერების შინაწენლობა:
 A=A № 558; B=A № 170; C=A № 176; D=H № 2077.
 ხათაური: ¹ ცხორებაჲ | + წმიდისა და BD. ² გ'ჯენ მ'მო BCD. *
 1. 1 მათნი მისნი D. 2 მათთა—C. 3 მარჯუენითა C.
 2. 1 ერთი არცა რ'ა C. 2 შინა—C.

A 7

B 176 h 4. |რადთა საღმრთოთა მათ და მალალთა საქმეთა მიერ დიდების || მეტყუელებად და სურვილად მისა აღვიძრვოდით და საუფლოთა მათ ბრძანებათა მიერ განენათლებოდით და აღსრულებად მათდა მოსწრაფე ვიქმნებოდით. 5. ხოლო დიდთა მათ და საკუთართა მონათა მისთა ქსენებითა შურად³ და ბაძვად მოვიდოდით საღმრთოთა მათ მოქალაქობათა მათთა⁴, რომელნი-იგი, (ვითარცა) ხატნი მეტყუელნი, წინა ხენან⁵ სახედ სათნოებისა და სწავლად სიბრძნისა და სიძნელად ახოვნებისა ყოველთათჳს/ რომელთაცა ჰნებაჲს შესწავად ცხორებასა საუკუნესა. 6. და ესე ცხად არს დასაბამითგან სოფლისაჲთ⁶ და ვიდრე აქამომდე აღწერილთა წიგნთაგან და გამობრწყინებულთა წმიდათა, 7. და რომელთა-იგი ილუაწეს და აღწერნეს⁷ ცხორებანი მათნი და ლუაწლნი და შრომანი, კეთილად ჯნებებულ არიან წმიდათა ეკლესიათა შინა და ღირს ლოცვისა და კურთხევისა.

A 8

3. ვინაჲთგან უკუე ზემო ქსენებულნი ესე | ნეტარნი მამანი ჩუენნი არა-რადთა უნაკულყო იყვნეს პირველ გამოჩინებულთა წმიდათასა, არამედ ყოვლითავე სათნოებითა შემკულ და აღმასრულებელ მცნებათა ღმრთისათა, არა ჯერ-ვიჩინეთ მოუქსენებელად დატეობაჲ ცხორებისა მათისაჲ და მამათაცა ჩემთა სულიერთა მიბრძანეს ამისი ჯელ-ყოფაჲ. ვინაჲცა ვევედრებნი ღირსებასა თქუენსა, ღმერთ-შემოსილნო მამანო, რადთა არა ბრალეულ ვიქმნე ამის პირისათჳს.

4. 1. ხოლო დაღაცათუ ჩუენ შემდგომად მრავლისა ცემისა ღმრთისა მიმართ მისღვისა მათისა¹ ჯელ-ვეყავთ² მციერდთა ამათ სიტყუათა აღწერად, გარნა ურწმუნომცა ნუვენ არს³, რამეთუ ჩუენ თავით თჳსით არარაჲ აღგუწერია⁴, არამედ რაჲ-იგი ვისწავეთ კაცთა სარწმუნოთაგან და სულიერთა მამათა, რომელთა-იგი ეზიღენეს და ემსახურა მათდა⁵, რომელნი-იგი უტბო იყვნეს ყოვლითურთ ტყუილისაგან და საეცე მდლითა ზეგარდამოჲთა. | 2. და თედ მიერ მათ საქმეთაგან, რომელნი-იგი დუმილით წამებენ და ვნა-მალლად

R 177a

ნეს ყოვლითურთ ტყუილისაგან და საეცე მდლითა ზეგარდამოჲთა. | 2. და თედ მიერ მათ საქმეთაგან, რომელნი-იგი დუმილით წამებენ და ვნა-მალლად

A 9

დათავებენ ღუაწლთა და შრომითა მათთა: ! ლავრაჲ ესე დიდებული და ყოვლითა შეენიერებთა შემკული და ყოვლითა სამკაულითა განმუენებული, რომელი-ესე მრავლითა შრომითა და ოფლითა აღაშენეს მათ ნეტართა განსასუენებელად სულთა მრავალთა, 3. რომელსა შინა აღჰმართნეს ეკლესიანი ცათა მობაძვნი და აღავენეს იგინი წიგნთა მიერ ღმრთიე-სულიერთა და განაბრწყინენეს იგინი ხატთა მიერ პატრიოსანთა. და მოუენეს⁶ დაბანი და სოფელნი და ზონასტერნი და დასაყუდებულნი⁷ 4. და განუწესნეს წესნი და კანონნი დიდებულნი და ყოვლად შეენიერნი და დაუსხნეს სიმტიკიკენი და ჯელით-წერილნი და ოქრო-ბეჭედნი ღმრთის მსახურთა მეფეთანი. 5. და შეკრიბნეს⁸ მას შინა მონაზონნი და მოუწესენი ანგელოზთა მობაძვნი 6. და შეამკვეს და აღაყუავეს ენაჲ ჩუენი და ქუეყანაჲ თარგმანებითა წმიდათა წერილთაჲთა, სადადთ-ესე კემშარტიად, ვითარცა სიონით, გამოვიდა შჯული და სიტყუაჲ | უფლისა კითარცა იერუსალემით,--სიტყუსაებრ ვნა-მალლისა ესაჲაჲსა.

A 10

ესე კემშარტიად, ვითარცა სიონით, გამოვიდა შჯული და სიტყუაჲ | უფლისა კითარცა იერუსალემით,--სიტყუსაებრ ვნა-მალლისა ესაჲაჲსა.

ეს. 2, 3

3 შურად| სურვილად BD, შემნიერად C. 4 მათთათა C. 5 ხენანდ D (=ხენედ), 5 სოფლი-სად C. 7 აღწერეს C.

4. 1. მისღვისა მათისა]—C. 2 ჯელ ვეჯ D. 3 ურწმუნო ნუმცა ვინ არს BCD. 4 აღგუწერიეს BCD. 5 შთთა C, შთ და BD. 6 მოუენეს C. 7 საყუდებულნი BD. 8 შეკრიბნეს D.

5. 1. რამეთუ კეშმარიტად ღირსი იყო და საყუარელი ღმრთი: ად ნეტარი მამამ ჩუენი იოვანე, რომელმან-იგი, მსგავსად აბრაჰამისა, უტყობეზად აღირჩია და მწირობით (და სიგლახაკით) ცხორებამ, და მისცა თავი თუნი მორჩილებასა სულეერთა მამათსა, ვინამცა, მსგავსად მისსა, ესეცა აღიდა ღმერთმან და სახელოვან ყო ყოვლითა სათნოებითა და უფროჲს ყოვლისა სანატრელისა მის შვილისა მინიჭებითა, რომელ არს ნეტარი ეფთემე, რომლისა-იგი სახელი ოდენ ქმა არს სათნოებთა მისთა¹ სიმადლისა ვამოჩინებად, რომელი-იგი ვამოჩნდა სამკაულად ნათესავისა ჩუენისა და მობაძვად წმიდათა მოციქულთა, განანათლა ქართველთა ენამ და ქუეყანამ. 2. რამეთუ, ვითარცა წამებენ მის მიერ თარგმნილთა წიგნთა შინა აღწერილი ანდერძნი, ამის ღირსისა მოლუაწი-
B 177 b
 ბითა | განსწავლულ იქმნა ყოვლითა სიბრძნითა განმანათლებლად და შემამ-
A 11
 კობელად ეკლესიათა ჩუენთა, რომლისა-იგი ნამუშავევი ახარებს შორიელთა და ნახლობელთა, და თარგმნილთა მისთა წიგნთა სიტკობებამ, ვითარცა ნესტუ ოქროსამა ვმა-მალალი, ოხრის ყოველსა ქუეყანასა, არა ხოლო ქართლისასა, არამედ საბერძნეთისასაცა, რამეთუ ბლაჰვარი და აბუკურა² და სხუანიცა³ რაოდენნიმე წერილინი ქართლისაგან თარგმნნა ბერძულად.

6. 1. ვარნა რომლისა-იგი¹ ზემორე მეგულეობდა თქუამა², იგი ხოლო³ ვთქუა პირველად, და შერბე, რამ-იგი უფალმან მოგუმადლოს, მოკლითა სიტყუთა მიგიბზრა. 2. რამეთუ ვინამთგან დღეთა ამთ უკუანასკნელთა მოვიწიენით და, ვითარცა ხედავთ, ფრიადი სიგრილმე იხილვების ჩუენ შორის, ნუ უკუე ვინმე ჰგონებდეს და აცთუნებდეს თავსა თუსსა, თუ პირველითგან ესრეთ იყენს⁴ ძმანი ჩუენნი; | ნუ იყოფინ! არამედ ყოვლითა წესიერებითა და საღმრ-
A 12
 თოთათა მოქალაქობითა ცხოვრებობდეს, ვიდრემდის სამ გზის სანატრელნი იგი-
 მამანი ჩუენნი იოვანე და ეფთემე განაგებდეს და იპყრობდეს წესსა წინამძღუ-
 რობისასა, რომელნი-იგი ყოვლითურთ, მსგავსად პირველთა მთ ღმერთ-შერო-
 სილთა მამათა, უძლოდეს მათდა რწმუნებულსა მას⁵ სამწყსოსა. 3. ვინამთგან კულა ნეტარმან იოვანე შეისუენა და ღმერთ-შემოსილმან მამამან ჩუენმან ეფთემე იჯნა წინამძღურობისაგან, მიერთვან განმრავლდა ჩუენ შორის ყოველი სულ-მოკლებამ და სიგრილმე. 4. არამედ ვევედრნეთ ღმერთსა, რადთა მეოხე-
 ბითა მათითა კეთილად განაგოს ჩუენიცა ესე ცხორებამ და არა ჭუებულ გუყვენეს, არცა განგუაშორნეს სანატრელთა მთ მამათა და ძმათა ჩუენთა სიხარულსა და განსუენებასა საუკუნესა მას შინა ცხორებასა.

7. ხოლო ჩუენ პირველსავე სიტყუასა მოვიდეთ. ესე ნეტარი მამამ ჩუენი იოვანე იყო ნათესავით ქართველი, | მშობელთა და პაპათათგან¹ დიდბერილი და წარჩინებული და საქინო მთავართა შორის დავით კურაპალატისან, მცნე² და³ ახოვანი და განთქმული წყობათა შინა, მალალი და შუენიერი მასაცითა³ და აგებულებითა გუამისადთა და ბრძენი და გონიერი გონებითა და გულის-
A 13
B178 a
 ვმის-ყოფითა, და საესე შიშითა ღმრთისადთა და ყოვლითავე კეთილისა⁴ საქ-

5. 1 სათნოებითა მისთა C. 2 დაბუკურა D. 3 სხუანი B, სხუანი D.
 6. 1 რომლისა-იგი D. 2 თქუამდ BD. 3 ხოლო—BD. 4 იყენენ D. 5 მას—BCD.
 7. 1 პაპათგან BCD. 2 და—D. 3 მასაცითა | სიკეთითა D. 4 კეთილის B.

მითა, და ფრიად საყუარელი და საკუთარი კეთილად ქსენებულისა დავით კუ-
რაპალატისაჲ.

8. 1. ხოლო ვინაჲთგან ცეცხლი იგი ქრისტეს სიყუარულისაჲ გულსა
მისსა მძაფრად აღეტყინა¹, ყოველივე დიდებაჲ ამის სოფლისაჲ შეურაცხ-ყო
და ნაგევად შეპარცხა და მონაგებნი² და სიმდიდრე და განსუენებაჲ, მეულ-
ლე და შეიღნი თუხნი და ნათესავნი და, რაოდენიცა რაჲ არს ამის სოფლი-
საჲ, სრულიად მოიძულა³ და უგულუბელს-ყო და მერმე კულად თავიცა
A 14 თუხი, სიტყუსაებრ უფლისა, | და აღიღო ჯუარი მგართა თუხთა ზედა და ფარუ-
ლად ყოველთაგან სივლტოლაჲ იქუშია⁴ და იჯმნა⁵ ყოველთაგან და მხოლოდ
ლაერასა დიდებულსა ოთხთა ეკლესიათასა შევიდა. 2. და რომელნი-იგი მას
შინა ბრწყინვიდეს სათნოებითა მათ ეამთა, — მამაჲ მოსე და მამაჲ გელასი, —
ამათ გამოუცხადა თავი თუხი და მათგან ფარულად კურთხევაჲ მონაზონებისაჲ
მთილო და ეამ რაოდენმე ლუაწლითა ძლიერითა მორჩილებასა მისცა თავი თუ-
სი⁶ და ყოველნი იგი მუნ მყოფნი მოლუაწენი განაკვრენა.

9. ხოლო ვინაჲთგან იყო განცხადებლ¹ საქმემან მისმან, ნეტართა მათ
მამათა ლოცევაჲ მიღლო და საბერძნეთისა ქუეყანად მიჰმართო, რამეთუ ევლ-
ტოდა დიდებასა კაცთასა. და ესრეთ მთასა ულუმბოხსასა მიიწია და მონას-
A 12 ტერსა ერთსა შინა ეამთა არა-მცირედთა|ჯორთა მსახურებისა ლუაწლი ახოვ-
ნად თავს-იღვა და სხუანი უნდონი მსახურებანი და შეურაცხნი² სიმდაბლით
აღასრულნა.

10. 1. ხოლო ვინაჲთგან მათ ეამთა შინა ბერძენთა მეტემან ზემონი ქუე-
B 178 ბ ყანანი დავით კურაპალატისა¹ მისცნა და აზნაურთა შვილნი მძევლად² ითხოვ-
ნის მისგან, ცოლის ძმათა მამისა იოვანესთა ძე მისი ეფთუჲე სხუათა თანა უფ-
ლისწულთა მძევლად³ მოჰგუარეს მეფესა. 2. ესე რაჲ ცნა იოვანე, უნდა თუ
არა, უნებლიეთ თავი თუხი გამოაცხადა და სამეუფოდ ქალაქად აღვიდა. 3. და.
ვინაჲთგან მეფენი მეცნიერ იყვნეს აბუჰარბისა; რომელი³ იყო სიმამრი მამისა
იოვანესი, და იოვანესდაცა ფრიადი სიყუარული აჩუენეს მის ზედა და კეთი-
ლად მოიკითხეს.

11. 1. და ამისა შემდგომად განვრძობილად¹ სიტყუს-გებაჲ იქმნა შორის
A 16 იოვანესსა და| სიმამრისა მისისა ეფთუმესთუს, რამეთუ არა ენება მოცემად მისი.
და ფრიად აბრაღა მას იოვანე, ვითარმედ: „რაჲ არს ესე? ნუჟუჲე შეიღ არა
გესხნეს² თქუენ³ გარნა ესე ცხად არს³, რომელ მათ სწავლობდით, ვითარცა
თუხთა შვილთა⁴, და ძე ჩემი, ვითარცა ობოლი, მძევლად გასწირეთ⁵! გარნა
უფალმან შეგინდვენ⁶ თქუენ!“ 2. და ესრეთ განგებითა საღმრთოთა და
ბქობითა მეფეთაჲთა თუხი შვილი მიიყვანა და კულად ულუმბადვე უტუნ-
იქცა⁷.

8. 1 ელეტყინა D. 2 მონაგები BCD. 3 მოიძულა| მოიძვა BD. 4 სივლტოლ^ა იქუშია B.
5 იჯნა A. 6 თავ-~~მო~~სი მოსცა D. 7 განაკვრენა B.
9. 1 გ^ნცხდ^ბლ^დ CD. 2 შეურაცხებანი BD.
10. 1 კურაპალატისა B. 2 მძევლად B. 3 რომელი-იგი B.
11. 1 განვრძობილად A. 2 გესხნეს D. 3 ესე ცხად არს| არა ჯერ-არს BD. 4 შვილთა
თ^ათა D. 5 განწირეთ BCD. 6 შეგინდვენ B. 7 უტუნ იქცა| მიიქცა BCD.

მათ.
16,24;
მარკ.
8,34;
ლუკ.
9,23;

12. 1. ხოლო შემდგომად რაოდენისაჲე ეამისა, ვინაჲთგან განითქუა სახელი მისი და პატივსა უყოფდეს ბერძენნი და ქართველნი, შეუძნდა საქმე ესე, და ამის პირისათჳს კუალად უსხოვებანაჲე მიჰმართა. 2. რამეთუ აღიღო ძე თვისი და რაჲდენნიჲე მოწაფენნი და მთაწმიდას მოვიდა¹, ლავრასა დიდისა² ათანასესსა, და ზუნ შეეწყნარა³. 3. და აქუნდა თავი თვისი ფარულად და ყოველთაჲე საქმეთა მორჩილებისათა სიმდაბლით⁴ და უღრტენველად იქმოდა და A 17 დაყო მზარულობასა⁴ შინა ორი წელი გინა⁵ უმეტეს⁶.

13. და მათ¹ ეამთა შინა თვისი მისი დიდი თორნიჲ თჳსსა ქუეყანასა მონაზონ იქმნა და, რამეთუ ასმოდან იოვანესთჳს, ვითარმედ ულუმბათა არს და B 179 a ვინაჲთგან ფრიადი სიუარული აქუნდა მისსა მიმართ, მას მოჰმართა² და ულუმბათა შთამოვიდა და, ვინაჲთგან მუნ ვერ პოვა, ფარულად გამოიწულილა და ცნა, ვითარმედ მთაწმიდას არს, და, თვნიერ ცნობისა მეფეთაჲსა, ოღუმალ მთაწმიდას მოვიდა და კურთხევაჲ მონაზონებისაჲ კელთაგან იოვანესთა მიიღო.

14. რამეთუ, ვითარცა ეთქეთ, მთაწმიდას შთამოვიდა და ლავრისა დიდისა ათანასესსა მიიწია და, ვინაჲთგან დაფარვაჲ არღარაჲ ეგვბოდა, ურთიერთარს გამოეცხადნეს და სიუარულითა სულიერიითა შეიტკბნეს და ფრიადი სიხარული იქმნა მონასტერსა შინა მას დღესა, რამეთუ არცა დიდი ათანასი უმეცარ იყო თორნიჲსი საქმესა და წარჩინებულობასა და ახოვნებდას. ამისთჳსცა მიგრიტოვან დიდითა პატივითა ეპყრნეს ივინი, რამეთუ დაღაცათუ მით არა A 18 უნდა ესე, გარნა ღირსთა თჳსთა ღმერთი გამოაცხადებს და აღიღებს.

15. 1. და შემდგომად რაოდენისაჲე ეამისა განიქუა ჰამბავი მათი და უღცნობა, ვითარმედ მთაწმიდას არიან. და იწყეს მიგრიტოვან ქარცველთა მოსკლად და განმრავლებად. და ესე რად იხილეს ნეტართა მამთა ჩუენთა, ვითარცა იყენეს სავსენი ყოვლითაჲე სიბრძნითა, განიზრახეს, ვითარმედ: „არს ჯერარს ჩუენი მონასტერს¹ შინა ყოფაჲ, რამეთუ სხუანიცა მოგუმართებენ და გარე-შეტკევაჲ შეუძლებელ არს¹. 2. და ესრეთ განზრახვითა² მამისა ათანასესითა ლავრისაგან³ განშორებულად ვითარ მილიონ ერთ უდაბნოსა შუენიერსა წმიდისა იოვანე მახარებელისა⁴ ეკლესიაჲ აღაშენეს და სენაკები და მუნ იყოფებოდეს⁵ მრავალ ჟამ ვითარცა ანგელოზნი ღმრთისანი.

16. 1. და მას¹ ეამსა იქმნა განდგომილებჲ² სკლიაროსისაჲ და ქმელით A 19 კერძი ყოველი დაიპყრა და მეფენი³ და დელოფალი შეწყუდებულად იყენეს⁴ ქალაქსა შინა დიდითა ქირითა და იწროებითა. და ამას რად შინა⁵ იყენეს, B 179 b განიზრახეს, ვითარმედ: „ჩუენი შემწყე დაეით კურაპალატისაგან კიდე არავინ არს“. და ვინაჲთგან გზანი ყოველნი სკლიაროსსა დაეპყრნეს, კაცისა წაველენა⁶

12. 1 მიიღო BCD. 2 დიდსა C. 3 შეეწყნარა C. 4 მზარულობასა BD. 5 გინა¹+გინა C. 6 უმეტესი BCD.

13. 1 მათ¹ ამათ BCD. 2 მიჰმართა B.

15. 1 მონასტერსა BCD. 2 გზნარახვა D. 3 ლავრისა C. 4 მახარებელისა BD. 5 იყოფოდეს BC.

16. 1 მას¹ ამას BCD. 2 განდგომილებჲ იქმნა D. 3 მეფე BD. 4 იყენეს A. 5 ამას შინა რად BD. 6 წაველენა BCD.

არა⁷ ეგებოდა, და დიდსა ზრუნეასა შინა იყენეს, რამეთუ არცა ვინ იყო ეგ⁷ ვითარი კაცი. რომელმანმცა სრულ-ყო ნებაჲ გულისა მათისაჲ. 2. და ესრეთ რაჲ ეურვოდეს⁸ ამის პირისათჳს, ესმა იოვანესთჳს და თორნიკისთჳს და ცნეს, რამეთუ ლავრასა დიდისა⁹ ათანასესსა არიან. და მეყსეულად სევასტოფორი¹⁰, კაცი წარჩინებული (მათ ეამთა¹¹ შინა¹²) მთავართა შორის დედოფლისათა, წიგნები თათოგულად, ვითარცა აქუნდა ბრძანებაჲ, ერთი ათანასის და ერთი

A 20 თორნიკს¹³ და ერთი იოვანეს|. 3. და ესე პირი მოეწერა, ვითა: „ულმართოჲ სკლიაროსი გაგუადა¹⁴ და კმელით კერძი¹⁵ ყოველი დაიპყრა. აწ ვევედრებით სიწმიდესა თქუენსა, რაჲთა თვნიერ ყოვლისა მიზეზისა იოვანე-თორნიკ¹⁷ მოვიდეს მეფობისა ჩუენისა“. და სხუანი მრავალნი ვედრებანი და ქენებანი¹⁸ ეწერნეს სამეუფოთა მათ წიგნთა შინა.

17. 1. ესე რაჲ ესრეთ იქმნა, ფრიადსა უღონობასა შთავარდეს ათანასე და იოვანე, და, უნდა თუ არა, შეუვრდეს თორნიკს და იწყეს ვედრებად მისსა, რაჲთა აღვიდეს მეფეთა წინაშე. 2. ხოლო მას რაჲ ესმა ვედრებაჲ მათი¹, ფრიად შეწუხნა² და ეტყოდა, ვითარმედ: „წმიდანო მამანო, მე ცოდვითა ჩემთათჳს მოსრულ ვარ ამას წმიდასა ადგილსა და შეუძლებელ არს ჩემი მეფეთა წინაშე წარსლვაჲ, რამეთუ მე ვიცი, თუ რომლისა პირისათჳს მივმოებენ, და,

A 21 ვინაჲთჳნ ლმერთმან|ლიორს-ყო და სახე მონაზონებისაჲ შევიმოსე, მე ამიერთგან არცაღა მეფეთა თანა მიც შესაპოვარი, არცაღა სხუასა ვის ქუეყანასა ზე-

B 180a და. აწ ვევედრები სიწმიდესა თქუენსა, ღმრთისა სიყუარულისათჳს|შემინდვეთ³ და ნუ მაიძულებთ ამის პირისათჳს, რამეთუ, უკუეთუ წავიდე⁴, ამის სოფლისაჲ⁵ შფოთთა შთამავდებენ“. 3. და იგინი ვედრებოდეს, ვითარმედ: „უკუეთუ ამას ეამსა ურჩ ეექმნეთ მეფეთა, დიდსა რისხვასა მოვაწევთ ჩუენ ზედა და მონასტერსა ამას ზედა“. 4. და ამას ცილობასა ზედა გარდაცა შვდუელი ერთი. ხოლო უკუანამსკელ, უნდა თუ არა, ყოველი ბრალი მამამან ათანასი და მამამან იოვანე მიიღვეს⁶ და ძლით დაარწმუნეს წარსლვაჲ.

A 22 18. 1. ხოლო ბასილი და კოსტანტი¹ მას ეამსა წუთლა ყრმა იყენეს| და ყოველი გასაგებელი² დედოფალსა ეპყრა და პარაკიმენოსსა. 2. და ვითარცა ილდედა თორნიკ სამეუფოდ, მეყსეულად შეიყვანა იგი პარაკიმენოსმან³ მეფეთა წინაშე⁴ და მეფენი და დედოფალი ზე აღუდგეს და პატივით მოიკითხეს⁵ და გუერდით დაისუეს. და უბრძანა დედოფალმან ბასილის და კოსტანტის და ფერკთა შეუვრდეს. 3. და დედოფალმან მიუგო, ვითარმედ: „წმიდაო მამაო, რაჲცა იმით ობოლთა თანა ჰქმნა, ლმერთმან⁶ მოვაგოს სულსა შენსა!“

19. 1. და ესევეითარი რაჲ ეამი დახუდა იოვანეს, შინა-გამოღებით მრავ-

7 არაჲ A. 8 იურვოდეს BD. 9 დიდსა C. 10 სევასტოფორი BCD. 11 ეამთა| ყ⁷თა BD. 12 A-ში „მათ ეამთა შინა“ მერმე ჩამატებულია. 13 წარმოადგინეს D. 14 თორნიკის BCD. 15 გაგუადა C. 16 ჳმელით-კერძო D. 17 იოვანე და თორნიკ BD. 18 ქენებანი BCD.

17. 1 მათი მეფისა BD. 2 შეწუხდა BCD. 3 შემინდვეთ BCD. 4 სუა A-ში. 5 სოფლისათჳს D. 6 დაიდგეს, მივიდეს BD, მივიდეს C.

18. 1 კოსტანტინე BCD. 2 განსაგებელი BCD. 3 ასეა A-ში; პარაკიმენოსმან D. 4 წე მეფეთა BD. 5 პატივი სცეს და მოიკითხეს C. 6 ლმერთმან| ონ BD.

ვალ-ფერთა საქმეთათჳს¹ ამხილა (დედოფალსა). და მან ყოველი სიმდაბლით შე-
იწყნარა და აღუტუქა, ვითა: „წმიდაო მამაო, რაჲცა მიბრძანოს მამობამან
თქუენმან, თქუენსა ბრძანებასა², არა გარდაეპვდე, ოდენ, ღმერთმან დაგარწმუ-
ნოს, შრომაჲ თავს-იდე და, რომლითაცა სახითა გენებაეს, წარვედ კურაპა-
ლატისა წინაშე და ყოველი ქირი ჩუენი აუწყე და ვესაღ ღმერთსა, რომელ
იორთთ იგი უღმრთთაჲ სკლაროსი და ჩუენ ქირისაგან განგუიონინეთ“. 2. ფრი-
ად ევედრა დედოფალსა, რაჲთამცა განათავისუფლა. და ვითარ იხილა
მოუღრეკელობაჲ მისი, მიუგო ესრეთ, ვითარმედ: „მე ჩემთა ცოდვითათჳს შე-
ვიმოსე| სახე ესე, და უწყის უფალმან, რომელ სწორად სიკუდილისა მძიმე არს
ესე საქმე³ ჩემ ზედა. გარნა რაჲ ვყო, არა ვიცი⁴, წმიდასა მეფობასა თქუენსა
ურჩ ვერ ვეძენებე“. 3. და კულად დედოფალმან და პარაკიმანოსმან ჰრქუეს,
ვითარმედ: „შენ ოდენ ამთა ობოლთა ჳელი აღუპყარ და, რაჲცა ბრალი იყოს,
ღმერთმან ჩუენგან იძინე“⁵. და ესრეთ წიგნები ვედრებისაჲ დაწერეს კურაპა-
ლატსა თანა. 4. და ესრეთ იჯმნა მეფეთაგანი და რომლითაცა სახითა კურა-
პალატსა⁶ წინაშე მივიწა თორნიკ.

20. 1. ხოლო იხილა რაჲ იგი კურაპალატმან, ფრიად განიხარა და წიგ-
ნები მეფეთაჲ მიითულა, და ყოველივე საქმე თორნიკ გააცადა, რომლისათჳს-
ცა განზრახვად ქმნეს¹, რაჲთა ლაშქარნი წარმგზავნენ² საბერძნეთს, და სპასა-
ლარად თორნიკ განაჩინეს. 2. ხოლო თორნიკ კურაპალატისა და თავისა წიგ-
ნები მეფეთა წინაშე წარსცა და ყოველი ნებაჲ კურაპალატისაჲ აუწყა. 3. და
მაშინ მისცნეს მეფეთა ჳემონი ქუეყანანი საბერძნეთისანი კურაპალატსა, რაჲთა
თავისა სიცოცხლესა ჰქონდინ³.

21. 1. ხოლო თორნიკს მოუწერეს: „ვიცით, რომელ ღმერთს შეგეწე-
ვის და ნურარას ორგულთბ¹, და ოდეს² ღმერთმან წარგიმართოს, ყოველნი
წინააღმდგომნი ჩუენნი დატყუენენ³ და ყოველივე ნატყუენები მათი შენი იყოს“. 2.
რომლისათჳსცა მისცა კურაპალატმან; თორნიკ⁴ ათასი მკედარი რჩეული
თორნიკს. და შეწევინთა ქრისტესითა აოტა სკლიაროსი და ვიდრე სპარსე-
თამდე მეოტად წარიქცია. 3. და მერმე შეიქცა და სიტყუსაგებრ მეფეთაჲსა
დატყუენნა ყოველნი დიდებულნი საბერძნეთისანი და მონაგები მათი იავარ-ყო
და რომელიმე ლაშქართა განუყო და რომელიმე თვთ დაიმქირა⁵ ნატყუენები
დიდძალი ფრიად⁶: ოქროჲ და ვეცხლი და სტავრაჲ და სხუად ესევეთარი.
4. და უკუნიქცა და მოიკითხა კურაპალატი და დიდად მოიმაღლა და იჯმნა
და მეფეთაჲ⁷ წინაშე მოვიდა.

22. 1. ხოლო ივინი¹ დიდითა პატივითა მიეგებნეს და² მოწოდდ მო-
იკითხეს³. იჯმნა უკუე მათგანცა და გამოეთხოვა. 2. და კულად მთაწმიდასვე
მოიქცა, ლავრად დიდისა ათანასესსა. ხოლო მაქმანი სიხარულით მიეგებნეს და

19. 1. სქმეთვ⁹ D. 2 ბრძანებასა თქნა BD. 3 საქმე ესე BCD. 4 ვიცი| უწყი BD.
5 ჩნგ⁹ ლ⁹ იძინე D. 6 კურაპალატისა BCD.

20. 1 ქმნეს| ყვეს BD. 2 წარგზავნეს BCD. 3 ასეა A.

21. 1 ორგულთბ BD. 2 თდეს| ოდენ BCD. 3 დაატყუენ⁹ BCD. 4 ასეა. 5 დაიმქირა|
+და BD. 6 ფრიადი BD. 7 მეფეთა BD.

22. 1. ივინი| იგი BD. 2 მიეგებნეს და|—BCD. 3 მოიკითხნა BCD.

აზბორს-უყევს და ჰპაღლობდეს ღმერთსა, რომელმან კუალად მოაქცია მშუ-
ღობით.

23. 1. და ამისა შემდგომად განიზრახეს მამათა ჩუენთა და თქუეს, ვი-
თარჲ: „აჲჲ ყოფად ჩუენი შეუძლებელ არს¹, კაცნი ვართ სახელოვანი და
ქართველნი მოგუპართებენ“. და ესე გამოარჩიეს², რაჲთა (კიდე) თავისუფლად
თჳსი მონასტერი აღამწონ. 2. დალათუ უძნდა საქმე ესე იოვანეს, გარნა³
ქართველთა განსუენებისათჳს და უფროას⁴ ხოლო თორნიკის აშენებისათჳს⁵
თავს-იდვა⁶ (ამისი ჳელ-ყო)ფად. 3. და ღმრათისა მომადლებითა პოეეს ადგილი
შუენიერი შუა მთაწმიდისა და აღაშენეს მონასტერი და ეკლესიანი წმიდისა
ღმრთისმშობლისა სახელსა ზედა და წმიდისა იოვანე ნათლის-მცემელისასა
ფრიადითა ოფლითა და ლუაწლითა. 4. და ადგილნი მრავალნი⁷, მონასტერნი
A 27 და სა(და)ყუღებულნი⁸ | გარემოას დიდისა მონასტრისა ეიდრე იმერად⁹ ზღუად-
მდე თჳსითა საფასითა იყიდნეს, რომელნი-იგი შუენიერ არიან და საწადელ დი
მომზაკებელ სულიერთა მონაზონთა საყოფლად.

24. და ეგრეთვე ღმრთის მსახურთა მეფეთა, ვინაჲთგან ესევეთარნი მსი-
ხურებანი ჰმსახურნეს და დიდნი საქმენი უქმნნეს, რომელნიცა ადგილნი და სო-
ფელნი სთხოვნეს¹, ყოველნი ოქრო-ბეჭდითა² დაუმტკიცნეს, რომელნი-იგი მრავ-
ალცა არიან და რჩეულ ფრიად, ვითარცა ამას ქუეყანასა შეჰგავს.

B 181 b 25. 1. |ხოლო იყო რაჲ თორნიკ აღმოსავალეთს¹, მრავალნი ფიქოსანი და
სახელოვანი² მონაზონნი ჩამოიტანნა³, სიმრავლე არა-მცირელი⁴ და ენება.
რაჲთა ქართველნი ოდენ იყენენ მონასტრისა ამის მკედრნი ყოველნი. 2. გარ-
A 28 ნა, ვინაჲთგან ამისი კმნად შეუძლებელ იყო, იძუღრნეს⁵ | ბერძენთაცა შემოყვა-
ნებად, რამეთუ ჩუენ, ვითარცა ხედაეთ, ზღჳსა რაჲთურთით გამოცდილებად
არაჲ გუაჲუს, და ჩუენი ყოველი გასარომელი⁶ ზღჳთ შემოგვალს, და მერმე თჳ-
ნიერ მკედელთა და ხუროთა და ვალატოზთა და მევენაჳეთა და ნავის-მოქმედ-
თა და სხუათა ესევეთართა ამის ესევეთარისა ვრცელისა ლავრისა დამჰირვად
ულონო არს. 3. და ესე ყოველი გამონახეს წმიდათა მამათა ჩუენთა და, თუ
უნდა და თუ არა, ვითარცა ვთქუთ, შეიწყნარნეს⁷ იგინიცა. და ესრეთ ღმრთი-
სა შეწყვენითა სრულ-იქმნა შენებად მონასტრისაჲ.

26. 1. ხოლო თორნიკ, ვინაჲთგან იოტა სკლიაროსი და კუალად აჲავე
მოიტჳცა ურცხვთა საფასითა და განძითა, —რამეთუ უფროას ათორმეტისა კენ-
დინარისა მოიღო განძი¹ ოდენ, სხუათა ტურფათაგან კიდე, —რომელი-იგი² ყო-
A 29 ველივე მამისა თჳსისა სულიერისა | იოვანეს³ ჳელთა მისცა⁴ და თავი თჳსი⁵

23. 1. არს|არ BD. 2 გამოარჩიეს| განიზრახეს BD, გამოარჩინეს C. 3 გარნა| რათა BD
4 და უფროას| დაეფაროს. C. 5 აღშენებისათჳს BCD. 6 თავს-იდევს BCD. 7 მრავალნი|+და
BD. 8 და სადაყუღებულნი AD, სადაყუღებულნი BC. 9 იმერად B.

24. 1 ს:ხოვნეს C. 2 ოქრო-ბეჭდითა|+დაუმტკედეს და C.

25. 1 ანა. 2 და სახელოვანი|—D. 3 წარმოიტანნა BD. 4 არა-მცირედ C. 5 იძუ-
ღნეს BCD. 6 გასარომელი| გ'სარომელი C, გამოსახრდელი BD. 7 შეიწყნარეს BCD.

26. 1 განძი|—BD. 2 რომელმან-იგი BD. 3 იოვანეს|—BCD. 4 მისცა| მიიღო BD.
5 ს'ღრისა ჳლნიცა და თავი თ'სი C.

სრულიად უარყო და არცა თუ მცირედი რაჲმე დაუტრევა ველმწიფებასა ქუე-
 შე თჳსსა, არამედ ეგვეთარმან (მან) განთქუმულმან და საჩინომან კაცმან ყოვე-
 ლივე ნებაჲ თჳნი მოიკუთუთა და სრულებით შეუღვა მორჩილებასა ჰისსა. 2. და
 ესეზომი მჭურვალებაჲ აჩუნა, რომელ, უკუეთუმცა შესაძლებელ იყო⁶, თჳნიერ
 მისისა ბრძანებისა არცამცა წყლისა გემოჲ იხილა და არცამცა სიტყუაჲ ერთი
 აღმოთქუა და არცა თუ ფოლსა ერთსა⁷ ზენდა უფალ იყო, არამედ ყოველსავე
 მამაჲ იოვანე განაგებენ და მისცემენ, ვითარცა ენების⁸ | და სადაცა ჯერ-იყვის⁹. B 182 a

27. 1. ხოლო ვინაჲთგან სათნოებათა ყოველთა თაჳი მორჩილებაჲ არს
 სულიერთა მამათაჲ და ნებისა თჳსისა განკუთუთა¹, და ესე ესრეთ აქუნდა, | ვი- A 30
 თარცა ვაუწყეთ ღმრთის-მოყუარებასა თქუენსა, და ფრიად უმაღლესად, რამე-
 თუ უნდოთაცა გულის სიტყუათა ტირილით გამოუტყუადებნ ნეტარსა იოვანეს და
 კანონსა და შენდობასა ითხოუნ². 2. სხუათა მით სათნოებათა მისთა გამოწულილ-
 ვით აღწერასა ნეფსით თანა-წარგჰვედით, რამეთუ კეშმირიტად ყოელითავე სა-
 თნოებისა საესე იყო ნეტარი ესე: სიმღამბლითა, სიწრფოებითა და უმანკოე-
 ბითა. 3. და მარადის ეტყუნ დიდსა იოვანეს, ვითარმედ: „მამაო, თჳთ იცი,
 რომელ დიდად ცოდვილ ვარ და სიკუდილი ჩემი მოახლებულ არს და უნე-
 ბელი³ სიწმიდისა თქუენისაჲ არა⁴ ვარ, არამედ ნებაჲ ჩემი და თაჳი (ჩემი შე-
 მდგომად ღმრთისა) შენდა მომიცემია; ვითარცა გნებაჲს, აცხოვენ სული ჩემი“.

28. ამას რაჲ ექვეითარსა მჭურვალებასა მისსა ხელვიდა | ნეტარი მამაჲ A 31
 ჩუენი იოვანე, ფრიად მოსწრაფე იყო, რაჲთა არარაჲ იპოვოს¹ რაჲთურთით
 მის თანა ნაკლულენებაჲ რაჲმე და ჯეროვნად პატივ-სცემენ მის და წრიდე-
 ბინ (და განუსუენებნ) და სწყალობნ სიბერესა მისსა.

29. 1. ხოლო ვინაჲთგან დიდი თორნიე წყობათა¹ შინა აღზრდილ იყო
 და სალაშქროთა საქმეთა, ამით ენეეითარათა პირთათჳს უბნობაჲ და ჰამბავი
 უყუარდა, 2. და, ვითარცა ვთქუთ, მამაჲ იოვანე ერიდებინ და არა უნდა,
 რაჲთამცა ამხილა მას, რაჲთა არა მოწყლას გონებაჲ მისცა. და ვითარცა იყე-
 ნეს მას ჟამსა კაცნი წარჩინებულნი და პატროსანნი, შევიდიან და ეუბნებო-
 დიან მას ზემო თქუმულთა ამათ² პირთათჳს. 3. მაშან, ვითარცა იხილა იოვანე,
 რამეთუ სიწრფოებით იქმს ამას, შეეშინა, ნუჟკუე ამის საბისათჳს ზღვევაჲ
 რაჲმე სულიერი შეამთხვოს ღირსსა³ მას და თჳსსა|კა| სულსა. || ამისთჳსცა ჰრქოა B 182 b
 მას მამამან იოვანე, ვითარმედ: „საყუარელო ძმაო, ეხვდავ, რომელ მაღლითა A 32
 ღმრთისაჲთა კეთილად წარმართებულ ხარ მცნებათა შინა ღმრთისათა და არა
 მნებაჲს, რაჲთა კრძალვისა გზითა ზღვევაჲ რაჲმე მოვატყუა სულსა შენსა. ან
 დააცადე სოფლიოთა⁴ მავათ საქმებთა უბნობაჲ და ამიერითგან⁵ სხუასა ნუ ეის
 ეუბნები, გარნა გაბრიელს (ხოლო) ხუცესსა“. 4. ხოლო ხუცესი იგი ესევეითარი
 კაცი იყო, რომელ პირსა მისსა მსოფლიოჲ სიტყუაჲ არა გამოვიდოდა, არამედ
 ყოველივე საღმრთოჲ და სულიერი. 5. ესე რაჲ ესმა ღირსსა მას, მყესულად

6 შემძლებელ იყო BD. 7 ფოლისა ერთისა BCD. 8 ინების B. 9 ჯერ-იყვის B, ჯერ-იყე-
 ნეს CD.

27. 1 მოკუთა BD. 2 ითხოუნ|+ხოლო BD. 3 უნებერი BD. 4 არა|—BD.

28. იპოს BCD.

29. 1 წყობათა A. 2 მთ BD. 3 შეამხვოს ღირსსა A. 4 მსოფლიოთა C. 5 მიერითგნ BCD.

დავარდა ფერკთა თანა მისთა და ცრეშლით ეტყოდა, ვითარმედ: „და რად დაიდუმე აქამომდე და არა მამხილე, წმიდაო და ღმერთ-შემოსილო მამაო?“ ხოლო მამამან იოვანე აღადგინა იგი და ჰრქუა: „უფალმან შეგინდევნ, ვარნა აწ
 A 33 ხოლო ეკრძალე!“. 6. და მიერითვან მონასტრისა ძმათა არღარა ვის ეუბნებინ, ვარნა თუ უცხოვ ვინ⁶ მოვედის და მცირედი რაჲმე სიტყუაჲ მიუთვის მას. და ესრეთ ესევითარსა ამას სულიერსა ცხოვრებასა შინა აღასრულნა დღენი თჳსნი⁷ და ღმრთისა მივიდა, და ქეშმარიტად წამეს მამათა ჩუენთა მისთჳს, ვითარმედ: „ღმერთმან შეუენდენა ცოდვანი მისნი და საუყუნესა ცხოვრებასა ღირს-ყო“.

30. ამით ღირსთა და სანატრელთა მამათა ჩუენთა დიდნი საფასენი და მრავალნი ტურფანი¹ შეწირნეს დიდსა ლავრასა და ყოველთა მონასტეროა მთაწმიდისათა, რომელნი-იგი მას ეამსა წუთლა გლახაკ იყვნეს და არა განმრავლებულ ესოდენ. და საშოვალსა², რომელ არს ყოვლისა მთისა შესაკრებელი, ფრიადნი სავმარნი და მონაგებნი მისცნეს. და ყოველთავე ზოგად და თუთოეუ-
 A 34 ლად | კაცად კაცადსა ფრიადი საფასე განუყვეს, რომელთაგანი რაოდენიმე მოვიტყენოთ და სხუად იგი დაეცადოთ³, რაჲთა არა ფრიადი სიმრავლე წერი-
 183 ლისაჲ იქმნას და საწყინო ვიქმნენთ მკითხველთა და მსმენელთა.

31. 1. დიდსა უტეე ლავრასა მისცეს, ვითარცა ეთუთ¹, ოქრო-ბეჭედი² განძისა ორას ორმოცდა ოთხისა დრაჰმისაჲ, ჩიმიშკისა³ ბოძებულნი იოვანესდა, და ესე ყოველთა წელთა აქუს პალატი ლავრასა⁴, და კუნძული, რომელსა ნეოს ეწოდების, ბასილი მეფისა ბოძებული იოვანესდავე, რომლისაგან გამოვალს გამოსავალი ყოველთა წელთა იღ ლიტრაჲ⁵, გინა ათხუთმეტი და ოდეს-მე ოციცა. 2. და კულად მისცეს ოქროჲ განძად ათუალული კე ლიტრაჲ,
 A 35 და ძელისა⁶ ცხოვრებისა ნაწილი | ვეცხლისა ბუდითა და ორნი ბარძიბნი დიდნი ვეცხლისანი და ფეშხუემი⁷ კოვზითურთ და ბრწყლით და ნაწილის შთასასუენებელით⁸ ვეცხლისაჲთ⁹. და ესე ყოველნი¹⁰ ოქრო-ცურევებულნი. სა-
 კურთხეველის¹¹ შესამოსელი ოქრო-ნემსული და მეორე ოქსინოჲ. 3. ორნი წიგნი ოქროპირისანი—მარგალიტნი¹², სხუად წიგნი წმიდისა ეურემისი¹³, სხუად წიგნი სწავლანი წმიდისა კვირილესნი, სხუად წიგნი, რომელსა სწერიან ყოველნივე¹⁴ ძუელნი წიგნი¹⁵ და საწინაღწარმეტყუელოჲ და მაკაბელთაჲ, სხუად წიგნი საღღესასწაულოჲ საჩინოთა წმიდათაჲ, ოთხთავეი სტავრაჲთა შე-
 A 36 მოსილი და ვეცხლისა ღილო-კილოთა¹⁶ და ჯუარითა. 4. ჯუარი სალიტანიე ვეცხლისაჲ ოქრო-ცურევებული¹⁷ მელაზმაგისა¹⁸ ხატებითა, ჯუარს-ცემისა

6 ვინმე BD, ვინა C. 7 მისნი BCD.

30. 1 ტურფანი| სავმარნი BD. 2 საშუვალსა D. 3 დავიცადოთ D.

31. 1 ეთუე CD. 2 დიდძალი ბეჭედი BCD. 3 წამისშკისა BCD (A-ში ამ სიტყვაში შ ასო სტრიქონს ზევითა მკრთალად და იგი შეიძლება ჳ-დაც იქნას წაკითხული; შ ასოს ბუმის ნაკვლად წერტილიდა). 4 ლავრასა პალატი BD. 5 ათორმეტი ლიტრა B, ათოთხმეტი ლიტრაჲ CD. 6 ძეისა A. 7 ფეშხუე BC. 8 შთასასუენებელი BD. 9 ვეცხლისა BD. 10 ყნი D. 11 საკუთხეველის AB, 12 მარგალიტანი და BD, მარგალიტისნი C. 13 ფერემისნი C, ეურემისა D. 14 ყნი BCD. 15 წიგნი D. 16 ღილ-კილოთა BD. 17 ოქრო-ცურევებული D. 18 ელამ-ზმაგისა BCD.

ხატი ცკლოანი დიდი, ას დრაჰკანდ ფასებული; სხუად დიდი ხატი ვედრებისად, სხუად ხატი გარდამოჰსნა²⁰, ნიკიფორ²¹ მეფისა ნიკებული²², სხუად ხატი—
 კანკელი ათორმეტთა მოიკიჳულთად, სხუად ხატი წმიდათა დიდთა მოწამეთად,
 სხუად ხატი ცკლოანი²³ ნათლის-მცემელისად, სხუად ხატი ცკლოანი წმიდისა ევ-
 სტრატისა²⁴. 5. და ალუად აჲი ლიტრაჲ და ოთხნი ჯორნი და სამნი ცხენნი,
 და ნაფი ხუთასისა მოდისად. 6. და კელინი, რომელთა ზედა (წააგეს საშენ-
 ბელად: ზემოთა ზედა²⁵ ხუთასი დრაჰკანი და ქუემოთა ასი დრაჰკანი და B 183 b
 სხუად ესევეთარი, 7. და ესე ყოველი თუთ წმიდისა მამისა ეფთჳმეს²⁶ კელთა
 ნუსხისაგან დაგჳწერია, ვინაჲცა კემმარტ არს და უტყუველ.

32. 1. ეგრეთვე საშოალსა¹ მისცეს განძი ინდიკტიონსა **Θ** ლიტრაჲ|ათ- A 73
 ოთხმეტ² გასაყოფელად ყოველთა. და კულად ია ინდიკტიონსა გაუყვეს სხუად
 იდ ლიტრაჲ. 2. და მისცეს კარიისა³ ეკლესიასა, რომელ არს შესაკრებელი
 ყოველთად, ბარძიმ-ფეშუფეში ვეცხლისად ოქრო-ცურვებული ხატებითა და კან-
 კელი საუფლოთა დღესასწაულთად და თარგმანებაჲ სახარებისად და სამნი
 ხატნი დიდნი ვედრებისანი და ორნი სკარამანგნი და ორნი ჯორნი. 3. და
 მისცეს იკონომოსსა საშოალისასა ლიტრაჲ ერთი განძი საშოალისათჳს წასაგე-
 ბელად⁴: სასყიდლად შორაკანდელთა⁵, ემშააკათა და ჯაჭუთა და კლაპტარ-
 თა. 4. და კულად შემდგომად თორნიკის სიკუდილისა იგ⁶ ინდიკტიონსა მის-
 ცეს მთასა გასაყოფლად⁷ ლიტრაჲ ოცდარვა. 5. და ერისონს მისცენს სახლნი,
 შჳდ ლიტრად სყიდულნი, ზღუ|დითურთ, სადგურად მიმავალთა ძმათა, და კუ- A 38
 ლად მისცეს მუნე⁸ ვენაჲი რჩეული, ხუთ ლიტრად ფასებული. 6. და ესეცა⁹
 ყოველი¹⁰ მამათაჲ¹¹ ჩუნთა დაწერილისაგან დაგჳწერია. 7. კაცად-კაცადისა
 კულა მიცემული ვინ აღრაცხოს, რომელსა-იგი თუთოეული მათი ემა-მოდლად
 ქადაგებს და ღმერთსა ცათა შინა აღუწერიეს! 8. და მამამანცა ეფთჳმე, ამის
 ზემო წერილისაგან კიდე, მისცა თჳსისა მონასტრისათჳს ეფთჳმე-წმიდისა სა-
 შოალსა ორასი დრაჰკანი, რომელი-იგი შემდგომად წინამძღურობისაგან ჯგინი-
 სა აღაშენა მთასა გარე. 9. აჲა უჲეუ დავაცადოთ ესევეითარისა ამის პირისა-
 თჳს სიტყუად, რამეთუ, ვითარცა ვთქუთ, არცა თუ შესაძლებელ არს ყოველთა
 მათ ქველას საქმეთა მათთა (თითოეულად) წარმოთქუმაჲ¹², რომელთა-იგი უმე- A 39
 ტეს ყოველთა სათნოებათა მოწყალებაჲ| შეეტკობ და ვითარცა სამოსელი B 184 a
 შეემოსა.

33. 1. შემდგომად თორნიკის მიცეალებისა განიზრახა ნეტარმან მამამან
 ჩუენმან იოვანე, რაჲთა აღიღოს ძე თჳსი და რაჲდენნიმე მოწაფენი და იელტო-
 დის სპანიად,—რამეთუ¹ პირველითაგანე უძნდა შუღლიანობაჲ და შფოთი,
 გარნა თავს-ედვა მუნ ეამამდე თორნიკის აშენებისათჳს² და რაჲთა შეიძინოს

20 გარდამოჰსნისა BCD. 21 ნიკიფორე BCD. 22 მინიკებული BCD. 23 ცკლოანი|ი+ი^ე D.
 24 ევსტრატისა BCD. 25 ზედა| ზე C. 26 ეფთჳმის B, ეფთჳმისი D.
 32. 1 საშოალსა BCD (CD-ში ყველგან სა შუ ა ლ ს ა და სა შუ ა ლ ი სწერია). 2 ლიტ-
 რაჲ იბ BCD. 3 კარიისა BCD. 4 წარსაგებელად BCD. 5 ქორკანდელთა BD. 6 იგ| კე BD,
 ი^ე C. 7 ასეა. 8 მუნე|—BD. 9 ეფ BCD. 10 ყო^ე C. 11 მამათა C. 12 ყთა შთ წარმოთქუმა
 ქუშლის საქმეთა მათთა თითოეულად BCD, წარმოთქუმა|—B.
 33. 1 რამეთუ|—B. 2 აღშენებისათჳს BCD.

- სული მისი, —რამეთუ ასმოდა, ვითარმედ ქართველნი არა-მცირედნი ნათესავენი და ერნი მკვდრ არიან მუნ. 2. და ამის პირისათჳს წარვიდა ვიდრე ავიდოსამდე, რაჲთა მიერ³ პოვოს ნავი, კერძოთა სპანიისათა მიმავალი, და წარვიდეს მუნ.] 3. და რომელი-იგი მას ჟამსა მთავრობდა ავიდოსს⁴, ფრიად სასურველი იყო მამისა იოვანესი⁵, და მეგობრობისა მისისათჳს გამოუცხადა მას გულის სიტყუაჲ თჳსი. 4. ხოლო იგი წინააღულდა და, რაოდენ შესაძლებელ იყო მისგან, აბრკოლებდა. და ვითარ იხილა მამად იოვანე დამტკიცებული თჳსსავე გულის სიტყუასა ზედა, გამოუცხადა და ჰრქუა, ვითარმედ: „წმიდაო მამაო, არა უმეცარ ხარ შენ, თუ რაბაში სიყუარული აქუს მეფეთა ღირსებისა შენისაჲ და, უკუთუ გავიტყვენ⁶, დიდა ბოროტი მოწყენად არს ჩემ ზედა. მიუწერო შეფეთა და, ვითარცა ბრძანონ, ეგრეცა ქმენ“. 5. და, ვითარცა მიუწერა, უბრძანეს მეფეთა, რაჲთა სამეფოს⁷ წარავლინნეს⁸. 6. და ვითარცა აღვიდეს, A 41 დიდითა პატივითა მოიკითხნეს იგინი მეფეთა| და დიდად აბრალეს და ჰრქუეს, ვითარმედ: „წმიდანო მამანო, ჩუენ დიდი სიყუარული გუაქუს სიწმიდისა თქუენისაჲ და რაჲ არს ესე, რომელ ესრეთ ივლტით ჩუენგან და⁹ უცხოსა ქუეყანასა წარხუალთ?“ 7. მიუგო ნეტარმან იოვანე და ჰრქუა: „ღმერთის მსახურნა და თვთმპყრობელნი მეფენო! გლახაკი ესე ერისკაცი იყავ სოფელსა შინა მყოფე და თანა-მღები ყოვლისა ბრალისაჲ და ენებნა, რაჲთა უცხოებასა საზე წარვიდე და სული ჩემი ვიცხოვრო¹⁰ და გლახაკებით ვიყოფებოდი¹¹. და თუ ვითა მოჰქდა, არა უწყი. მოვიდა თჳსი ჩემი თორნიკ და მისითა გზითა დიდთა შულთა¹² შთავევარდი და ერის-კრებასა და მნებაეს, რაჲთა ამის ყოვლისაგან A 42 თავისუფალ ვიქმნა და სულისა ჩემისა ზრუნვასა შეუდგე. 8. მრავალთა ჟამთა დიდითა პატივითა დაამკვირეს და მერმე დიდითა ქენებითა ძლით დაარწმუნეს მონასტრადვე შექცევაჲ და დიდითა ბოძითა განუტევეს. 9. და ესრეთ კუალად შეიქცა თჳსსავე მონასტრისა და, შემდგომად მცირედისა ჟამისა, ნიკრისისა (სენსა) შთავარდა და მრავალთა წელთა ცხედარსა ზედა დავროდომილი¹³ მღებარე იყო და ფრიადთა ტკივილთა მოითმენდა. 10. და მარადის ჰმადლობდა ღმერთსა და ესრეთ მხარულ იყო სენსა მას ზედა სასტიკსა, ვითარცა საუბესსა (ზედა) დიდძალსა და ვითარცა პატივისა და ნიქსა. საზეუფისა¹⁴.
34. 1. და ვითარ იხილა ესევეითარი უძლურებაჲ თჳსი, ევედრებოდი მამასა ეფთჳსი, რაჲთა მიითუალოს ზრუნვად მონასტრისაჲ. 2. ხოლო იგი მოწიწებით აძულებდა¹ მას, რაჲთა შეუნდოს, რამეთუ უძნდა შუთით ამის სოფლისაჲ და არა თავს-იღებდა შფოთთა| შთავროდომად. 3. გარნა ვინაჲთგან A 43 შეუძლებელ იყო მამისა მოხუცებულისა და სენთაგან განკაფულისა ურჩებაჲ, უნდა თუ არა, მორჩილ ექმნა მას და, ვიდრე ქორცთა-ლა² შინა იყო, მორჩილებითა და ბრძანებითა მისითა განაგებდა საქმეთა მონასტრისათა ვითარცა იკონომოსი და თჳნიერ მისისა ბრძანებისა არარას იქმნოდა.

3 მიერ³ მის მიერ BCD. 4 აღვიდოს BD. 5 იქსა D. 6 გწვიტყვენ BCD. 7 სამეფოს ACD. 8 წარივლინენ D, წარივლინენ C. 9 და—B. 10 ვაცხოვრო BD. 11 ვიყოფებოდე C. 12 შულთა| შფოთთა BD. 13 დავროდომით BCD. 14 სწფსა A.

34. 1 აძულებდა| აძულდებდა C, აღასრულებდა BD. 2 ვიდრედა ქორცთა BD.

35. 1. მას ეამსა შინა სანატრელი და წმიდაჲ ბერი იოვანე გრძელის ძე ცხოვნდებოდა ვითარცა უჯორცოჲ დაჲყუღდებით ოთხთა ეკლესიათა ლავრასა შინა. 2. და ეგრეთვე არსენი ნინოწმიდელი, კაცი მალალი სათნოებთა და მუშაკი ქრისტეს მცნებთაჲ, რომელმან-იგი¹ ღმრთისათჳს დაუტევე ეპისკოპოსობაჲ და დაეით კურაპალატისა წინაშე მოვიდა, ხოლო² მან კეთილად მოკვინებუ³ლმან ღირსად სიწმიდისა || მისისა მოიკითსა და ოთხთა ეკლესიათა წარმგახენა⁴. და ესრეთ იგიცა დაჲყუღდებით ცხოვნდებოდა თჳსისა მოძღუროსა-
A 44
B 185 a

 3. ამათ უკუე ნეტართა მამათა ჩუენთა—იოვანეს და არსენის—ფრიადი სიყუარული აქუნდა ერთმანერთისაჲ და მრავალ ეამ იღუწიდეს მუნ კეთილსა მას ლუაწლსა მონაზონებისაჲ. 4. ხოლო ხედვიდეს, რამეთუ, ვითარ-იგი უნდა ჰყუღროებით ცხორებაჲ, ვერ იყოფებოდეს⁵, ამისთჳს რამეთუ აწკინებდიან მამასახლისნი და ძმანი მონასტრისანი, და კურაპალატიცა ზედაჲს-ზედა ზიუწერნ და ევლოგისა წარსცემნ⁶, ეგრეთვე ეპისკოპოსნი და აზნაურნი. 5. ამის უკუე
A 45

 მიზეზისათჳს განიზრახეს, რაჲთა წარვიდენ⁷ უცხოსა ქუეყანასა. რომელიცათჳს-
 ცა წარვიდეს კერძოთა პონტოჲსათა უღაბნოთა ადგილთა და მიემთხვნეს მამასახლისსა ვისმე სულიერსა, რომელმან-იგი სიხარულით შეიწყნარან⁸ და მისცა მონასტერი ზუენიერი, ადგილსა უღაბნოსა, და ყოველსავე საგმარსა მათსა უხუეებით მისცემდა.

36. 1. და შემდგომად რაოდენისაჲჲ ეამსა ეუწყა მამათა ჩუენთა მათთჳს, ვითარმედ მუნ იყოფებიან. 2. და წარავლინეს ძმაჲ ერთი და მიუწერეს წიგნები, ვითარმედ: „წმიდანო მამანო, გუეუწყა სიწმიდისა თქუენისათჳს და ვცანთ¹ მანდა ყოფაჲ თქუენი და ფრიად გულ-კლებულ² ვართ, რომელ არა ინებეთ ამის წმიდისა და სახელოვანსა მთასა მოსლევა, რაჲთამცა თქუენი წმიდაჲ ლოცვაჲ მოგუერო. აწ ვევეღრებით სიწმიდესა თქუენსა, რაჲთა მოხვდეთ და ერთგან ვიყოფებოდით³, ვინაჲთგან უწყით, რომელ ჩუენცა უცხოებასა ვართ.“
A 46

37*. 1. ესე რაჲ აღმოიკითხეს, მათცა გაესუენა¹ და მეორესა ხოლო წელსა² ჩამოვიდეს. 2. და ვითარცა³ ცნეს მამათა ჩუენთა, სიხარულითა აღივსნეს⁴ და მადლი შეწირეს ღმრთისა და მოწულედ მოიკითხნეს⁵ და სულიერად და გორცილად ნებისაებრ მათისა⁶ აღაშენნეს და უღაბნოსა ადგილსა სე|ნა-
B 185 b

 კები უშენეს და ღმრთისა სათნოთა მოქალაქეობითა ცხოვნდებოდეს.

38. ამისა შემდგომად სანატრელმან მამამან ჩუენმან იოვანე, პირველ-თქუმულსა მას საღმობასა შინა განკათულმან, შეისუენა და ღმრთისა მივიდა, განმდიდრებული ტჯრთითა სათნოებთათაჲთა და ნების-ყოფელი ღმრთისაჲ.

39. 1. და ეგულდებოდა რაჲ აღსრულებაჲ, ყოველი ჯელმწიფებაჲ და უფლებაჲ მამასა; ეფთჳმეს მისცა, რაჲთა, რომელიცა განეგებაჲ და წესი ენებოს,
A 47

35. 1 რომელმან-იგი| რწ-იგი D. 2 ხოლო|—BD. 3 წარმოგახენა BCD. 4 იყოფოდეს BD. 5 წარსცემნ D. 6 წარვიდეს D. 7 შეიწყნარა BD.

36. 1 ვცანთ CD. 2 გ'ლკებ'ლ D. 3 ვიყოფოდით BCD.

37. 1 გაესუენა A, განესუენა BC. 2 წელსა ხოლო BC. 3 ვითარცა| ვწ C. 4 მოიკითხეს C. 5 ნებისაებრ მათისა|—B.

* ეს თავი (ესე რაჲ.. ცხოვნდებოდეს) მთლიანად აკლია D-ს.

იგიც დაუღვას¹ მონასტერსა და მას ზედაცა განკანონოს და შინა და გარე, ვითარცა ენებოს, ეგრეთ განავგოს. 2. და მერმე შემდგომად თჳსა² უბრძანა, რაჲთა გიორგის დაუტეოს მამობად, რომელი-იგი თჳსივე იყო მათი, კაცი სახელაანი და ფრთხილი ჳრაციელთა საქმეთა ზედა. 3. და კუალად უბრძანა, რაჲთა გიორგი შემდგომად მისა სხუად დაუტეეოს წინამძღუარნი, რომელი იპოოს სიტყუთ და საქმით სხუათა უმჯობესი ძმათა შორის. 4. და ესრეთ განაწესა, რაჲთა თუთოეული მამასახლისი, შემდგომად თჳსისა აღსარულებისა, სხუასა დაუტეებდეს წინამძღუარსა, ღირსსა და სათნოსა. 5. ხოლო უკუეთუ ვინმე იპოვოს შშელი განგებასა მამისა ეფთჳმისსა და მამფოთებელი და წინააღმდეგომი

A 48 მათად, კრულობითა და შეჩუენებითა საშინელითა განკანონა ეგევითარი იგი და ღმრთისაგან განავგო და ბრძანა, რაჲთა ეგევითარი იგი (მეყესულად)³ კრებულისაგან განიდევნოს, რაჲთა არა ყოველსა გუამსა კრებულისასა განეზავოს მაკუდინებელი იგი სენი მისი და განმრყენელი.

40. 1. და განმგებელად და ეპიტროპად თუთმპურობელნი მეფენი განაწესნა და თქუა, ვითარმედ: „ვინაჲთგან მწყალობელი ვინმე და გულის ამპყრობელი¹ და განმგებელი საწმარ არს, რაჲ ვყო გლახაკმან ამან და უნდომან, რამეთუ, დაღაცათუ კადნიერ არს სიტყუად ესე, არამედ მინდობითა ტკბილსა მას მოწყალებასა და სახიერებასა, რომელი-ესე მათითა მწყალობითა და შეწევნითა

A 49 B166 ა აღვაშენე ლავრაჲ, მათთავე| გელთა შეგჳკვედრებ და ჩემ თანა მონათა და მლოცველთა მათთა ეფთჳმეს და გიორგის. 2. რამეთუ დაღაცათუ ყოველსა ქუეყანასა მწყალობენ და ყოველთა გლახაკთა ეურვიან, არამედ² ჩუენ უღირსთა ზედ უმეტეს (ყოველთასა) აჩუენეს მწყალობად, ვინაჲცა³ საძირკველითგან დიდთა მათ ქველის-მოქმედებათა მათთა მიერ აღვაშენე ლავრაჲ ესე⁴.

41. 1. ხოლო ძმათა ჰრქუა, ვითარმედ: „თქუენ, სასურველნი და საყუარელნი შეილნი ჩემნი, უკუეთუ მცნებათა ღმრთისათა დამარბეაჲ ილუაწით და წესისაებრ და კანონისა საღმრთოჲსა იყოფებოდით¹ და წინამძღუართა მიმართ გაქუნდეს უზაკუველი მორჩილება და ურთიერთარს² მშჯღობად და ერთობად, მრწამს ღმრთისაჲ, რომელ არარაჲ კეთილი³ არა მოგაკლოს ღმერთმან, არამედ მეფენი და მთავარნი და ყოველნი კაცნი მწყალობად თქუენდა აღძრნეს⁴ და უმეტეს და უმეტეს⁵ წარემარნეთ. 2. ამიერითგან ნუმცა ვინ განგაშორებს თქუენ საქმისა ამისგან კეთილისა და ღმრთისა საყუარელისა⁶, რომელ არს უზაკუველი მორჩილება და განუკუეთელი⁷ ერთობად და მშჯღობად, რაჲთა ამასცა საწუთროსა⁸ უშფოთველი ცხორებაჲ აღსარულოთ და საუკუნესა მას მომავალსა ცხორებაჲ⁹ საუკუნოდ დაიმკვდროთ კაცთ-მოყუარებითა ქრისტეს მეუფისაჲთა¹⁰. და იგი სახიერი და მრავალ-მოწყალე ღმერთი იყავნ მწყალობელ თქუენდა და წარგიძელუნ წმიდისა ნებასა მისსა და საღმრთოთა მისთა მცნებათა¹¹,| მეხოებითა ყოვლად წმიდისა ღმრთის-მშობელისაჲთა და ყოველთა წმიდათაჲთა, ო¹².

A 50
A 51

39. 1 დაუღვას C. 2 თჳსა C, თსა BD. 3 საშინელითა... მეყესულად| საშინელით განკანონონს ეგევითარი იგი და მყესულად BCD.
40. 1 ქულსა მპყრობელი A 2 არამედ| ვითარმედ BD. 3 ვინაჲცა| ვინაჲთგ BCD.
41. 2 იყოფოდით H. 2 ურთიერთარს|+და B. 3 აღძრნეს HD. 4 და უმეტეს (ერთობელ არის) BCD. 5 საყრდისად D. წმ გუწუთილი D. 7 საწუთროსა CD 8 ცხობრბასა C. 9 მწიდათა A. 10 მცნებათა მისთა BCD.

42. 1. სტუმრის-მოყუარებისა ნუ დაიციწყებთ და, რაჲ ღმერთსა ებოძოს¹, გლახაკთა მიუპყრობდით², მსგავსად ძალისა თქუენისა, 2. და მილოცევდით და მაცსენებდით, საყუარელნო შვილნო და ძმანო ჩემნო, მარადის, რაჲთა ყოს ღმერთმან³ წყალობად საწყალობელისა და ცოდვითა შინა განჭრდილისა სუ- B 186 h
ლისა ჩემისა თანა და შემიძღვნეს ყოველნი ცოდვიანი ჩემნი. 3. და ეგრეთვე სულთერსა ძმასა ჩუენსა იოვანე სჯგელოზსა⁴, რამეთუ ფრიადითა სარწმუნოე-ბითა მოვიდა ჩუენდა წმიდასა ამის მთასა, და სულიერისა მამისა ჩუენისა ათა-ნასეს საცსენებელსა წლითი-წლად აღასრულებდით⁵ და მოიქსენებდით წმიდათა ეამის-წირვითა შინა⁶.

43. და ვითარცა ესე ყოველი წარმოთქუა და აღწერით დაუტყუა, მერ-მე აკურთხა ნეტარი ეფთუზე ზეგარდამოთა კურთხევიითა და ჯულთა შინა¹ მის-თა წმიდად სული თუხი ღმერთსა შეჰვედრა და მშუდობით მას ზედა დაწვა და დაიძინა, თთუესა იენისსა იდ, და მეოხ არს ცხო|რებისათჳს სულთა ჩუენთაჲსა. A 52

44. 1. ხოლო პატროსანი იგი გუამი მისი ღმერთ-შემოსილმან მამამან ჩუენმან ეფთუზე ჯეგროვანდ შემოსა და თჳსაგან დაჰმარხა და ზედა ეკლესიად წმიდათა მთავარანკელოსთად აღაშენა. 2. და რომელინიცა სარწმუნოებით მო-უტდებიან, მადლსა და ღვინებასა ღირს იქმნებიან. რამეთუ ეშმაკული ვინმე მოუტდა მას ოდესმე და სუა კანდლისა მისგან, რომელი ეკიდა საფლავსა ზედა მისსა, და მეყსეულად განიკურნა და აღიდებდა ღმერთსა.

45. 1. ხოლო ჩუენ პირველსავე სიტყუასა მოვიდეთ. რამეთუ, ვითარცა-სუგი ზემორე ვთქუთ, წარიყვანა სამეუფოთ¹ შვილი თუხი ეფთუზე მამამან იოვანე 2. და პირველად ქართული სწავლაჲ ასწავა² და მერმე მერძულად გა-ასწავლა ყოვლითავე სწავლულებითა სრულებით. 3. და სიყრმითაგანვე მადლი ღმრთისაჲ იყო მის ზედა³ და ღმრთისაგან მიეცა გულისხმის-ყოფად წერილთად და სულისა წმიდისა მადლითა აღიესო, ვითარცა ეუწყა ნეტარსა იოვანეს, მა-მასა მისსა⁴, გამოცხადებითა წმიდისა ღმრთ-მშობელისაჲთა. 4. რამეთუ ეამ-სა სიკაბუქისა მისისასა, ვიდრე ურმა-და იჲო. ! სენითა მძაფრითა შეპყრობილ A 53
იქმნა და სიკუდილსა მიეხალა. 5. და იტყუდა ნეტარი იოვანე, ვითარმედ: | B 187 a
„სასოებაჲ წარვიწირე ცხო|რებისა მისისაჲ, რამეთუ, ვჰგონებდი⁶ მეყსა შინა სულთა აღმოსლევასა, ვინაჲთგან არცაღა⁶ სიტყუად დაშთომილ იყო მის თანა, არცა ვმაჲ, და, ვითარ-იგი შეშფოთებულ ვიყავ, წარვედ ტაძარსა წმიდისა ღმრთის-მშობელისასა და დავვარდი წინაშე ხატსა⁷ წმიდისა დედოფლისასა და ცრემლითა მჭურვალითა ვევედრებოდე⁸ უზრწინელსა მარადის ქალწულ-სა ღმრთის-მშობელსა, რაჲთა შემწე ეყოს⁹ და ყოს ღვინეჲაჲ. 6. და ვამცენ მდღელსა, რაჲთა მსწრაფლ აღმოვიდეს და აზიაროს კორცსა და სსხლსა უფ-ლისასა¹⁰. 7. და ვითარ-იგი შეშფოთებულ ვიყავ და აღვისწრაფდი ხელეად,

42. 1 ებოძოს] ებრძანოს BCD. 2 მიპყრობით BCD. 3 ღმერთმან]—D. 4 ი'ნს ანგელოზ-სა BCD. 5 აღასრულებდით C.

43. 1 შინა]—BD.

45. 1 სამეფოთ C. 2 ასწავლა B, გ'ნსწავლა C. 3 მ'ს ზ'ა BCD. 4 ნ'ტრსა მ'ვ'ასა მისსა ი'ეს C. 5 ვჰგონებდ B. 6 არცაღა] + თუ C. 7 ხატსა]—BCD. 8 ვევედრებოდი C. 9 ეყოს] იყოს D. 10 ო'ასა C.

თუ რაჲ-ჲ იქმნა, განვალე კარი სენაკისაჲ, საღა-იგი დამეტევა მწოლარე, და მეყსულად ვიყნოსე სული სულნელებისაჲ საკრველი, რამეთუ იქმნა მოხედვად წმიდისა ღმრთის-მშობელისაჲ და ვიხილე ეფთჳმე, რამეთუ მადლითა მისითა აღ-

A 54 ღგომილ იყო და ჯდა ცხედარსა ზედა ყოვლითურთ მრთელი და უვნებელი.

46. 1. და ვითარ-იგი განჰკრთა გონებაჲ ჩემი და ვჰკითხვედ მას, ვითარ-მედ: „რაჲ არს ესე, შვილო“, მომიგო და მრქუა მე, ვითარმედ: „აწლა წარმო-მიდგა ვინმე დიდებული დედოფალი და მრქუა ქართულითა ენითა: „რაჲ არს, რაჲ გელმის, ეფთჳმე?“ ხოლო მე ვარქუე, ვითარმედ: „მოგუკლები, დედოფლო“. და ვითარცა ესე ვოქუე, მომეახლა და მიპყრა გელსა და მრქუა: „არარაჲ არს ვნებაჲ შენ თანა, აღდეგ, ნუ გეშინინ და ქართულად¹ ქსნილად უზნოჲდი“. და აჰა ესერა, ვითარცა მხედავ, ყოვლადვე არღარად მელმის“. 2. და იტყო-და ნეტარი იოვანე, ვითარმედ²: „მუნ ჟამადმდე ძნიად უზნობჲ ქართულად და ფრიად მწუხარე ვიყავ ამის პირისათჳს, ხოლო მიერთავა დაუყენებულად, ვი-თარცა წყაროდ, აღმოღინ უწმიდეს ყოველთა ქართველთასა. 3. ხოლო მე, რაჲ ვიხალე ესე, დავვარდი წინაშე წმიდისა ღმრთის-მშობელისა და მადლი შე-
B 187 v ვწიერ სასოფსა მის ჩუენისა და ვჰმადლობდი და ვადიდებდი ღმერთსა, აწ³“.

47. 1. ეტყენ მამად იოვანე, ვითარმედ¹: „შვილო ჩემო, ქართლისა ქუე-
A 25 ყანად დიდად ნაკლულევან არს ქვიგნთაგან და მრავალნი წიგნნი აკლან², და ვხედავ, რომელ ღმერთსა მოუმაღლებია შენდა. აწ ილუაწე, რაჲთა განამრავ-ლო სასყიდელი შენი ღმრთისაგან³“. 2. და იგი, ვითარცა იყო ყოველსავე ზედა მორჩილი, მოსწრაფედ შეუდგა ბრძანებასა. მისსა და იწყო თარგმანდ და ყოველნივე⁴ განაჰკრგნა, რამეთუ გუგეითარი თარგმანი, გარემე მათ პირველ-თასა, არღარა გამოჩინებულ არს ენასა ჩუენსა და ვჰგონებ, თუ არცაღა⁵ გა-მოჩინებად არს.

48. 1. და მრავალნი წიგნნი წარსცნის წინაშე დავით კერაპალატისა, რომელნი-იგი იხილნა რაჲ, ეითარცა იყო მორწმუნე, სინარულითა აღიყსო და ადიდებდა ღმერთსა და სტყოდა, ვითარმედ: „მადლი ღმერთსა, რომელმან ჩუენ-თა ამათ ჟამთა ახალი ოქროპირი გამოაჩინა“. 2. და ზედაჲს-ზედა მოუწერნ, რაჲთა თარგმნიდეს და წარსცემდეს. 3. და იგი სანატრელი შეუსტენებულად თარგმნიდა და რაჲთურთით არა სცემდა განსუენებასა თავსა თჳსსა, არამედ დღე და ღამე ტკბილსა მის თაფლსა წიგნთა¹ საღმრთოთასა² შურებოდა, რომლისა მიერ დაატკბო ენად ჩუენი და ეკლესიაჲ. 4. რამეთუ თარგმნნა წიგნნი საღმრ-
A 56 თონი, რომელთა აღრიცხუეჲ³ კნინლა-და შეუძლებელ არს, რომელთაგანნი რაო-დენნიმე მოვიკსენეთ, რაჲთა მათ მიერ სხუათათჳცა ეუწყოს ქრისტეს მორწ-მუნეთა. 5. რამეთუ არა ოუ უღუმბათა⁴ და მთაწმიდას ოდენ თარგმნნა, რაჲ-თამცა აღვრიცხუენით⁵ თითოეულად, არამედ სამეფოფოსცა⁶ და გზასა და სხუა-თა ესევეითართა ადგილთა.

48. 1 ქართულად]—B. 2 ვითარმედ] ვიდრე BD. 3 აწ]—BD.

47. 1 ვითარმედ]—D. 2 აკლიან BCD. 3 ღმრთისაგან] პოტენ D. 4 ყწივე C. 5 არცა BCD.

48. 1 წიგნსა BD. 2 სწოთსა BCD. 3 აღრიცხუეჲ A. 4 უღუმბოთა CD. 5 აღვრიცხუენით A, აღვარავებუნით B, აღვირავებუნით C, აღვრიცხუენით D. 5 სამეფოფოსცა BCD.

49. 1. თარგმნა უუკუ¹, ვითარცა ვთქუთ:

თარგმანებაჲ იოვანეს თავისა სახარებისაჲ.

სწავლანი წმიდისა მამისა ჩუენისა დიდისა ბასილისნი.

მისივე თარგმანებაჲ ფსალმუნთაჲ.

წიგნი წმიდისა კლემაკისისი².

წიგნი წმიდისა მაკარისი³.

მაქსიმეს სწავლანი.

|წიგნი წმიდისა ისაკისი, რომელსა შინა არიან სხუათაცა⁴ მამათა გამო- B 188 a
რჩეულნი სწავლანი.

წიგნი წმიდისა დორეთესი.

2. წამებაჲ და სასწაულნი წმიდისა მთავარმოწამისა დიმიტრისნი.

ცხორებაჲ და წამებაჲ წმიდისა სტეფანე ახლისაჲ.

ცხორებაჲ და წამებაჲ წმიდისა კლემენტოს ჰრომთა პაპისაჲ.

წამებაჲ⁵ წმიდისა კლიმი ანკერელისაჲ.

ცხორებაჲ წმიდისა და⁶ დიდისა ბასილი⁷ კესარიელისაჲ.

(წამებაჲ წმიდისა აკუესიმბასი).

ცხორებაჲ წმიდისა გრიგოლ ლმრთის-მეტქუელისაჲ და თქმულნი მესნი. A 57

ცხორებაჲ წმიდისა ბაგრატისი.

წამებაჲ წმიდათა მინა-ერმოგინეთი.

3. წმიდისა გრიგოლ ნოსელისა თქმულნი: შესხმაჲ⁸ ძმისა თუსისა დი-
დისა ბასილისი და ქალწულუბისათჳს და წმიდისა „მამო ჩუენოჲსა“ თარგმა-
ნი და წმიდათა მარხვათათჳს და წმიდისა მოსე⁹ წინაჲსწარმეტქუელისა
ცხორებისა თარგმანი, სახედ დაყუდებისა, რომელი ძმასა ვისმე ეთხოა.

იოვანე მახარებელისა ხილვაჲ და ხილვისა¹⁰ თარგმანი ანდრეა კრიტყ-
ლისაჲ¹¹.

თქმული წმიდისა იოვანე დამასკელისაჲ ორისა ბუნებისათჳს ქრისტესისა.

სხუაჲ წმიდისა ლმრთის-მშობლისა¹² შობისათჳს.

4. ცხორებაჲ დიდისა ათანასესი.

წამებაჲ წმიდათა სამთა ცრმათა: ალფიოს¹³, ფილადელფოს და კვრინესი.

ცხორებაჲ წმიდისა ონოფრი მძოვრისაჲ¹⁴.

ცხორებაჲ წმიდისა მარიამ მეგუპტელისაჲ.

5. სწავლანი წმიდისა ზოსიმესნი.

სწავლანი წმიდისა მამისა ეფრემესნი სარწმუნოებისათჳს.

6. სუნიქსარი საწელაწლოჲ¹⁵, უმცროჲსი.

7. მიმოსლვანი და ქადაგებანი წმიდისა იოვანე მახარებელისანი.

8. თარგმანებაჲ გალატელთა და თესალონიკელთა და ჰრომელთა ების- A 58
ტოლისაჲ.

9. დასდებულნი მარხვათანი სრულიად¹⁶, და მრავალთა წმიდათა გალობები.

49. 1 უუკუ A. 2 A. კლემაკისი BCD. 3 მაკარისი B. 4 სწნიცა BCD. 5 და წამებაჲ BCD.
6 და]—BCD. 7 ბასილი დიდისა D (BCD-ში რიგი ასეთია: კლიმი, გრიგოლი, ბასილი, აკუესიმბა,
ბაგრატი). 8 თქმული შესხმა-ნი BCD. 9 მოსეს BCD. 10 ხილვისა BCD. 11 კრიტყლისა B]
კესარიელისა AB. 12 ასეა. 13 ალფიონ BCD. 14 მძოვარისა BCD. 15 საწელაწლო BCD.
16 ს' დ ABCD.

B 188 b

10. წამება წმიდისა მოწამისა¹⁷ პროკოპისი¹⁸.

11. |თარგმანება წმიდისა მათეს თავისა სახარებისა.

12. მიოსლენი და ქადაგებანი წმიდისა ანდრეა მოციქულისანი.

13. სქემის კურთხევა ბერძული და მონაზუნის¹⁹ კურთხევა.

რჩულის კანონი წმიდისა იოვანე მმარხველისა და მეექუსისა კრებისა. ძეგლის-წერა მართლისა სარწმუნოებისა.

14. ლოცვანი წმიდისა მარტულისანი.

15. წამება წმიდისა ფებრონიასი.

წამება წმიდისა ანთიმოასი და წმიდისა ვლასისი²⁰ და ორთა ბევრთა.წამება წმიდისა თეოდორე²¹ სტრატელატისა²² და თეოდორე²¹ პერგელისა²³ და წმიდათა ევსტრატეთი²⁴. და წმიდისა ევსტათისი და შვილთა მისთა.

16. სწავლანი წმიდისა კასიანისნი.

წიგნი დიალოგონი.

17. წმიდათა მთავარანგელოსთა სასწაულნი.

18. ცხორება წმიდისა ნიკოლოზისი.

19 წიგნი ღმრთის-მეტყუელისა გრიგოლისი²⁵.

A 58

• მაქსიმესი რვათა! გულის-სიტყუათათჳს.

ბასილის თქუმული კაენის შჯდთა შურის-გებათათჳს.

20. შუალამისანი ბერძულნი.

ლოცვანი ბერძულნი მამისანი და კანონნი.

21. ცხორება წმიდისა დიდისა ანტონისი.

50. ესე ყოველნი და ამათსა ფრიად უმრავლესნი წიგნნი თარგმანა¹ ღმერთ-შეპოსილმან მამამან ჩუენმან და ესრეთ აღაორძინა მისდა რწმუნებული იგი ტალანტი. 2. და უმრავლესნი ზემო თქუმულთა ამთა წიგნთაგანნი თარგმანა, ვიდრე-ლა მამამ მისი იოვანე ცოცხალ იყო და ყოველი ზრუნევა და საურავი მონასტრისა მას ეტჯრაო. 3. რამეთუ, ვითარცა ზემო ვთქუთ, ნეტარმან იოვანე მრავალნი წელნი დაყვნა სნეულებასა შინა და იგი ჰმსახურებდა უძლეურებასა მისსა დღე და! ღამე². 4. და კუალად წინამძღურობასა შინა დაყო ათოთხმეტი³ წელი და სამასისა სულისა ზრუნევა და დიდაა ლავრისა განგება და მთაწმიდელთა უფროასნი საურავნი მის ნეტარისა⁴ მიერ იურეგბოდეს⁵ და თჳსსა კანონსა დიდსა და მძიმესა| ძლიერად აღასრულებდა. 4. და ამის ყოვლისა თანა კეთილსა მას შრომასა თარგმანებისასა არა დააცადებდა, არცა სცემდა განსუენებასა თავსა თჳსსა, არამედ ყოვლადეე იჭირვინი და ღამეთა ათეენ, რამეთუ უფროასნი წიგნნი ღამით სანთლითა უთარგმნიან, ვითარცა ვთქუთ, ფრიადისა უცალოებისაგან და საურავთა.

189 a

A 60

51. 1. ვიდრეღა მამამ იოვანე ცოცხალ იყო, მო-ვინმე-ვიდა მონაზონი პრომისა ქუეყანისსა, კაცი განთქუმული სათნოებითა, რომლისა სათნოებთა წა-

17 მწმის C. 18 პროკოპისი A. 19 მონაზონის B. 20 და ვლასისი BCD. 21 თ'ე ABCD. 22 სტრატელატისა BCD. 23 პერგელისა BCD. 24 ევსტრატეთი BD. 25 გრიგოლისა C.

50. 1 ასე A, თარგმანა BCD. 2 დღე და ღამე A. 3 ათხუთმეტი D. 4 მის ნეტარისა მონასტრისა BCD. 5 იურეგბოდეს BD.

მებდა ქუეყანად ჰრომისა და საბერძნეთისაჲ, ძმად ვენევენტოს დუკისაჲ, წარჩინებული ნათესაჲით. ესე მოვიდა ექუსთა მოწაფეთა თუსთა თანა მთასა ამას წმიდასა ლოცვად. 2. და ვითარ იხილეს მამათა ჩუენთა მადლითა შემკობილი სახმ მისი, ვითარცა თუხი და მეცნიერი ესრეთ მოიკითხეს და სიხარულით შეიწყნარეს და ევედრებოდეს აჲა ყოფასა და ეტყოდეს, ვითარმედ: „ჩუენცა უცხონი ვართ და შენცა უცხო ხარ“. და ძლით დაარწმუნეს, რამეთუ ენება, რაჲთამცა ერთგან იყვნეს მონასტერსა შინა. 3. ხოლო იგი, ვინაჲთგან საჩინოა | კაცი იყო და სახელოანი, ვითარცა ცნეს ჰრომთა, რომელნი იყვნეს სა- A 61 მეფოს და სხუთა ქალაქთა, მრავალი ერი შემოკრბა, რაჲთამცა მონაზონ იქმნნეს მისგან. 4. მერმე მამათაცა¹ ჩუენთა გააზრახეს წმიდასა მას ბერსა, ვითარმედ: „წმიდაო მამაო, ვინაჲთგან ესოდნეთა სულთა აცხოვნებ, უმჯობეს არს, რაჲთა მოჰპარნეს და მიზეზ ცხოვრებისა ექმნა სულსა მათსა და ღმერთსა მიუპყრნე. უწყით, რამეთუ სხუაჲცა ერი მოსლვად არს, რაჲთა სახმ მონაზონებისაჲ² ჳელთა შენთაგან³ მიიღონ. ჩუენ გიყილოთ ადგილი და ყოვლითაჲე | სა- B 189 b კმრითა შეგეწინეთ“. 5. ხოლო დაღაცათუ უძნდა წმიდასა მას კაცსა შფოთი და ზრუნვაჲ, არა ინება ურჩებაჲ ბრძანებისა მათისაჲ. ვინაჲცა აღაშენა მონასტერი შუენაერი და ძმანი მრავალნი შეკრიბნა და თანადგომითა მამათა ჩუენთაჲთა სრულ-ყო ყოველიჲე საქმე შენებისაჲ. 6. და ზედამს-ზედა მოვალნი იგი ხილვად მათდა და დაყენის დღენი მრავალნი და კჳალად მიიქცის თუსსაჲე მონასტერსა. 7. და იგი ხოლო მონასტერი არს ჰრომთაჲ დღეს მთაწმიდას და კეთილად და წესიერად ცხოვნდებიან კანონსა და განგებასა ზედა წმიდი- A 62 სა ბენედიქტესსა¹, რომლისა ცხოვრებაჲ წერილ არს დილალონსა შინა.

52. 1. პირველ მოკსენებულსა¹ მას ღირსსა მღღელსა გაბრიელს ქართველსა და ამას წმიდასა ბერსა დიდსა ლეონს ჰრომსა ფრიადი სიყუარული აქუნდა სულიერი და, ოდესცა მოვიდის ხილვად მამათა, მახლობელად სენაქსა გაბრიელისსა აქუნდა სენაქი და მუნ დაყენის დღენი იგი. 2. და თუსისა ენისაგან კიდე არცა მან იცოდა, არცა მან, და ვითარცა შებნეულის, გამოვიდიან თუსთა სენაქთაგან და ლოცვა-ყვიან და დასხდიან და² ვიდრე ცისკრისა³ რეკადმდე უბნობდიან სიტყუათა საღმრთოთა და ვიდრე წარსლვადმდე ამას ესრეთ ჰყოფდიან ყოველთა მწყურბრთა. 3. და იტყოდეს მამანი ჩუენნი, ვითარმედ⁴: „გაბრიელჲ მათსა იყვნეს სულიერი ძმანი და ფიციოთ დაგუარწმუნეს, ვითარმედ: „ოდესცა მოვიდის⁵ დიდი ლეონ, მარადის ესრეთ ჰყოფენ⁶ იგი და გაბრიელ მღღელი“, და წამებდეს, ვითარმედ: „მათისა⁷ სიწმიდისაგან ყოველიჲე შესაძლებელ იყო⁸ და სარწმუნო, | რამეთუ დიდ იყვნეს იგინი წინაშე ღმრთისა და A 63 სრულ“.

53. 1. მათ დღეთა შინა იყო ვინმე კათალიკოზი თესალონიკეს, საღმრთოჲ და სულიერი, მეგობარი მამათა ჩუენთაჲ და აქუნდა ჩუეულებჲა მამასა

1 მშთა BCD. 2 მონაზონებისა BCD. 3 კ'ლთგ'ნ შ'ნთა BCD. 4 ბენედიქტესა BC.
 52. 1 პირველად მოკსენებულსა BCD. 2 და|—D. 3 ცისკრის BCD. 4 ვითარმედ| ვინა-
 ცა BD. 5 მოვიდეს A. 6 ჰყოფენ B. 7 მათი C. 8 იყო| არს BCD.

ეფთუმეს და მრავალ გზის მივალნ მისა და ოდესმე მან მიიყვანის¹ იძულებით.

B 190 a 2. | ხოლო იყო თესლონიკეს ჰურიამ ვინმე შჯულის მეცნიერი, და უნდა კათალიკოსსა, რადამაჲ მოაქცია იგი ქრისტიანედ და ზედაღს-ზედა ეუბნებინ. 3. და იყო რამ მის თანა მამამ ეფთუმე, ევედრა² კათალიკოსი, რადამა ეზრახოს ჰურიას მას. და ვითარცა მოუწოდეს, იწყეს ზრახვად შჯულისა. 4. და ვითარცა შეიწრა და უღონო იქმნა ჰურიამ იგი წინაშე ნეტარი ა მამისა ეფთუმესა, იწყო გმობად ქრისტიანეთა უბიწოსა სარწმუნოებასა³. 5. და ვითარცა ესმა მამასა ეფთუმეს, შეწუხნა და შეპირისხნა და ჰქუე მას: „დადაყვენ პირი შენი, ბილწო ჰურიამ“. და მასვე ჟამსა უტყუ იქმნა და გარე-მიექცა პირი მისი. 6. იყვნეს მუნ მდგომარე⁴ სხუანიცა ჰურიანი. | და შეუვრდეს ფერკთა მამისა ეფთუმესთა, რადამა შეუნდოს. 7. და მან მსუგო, ვითარმედ: „რომელი-იგი გმო, მისგან შეინდოს და სარწმუნოებად მოვიდეს⁵, და მე შეინდობია“. და მერმე ევედრა კათალიკოსი, რადამა შეუნდოს და ლოცვა-ყოს. 8. და ვითარცა ლოცვა-ყო და ჯუარი დასწერა, მასვე ჟამსა მოიქცა პირი მისი და სიტყუად იწყო. და მეცსეულად შეუვრდა ფერკთა მისთა და ქრისტიანე იქმნა და დიდად მორწმუნედ კაცად გამოჩნდა.

54. 1. სხუაცა¹ ვინმე ჰურიამ შჯულის მეცნიერი და სწავლული ფრიად და² განთქმული ცილობასა ზედა, ზუაობითა ჰურიებრივითა³ მოუქდა მამასა ეფთუმეს და ენება სიტყუად. 2. ხოლო ნეტარსა მას უძნდა საქმე ესე, არამედ ბრძანებითა იოვანესითა იიძულა ზრახვად მისა⁴. და ვითარცა იწყო ცილობად და კითხვად, აღუქნინდა მის⁵ და განუმარტებდა ყოველსავე უადრეს ცნობისა. 3. და შხაკუვარმან მან, ვითარცა იხილა ძლეულებად თუხი, იწყო თქუმად სიტყუათა გმობისათა. 4. შექუძნდა ესე სანატრელსა მას და ჰქუეა, ვითარმედ: „უკუეთუმცა სიტყუასა წერილთასა იკითხევდ, განგიმარტეთმცა და, უკუეთუმცა ჩუენ გუკითხევდ, მიგივეთმცა. ვინაჲთგან კულა გმობასა მალლისა მიმარა იტყუ, დადაყვენ პირი შენი მკვობარი!“ 5. და ვითარცა ესმა, მეცსეულად უტყუ იქმნა და ხვალისა დღე სულნი წარჰქვდეს.

117. 1. და ვინაჲთგან ბერძენთა ესევეთარი ჟამი პოვეს, ცელ-ყვეს ყოველითა ლონისძიებითა, რაჲთამცა ქართველნი ამის მონასტრისაგან აღმოჰფხურნეს. 2. და ამის პირისათვის დიდი¹ მოსწრაფებაჲ აჩუენეს და მთაჲ² ყოველი

- A 116 თანა-შეიწიეს² და საბერძენეთისა დიდებულნი და პალატიისა წარჩინებულნი ყოველნი მიდრიკნეს და მრავალი⁴ შრომაჲ და ჭირი და რულუნებაჲ ჩუენ ზედა მოაწიეს. 3. და, რაჲთა მოკლედ ვთქუა, რამეთუ, არა რულუნებაჲ უფალი შეწეულ იყო ჩუენდა⁵ და მეოხებაჲ წმიდისა ღმრთის-მშობელისაჲ და მათ წმიდათა მამათა ჩუენთა მადლი და ლოცვაჲ, დღეს არცამცა ერთი ქართველი არა იაოების ესევეთარსა ამას ვრცელსა და დიდებულსა ლავრასა შინა, რომელი-ესე ფრიადითა წარსაგებელითა და მრავლითა ოფლითა მათ წმიდათა მამათა ჩუენთაჲთა ჩუენ ქართველთათვის აღშენებულ იყო და აღმართებულ.

- B 204 b 118. 1. და ამის პირისათვის, რაჲთა ესევეთარი ესე! ბოროტი, რომელი მოაწიეს ჩუენ ზედა ბერძენთა, არა დავიწყებულ იქმნას, და კულად შემდგომად ჩუენსა მომავალნი ესევეთარსავე ჭირსა შთაცვენ, —ამისთვის ზოგადითა განზრახვითა ყოველნი ძმანი ერთად შეეკერბით¹ და ერთითა განზრახვითა ესე
- A 117 ქუმო წერილი მოსასქენებელი² დაეწერეთ ამით პირითა და სახითა³ ჟამთა სუმეონ^{3a} მამისათა და ესერთ ვიტყვთ: 2. „ვინაჲთგან მადლითა და წყალობით-

10 ვინმე მოვიდის BCD. 11 ენებოს BCD. 12 ყოფაჲ] ყ'თა BCD. 13 სოხასტრთა BCD. 14 პატივითა]—C. 15 პატიე-სკემნ CD.

116. 1 რ'ადენნიმე BCD. 2 მისი] მისდა BCD. 3 ყ'ი C. 4 რაც C. 117. 1 დიადი BD, დადი C. 2 და მთაჲ]—C. 3 შეიწიეს BD. 4 მ'რელნი C. 5 ჩუენდა]—BCD.

118. 1 შეკერბით BCD. 2 მოკუნებული C. 3 სახითა] სახელითა BCD. 3a სრულად სწერია A ში.

თა ღმრთისადათა აღიძრნეს წმიდანი მამანი ჩუენნი იოვანე და იოვანე და ევ-
 თუმი და ამას წმიდასა მთასა მი.იწინეს⁴ ნავთსაყუდელად სულთა მრავალთა
 და განმამრავლებლად ნათესავისა ჩუენისა და ღიღითა⁵ ლუაწლითა და ფრი-
 ადითა წარსაგებელითა აღაშენეს ღიღებული ესე ლავრაჲ სამკდრებელად ქარ-
 თველთა და მერმე ღმრთის-მსახურთა ბერ[ძენთა]^{*} მეფეთა მსახურ[ებითა] და
 მომადლებითა, ჟამთა გვანდ[გომილისა სკლიაროსისათა, განავრცეს და განა-
 მდიდრეს⁶ და მოუგნეს⁷ დაბანი და მონასტერნი და ოქრო-ბეჭედნი, ვითარცა
 ზემო წერილ არს, და კეთილითა აღსასრულითა დაიძინეს და წარვიდეს ცხო-
 რებად საუკუნოდ; 3. და მკვდრად და განმგებელად დაუტევეს ნეტარი ევთუმი,
 რომელმან ყოვლითა; წესითა კეთილითა განაშუენა წმიდაჲ ესე ადგილი და
 თარგმანითა წმიდათა წერილთაჲთა განანათლა და შეამკო ნათესავი და ენა
 ჩუენი და ჟამთა მრავალთა კეთილად დამწყსო სამწყსოჲ ესე მისდა რწმუნებუ-
 ლი და, ვინაჲთჲან სიშორს⁸ ქუეყანისა ჩუენისაჲ დიდ⁹ იყო. და სივრცე ადგი-
 ლისა ამის ღიღებულისაჲ ფრიად იყო, შემწედ და მსახურად შეიწყნარნა ბერ-
 ძენნი უმანკობით და სიწრფუობით და ესრეთ განმრავლდა ნათესავი ბერ[ძენ]-
 თაჲ ლავრასა ამას; 4. და შემდგომად მცირე[დისა] ეჟამისა იჯმნა წინამძღუ-
 რო[ბი]საგან და თჳსი ნათესავი გიორგი მამად დაადგინა და თაყაღი მყუდრო-
 ებით ცხოვრებოდა, რომლისა-იგი სათნოებათა სახელი და ღირსებაჲ ყოველ-
 სა საქართველოსა განეფინა და არა ხოლო საქართველოსა⁹ ოდენ, არამედ სა-
 ბერძენთსაცა; 5. და ამის მიზეზისათჳს მრავალნი ღირსნი და წმიდანი კაცნი
 მოვიდოდეს¹⁰ მისა და განათლდებოდეს ხილვითა მისითა, ვითარცა სახედ: იოვან-
 ნე გრძელის ძმ და არსენი ეპისკოპოსი ნინოწმიდელი და ღირსი იოვანე ხე-
 ვილელი და ოქროპირი და სხუანი მობაძაენი მათნი და მერმე ნეტარი ბერი
 გრიგოლ¹¹, ახალი აბრაჰამ¹² სტუმრის-მოყუარს და ზაქარია მირღაბის ძმ და
 არსენი და სხუანი მობაძაენი მათნი, რომელნი-იგი ვითარცა მამამან სახიერ-
 მან შეიტკბნის და ყოვლითა განსუენებითა განუსუენის; 6. [და ესრეთ] სათ-
 ნოდ ღმრთის[ა] მოქალაქ[ობასა] შინა უფლისა მიმ[ართ] მიიცვალა, ვითარცა ზე-
 მო მოვიტ[სენეთ], და ძმანი ქართველნი მამა[სა] გიორგის და მამასა გრიგოლს
 შეჭედრნა¹². 7. და არა მრავლისა ეჟამისა შემდგომად მამად გიორგი დავი-
 წყებად მოვიდა, და არცა ერთი რაჲ ზრუნვაჲ აქუნდა ქართველთა აღორძინე-
 ბისაჲ, არამედ სრულიად ბერძენთა მიექცა და იგინი განმრავლნა, და შემ-
 დგომად რაოდენისამე ეჟამისა მიიცვალა ექსორიობასა შინა, ვითარცა ზემო მო-
 ვიკესენეთ¹⁴. 8. და მიერთჲან წმიდაჲ ბერი გრიგოლ იყო ნავთსაყუდელ ქარ-
 თველთა¹⁵ ნათესავისა და ნუგეშინის-მცემელ. 9. ხოლო ვითარცა მამად¹⁶ გიორ-
 გი ექსორიობასა შინა მიიცვალა და ჩუენ ფრიად შემციობებულ ვიკვენით, ეჟმი
 პოვეს ბერძენთა და ვითარცა ცეცხლნი¹⁷ აღეგზნნეს ჩუენ ზედა და სრულიად
 აღმოფხვრად ჩუენი ენება და დაპყრობაჲ სამკდრებელისა ჩუენისაჲ. 10. და

A 118

B 205 a

A 119

A 120

4 მოიწინეს *BCD*. 5 ჩუენისა, ღიღითა *BCD*. 6 განადიდეს *BCD*. 7 მოუგნეს *D*. 8 დიდი *BCD*.
 9 საქართველოსა]+განუფინა *C*. 10 მოვიდეს *BCD*. 11 გრიგოლი *BCD*. 12 აბრაჰამი *BD*.
 13 შეჭედრნა *D*. 14 მოვიკესენეთ *B*. 15 ქართველთა—*BCD*. 16 მამად—*BCD*. 17 ცეცხლი *BD*.

* აქ ორი უფრთელი (გვ. 117/118 და 119/120) გამწვარია შუაზე 3—6 სტრიქონამდე. ეტ-
 რატის დაწვის გამო დაკლებული ასოები და სიტყვება აღდგენილია კავებში.

- უმძიმესი ესე იყო, [რამეთუ, რომელსა-იგ]ი მაშინ წინამძღურობაჲ ექცა, იგი იყო] შემწე მათდა, გიორგი¹⁹ უ[კეთური, არ]აჲთ უმოღბინესი¹⁹ პირველი[სა B 205 b მის გიორგისი, რომელი წინააღმდეგობოდა] დიდსა ათანასის, დღეს[ათუ უკუანახსენელ შეინანა. 11. და ამის მიზეზისათჳს დიდსა ჳირსა შინა²⁰ ვიყვე-
 A 121 ნით და საწუნელ და საძულელ მათდა. და²¹ თვითოულად არცა თუ შესაძლე-
 ბელ არს ყოველსავე წარმოთქუმად, რავედენნი გინებანი, რავედენნი²² შეურაც-
 ხებანი და ყუედრებანი მოიწოდეს მათ მიერ ჩუენ ზედა²² დღითი-დღე,²³ და
 ცემითა და გუემითა და მწეალბეგლად (ხად)ითა შეიწრებულნი დიდსა ურვასა
 შინა ვიყვენით. 12. და ესეცა ენება²⁴; რაჲთამცა სახელიცა მაშენებელთაჲ აღ-
 მოპკოცეს. 13. ამას ყოველსა რაჲ ხედვიდა ნეტარი მამა²⁵ გრიგოლი, ელმო-
 და გული მისი და შეიწუებოდა წყალობითა ჩუენითა და მარადის ცრემლით
 ევედრებინ ღმერთსა, რაჲთა უმჯობესი ჩუენი განიგულოს. 14. და ესრეთ რაჲ
 ეურვოდა, მისცა ღმერთმან კაცი ორითავე მარჯულ და სავსე გონიერებითა,—
 ნეტარი არსენი, რომელმან-იგი არა შეიწყალა თავი თჳსი, არამედ ყოველივე
 მოსწრაფებაჲ აჩუენა დამტკიცებისა ჩუენისათჳს, სხუათა რავედენთაჲ ქრისტეს
 მოყუარეთა ძმათა თანა, რომელთა-იგი საუკუნომცა არს საქსენებელი და კურ-
 A 122 თხევაჲ მათი! 15. რამეთუ არცა თუ ეგების რავედენნი²² ღუაწლნი მოითმინ-
 ნეს, ყოველთავე თითოეულად აღრიცხევა: მიმოსლოჲ ჩუენი ზღუთ და ჳმელით,
 და აფხაზეთს და ქართლს სავედრებელთა წიგნათჳს ბერძენთა მეფეთა წინა-
 შუ, და რავედენ გზის მოვიდით წიგნი თვთმპყრობელთაჲ და ჩამოვიდით²⁵, და
 კუალად გინებითა და შეურაცხებითა წარგუდევენნიან უსაგზლონი და უჯამურნი
 ეამსა ღელვათა-ტეხისა²⁶ და ზამთრისასა²⁷ და ესრეთ ანუ თხოვით აღვიდით
 კუალად სამეფოდ ანუ ღმრთის-მოყუარეთა კაცთა წყალობითა და კუალად შეეს-
 ტოროდით²⁷ და ეგსამართლებოდით²⁷ მეფეთა. 16. და კუალად მუენ აღვდგინ-
 B 206 a ნის²⁸ ღმერთმან მოურენნი და გ[უ]ზრდიდიან, ვითარ-იგი ქრისტეს-მოყუარენი
 ძმანი ჩორჩანელი და ფარსმან, რომელთა-იგი დიდად აღვკურეს ჳელი წყალო-
 ბისაჲ,—ათას წილად მიაგენ²⁹ უფალმან! 17. და ამათ რაჲ ჳირთა შინა ვიყვე-
 A 123 ნით, [არა-მცირედნი განსაცდელნი მოიწოდეს დღითი-დღე ძმათა ზედა და
 უფროხსად ნეტარსა არსენის, რამეთუ იგუემაცა და მრავალი შრომაჲ დაით-
 მინა და საპყრობილედ შეწყუდევაჲ და კიცხევაჲ და ბასრობაჲ. და ეგრეთვე
 ძმათა ყოველთა. 18. ხოლო წმიდაჲ ბერი გრიგოლ ნუგეშინის-გუკემნ და გან-
 გუამენობნ, რაჲთა არა სულ-მოკლე²⁹ ექიქნეთ. 19. ესე ყოველი რაჲ ინილა
 ღმერთმან ყოვლად ძლიერმან, სახიერებითა თჳსითა ღმობიერ ყო გული მიქაელ
 ქრისტეს-მოყუარისა მეფისაჲ და წყალობად ჩუენდა მოაქცია და შემდგომად
 დიდთა ბჳობათა და გამოძიებათა ღირსი მამაჲ ჩუენი გრიგოლი წყალობით
 მოიკითხა და ნებითა ღმრთისაჲთა კუალად დაგვკვდრა ადგილი ჩუენი და სა-
 ყოფელი წინაძღომითა და მოღუაწებითა გრიგოლისითა და არსენისითა და კო-
 A 124 ველთა ძმათა ჩუენთაჲთა, რომელთა-იგი იღუაწეს ვიდრე სისხლთა დათხევად-

18 გორგ ABCD. 19 უმოღბინეს BCD. 20 შა ჳირსა BCD. 21 და]—BCD. 22 რაოდენი BCD. 23 ჩუენ ზედა] ჩნდა BD. 23a დღითი-დღე A. 24 ენებათ C. 25 მამაჲ]ჩნნი B. 25a ჩამო-
 ვედით ABCD. 26 ეამთა ღელვა-ტეხისა BCD. 27 ზამთრისათა BCD. 27a ასე A. 28 აღ-
 ვდგინის BCD. 29 მიაგოს BCD. 29a სულ-მოკლე A.

მდე. 20. და (ჩუენ) ³⁰ შემოვკერბით ³¹ და მადლი მიეცით ღმერთსა და მრავალთა მათ ჭირთაგან განვისუენეთ. 21. და გარდავლეს რაოდენნიმე ჟამნი და მიხაელ მეფე თესალონიკეს ჩამოვიდა ³². კულად აღეტყინნეს ჩუენ ზედა ბერძენნი და მთად ყოველი აღძრეს და დიდებულნი ყოველნი განდრიკნეს და ენება ³³, რაფთამცა პირველი იგი ³⁴ ბჭობად და ღმერთისა-მიერი ჩუენ ზედა წყალობად ცუდმცა ყვეს და ამო. 22. არამედ განაცრუვა ³⁵ ღმერთმან ზრახვად მათი და ამო ყო აღძრვად მათი ³⁶, რამეთუ კულადცა კელი წყალობისად აღგვპყრა ღმერთმან ³⁷ და არა განგუთხინა წმიდამან ღმერთის-შობელმან ტაძრისაგან თვისისა, რომლისა-იგი კელ-ყვეს ყოვლითავე ღონისძიებითა, რაფთამცა, B 206 b
 ვინაფთგან მონასტერი ვერ წავგლეს ³⁸, ბარემცა დიდი ეკლესიად რაფთ მიგვლეს. 23. რეთა სამართალიცა შესწევდა, რამეთუ ³⁹, ვინაფთგან აღშენებულ A 125
 იყო, მათ ჰქონებოდა იგი ეკლესიად, და, ვითარცა ჰხედავთ, უარესს კიბისა აღმატებულ არს პაეროვნებად და შეუნიერებად ⁴⁰ მისი, რომელ ამას მთასა შინა დაღაცათუ ფრიად არიან მონასტერნი, გარნა მსგავსი მისი არა იპოვების, და არა ხოლო მთასა, არამედ სხუათაცა მრავალთა მადლითა. 24. გარნა ესრეთთა ურგებ იქმნა კელ-ყოფად მათი, რამეთუ წმიდამან ღმერთის-შობელმან ჩუენ გლახაკთა გვბოძა დიდებული იგი დიდებისა თვისისა ტაძარი და ყოვლიდევ გვლუწის და გუფარავს უღირსთა მათ და უცხოთა მადიდებელთა ⁴¹ და სამწყსოთა თვისთა. 25. და, ვითარცა ვთქუთ ⁴², რაჟამს ესრეთ მძიმედ ბრძოლა-გუყვეს, დაჟდა კულად ქრისტეს-მოყუარებ მიხაელ მეფე და ფრიადითა გამოძიებითა განბჭო და ეკლესიად და მონასტერი ყოვლითურთ მონაგებით და სიმდიდრით ჩუენ გვბოძა და ფრიადი წყალობად და სიტკბობად მოგუფინა,—მიავგენ ქრისტემან ათას წილად სულსა მისსა! 26. მამად გრიგოლ პირველ ამის მგორისა ბჭობისა მი- A 126
 ცვალელებულ იყო. ხოლო არსენი შემდგომად ⁴³ ამის მგორისა ბჭობისა მიცივალა. და ესე მრავლისაგან მცირედი მოგვკნენებოდა. 27. და ვინაფთგან ესე ყოველი და ამისა ⁴⁴ უმრავლესი მოიწია ჩუენ ზედა და მრავალნი ძმათა ჩუენთაგანნიცა ⁴⁵ გარდა-იქცეს ⁴⁶ და მიექცეს ჩუენთა წინააღმდეგობთა, და ამის ყოვლისაგან შეგუეშინა და მოსაკნენებელი ესე აღვწერეთ და დავღევით შემდგომად ჩუენსა მომავალთა ნათესაეთათუს, რაფთა არა დავიწყებულ იქმნას ⁴⁷ და გარეწარი ესევეთარი ესე მრავალფერი დღეფად. 28. და ერთითა ერთობითა ამას ვიტყუთ, ვითარცა ერთისა ⁴⁸ პირითა ყოველთა! ქართველთა თანა, რომელნი სადაცა არიან აღ- B 207 a
 მოსავალისათა და შავისა მთისათა და იერუსალემისათა ⁴⁹ და! სადაცა არიან ძმანი A 127
 ჩუენნი: 29. უკუეთუ ვინმე გამოჩნდეს ნათესაეისა ჩუენისაგან კაცი,—გინა მამასახლისი გინა იკონომოსი, გინა სხუად ვინ,—და რაფთაცა ღონითა ანუ მანქანებითა ანუ საფასისა ^{49a} სიხარბითა ანუ სიყუარულითა ბერძენთაფთა ანუ კაცი-სა ვისმე შეპოვნებითა ანუ სხუთა ⁵⁰ რაფთამე ზაკუვითა ეორგულოს ამას წმი-

30 ჩუენ—BCD. 31 შემოვკერბით BD. 32 შთამოვიდა BD. 33 ენებათ C. 34 იგი—BCD. 35 განაცრუვნა R. 36 და ამო ყო აღძრვად მათი—BCD. 37 ღნ აღგვპყრა კელი წყლობისა BCD. 38 წავგლეს BCD. 39 რამეთუ რომელი BCD. 40 და შეუნიერებად—BCD. 41 მადიდებელთა, მდაბალთა D. 42 ვთქუ BCD. 43 შდ ბ არსენი D; შდ არსენი BC. 44 ამისა! ამისგან BCD. 45 ჩნათაგანნი BC. 46 გარდაიქცეს BCD. 47 იქმნეს BCD. 48 ერთითა BD. 49 იწლემისათა A. 49 საფასის BCD. 50 სხუთა B.

- დასა ადგილსა, გინა განსცეს მიწად მთასა გინა გარე, ანუ ქართველთა შინა-განმცემელ⁵¹ ექმნეს და ასწყვიტნეს და ესე ადგილი ქართველთა თავისა რაფთ-მე⁵² საქმითა გამოუგდოს და იგინი გაასხნეს⁵³ და ჩუენი საცსენებელი ამოსწყვიტოს, ყოველთა წმიდათა ჯუარითა და მადლითა⁵⁴ კრულმცა არს და წყეულ და შეჩუენებულ და განკუთილ წესისაგან ქრისტეანეთაჲსა და მათ თანამცა
- A 128 შერაცხილ არს, რომელნი-იგი⁵⁵ შინა-განმცემელ ექმნეს უფალსა ჩუენსა იესუ ქრისტესა, და ა-მცა-ვოცილ არს⁵⁶ იგი⁵⁷ ნაწილისაგან ქრისტეანეთაჲსა! 30. და რომელნი თანა დახუდენ და ეწამენ ძმათა ჩუენთაგანი ესევითარსა მას⁵⁸ მზაკუვარსა⁵⁹, იგინცამცა წყეულ არიან და შეჩუენებულ! 31. და რომელთა ქართველთა განმრავლებად ილუაწონ და ესე წმიდაჲ ადგილი ნათესაჲსა ჩუენსა დაუმტკიცონ, საუკუნომცა არს საცსენებელი და კურთხევაჲ მათი! 32. და რომელნიცა ძმანი ამის დიდებულისა ლავრისა სამართლობასა და დამტკიცებასა თანა მოლუაწუ⁶⁰ ექმნეს, ანუ მოლუაწუ ექმნენ⁶⁰, საუკუნომცა არს საცსენებელი და კურთხევაჲ მათი წმიდათა მათ⁶¹ მამათა ჩუენთა და მამენებელთა და ყოველთა მათ პირველ-მოვსენებულთა ღირსთა და სათნოთა ძმათა ჩუენთა, რომელნი წმიდასა ამას ადგილსა შინა გამოჩნდეს⁶² გინა გამოჩნდენ! 33. მადლითა და ლოცვითა გუაჟურთენ და აღგუაორძინენ⁶² უფალმან და საუკუნეთა მათ სატანჯველთაგან გვანენ და სასუფეველსა ცათასა მკერდ გუჩინენ⁶³ მეოხებითა წმიდისა ღმრთის-მშობელისაჲთა და წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა⁶⁴ ეფთუმესითა და ყოველთა წმიდათაჲთა⁶⁵, რომელნი საუკუნითგან სათნო-ეყვენს ღმერთსა, რომლისაჲ არს დიდებაჲ, სიმტკიცე და სუფევეჲ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე⁶⁶, ამინ⁶⁷.
- A 127 B 207

119. 1. სახელითა მამისაჲთა¹ და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა და მეოხებითა წმიდისა ღმრთის-მშობელისაჲთა მე, მამამან გიორგი, მამობასა ჩემსა მოეცალენ² ნაწილი წმიდისა ეფთუმესნი ნათლის-მცემელისა ეკლესიით დიდსა ეკლესიასა ღმრთის-მშობელისასა 2. და გაუკუეთეთ ზეთი მე და ძმათა ყოველთა წელიწადსა შინა მეტრად³ ერთი სამსახურებელად⁴. სამარხოსა | მათ წმიდათა მამათათჳს, რომელ იმსახურებოდის⁵ თუესა მამისა იგ, ღლესასწულსა ამის წმიდისასა, მიეცემოდის კანდელაკსა შემდგომითი-შემდგომად. 3. და ნუმცა ვინ იკადრებს დაკლებასა, და რომელმან იკადროს, მან გასცეს ღმერთსა პასუხი და წმიდასა მამასა ეფთუმეს და მათ წმიდათა მამათა მსგავსთაჲე მისთა! 4. და რომელმან შეჰმატოს მსახურებასა გულს-მოდენებით, საუკუნომცა არს საცსენებელი მისი და კურთხევაჲ მეოხებითა წმიდისა მამისა ჩუენისა ეფთუმესითა და ყოველთა წმიდათა მისთაჲთა, რომელნი საუკუნითგან სათნო-ეყვენს
- A 130 B 208

51. განმცემელ B. 52 რაფთმე| რასამე BD. 53 განასხნეს BCD. 54 მ'დლობითა C. 55 რომელნი BD. 56 აღ-მცა-ვოცილ არს BD. 57 იგი—BD. 58 ამას BD. 59 მზაკვარებასა BD. 59a თანა-მოლუაწუ A. 60 ანუ მოლუაწუ ექმნენ—BD. 61 მათ—BD. 62 აღაორძინენ BD, აღაორძინონ C. 63 და სასუფეველსა ცათასა მკერდ გუჩინენ—BCD 64 მ'შთა ჩ'ნისა წ'ტრისა BCD. 65 წმიდათაჲთა| კ'ცათა C, წ'თა BD. 66 უკუნისამდე A. 67 ასეა A (უჭარავმოდ).

119. 1 მ'შთა BCD. 2 მოეცალენ BD, მოესცალენ C. 3 მიტრა C. 4 სამსახურებელად| +ყოველთა BCD. 5 იმსახურებოდეს C.

უფალსა ჩუენსა იესუ ქრისტესა, რომლისაჲ არს დიდებაჲ უკუნითი უკუნისამდე, ა^ნ.

5. # წმიდაო და ღმერთ-შემოსილო მამაო ეფთჳე, შეგჳწყალენ მონანი ესე შენნი, მწირნი და გლახანი, უცხოებასა ამას და გუთხოვე შენდობაჲ შეცოდებათა ჩუენთა⁶ აურაცხელთა დღესა მას განკითხვისასა და ამას ცხოვრებასა დაგვცვენ საბრვეთაგან ეშმაკისათა და მზაკუვარებათაგან კაცთაჲსა.

6. ტკბილო მამაო სულითა და გონებითა, საუკუნომცა არს საქსენებელი მამისა გიორგისი, ა^ნ⁷.

სენაქსარული რედაქცია იოვანესი და ეფთუმეს ცხორებისა *

[თუშას მაისსა ოჲ]. ამასვე დღესა წმიდისა ¹ მამისა ჩუენისა ეფთუმისი ²

ესე სამ გზის სანატრელი მამაჲ ჩუენი ეფთუმი ³ აღმოეცენა ჴუეყანასა ტაომა-
სასა, მშობელთა ⁴ მორწმუნეთა და ღმრთის-მსახურთა და შერმე ძლიდართა და
A 203 a წარჩინებულთა. და ვიდრე ჩიჴლ-ლა იყო იგი, იზარდებოდა წიალთა ⁵ დედისა
B 216 a თვისისათა ვითარცა ტრედი უმანკოჲ, რომლისა მამაჲ იყო ფრიად ახოვან და
განთქუმულ და სახელოვან წყობათა შინა.

ხოლო უფროვანად სახელოვან ⁶ იქმნა წყობასა შინა სულთა უკეთურთასა
და განთქუმული ⁷ გუნდსა შორის მონაზონთასა, და ⁸ რამეთუ დაუტევე ყოვე-
ლივე საქმე სოფლისაჲ და სიყუარულითა ქრისტესითა უცხოთა და შორთა
ჴუეყანათა წარვიდა და მორჩილებითა და სიმდაბლითა თავსა სათნობებათასა
იღვიდა ⁹. ხოლო ეწოდა ნეტარსა მას იოვანე ¹⁰, წესსა რაჲ ¹¹ მონაზონებისასა
მოვიდა. ხოლო სანატრელი ეფთუმი ¹² წარიყვანა დედისაგან თვისისა ჰაჰმან მის-
მან, კაცმან წარჩინებულმან და ძლიერმან, და ზრდიდა მას ყოვლითა ფუყუ-
ნებითა:

ხოლო შემდგომად ჯამთა რავდენთამე ¹³ წარვიდა ¹⁴ ყრმითურთ სამეუფოდ
ქალაქად საქმისა რომლისათჴსმე წინაშე ნიკიფორე ¹⁵ ღმრთის-მსახურისა მეფისა.
ხოლო ¹⁶ ვინაჲთჴან ყოველივე ზეგარდამო განეგებოდა, აღვიდა იოვანეცა წინაშე
თუთმპყრობელისა და ელუწყა შვილისა თვისისაჲ, ვითარმედ მუნ არს. და ღმრთი-
სა-მიერითა აღძრეთა იწყო თხოვად მისა ¹⁷ წარჩინებულისა მისგან.

ხოლო მან არა თავს-იღვა მიცემად და იქმნა მათ შორის ცილობაჲ, ვიდ-
რემდის ელუწყა მეფესა და განბჴო ესრეთ: რაჲთა დადგენ ორნივე იგი და თი-
თოელმან მოუწოდენ და ¹⁸ რომლისაცა თანა შივიდეს, მანცა მიიყვანოს ¹⁹ ყრმაჲ.
და ²⁰ ყვეს ბრძანებისაებრ მეფისა.

იქმა საკვრველი დიდებული! რამეთუ რომელი-იგი ჯინლა-და არცა უწყ-
ყოდა, იგი მზრდელსა მას და შუენიერად შემეკობილსა აღირჩია და სრბით მი-
ვიდა და შთავარდა წიალთა მამისა| თვისისათა. რამეთუ ყოველივე ღმრთისა
A 203 b მიერ განეგებოდა ²¹. და ესრეთ ნეტარმან იოვანე ²², ვითარცა ღმრთისა მიერ
B 216 b ბოძებული, მიიყვანა შვილი თჴი და სახე მონაზონებისაჲ შეჰმოსა. და ყოვ-
ლითავე სწაველულებითა განსწავლა.

* აკად. ივ. ჯავახიშვილის დაჯალბებით და მითითებათა თანხმად სენაქსარული რედაქცია სასტამბოდ დაამზადა ისტორიის ინსტიტუტის თანამშრომელმა მ. კახაძემ. მასვე გვთქვინს „ცხორების“ ძირითადი ტექსტის ვარიანტების ჩვენება და ჰქვემოზე მოთავსებული მოკლე აღწერილობა ხელნაწერებისა. ა. შ.

1 წმიდისა|+და ნეტარისა BCD. 2 ეფთუმე ქრთელისა B. 3 ეფთუმი AB. 4 მშობლთა-გან BCD. 5 წიალითა A. 6 სახელოვან C. 7 გწექმულ BCD. 8 და|—B. 9 აღვიდა|აღიწვია D. 10 იოვანე C.11 რაჲ|—C. 12 ეფთუმი BC. 13 რაოდენთამე BCD. 14 წავიდა C. 15 ნიკიფორ BCD. 16 ხოლო და BCD. 17 მისსა A. 18 და|+თუ B. 19 მიიყვანენ BD. 20 და|+გა B. 21 გწეგებოდა C. 22 იწვე C.

რამეთუ სიმახულითა გონებისაჲთა და უფროსლი მადლითა სულისა წმიდისაჲთა ეწინა-და ყოველი წიგნი ზეპირით დაისწავლნა და თავსა სიბრძნისასა აღვიდა და სივრცე გულისაჲ და სიბრძნე გონიერი ვითარცა ქვშაჲ ზღვსაჲ, მსგავსად სოლომონისსა¹, მოეცა მას.

და კუალად, ვითარცა ჰასაკად მოიწია, შეჰმოსა მას წმიდაჲ სქემანჲ ჰელითა ათანასე ღირსად ქსენებულისაჲთა და მერმე პატივსა მღვდელობისასა აღიყვანა და ესრეთ დღითი-დღე² წარემატებოდა სიბრძნითა და ჰასაკითა სულიერითა და ჯორციელითა და ვითარცა უჯორცოდ ცხონდებოდა³. რამეთუ შიში⁴ ღმრთისაჲ, ვითარცა დედაჲ სათნოებათაჲ⁵, მოეგო⁶ და ყოვლთაჲვე სათნოებითა შეიმკო და ყოველივე ვნებული და უჯეროდ გულის-თქუშამჲ ძირითურთ აღმოჰჰებურა. ამისთჳსცა მადლმან სულისა წმიდისაჲმან მდიდრად დაიუნჯა⁷ მის შორის, რომლისა მიერ იქმნა წინამძღუარ უტომელ და მკურნალ სულთა, ვიდრემდის განჯდა ჰმად სათნოებათა მისთაჲ ყოველსა სოფელსა.

რამეთუ წყალბოძამან ღმრთისაჲმან აღმიღგინა ჩუენ ახალი ოქროპირი და მისცა პირსა მისსა. ენად ცეცხლისაჲ და აღძრა თარგმანებად წიგნთა საღმრთოთა და ვითარცა მდინარითა ედემისაჲთა მორწყუო ქუეყანაჲ| ქართლისაჲ და განანათლნა ეკლესიანი და განავრცელა და განასრულა⁸ ნაკლულგვანებამჲ ენისა ჩუენისაჲ.

A 204 a

ხოლო ამან⁹ ნეტარმან არა დამალა ტალანტი¹⁰ მოცემული¹¹ ღმრთისა მიერ, არამედ მრავალწილად აღაორძინა¹² და ფრიალნი წიგნი¹³ თარგმნნა მრავლითა შრომითა და ღუაწლითა¹⁴ და ვიდრე სიკუდილადმდე¹⁵ არა დასცხრა პატიოსანი იგი პირი მისი საღმრთოჲსა მისგან შრომისა. და არა ხოლო¹⁶ ბერძული|საგან ქართულად თარგმნნა ღრმანი-და ძნიად სათარგმანებელი წიგნი, არამედ რაოდენნიმე¹⁷ ბერძულადცა ქართულსაგან.

B 217 a

და სანატრელმან იოვანე¹⁸ ნებითა ღმრთისაჲთა და თანამოლუაწებითა წმიდისა მამისა ეფთჳმისითა აღაშენა მონასტერი შუენიერი¹⁹ და შეკრიბნა ძმანი სულიერნი.

რამეთუ იხილა რაჲ სიმრავლე ძმათა მომავალთაჲ, არღარა ჯერ-იჩინა ლავრასა მამისა²⁰ ათანასესა²¹ ყოფად და ვიდრე ეამ-რაოდენადმდე²² უძღოდა ძმათა მათ ყოვლითა მოლუაწებითა.

და ოდეს ჯერ-იჩინა ღმერთმან წოდებამჲ მისი, მოუწოდა შეილსა თჳს თანა²³ და აკურთხა იგი ყოვლითა კურთხევითა, ვითარცა მოსცა ღმერთმან პირსა მისსა.

და თავადმან ველთა შინა მისთა სული თჳსი ღმერთსა შეჰვედრა და ესრეთ იძულებითა ფრიალითა მოლუაწებამჲ და ზრუნვამჲ მონასტრისა თჳსისაჲ არწმუნა მას. ხოლო ნეტარმან მან²⁴ ეამ-რაოდენმე თავს-იღვა მცნებისათჳს მშო-

1 სოლომონისა BD. 2 დღითი-დღე D. 3 ცხონდებოდა B. 4 შიში|შჯ'ლი B (გადან). 5 სათნოებათა B. 6 მოიგო BCD. 7 დაიუნჯა B. 8 განასრულა|+და შეამკო B. 9 მ'ნ CD. 10 ტალანტი|+იგი BCD. 11 მოცემული|+მისდა B. 12 აღაორძინა B. 13 წიგნი AB. 14 ღუაწლითა და შრომითა BD. 15 სიკუდილადმდე CD. 16 ხოლო|+თუ D. 17 რაოდენივე D. 18 იოვანე C. 19 შუენიერი D. 20 მამისა|—D. 21 ათანასესა BCD. 22 ეამ-რაოდენადმდე B. 23 თჳსთა A. თ'სა BCD. 24 ხ' მ'ნ ნეტარმ'ნ BCD.

ბელისა და მერმე შეჰვედრა სხუასა ძმასა თჳსსავე ნათესავსა და თავადი მყუღ-
 როებით ცხონდებოდა¹ და წმიდასა მას მსახურებასა მღღელობისასა შესწირ-
 ვიდა ღმრთისა და თარგმანებასა წიგნთასა განკრძალულ იყო. | და მოღვაწე-
 ბით ცხონდებოდა² მსგავსად პირველთა მათ და განთქმულთა მამათასა,³ ვიდ-
 რემღის ბრძანებითა თვთმპყრობელთაჲთა დაწყნარებისათჳს ამბოხისა და შფო-
 თისა მთაწმიდელთაჲსა და უფროჲსა დიდისა ლაგრისა, რომლისა განგებაჲ
 და ზრუნვაჲ ათანასეს მიერ რწმუნებულ იყო მისდა, აღვიდა სამეფუფოდ და
 მცნებისათჳს უფლისა, რომელ არს მოწყალეებაჲ, მსგავსად იობისსა⁴ განცილი-
 მან წყლულებითა ყოვლად წმიდაჲ სული თჳსი ველთა ღმრთისათა შეჰვედრა.

რამეთუ იყო რაჲ სამეფუფოსა ქალაქსა, დღესა ერთსა მივიდოდა რაჲ
 უბანთა შინა, აღდგა ვინემ დაერღობილი თხოვად ქველის-საქმისა და ვითარცა
 ეგულეობდა მიცემაჲ, მიხედნა საჯედარმან, რომელსა ზედა ჯდა, და ვითარცა
 B 217 b არს ბუნებაჲ ჯორისაჲ | სავეს მანკიერებითა, იხილა რაჲ გლახაკი იგი, მოსი-
 ლი ძონძებითა, განჰკრთა და იწყო ვითარცა ეშმაკულმან სივლტოლად. და
 ეცემოდა რაჲ აქა და იქი, მოწყალა ძლიერად თავი და რავდენნიმე⁵ ასონი
 ღმერთ-შემოსილისა ეფთჳმესნი⁶. და ესრეთ გუემულმან მცირედთა დღეთა შემ-
 დგომად შეისუენა თუესა მისისა იგ⁷ და წარვიდა სიხარულსა გამოუთქუმელ-
 სა შუებად⁸ წინაშე უფლისა.

ესე⁹ სამ გზის სანატრელი წმიდაჲ¹⁰ მამაჲ ჩუენი ეფთჳმი¹¹ ვიდრე იყო-
 ჳაბუკ, მოუწდა ვინემ¹² ჰურიჲა სწავლული შჯულსა და ენება ცილობით სიტყჳსა
 ყოფაჲ¹³ მის თანა წესითა ჰურიჲებრივითა¹⁴. ხოლო ნეტარსა მას უნდა¹⁵ საქ-
 მე ესე. არამედ ბრძანებითა იოვანესითა იიძულა ზრახვად მის თანა. და ვი-
 თარცა იწყო ჰურიჲამან¹⁶ ცილობად და კითხვად, აღუწნინდა მას ყოველსა უარეს

A 205 a ცნობისა. და იხილა რაჲ ძლეულებაჲ თჳსი, იწყო მზახუევარმან მან თქუმად სიტყუ-
 თა გმობისათა. შეუძნდა ესე სანატრელსა მას და ჰრქუა, ვითარმედ: „ჰ ჰურიჲო,
 უკუეთუმცა სიტყუასა წერილთასა იკითხვედ, განვიმარტეთმცა, და უკუეთუმცა
 ჩუენ გუკითხვედ, მიგივეთმცა. ვინაჲთგან კულა გმობასა მალლისა მიმართ იტ-
 ყჳ, დაიყავნ პირი შენი, რომელი იტყჳს სიცრუევსა!“¹⁷ და მეესეულად უტყუ
 იქმნა მგმობარი იგი პირი მისი და ხეალისა დღე სთლნი წარჰკვეს¹⁸.

იქმნა ოდესმე უწჳმოვებაჲ ფრიადი მთასა ათონისასა. მაშინ ჰრქუა ღირს-
 მან იოვანე ნეტარსა ეფთჳმის: „აღვედ, შვილო, ლიტანიითა ვიდრე ეგულტე-
 რადმდე¹⁹ ელია წმიდისა, რომელი-იგი არს ზედა-კერძო მონასტრისა, და წა-
 რიხუენ²⁰ შენ თანა საწყმარნი“. ესმა რაჲ ესე მუნ მდგომარეთა მათ ძმათა, და-
 უკვრდა²¹ ფრიად და განჰკრათეს. ხოლო ნეტარსა ეფთჳმის²², ვითარცა აქუნდა

B 218 a მორჩილებაჲ უზაკუელი, ყო სიტყჳსა | ებრ ბერისა. და ვითარცა აღვიდა ელია
 წმიდად და იწყო შეწირვად მსხუერპლისა²³, მეესეულად გარდამოწდა წჳმაჲ

1 ცხონდებოდა B. 2 ცხონდებოდა B. 3 შ'მთასა CD. 4 იობისა CD. 5 რაოდენნიმე BD
 6 ეფთჳმისნი B, ეფთჳმისნი CD. 7 ათკამეტსა B. 8 შუებად D. 9 5' ესე BCD. 10 წმიდაჲ — BCD.
 11 ეფთჳმი B, ეფთჳჲ CD. 12 ვინ D. 13 ყოფად BCD. 14 ჰურიჲებრივითა BCD. 15 უნდა C
 16 ჰურიჲაჲს | ჰურიჲ BCD. 17 სიცრუესა CD. 18 წარკვეს B. 19 ეგულტერადმდე A, ეგულტერადმდე C.
 20 წარიხუენ C, წარიხუენ D. 21 დაუკვრდა C. 22 ეფთჳმის BCD. 23 მსხუერპლისა C, მსხუერ-
 პლისა D.

ფრიადი და სხუანი იგი ყოველნივე¹ დაილტვენს² სიმძაფრითა მით წკმისადათ. ხოლო ეფთვი³ შეიმოსნა საწმარნი⁴ თჳსნი და ჰმადლობდა ღმერთსა სიმრავლესა მას⁵ თანა ძმათასა და აკურთხედა კეთილსა მას და კურთხეულსა მამისა თჳსსა იოვანეს⁷.

ჟამთა ბასილი მეფისათა აღესრულა მთავარ-ეპისკოპოსი⁸ კჳპრიისაჲ⁹. ხოლო მეფემან მრავლითა იძულებითა ჯელ-ყო დარწმუნებად ნეტარისა ეფთვისსა¹⁰, რადათამცა იქმნა მთავარ-ეპისკოპოს¹¹ კჳპრიისა¹² და ვითარმედ მალალ არს და პატრიოსან საყდარი დიდისა ეპიფანესი. ხოლო შჳდმან | მან და წრფელმან არა თავი-იღვა ყოვლადეე, რამეთუ სიმდაბლე სრული მოეპოვა¹³ და აჰპარ- A 205 b ტაენებაჲ მოეკუნინა.

დიდებულსა ფერისცვალებასა უფლისა ჩუენისა¹⁴ იესუ ქრისტესსა არს ჩუეულებჲა მთაწმიდელთაჲ: რამეთუ აღელენ თხემსა ზედა მალლისა მის მთისასა და იქმან ღამის-თევასა და წირვენ ჟამსა და კულად წარვლენ თჳსთა მონასტერთა. ერთ გზის უკუე¹⁵ ამას დღესასწაულსა აღვიდა წმიდაჲ მამაჲ ეფთვი¹⁶ და ვითარცა იყო ყოველთა შორის დიდებულ და წარჩინებულ, ევედრნეს მას, რადათა მან აღასრულოს მას დღესა წმიდაჲ ჟამის-წირვად. და ვითარცა თქუეს „წმიდა არს, წმიდა არს, წმიდა არს უფალი საბაოთ“ და შემდგომი, მეყსეულად იქმნა ელვაჲ საშინელი და ბრწყინვალეჲა შესაძრწუნები. ¹⁷ და ყოველნი იგი ჯარემოას მდგომარენი დაცკვეს პირთა ზედა¹⁸. ხოლო ნეტარი იგი დგა ვითარცა სუეტი¹⁹ ცეცხლისაჲ მიუდრეკელად. მაშინ, ვითარცა იყო უცხო²⁰ ზუაობისაგან, ჰრქუა ქუე რღებარეთი მათ ბერთა; ვითარმედ: „ნუ გეშინინ, რამეთუ ომერთმან აღიდა დღესასწაული თჳსი და ნათლითა მის-მოერთითა განანათლა“, და მიერთიან არღარა²¹ აღვიდა კრებასა მას, რამეთუ ყოველითა ღონის-ძიებითა ევლტოდა იგი ცულსა დიდებასა.

|მბრძოლი იგი წმიდათაჲ და მოშურნე კაცთა ცხოვრებისაჲ ბელიარ ხედიდა რაჲ წყაროსა მას უკუდავებისასა, აღმომდინარესა პირით მისით, რომელ არს თარგმანებაჲ წიგნთა საღმრთოთაჲ²², განიხერხებოდა და განიპებოდა B 218 b შურითა ბოროტითა. ამისთჳსცა პოვა²³ საწყალობელა ვინმე, სახითა მონაზონი, რომელი შემძლებელ იყო დატევენად ყოველსა²⁴ ძალსა მისსა; ამისსა²⁵ გულსა შევიდა და აღლესა იგი მოკლვად წმიდისა. რამეთუ გამოუჩნდა და ჰრქუა: ²⁶ „უკუ(ეთუ)“²⁷ |მოჰკლა მბრძოლი ჩემი ეფთვი²⁸, ფრიადი კეთილი ვყო შენ თანა“. A 206 a ეინადაცა შეიმზადა დანაკი ფრიად დიდი და ეძიებდა ჟამსა მოკლვად მისა. არამედ ცულ ყო ღმერთმან განზრახვად მისი და წყალობისათჳს ნათესავისა ჩუენისა არა უტევა მიახლებად მისა.

1 ვნი BCD. 2 დაილტვენს D. 3. ეფთვი D. 4 საწმარნი C. 6 მას|—D. 7 იოვ'ნს C. 8 მთ'რებისკ'ანი D. 9 კჳპრიისა C. 10 ეფთვისსა B, ეფთვისსა C, ეფთვისსა D. 11 მთ'რებისკოს კოპოს CD. 12 კჳპრიისა BD. 13 მოეპოა D. 14 ჩ'ნი F 15 უჯმ B 16 ეფთვი BD. 17 შესაძრწუნებელი BCD. 18 ხედა|+თჳსა BD. 19 სუეტი D. 20 უცხო BCD. 21 არღარა ოღენ B. 22 სღ'თითა D. 23 პოა BD. 24 ყ'ლსავე BCD. 25 ამისა C. 26 ჰრქუა|+ე'დ B'. 27 უჯმ-თუქ უკუ A. 28 ეფთვი BC.

რამეთუ დღესა ერთსა, აღვიდა¹ მამად ეფთჳმი² გოდლად ქაშა ცისკრი-
სასა, ვიდრე ბნელ-ლა იყო, შეიყვანა წმიდაჲ იგი სენაკად ერთმან მოწაფეთა მის-
თაგანმან და თუთ განვიდა მიერ და დაჰკრძალა კარი სენაკისაჲ და შთავი-
ლოდა თუსსა³ სენაკად სანატრელი იგი მოწაფე ერისაჲ⁴. და ვითარცა მცირედ
შთავლო კიბეთა გოდლისათა, შეემთხვა მას ბორგნეული იგი მონაზონი. ხოლო
ნეტარმან მან ძმამან, იწყო სიტყუად ეშმაკეულისა მის, ვითარმედ: „არა ჯერ-
არს ესრეთ უჴამოდ აღსლვად მამისა“. ხოლო უკეთური იგი ეტყოდა, ვითარ-
მედ: „არა ეგების, ვითარმცა არა აღვედ“. და ესრეთ იცილებოდეს რაჲ⁵, მეყ-
სუულად ქვა-ყო ეშმაკეულმან მან და დაჩხუება დანაკითა მით ნეტარი იგი ძმად
და ქეშმარიტი მოწამე ქრისტესი და თუთ იწყო სივლტოლად. და ივლტოდა
რაჲ, კუალად შეემთხვა მას სხუადცა მოწაფე ბერისაჲ და იგიცა დაჩხუება მა-
ხვლითა. და ესრეთ აღესრულნეს მონანი იგი ქრისტესნი და გვრგვინთა მოწა-
მეთადთა შემკობილნი წარვიდეს წინაშე ღმრთისა. ხოლო ბოროტმან მან და
მედგარმან აღიარა უჴუანაჲსენელ, ვითარმედ ეშმაკისა მიერ აღძრულ იყო და
ღირსად სიბოროტისა თუსისა საკველ არა წმიდათა ეშმაკთა იქმნა და სა-
ტანჯველად საუკუნოდ მიიცივლა.

B 219 a

A 206 b

არამედ⁶ სხუასა ქაშა აღძრა ეშმაკან მებოსტნე მონასტრისაჲ და აზრა-
ხა მოკლვად წმიდასაჲ, ხ მან, ვითარცა ტელ-ყო და აღილო მიხვლი, რაჲთამცა
უხეთქნა, მეყსეულად იქმნა კელი მისი უქმარ ვითარცა შეშად, ვიდრემდის აღი-
არა ყოველი. და ლოცვითა წმიდისაჲთა მოილო⁷ კურნებაჲ.

ყოველთა მათ თანა სათნოებათა⁸, რომელნი აქუნდეს წმიდასა მამასა
ეფთჳმის⁹, აქუნდა ესეცა დიდი სათნოებაჲ, რომელ თუნიერ მოძღურისა არა-
რას იქმოდა ყოვლადმე, რამეთუ იტყუნ, ვითარმედ: „მინდობად თავისა თუსისაჲ
და თუსსა¹⁰ ნებასა დამტკიცებად კარი არს წარწყმედისაჲ და ფსკერი ჯოჯო-
ხეთისაჲ, ხოლო განკითხვად—წინამძღუარი ცხორებისაჲ და ბქე სასუფეველი-
საჲ, ვითარცა თქუეს წმიდათა მამათა ჩუენთა“. და ესე წესი ვიდრე აღსასრუ-
ლამდე¹¹ თუსსა¹² დაიშარხა.

იყო წმიდაჲ მამად ჩუენი ეფთჳმი¹³ სახითა მყუდრო და წრფელ და გო-
ნებითა მდაბალ და გუამითა ძლიერ და ჰასაკითა ზომიერ და თუნიერ წამე-
ბისა წერილთაჲსა არარას დაამტკიცებდა თავით თუსით გინა იტყოდა და ეკ-
ლესიას დგომასა მწენე, რამეთუ დგან¹⁴ იგი თუნიერ კუერთხისა¹⁵ და კედელსა მი-
ყრდნობისა, კელ-მოკლდობით ვითარცა სუეტი¹⁶ შეუძრველად და პირი და
თუანი მისნი იყენიან ქუეყანად მიმართ მხედველ.

ხოლო სენაკსა მზის მოლუაწებანი მისნი ვინ აღრაცხნეს, რომელნი-იგი
ღმერთმან ხოლო¹⁷ მხოლომან უწყნის!

რამეთუ აქუნდა ესეცა დიდი სათნოებაჲ: დაფარვად სათნოებათა თუსთაჲ.
და¹⁸ ამისთჳს უმრავლესნი სათნოებანი მისნი აღუწერელად დაშთეს¹⁹; ხოლო
არს²⁰ სამოსლად მისსა²¹ ქუეშე კერძო ძაძად და ზედა ძაძისა მის ჯაჰჳ მძი-

1 აღვიდოდა რაჲ BD. 2 ეფთჳმი H. 3 თსა D. თუსად D. 4 ერისაჲ მამისაჲ BCD. 5 არა
იცილებოდეს BD. რაჲ—CD. 6 არამედ კელ BCD. 7 მიილო BCD. 8 მით სათნოებათა თსა H.
9 ეფთჳმის CD. 10 და თუსსა + და თუსსა (ორჯერ) 11 აღსასრულადმდე B. 12 თუსად B.
თუსა C. 13 ეფთჳმი A. 14 დგან C. 15 კუერთხისა D. 16 სუეტი D. 17 ხოლო—D. 18 და—D.
19 დარჩეს B. 20 არიან A. 21 მისა C, ქუეშე კერძო მისა D.

მე და, რადთა შემოკლებულად ვთქუა, რომელიცა ვინ მცნებამა გამოიძიოს, პოოს¹ მის მიერ აღსრულებულად². ხოლო ქალწულებამა ესოდენ შეუხებენ- A 207 a
ლი და უბიწოდ დაემარხნა, ვითარცა ანგელოზთა შორის მყოფსა და არა ქუე-
ყანასა ზედა საესესა ცოდვითა. ხოლო თარგმანებამა წიგნთამა ნამეტნავად და
გვრგვანად და სართად და კიდევანად ყოველთა სათნოებათა მოევგო, რომელი- B 219 b
იგი ფრიად საკვრველ არს, თუ ესოდენთა მოლუაწებათა თანა ვითარ³ აღწერ-
ნა ესოდენნი თარგმანებანი, გინათუ ესოდენთა თარგმანებათათა⁴ თანა ვითარ-
ლა უძლო აღსრულებად ესოდენთა მოლუაწებათა! გარნა ძალითა ღმრთისამ-
თა ქმნა ორივე ესე ფრიად მალლად და დიდებულად.

აღესრულა წმიდამა და სამ გზის სანატრელი ღმერთ-შემოსილი მამამ ჩუენი
ეფთჳმი⁵ თუესა მისისა იგ, ქალაქსა შინა სამეუფოსა, წყლულებითა მით⁶ ზე-
მო ქსენებულთა.

ხოლო აღმოიყვანნეს პატიოსანნი ნაწილნი მისნი მთაწმიდას და დაისხნეს
რქაძარსა შინა წმიდისა იოანე ნათლის-მცემელისასა, ქართველთა მონასტერსა,
მათ მიერევე⁷ აღშენებულსა.

და რომელნი სარწმუნოებით მოუკლებიან, აღმოივებენ მალლსა კურნება-
თასა უხუბებით კანდიერებთა მისითა წინაშე ღმრთისა, რომლისამა არს დიდე-
ბამა უკუნიითი უკუნისამდე⁸.

იოვანეს და ეფთჳმეს ცხოვრების ხელნაწერები

ა) ვრცელი რედაქციისათვის გამოყენებული ხელნაწერები:

A = საქართველოს სახ. მუზეუმის ხელნ. № A/558 (ყოფ. საეკლ. მუზეუმი-
სა) ზომა 19×13, ნაწ. 16×10 სანტ. in folio, ტყავზე, დაწერილია 1074 წელს
მშვენიერი ნუსხური ხელით. გვერდზე 24 სტრიქონია. საწინაო ასოები უმთავ-
რესად წითური მთავრულითა შესრულებული. ჩეენი ძეგლი იწყება მე-5 გვერდ-
ზე და თავდება 130-ეზე, ე. ი. სულ 62 1/2 ჟურცელია. წიგნი ამჟამად და-
შლილია. შიგ არის გადაარეცხილი (ძალიან მცირე) და ამომწვარი ადგილებიც.
ამომწვარი ადგილებია, მაგ. 117, 118, 119 და 120 გვერდებზე, რის გამოც
ბევრი ასო და რამდენიმე სიტყვაც კი აღარ იკითხება და აღდგენილია ვარიან-
ტების საშუალებით. სხვათა შორის, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ წიგნში
ყოველი ძეგლის სახელწოდების ბერძნული თარგმანია მიწერილი გვერდის აზი-
აზე ირიბულად. მართალია, ეს მინაწერები დრო-ჟამის განვლის გამო გამკრთა-
ლებულა, მაგრამ მათი წაიკთხვა გაცხოველებით ახლაც შესაძლებელია. წიგნი
დაწერილია მიქაელ დადალისონელის*) მიერ ქქს 294, ე. ი. 1074 წ. (იხ.
Жордания, Описание II, 85).

1 პოოს B. 2 აღსრულებულად|+კთილად და შუენიერად და მალლად BCD. 3 ვითარ-
და B. 4 თარგმანებათა BCD. 5 ეფთჳმი A; ეფთჳმე CD. მით)—D. 7 შ'რ ე'ე A. 8 უც'ე|+ან BCD.

*) თ. ე. ო. რ. და ნ. ი. ა. ს. თაყის აღწერილობაში შეცდომა გაპარევი და წიგნის ამ ნაწი-
ლის გადაწერად დადალისონელის ნაცვლად დადალისონელი ჰყ:ეს დასახელებულია.

B=საქ. სახელ. მუზეუმის ხელნაწერი №A/170 (ყოფ. საეკლ. მუზეუმისა) ზომა 28×21 , ნაწ. $21\frac{1}{2} \times 14$ სანტ. წიგნი დაწერილია ქალაღზე in quarto, 1733 წელს. სვეტში 40 სტრიქონია. ჩენი ძეგლი იწყება 176 ა-დან და თავდება 207ბ-ზე, ე. ი. სულ 16 ფურცლამდეა. გადამწერელს საწინაო ასოები მთავრულით დაუწერია ტექსტისავე მელნით. წითურად მხოლოდ წიგნის სახელი აქვს დაწერილი და აგრეთვე დასაწყისი ასოები იმ წიგნთა სახელებისა, რომლებიც ეფთვებს უთარგმნია. ხელნაწერი ძირითად ტექსტთან შედარებით იძლევა საკმაო ვარიანტულ განსხვავებებს, რაც სქოლიოებში გვაქვს ჩატანილი. (იხ. Жордания, Описание I, 178).

C=საქ. სახ. მუზეუმის ხელნაწერი № A/176 (ყოფ. საეკლ. მუზეუმისა). ზომა 31×21 , ნაწ. $24\frac{1}{2} \times 13\frac{1}{2}$ სანტ. წიგნი დაწერილია ქალაღზე in quarto ნუსხური ხელით მე-18 საუკუნის I ნახევარში. სვეტში 34 სტრიქონია (გარდა 71 v/b და 172 ფურცლისა, რომლებიც ნაწერია თხლად და სვეტში 24 სტრიქონილა); საწინაო ასოები მთავრულია. წიგნის სათაური, თავწერილობა და ეფთვებს ნათარგმნ წიგნთა სახელების დასაწყისი ასოები წითურად სწერია. ჩენი ძეგლი იწყება 171 v/b-დან და თავდება 196 v/b გვერდზე, ე. ი. სულ $25\frac{1}{2}$ ფურცელს შეიცავს. წიგნი ჩასმულია ფიცარზე ტყავ-გადაკრულ ყდაში. (იხ. Жордания, Описание I, 178).

D=საქარ. სახ. მუზეუმის ხელნაწერი № H/2077 (ყოფ. საისტ. საეთნოგრ. საზ-ის ფონდიდან). ზომა $29\frac{1}{2} \times 20$, ნაწ. $21\frac{1}{2} \times 14$ სანტ., დაწერილია ქალაღზე in quarto ნუსხური ხელით 1736 წელს. სვეტში 40 სტრიქონია. საწინაო ასოები მთავრულია. წიგნის სათაური, თავწერილობა და ეფთვებს ნათარგმნ წიგნთა სახელების დასაწყისი ასოები წითურად სწერია. ჩენი ძეგლი აქ იწყება 85 r/a-დან და თავდება 99 r/a გვერდზე, ე. ი. სულ 14 ფურცელს შეიცავს. წიგნი ჩასმულია ფიცარზე ტყავ-გადაკრულ ყდაში. სხვათა შორის, იგი მინიატურებიანია. ეს ვარიანტი ბევრგან ეთანხმება B ხელნაწერს და, როგორც ჩანს, ორივე ერთი დენიდან მომდინარეობენ.

ბ) სჯნაქსარული რედაქციისათვის გამოყენებული ხელნაწერები

A=საქარ. სახ. მუზეუმის ხელნაწერი № A/97 (ყოფ. საეკლესიო მუზეუმისა). ზომა $26\frac{1}{2} \times 20$, ნაწერისა $19\frac{1}{2} \times 13$ სანტ., დაწერილია ტყავზე ნუსხური ხელით XI საუკუნეში. წიგნი მთლიანად წარმოადგენს სჯნაქსარს. მასში სულ 389 ფურცელია, in folio, გვერდზე 28 სტრიქონია. ხელნაწერს ზედა ყდა არა აქვს და ფურცლებიც დაშლილია. საზედაო და საწინაო ასოებდა გამოყენებულია მთავრული სხვადასხვა ფერებით შესრულებული (წითელი, ლურჯი და სხვა). ჩენს ძეგლს ამ წიგნში უქირავს $4\frac{1}{2}$ ფურცელი (203 ა-დან 207 ა-მდე) (იხ. Жордания, Описание I, 115).

B=საქარ. სახ. მუზეუმის ხელნაწერი №A/193 (ყოფ. საეკლესიო მუზეუმისა). ზომა 26×15 , ნაწ. 23×13 სანტ. დაწერილია ტყავზე XI საუკ., in folio, გვერდზე 33 სტრიქონია. წიგნი წარმოადგენს მთლიანად სჯნაქსარს. მასში სულ 300 ფურცელია. იგი თავიდან ბოლომდე დაშლილია და საესებით უყდოა.

შიგ ცალ-ცალკე რვეულებია ძაფით შეკერილი. დაწერილია კალიგრაფიული ნუსხურით. საზედაოდ და საწინაოდ გამოყენებულია მთავრული ასოები, გამოყვანილი ლამაზად ხან ტექსტისავე მელნით და ხანაც წითურად. ჩვენს ძეგლს ამ წიგნში უჭირავს 4 ფურცელი (216ა-დან 219ბ-მდე) (იხ. Жордания, Описание I, 216).

C = საქ. სახელმწ. მუზეუმის ხელნაწერი № H/2211 (ყოფ. საისტ. და საეთნოგრაფიო საზოგადოების ფონდი). ზომა 22×16, ნაწ. 17×12 სანტ., დაწერილია ტყავზე, ნუსხური ხელით, XI საუკუნეში. წიგნი წარმოადგენს მთლიანად სუნაქსარს, in folio. თითოეულ გვერდზე 26 სტრიქონია. ჩასმულია ფიცარზე ტყავ-გადაკრულ ყდაში. საწინაო და საზედაო ასოები მთავრულია, ტექსტისავე მელნითა და წითურად დაწერილი. ყველა სუნაქსარის დასაწყისი ასოები დახატულია წითელი, ლურჯი, ყვითელი და სხვაფერი წამლების გამოყენებით. ჩვენი ძეგლი ამ წიგნში იწყება 250 ხ გვერდზე და თავდება 255 ა-ზე (სულ $4\frac{1}{2}$ ფურცელზე ცოტა მეტის მოცულობისაა). იგი გადაწერილია დავით ჯიბისძის მიერ. ნუსხა თითქმის საესებით იმეორებს B ვარიანტს, რაც მათს ერთისა და იმავე დედნიდან მომდინარეობას გვაფიქრებინებს.

D = საქ. სახ. მუზეუმის ხელნაწერი № H/1661 (ყოფ. საისტ. და საეთნოგრაფიო საზ-ის ფონდი). ზომა 25×19. ნაწ. 19×14 სანტ. დაწერილია in folio, გვერდზე 28 სტრიქონია. წიგნი გადაწერილია 1155 წელს გიორგი დოდისის შიერ ჯვარის მონასტერში (იხ. ანდერძი წიგნის ბოლოს). ჩასმულია ფიცარზე ტყავ-გადაკრულ ყდაში. დაწერილია ტყავზე საუკეთესო ნუსხური ხელით. საწინაო და საზედაო ასოები აქაც მთავრულია ტექსტისავე მელნითა და წითურად გამოყვანილი. ჩვენი ძეგლი ამ წიგნში იწყება 180 ა-დან და თავდება 183 ბ-ზე.

ა. შანიძე

გიორგი მთაწმიდლის ენა
ოჯანეს და ეფთვიმეს ცხოვრების
მხედვით

გიორგი მთაწმიდლის ენა

იოვანეს და ეფთვიმეს ცხოვრების მიხედვით

იმ დღე დაიწყო დასაფასებლად, რომელიც გიორგი მთაწმიდელს უდაოდ მიუძღვის ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ისტორიაში, აუცილებლად საჭიროა შესწავლილ იქნეს ყველა მისი კალმის ქვეშ გამოხატული ნათარგმნი თუ ორიგინალური თხზულება, მაგრამ ეს მომავლის საქმეა. ამჟამად შეიძლება შევიჩერდეთ „იოვანეს და ეფთვიმეს ცხოვრებაზე“, რომელიც კარგა მოზრდალი ორიგინალური თხზულებაა და საკმაოდ შეიცავს ცნობებს ავტორის ენის თავისებურებათა შესახებ.

ამ ძეგლს, სამწუხაროდ, არ მოუღწევია ჩვენამდე გ. მთაწმიდლის ავტორგრაფის სახით, მაგრამ გადაწერილია მალე ავტორის გარდაცვალების შემდეგ ათონის სალიტერატურო სკოლაში, რომელსაც თვითონ გ. მთაწმიდელი მეთაურობდა წლების განმავლობაში, და უნდა ვფიქროთ, რომ გადაწერილი დიდად არ იქნება დაზარებული დედანს¹.

ამას გარდა, არის ერთი გარემოება, რომელიც უთუოდ უნდა აღინიშნოს: „ცხოვრებაში“ შეტანილია ათონის ქართველთა მონასტრის კრებულის ერთობლივი დადგენილება ქართველ-ბერძენთა ურთიერთობის გამწვავების გამო. ეს დადგენილება, რომელსაც ეწოდება „მოსაკსენებელი წიგნი“ (მემორანდუმი), დაწერილია სვიმეონის მამობის დროს² და არ ვიცით, თუ ვინ არის მისი ავტორი. მაგრამ აქ ამ მემორანდუმის მასალა „ცხოვრების“ სხვა ნაწილებისაგან არ არის გამოყოფილი და მათთან ერთად არის განხილული. ზედმიწევნილობა თუ გვინდა დაფიქვით, უნდა გვახსოვდეს, რომ ის სიტყვები და ფორმები, რომლებიც მემორანდუმიდან არის დამოწმებული (თ. 118-ე; 118, 118 b, 118 c, 118 d), შეიძლება გ. მთაწმიდლის ენის დამახასიათებელი არ იყოს.

¹ 3 ხელნაწერის ის ნაწილი, რომელიც „იოვანეს და ეფთვიმეს ცხოვრებას“ შეიცავს, ორი პირის გადაწერილი უნდა იყოს: ხელი იკვლება 51-ე გვერდიდან. შეიძლება ამით აიხსნებოდეს ოდნავი ვანსხვავება ბოლო ნაწილის ორთოგრაფიაში (მაგ. „ეფთვიმე“-ს ნაცვლად „ეფთვიმე“ ან „ეფთვიმი“).

² 3, ქვეკელიძის თანახმად, სვიმეონი მამად იყო 1041—42 წლებში („ათონის ლიტერატურული სკოლის ისტორიიდან“: ეტიუდები ძველი ქართ. ლიტერატურის ისტორიიდან. ს., 1945, 233).

ათონის წინამძღვართა ქრონოლოგიურ საკითხებში კ. ქვეკელიძისაგან ძალაში სხვაობს ა. ნატროშვილი (Иверский монастырь на Афонѣ. Типоизд. 1910, გვ. 204—258). ნ. კიდევ ცნობები „ათონის კრებულში“, გვ. 365, 366, 367.

გრამატიკა¹

„იოვანეს და ეფთვიმეს ცხოვრების“ გრამატიკული თვალსაზრისით განხილვის შედეგად ირკვევა შემდეგი:

1. **ორთოგრაფია.** A ხელნაწერის ტექსტი, რომელსაც „იოვანეს და ეფთვიმეს ცხოვრების“ ეს გამოცემა ემყარება უმთავრესად, საერთოდ კარვად გამართული ქართულით არის დაწერილი, მაგრამ ორთოგრაფიულ საკითხებში აქაიქ შერყეობას იჩენს. გვხვდება ნაირ-ნაირი დაწერილობა: ათანასი 14,4 და ათანასე 17,1 (აქედან მოდის ნათ. ბრუნვის ფორმა ათანასეს-ი); ეფთვმე (ჩვეულებრივ), ეფთვი 34,2; ეფთვე 111,4; 115,1 და ეფთვი 108,1; 109,1; 110,6; 114,1; თვითოეული 32,14 და თითოეული 48,2ბ.; სამარხოსა 113,15 და სამარხოსა 104,2ბ.; სოფლიოთა 29,12 და მსოფლიოთა 29,14; მხარეული 70,14 და მხარაული 97,6; რაოდენი და რავდენი; ესოდენი 51,13 და ესთენი 97,4 და მიათ. ესენი და მსგავსი ვარიანტები ყველა დატოვებულია გამოცემაში.

სამაგიეროდ გასწორებულია შეუძლებელი ფორმები, როგორცაა ასოთა დაკლება, ზედმეტად დაწერა თუ სხვა ხასიათის უსწორ-მასწორებანი:

ა) დაკლება: იჯნა (იჯმნა 8,7); შეამხვოს (შეამთხვოს 29,8); ღირსა (ღირსსა 29,8); ძეისა (ძელისა 31,7), საკუთხეველის (საკურთხეველის 31,9-10); გაესუნა (გაესუნა 37,1), მიეყრობინ (მიეყრდნობინ 59,2), დასთხიან (დასთხიან 77,4), დაუთხიან (დაუთხიან 81,8).

ბ) ზედმეტობა: წყოობათა (წყობათა 29,1); არაა ეგებოდა (არა ეგებოდა 16,6); იხილნა (იხილა 79,11), არაა აცილა (არა აცილა 115,7).

გ) მასო ზოგჯერ უმართებულოდ იყო ნახმარი და გადასწორდა ე-დ: უკუშ 49,1; 104,1; კუშ 68,23; 102,3; ქუეშ 60,3; დლითი-დლშ 118 ბ,7; კდშ (=გარდა) 70,8; ზმნის ფორმები: ურთშ 70,9; წარვიდშ 112,14; „მღე“ თანდებული: დაურვებადმდშ 112,4; უკუნისამდშ 118 დ,22; წარფელობითის ფორმები: დლშ ყოველ 60,6; მენშ 108,5; მშვლობის მოყუარშ 115,6; სულ-მოკლშ 118 ბ,32. საზოგადოდ, ამ ასოს ხმარება შეზღუდულია ძველში: ის აღარსად გვხვდება „შენება“ ზმნაში, არც უფროებითი ზარისხის ფორმებში (ნახე ლექსიკონში სიტყვები: აღშენება, უაღრეს, უმეტეს-ი, უკრწმეს-ი, უმძიმეს-ი, უმჯობეს-ი).

დ) სხვა შემთხვევები: ოდესცა მოვიდეს (ოდესცა მოვიდის 52,10), ჩამოვედით (ჩამოვიდით 118 ბ,20), ველისა მპყრობელი (ველის ამპყრობელი 40,2); აღვირცხუენით (აღვირცხუენით 48,12), პროკოპოსი (პროკოპისი 49,39).

ვ რ ნ მ ტ ი კ ა

2. **ახიშილაცია.** „ცხოვრების“ მთავარი მოქმედი პირის სახელი ბერძნულ ფორმასთან ახლო მდგომი სახითაც გვხვდება (ეფთვი 108,1; 109,1; 110,6; 114, 1, ეფთვი 115,1), მაგრამ უფრო ხშირია ასიმილაციური ფორმა: ეფთვიმე (ეთ--ფთ),

¹ ამ სათაურის ქვეშ შემოტანილია ორთოგრაფიული და სტილის საკითხებიც, რომლებზეც არსებითად სცილდება გრამატიკის ფარგლებს.

ესთენ-ში (97,4) თ ღ-საგან არის მიღებული ხ-ს გავლენით: ესოდენ-ი — ესოდენი — ესთენი.

3. ღისიმილატია გვაქვს შემდეგ სატყუაში: წურიონი 74,5 (ნაცვლად ამისა: წურიონი; შდრ. გამოიწულია 13,4; გამოწულილივით 27,5). რაც შეეხება ღისიმილატიას „გრიგოლ“-ში (49,17; 49,20), ის უფრო აღრინდელ ძეგლებშიც გვხვდება.

4. ახალი ზეგნის გაჩენა. გვაქვს „მიღმართ“ (65,2), სადაც ღ გაჩენილია აღ-მართ-ის გავლენით. გვხვდება უღანო ფორმაც: მიმართ 68,1; 111,4.

5. ზეგრათა გადასმის შემთხვევა გვაქვს ამ სიტყვაში: აგუსტოს-ი 54,6. მოსალოდნელი იყო ივეუსტოს-ი, მაგრამ უკვე ატენის 853 წლის წარწერაში იკითხება: „თუესა აგუსტოსისა“... აქ ჩვენთვის სხვაც არის საყურადღებო: უ-ს ნაცვლად ჯ.

გადასმულია და თანაც უმარცვლო უ-ღ არის ქცეული გ: მიმოსულასა 115,14 (მაგრამ: მიმოსლავა 118 ხ, 18).

6. ზეგრათა მოკვეცა. „გრიგოლი“-ს ნაცვლად რომ „გრიგოლ“ იკითხება (49,17; 49,20; 118,39), მაშასადამე, რომ ბოლოკიდური ხმოვანი მოკვეცილია, ეს გაგრძელებათა უფრო აღრინდელი ძეგლების ჩვენებისა, ამ ძეგლისთვის კი უფრო თავკიდური ა-ს მოკვეცა საყურადღებო „ათორმეტ“-ში: თორმეტი 21,4. ეს მით უფრო საყურადღებოა, რომ საზოგადოდ რიცხვით სახელებში ათიდან ცხრაშემდეგ (ერთხელ თვით ამ სიტყვაშიც) შენახულია ა: ათერთმეტსა 114,2; ათორმეტისა 26,2; ათორმეტთა 31,19; ათცამეტსა 114,2; ათოთხმეტი 62,1; ათოთხმეტისა 109,1; ათხუთმეტი 31,4; მეათექუსმეტისა 114,3.

ა მოკვეცილია აგრეთვე „შტო“-ში: შტო (=ძობა).

უ-ს ამოღების შემთხვევა გვაქვს აქ: ორმოც-ი 97,3 (გვხვდება ორმოცი-ც 31,2) და სამოც-ი 68,19.

ორი თ-ს ნაცვლად იკითხება ერთი და სიტყვა გამარტივებულია: თუესა 84,9; 114,1.

ბოლო თანხმოვნის მოკვეცის შემთხვევებია კიდევ: ვითა (=ვითარ, ნ. ლექსიკონში), კულა (=კულად, ნ. ლექსიკონში), ყოლა 70,8 (=ყოვლად). უკანასკნელი ფორმა კარგად ცნობილია ვენეზის-ტყაოსნიდან: „თავი ყოლა ნუ ჰგონია მელექსეთა კარგთა სწორი“.

ვი რ ე-შიც (83,1 ბ). არსებითად ბოლოკიდური ღონის მოკვეცის შემთხვევა გვაქვს: ვიღ-რე.

ჩვეულებრივია ზმნისწინების გამარტივება ბოლო თანხმოვნის ჩამოკვეცით: აღ—ა: ათუალული 31,6; ანითან 81,3; აღგომისა 70,6 (მაგრამ ტერმინ-ში შენახულია ღ: აღღგომისა დიაკონი 84,1); აწნებისათჳს 23,5; 33,4; ასწყურდნეს 118 ხ, 2; ა-მცა-ყოცილ 118 d, 7; აჯოჯავა 89,6.

გან—გა: გაავანო 112,13; გაგზავნის 92,3; გაუწყუეთო 119,4; გაკუთილი 84,9; 86,4; გააგებნ 99,3; გასაგებელი 18,2; 98,5; გაგკანონებ 94,8; გასარომელი 25,6; 102,2; გამავალთა 61,2 (გამავალთა ძმათა ჰკითხავნ განსლვისათჳს); გივიდიან 97,9; გავა 68,7; გავისუენოთ 83,6; გავსუნა 37,1; გასაყოფელად 32,2; გალყეს 32,2; გავწესა 59,3; 96,1; 103,1; გაუწესებია 72,3; გასწყ-

დებოდა 95,6; გაუჯგენ 95,4; გაგიტევენ 33,14; გაგიყვანო 72,4; გაჰყიდღეს 78,8; გააცადა 20,2 და სხვ.

წარ---წა: წააგეს 31,22; წასაგებელად 32,7; წაელენა 16,5; წამოსცემდეს 104,12; წაულიდიან 64,4; წაიწყმედთ 68,5; წაჯღეს 97,4; წასანახავად 81,3; წასაცემელად 98,8; წაეილიან 97,7; წაეიღე 17,10; წაილიან 96,3; 104,17; წაილეთ 55,11; წაგვღეს 118 c, 10.

გ. მთაწმიდლის თხზულება ამჟღავნებს, რომ აქ დაბოლოებიან სახელებს უკვე XI საუკუნეში ზოგჯერ ჩამოკვეცილი ჰქონდათ ბოლოკიდური თანხმოვანი და გადასული იყვნენ ხმოვან-ფუძიანებში: აგარა-ნი 102,1; მუშა-ჲ 97,2; მუშა-ნი 91,2; 97,1. რა თქმა უნდა, შეიძლება კანიანი ფორმაც იხმარებოდეს, ოღონდ ის გარკვეული შემთხვევებისთვის არის შემონახული: მუშაკი ქრისტეს მცნებათა 35,4; ნამუშაკეი 5,12. „სენაკ“-ში კ მკვიდრია, სამაგიეროდ, მისგან ნაწარმოებია „მოსენაე“ (97,2; 103,1), სადაც კ ჩავარდნილია.

მსგავს მოვლენას გვიჩვენებს ბერძნულიდან მომდინარე „ეკრიაკე“ (73,1), რომლის გვერდით „ეკრიობა“ ან „ეკრიობა“ გვხვდება (77,1; 104,22).

სტაერის შესახებ ნ. § 13. პირის ნიშნის მოკვეცის შესახებ ზნნაში ნ. § 28.

7. ამოღებულია ხმოვნებს შორის თანხმოვანი დ: დ ი ა დ 61,3 (= დიდად).

8. რედუქცია. გვაქვს ე ხმოვნის „ელ“ სუფიქსიდან ამოღების იშვიათი შემთხვევები: გასაყოფლად 32,10 (შდრ. 32,2); ღმრის-მშობლისა 49,27; მსუეტლად 93,2.

ო რედუქციის გზით „მონაზონ“ სიტყვაში უმარცვლო უ-ს გვაძლევს: პონაზუნის 49,42, „რაოდენ“-ში კი (რაოდენიმე 30,6; რაოდენისაჲ 15,1) ის ზოგჯერ ვ-დ არის ქცეული: რაოდენ გზის 118 b, 20; რაოდენნი 118 b, 6; 118 b, 17; რაოდენთამე 118, 15, ხოლო „ესოდენში“ სულ დაკარგულია: ესთენი (—ესდენი) 97,4.

9. ოვა და ეო. „ოვა“-ს ენაცვლება „უვა“: საშოვალ დადგინ 59,4 მაგრამ: საშუეალი 70,9.

ეო ჯგუფი ხელოვნურად არის შემონახული ბერძნულის გაელენით ავტორის სახელში: გეორგი (სათაურში)¹, ჩვეულებრივ კი მის ნაცვლად ყველგან იო გვაქვს: გიორგი 115,2; 118,23; 118 b, 2.

10. ბგერათა დაკარგვა. იკარგება ვ:

ა) ოვა კომპლექსში: ეთოა 49,23; ცვლოანი 31,17; 31,20; ზნოანებაჲ 112,15; ჯელოანთაჲ 101,2 (მაგრამ: ჯელოენებაჲ 92,2); სახელოანი 39,5; 51,10; 83,4 (მაგრამ: სახელოვანი 25,2; 115,9; სახელოვანსა 36,5; 115,9).

ბ) ოვო კომპლექსში: პოოს 108,11; იპოოს 39,7 (მაგრამ: იპოოს 28,2; 39,10); ითხოოს 100,4.

ც) ოვი კომპლექსში: სთხოის 99,2 (მაგრამ: ითხოვიან 101,5; იპოვის 72,4).

დ) ოვი კომპლექსში: იპოების 117,8; 118 c, 14.

ე) ო-ს წინ: დაუტეოს 39,7; სცოდა 55,3; შეეძებოოს 91,5 (მაგრამ: ვანეზავოს 39,2ბ.), სამარხოსა 113,15 (მაგრამ შენახულია: სამარხეოსა 104,2ბ.; ეკრძალვოდა 115,10; აღვიძრვოდით 2,12).

¹ „გეორგი“ იკითხება „ქართლის მოქცევაშიც“ (ე. თაყაიშვილის გამოც., 127), როგორც ს. ყაუხჩიშვილმა აღნიშნა („არილი“, 96).

ფ) უ-ს შემდეგ: წაულიდან 64,4.

გ) ო-ს შემდეგ „ცხოვრება“-ში (მაგრამ: ცხოვნიდებოდეს 37,5).

ბ) უ-ს წინ 1-ლ სუბ. პირში: მიუწერო მეფეთა 33,14; უწყით 36,7; 115,13; შეუღლებით 115,14 [(სამაგიეროდ, 1-ლი სუბ. პირის ნიშანი შენახულია ფ-თი ფუძე-დაწყებულ ზმნაში: დავეარდი 45,13; 46,11; შთავეარდი 33,25; გ უ-ს წინ შენახულია „კრასოველ“ სიტყვაში (100,1 და სხვაგან)].

იკარგება უმარცვლო უ: .

ა) ო-ს წინ: ფიჩუ (მათ, 5,40 C; მარკ. 10,50 C), მაგრამ: ფიჩოსანნი 25,1;

ბ) მ-ს წინ: თქმულნი 49,17 (შდრ. 49, 20; 49, 26).

ც) შუე რ ფუძისაგან ნაწარმოები ზმნის საწყისსა და მიმღობაში რ-ავს მომღეწონ ო ხმოვნის გავლენით: შრომაჲ 60,7; 69,8; 89,6; მშრომელნი 96,2 (მაგრამ შენახულია პირიან ფორმებში: შურებიან 83,7; შურებოდა 48,7; შურებოდინ 90,4).

11. ხბ და შთ კომპლექსთა ცვალება. ბოლოკიდური ხმოვნის მოკვეცივს გარდა (წ 6), საყურადღებოა ხტ კომპლექსის შტ-ლ ქცევა ბერძნულიდან მომდინარე სიტყვაში: სტოა — შტოა — შტო 58,12; 75,2.

შთ კომპლექსი ზოგჯერ ჩ-ს გვიძლევს: ჩამოიტანნა 25,2; ჩანოვიდა 118 c, 3; ჩამოვიდით 118 b, 20 (შდრ.: შთამოვიდა 14,1; შთამავლებენ 17,11; შთავიდოდა 105,9; შთავლო 105,10; შთავიდა 105,19; შთავროდოდა 34,4 და სხვ.).

12. შ ახოსთვის. შ ასო აღარსად გვხვდება ზმნებში ხმოვნების წინ ან-რის ნიშნად, სამაგიეროდ, ის შენახულია სახელებში როგორც ძირეული: ჰამბა-ვი 15,1; ჰამოათა 68,4; ჰისაკითა 108,3; აბრაჰამისა 5,2; ჰურია 54,1. იგივე შ მოიპოება ჰაერსა 73,1 და მისგან ნაწარმოებ ჰაეროვნებაში 118 c, 13, მაგრამ აღარ არის ამბორის-ყოფა-ში (ამბორს-უყევს 22,4).

პრომ-ში (51,2; 52,2) შ ბერძნული ენის გავლენით აიხსნება.

მ ო რ ფ ო ლ ო ბ ი ა

13. ა-ზე გათავებული ფუძეები. ა-ზე ფუძე-გათავებულ სახელებს შენახული აქვთ ბრუნვის ნიშანი სახელობითში: მამაჲ 70,1; ენაჲ ჩუენი და ქუყყყანა 4,17; დიკაჲ 90,2; ლავრაჲ 40,9; კოკაჲ 84,9; ნებაჲ 16,7; 26,8; მიწოჲ 118 d, 2; ბქობაჲ 118 c, 5; ცხოვრებაჲ და უწყებაჲ (სათ.); ჰელმწიფებაჲ და უფლებებაჲ 39,1; უღვნობაჲ და უსაკმლობაჲ 60,2 ბ.; გამოცილილება 25,5; წუერითა დაგლეჯაჲ გინა მიმთხევეია 68,1-2 და სხვ.

ა შენახულია გენტიურ ფორმებშიც: ცხოვრებაჲ და წამებაჲ წმ. სტეფანე ახლისაჲ 49,12; ესადასა 4,1 ბ.; გუამისადათა 7,5; წიგნათათა 4,17 და მისთ.

თუ „სტავრა“ არ იკვეცს ა-ს და მოქმედებითში „სტავრათა“ ფორმას გვიძლევს (31,14), ეს იმით აიხსნება, რომ ეს სიტყვა ჩამომავლობით თანხმოდანზე გათავებული სახელია (*სტავრაჲ-ი, στεφάνου) და ბოლოკიდური თანხმოვნის ჩამოშორების შემდეგ მის წინ მდგომი ხმოვანი ინარჩუნებს თავის ძველ მდგომარეობას — არ იკვეცება. ეს სიტყვა ვეფხისტყაოსანში უკვე ბოლოკვეცილთა ჯგუფშია გადასული: სტავრისა 1438,1; სტავრითა 1467,3.

14. **მ-ზე გათავებული ფუძეები.** ა მკვიდრია **მ-**ს შემდეგაც:

ა) სახელობითში: ღუნოა 70,8; სამკედლოა 74,4; ოქსინოა 31,10; უწყე-
სოა 68,3; მსოფლიოა 29,14; სამწყსოა 118,18; წარჩინებული და საჩინოა 7,3
(შდრ.: წრფელ. ფორმა: ცხად არს და საჩინო 12,2) და მისთ.

ბ) ნათ.-ში და მისგან ნაწარმოებ რთულ ბრუნვებში: საუკუნოა 68,11;
უნდოა 104,10; ოქროა 5,14 და სხვ.

ც) მოქმ.-ში: დილო-კილოა 31,15.

15. **მ-ზე გათავებული ფუძეები.** რაც შეეხება ე-ზე დაბოლოებულ სახე-
ლებს, ისინი სახელობითში ზოგჯერ გვიჩვენებენ **მ-**ს: სახ^მ 51,15; 72,8; მგზე-
ბარ^მ 56,7; მძიმ^მ 108,11; საენავ^მ 74,4; სიმტკიც^მ 118 d, 21 და სხვა, მაგრამ
უფრო ჩვეულებრივია უნიშნო ფორმა: ძე 11,5; 33,2; სიგრძე 2,1; საფისე 30,6;
79,2; საქმე 54,3; მძიმე 115,16; სიწმიდე 56,5; სიგრილე 6,4; 6,13; სიმედგრე
112,15 და სხვ. შდრ.: სიშორ^მ ქუეყანისა ჩუენისა დიდ იყო და სიერცე
ადგილისა ამის დიდებულისა ფრიად იყო 118,19; დამე ათიეს 55,12 და
ლამ^მ განათიეს 56,4.

ე გვაქვს ე-ზე გათავებულ საკუთარ სახელთა გენიტისა და გენიტურ
ფორმებში: ეფთუმესთჳს 11,2; იოვანესი 10,7; დორეთესი 49,10; ათანასესი 49,28;
ზოსიმესნი 49,32; კასიანესნი 49,50 და სხვ.

16. **ემფატიკური ბ.** აღსანიშნავია, რომ „ემფატიკური“ ა-ს ჩამოკვეცა
გვხვდება ხმოვანზე ფუძე-დაბოლოებულ სახელთა მიცემბითში, უმთავრესად ადგი-
ლის გარემოების ფუნქციით ხმარებულში: ლავრას 16,11; ეკლესიას 58,9; 94,5;
108,5 (მაგრამ: ეკლესიასა 58,1 ბ.; ეკლესიასაცა 94,7; ძმათა და ეკლესიასა
98,12); სამამოს 69,6; სატრაპეზოს 69,7; 96,4; სამზარეულოს 82,2; 96,3 (აგ-
რეთვე თანხმოვანთანაც: მონასტერს შინა 15,5).

იმავე ემფატიკური ა-ს ჩამოკვეცა გვაქვს განსაზღვრებად წინ წამძღვარე-
ბულ სიტყვებში: ცეცხლის კიდესა 82,3; მონაზუნის კურთხევა 49,42; საკურ-
თხეელის შესაპოსელი 31,10; ნაწილის შთასასუენებელი 31,8 და სხვ.

უფრო ხშირად არ მოიპოვება „ემფატიკური“ ა მოქმედებითში: მშვლობით
76,6; სიმშვლით 79,9; ნაყროვნებით 82,4; ტირილით 111,11; ცრემლით 111,12;
118 ბ, 11; უმინკობით და სიწრფოებით 118,21; ანუ თხოვით... ანუ კაცთა
წყალობითა 118 ბ, 23; წყალობით 118 ბ, 35; ყოვლითურთ მონაგებით და სიმ-
დიდრით 118 ც, 21; კოვბითურთ და ბრწყლით და ნაწილის შთასასუენებელით
31,8. რა თქმა უნდა, ეს მოვლენა უფრო აღრინდელია, მაგრამ აქ ის მკაფიოდ
არის გამოხატული.

თავისთავად ცხადია, რომ, როცა მოქმედებითს დაწყებითის ფუნქცია აქვს,
მაშინ მოკვეცილად უნდა ვივთღისხმოთ ა კი არა, არამედ ი: ოდეს ტრაპეზით
აღდგის 70,13; მონასტრით 102,3; 104,17.

17. **მრავლობითის წარმოება.** ებ-იან მრავლობითშია ხმარებული „წიგნი“
წირილის შნიშვნელობით: წიგნები 19,3 ბ.; 20,1; 36,3 (მაგრამ: სავედრებელთა-
წიგნათოჳს 118 ბ, 19); სენაკები 15,8; 60,3 (მაგრამ: სენაკთაგან 52,6; სენაკთა
შინა 81,5); სახელები 1,9; ხატებითა 31,16; 32,4; ძონძებითა 112,18. ვიტყო-
დით: ებ-იანი მრავლობითი უმეტესად თანხმოვანზე ფუძე-გათავებულ სახელებს

აქტო და მაგალითსაც მოვიყვანდით: გინა თუ მოგუნე, გინა თუ ჩაფლანი, გინა თუ საბლები (101,6), მაგრამ ამას ეწინააღმდეგება: გალობები 49,38.

18. ბიარხ ნოწნები. ძველი საზოგადოდ წესიერად ხმარობს სუბიექტურსა და ობიექტურ პრეფიქსებს, მაგრამ არის შემთხვევები მათი დაკლებისა მე-2 სუბსა და მე-3 ობ. პირში: რამცა ძილითა ვაძღებოდე 94,8; წარციან 104,14. ხ-ანთან და ზ-ენთან მ-ს დაკლება ფონეტიკური მიზეზის ბრალია: ხედვადა 105,2; 118 ხ, 10; ხედვიდეს 109,5; თანა დახუდენ 118 დ, 8; არას ვინ ზრუნვიდეს 78,3.

„ყოფა“ და „გაყოფა“ ზმნების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, გ. მთაწმიდელი I სერიის ფორმებში ორ-პირიან გარდაბნულ ზმნებში თანხმოვნების წინ III ობ. პირში პრეფიქსს ხმარობს: არცა გაჰყიდდეს 78,3; ჰყოფდიან 52,7; ჰყოფენ 52,10.

19. უწყვეტლის ხოლმეობითი. გ. მთაწმიდლის თხზულების შესწავლა ვეინვენებს, რომ ენაში უკვე შემუშავებულია პარალელური ფორმები უწყვეტლის III სუბ. პირის ორსავე რიცხვში. ამ პარალელურ ფორმებს ხოლმეობითობის ფუნქცია აქვთ და ამ მხრივ საკმაოდ განსხვავდებიან უწყვეტლის ჩვეულებრივი ფორმებისაგან. რამდენადაც ძირითადისა და პარალელური ფორმების წმარება ერთმანეთის ნაცვლად ყოველთვის არ შეიძლება, ამიტომ ცხადია, რომ არსებითად აქ საქმე გვაქვს ახალ მწკრივთან, რომელსაც უწყვეტლის ხოლმეობითი ეწოდა. ეს სახელი იმაზე მიგვითითებს, რომ ისიც იმავე ფუძისაგანაა ნაწარმოები, რომლისაგანაც უწყვეტელი:

ეს ახალი მწკრივი, წარმოშობილი I ხოლმეობითის დასუსტების ნიადაგზე და მის შესაცვლელად, X ს.-ის ძეგლებშიც გვხვდება (მაგ., გრ. ხანძთელის „ცხოვრებაში“), მაგრამ აქ ეს მოვლენა დამთავრებული სახით არის წარმოდგენილი. სათანადო მაგალითები ძეგლში ბევრია, უმეტესად მრ. რ.-ში: აკლდის 70,12; უნდის 71,3; ჰმსახურებდიან 73,3; ჰმადლობდიან 76,5; 79,2 ბ.; აწყინებდიან 35,11; ილუწიდიან 104,22; გუზრდიდიან 118 ხ, 25 და მისთ.

ამ ახალი მწკრივის გამტკიცების გამო I ხოლმეობითის (აწმყოს ხოლმეობითის) ფორმათა ხმარება ამ ძეგლში უკვე შემცირებულია: შეძღვევი წინადადება: თავისა გასარომელსა სრულებით მისცემდიან მონასტრით და, რააცა იქნის მუნ, ყოველსა ქუე მოიღებდიან (102,2-3) ძველის-ძველი წარმების მიხედვით ასე იქნებოდა წარმოდგენილი: თავისა გასარომელსა სრულებით მისცემდი მონასტრით და, რააცა იქნის მუნ, ყოველსა ქუე მოიღებდი.

როგორც ვიცით¹, I ხოლმეობითი ვერ უპირისპირდებოდა II ხოლმეობითს ფუნქციის თვალსაზრისით, არამედ მხოლოდ სინტაქსური კავშირის მიხედვით, ისიც მხოლოდ გარდაბნულ ზმნებში. მსგავსად ამისა, აქაც უწყვეტლის ხოლმეობითი მხოლოდ პირც. ობიექტთან მიმართებით არის განსხვავებული II ხოლმეობითისაგან. ამის გამო ჩვეულებრივია ამ ორი ხოლმეობითის გვერდი-გვერდ ხმარება; მაგალითად: და ვითარცა შებნელდის, გამოვიდიან თჳს-

¹ А. Шапидзе, Изъяснение системы выражения глагольной категории влкс грузинским и его последствия: საქ. მეცნ. აკად. მოამბე, III (1942), № 9, 254.

თა სენაკთაგან და ლოცვა-ყვიან და დასხდიან და ვიდრე ცისკრისა რეკამდღე უბნობდიან სიტყუათა საღმრთოთა და ვიდრე წარსლვადმდე ამას ესრეთ ჰყოფდიან ყოველთა მწუხრთა 52,5-8; ოდესცა ეკლესიის შევიდოდიან, ვიდრე მუკლთა ზედა არა მოდრკიან და თაყუანის-სციან წმ. ღმრთის-მშობელსა, რ'ლ არს კართა ზედა, არა შევიდიან. და ოდესცა მამასა წინა წაულოდიან ძმანი; ვიდრე არა მოდრკიან და თაყუანის-სციან მდაბლად, არა წარჰკლიდიან 64,1-5. საინტერესოა ერთისა და იმავე ზმნის ხმარება ორსავე ხოლმეობითში: გინა თუ წყალსა ითხოვდიან... გინა თუ სხუასა რასმე, იღუპალ ითხოვიან 71,8-9.

20. I ხოლმეობითი. ზემორე თქმული არ ნიშნავს, თითქო I ხოლმეობითი არ იხმარებოდეს; ხმარებით იხმარება, მაგრამ ნაკლებად, რადგანაც ნაწილი ზმნებისა უწყვეტლის ხოლმეობითზეა გადასული; მაგალითები: ეგრეთვე ნეტარი პამა ზუენი ეფთჳე არა თუ საპატრიოთა კაცთა ოდენ, არამედ ახლად მოსრულთაცა ქვე მოდრკით თაყუანის-სციემნ და წყალობით მოიციოხბავნ 64,6-8. უფრო მაჩვენებელია შემდეგი ადგილი: უკუეთუ კულა ვინმე იხალნის უდებნი და დაჰსნილნი და ახალ-მოსრულნი, მათ ზედამა-ზედა ეუბნებინ ასწავებნ, ამხილებნ და ნუგეშინის-სციემნ და კელოსანთა დაჰკვედრებნ, რაჲთა... 65,3-5.

ასეთი მაგალითები სხეაც არის, მაგრამ, საერთოდ, უწყვეტლის ხოლმეობითის გაჩენა იმას მხოწმობს, რომ I ხოლმეობითის თანდათან ეკარგება ძალა და ხმარებიდან გამოდის. ხმარებიდან გადაეარდნა, როგორც ჩანს, I ხოლმეობითის პირველად მრ. რ.-ში დაიწყია; შდრ.: არა უბნობნ 71,2, მაგრამ: უბნობდიან 52,7.

სხვათა შორის, I ხოლმეობითის დასუსტებას „იყვის“ ფორმის გაჩენაც მხოწმობს.

21. იყვის. ამ ძეგლში გვხვდება „იყვის“, რაც სახარების ენისთვის სრულიად უცხობა. „იყვის“ თავისი ფორმით II ხოლმეობითია (და არა უწყვეტლის ხოლმეობითი), მაგრამ ეს იმიტომ, რომ „არ“ ფუძის ზმნისაგან¹, რომელსაც II სერიაში „იყო“ ენაცვლება, უწყვეტელი არ იწარმოება და, მაშასადამე, არც უწყვეტლის ხოლმეობითი შეიძლება მისგან გაკეთებულიყო. მართალია, არნ ფორმა ამ ძეგლშიც გვხვდება (მაგ., ოდეს მცირე რაჲმე საქმე არნ, მოწაფესა უბრძანის და იგი წარვიდის 58,10), მაგრამ მის ადგილს სწირად „იყვის“ იჭერს, განსაკუთრებით მრ. რ.-ში; მაგ., იქვე ახლოს იციოხბება: და ოდეს რაჲმე დიდი იყვის, თუთ გავიდის შტოსა 58,13. ასევე თანაბარი მნიშვნელობით იხმარება სხვაგანაც არნ და იყვის: უკუეთუ საკრებულოჲ რაჲმე (საქმე) იარნ, ძმათა უჰმის, რომელთა აქუნ მის საქმისა მეცნიერებაჲ—გინა თუ სამკედლოჲ იყვის გინა სახუროვნოჲ გინა საეენაჲჲ—და მათ თანა დაიურვის სამამოს 74,3-5. სხვა მაგალითები: ვითარი-ძი იყვის შფოთი იგი: უკუე-

¹ თუ მართო კართულში მოღწეული ფორმების მიხედვით ვიძახებდით. ამ ზნაში ა ფუნისეფლო, მაგრამ სვანურთან შედარება ცხად-ჰყოფს, რომ ისტორიულად ა ფუძისეფლად ვერ ჩაითვლება.

თუ დიდი იყვის, დიდად წუართნის 68,14; უკუეთუ საჭიროა რაგმე საქმე იყვის 71,8; უკუეთუ კულა ბერნი და უძლურნი იყენიან 60,10; წესი იყო მამისა-ჩუენისაჲ, რომელ ტრაპეზსა ზედა ყოვლადვე არა უბნობნ, გარნა თუ ეინმე უტხონი იყენიან და იშუთ სადმე ნელიად სიტყუაჲ მიუგის, გინა თუ წყალი უნდის, გინა თუ ევლოგიასა ვისმე წარსცემნ 71,1—3.

22. ასპექტი ახალ საფუძველზე. როგორც გამოჩვენებულია¹, ასპექტის გამოხატვის სისტემის შეცვლის ნიშნები შეიძლება X ს.-ის ძეგლებშიც. შეგვხვდეს, მაგრამ იშვიათად. გ. მთაწმიდლის თხზულებაში კი ეს მოვლენა უფრო წინ არის წაწეული: ნათლად ჩანს, რომ დაწყებულია ზმნისწინის მიერ მოპოვება მიაპერფექტოვებული ძალისა და ამ ნიადაგზე I სერიის სამი ძველი მწკრივისაგან ახალი მწკრივების გამოყოფა: ზმნისწინიანი ფორმები მყოფადის წრის მწკრივებად მიდის, უზმნისწინონი კი—აწმყუს წრისად. რა თქმა უნდა, ეს ჯერ კიდევ არ არის საყოველთაო მოვლენა. ძირითადად ამ საკითხში გ. მთაწმიდელი ძველ ნორმებს ნისდევს: მოკეკულები, დედოფალო 46,4,—აქ ზმნას უთუოდ ეხლანდელი დროის ვაგება აქვს, აწმყოა (ამას ნიშნავს დღევანდელ ენაზე: ვკეკები, ქალბატონო). ამის შესაბამისად, მომავალ დრო თხრობით კოლოსთან შეერთებით II კავშირებითი არის გადმოცემული: მიუწერო მეფეთა 33,14; ჩუენ გიყიდოთ ადგილი და ყოვლითავე საჭრითა შეგეწინეთ 51,16-17; იგი ხოლო ვთქუა 6,1 და სხვა. მაგრამ უეჭველია, რომ მომავალი დროისა და თხრ. კოლოს ფუნქცია აქვს ზნებს ამ წინადადებაში: პირველად სულთა თქუენთა წაიწყმედთ და მონასტერი უწესოდ გაევა (68,6—8), რაც ასპექტის გამოხატვის ახალ წესზე მიგვიჩივებს.

ამასთან არის დაკავშირებული ერთისა და იმავე ფუძის ზმნათა ზმნისწინიან და უზმნისწინო ფორმათა გადაჯგუფება; მაგ., იოვანე ეუბნება თავის შვილს ეფთვიმეს: წარ იყვანენ ძმანი და წარკედით ეკლესიასა წმ. ელიაძისა და ღამე ათიეთ და უამის-წირვაჲ აღასრულეთ 55,7-9. უეჭველია, რომ აქ ოთხ ზმნათაგან სამი სრული ასპექტის მქონეა და ერთი—უსრულისა. ეს ერთია ათიეთ: „ღამის თევა“ უსრული ასპექტით არის წარმოდგენილი II სერიაში (II ბრძ.-ში), რადგანაც ყურადღება ექცევა მოქმედების განგრძობილობას. ქვემოთ იკითხება: წარვიდეს და ღამე ათიეთს 55,12. აქაც, მაშასადამე, ხაზი ესმება განგრძობილ მოქმედებას. ასპექტი უსრულია, თუმცა მწკრივი II სერიისაა (წყვეტილი). ცოტა ქვემოთ კიდევ გვაქვს ამ ზმნის ხმარების შემთხვევა: ოდესმე ინება წმ. ვამბაძე ჩუენმან ეფთვმე აღსლვაჲ მთასა ათონისსაჲ ფერის-ცვალებად და, ვითარცა არს წესი მთაწმიდელთაჲ, ერი ფრიადი შეკრებების თხემსა ზედა მთისსაჲ ამას დღესასწაულსა და ღამესა ათეყენი. და ვითარ ღამს განათიეს და მოიწია ჟამი ჟამის-წირვისაჲ... 56,1-4. მოყვანილ ადგილას „ათევენ“ პერმანენტული აწმყო² და ჩვენთვის იმ მხრივ არის საყურადღებო, რომ უზმნისწინოდ არის ნახმარი, მაშინ როდესაც წყვეტილის ფორმა ზმნისწინით არის მოკეპული (ღამს განათიეს) და ამით მითითებულია, რომ

¹ ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, § 335 ვკ. 262); *Имяглагол систем...*, გვ. 95с.

² ე. ი. აწმყო, რომელსაც დროული ვაგება (ეხლანდლისა) დაკარგული აქვს.

მოქმედება დასრულდა. მაგალითების მიხედვით ცხადია, რომ ძველში გვაქვს ფრთისა და იმავე ფუძის ზმნისაგან ორგვარი ფორმა წყვეტილისა: უსრული (ღამე ათი ეს) და სრული (ღამე განათი ეს); უსრული ნაწარმოებია უზმნისწინოდ, სრული კი — ზმნისწინით, უსრული ასპექტი II სერიაშია შეკრილი, მაშასადამე, გვერ არ არის, რომ ასპექტის გამოსახატავად ახალი საფუძველია ჩაყრილი.

ეს საფუძველი ცხადია სხვა მაგალითებიდანაც: სყიდა გინა ღუნისაგ გინა თევისისაგ ყოვლადე არა ვსენებულ არს მონასტერსა შინა, თვნიერ ზეთისა, და ივტიცა რომელნი მკითხველნი იყვნინან ანუ მწერალნი და წასანახავად ანუ საწერლად აინთიან; სხუად კულა არა იყო წესი, რათამცა ანუ კანდელსა ინთებდეს, ანუ ხატთა დასუენებდეს სენაკთა შინა 81,1-5. აქ უწყვეტლის ფორმა „ნთება“ ზმნისა უზმნისწინოდ არის მოცემული („ინთებდეს“)¹, მაშინ როდესაც II ხოლმეობითი ზმნისწინიანია („ინთიან“). სხვა მაგალითები ზმნისწინიანი ფორმის ხმარებისა ასპექტის ახალი საფუძვლის მიხედვით: გაეჯე 95,4; მაგრამ: რათა მეკაე უჯმნიღე 95,8; უკეთუ უწურთელად მივთუნე, უწყოდეთ, ვითა მას საუკუნესა მწარედ გაისჯებით, უკეთუ კულა მე აქა მცირედ გწურათენ და მადლობით მიითუალოთ, მრწამს ღმრისაგან, ვითა მის საუკუნოსაგან განკითხვისაგან გაეგრებით 68,9-12. აშკარაა, რომ ზმნისწინიანი ფორმები („გაისჯებით“, „განერებით“) არა ეხლანდელი დროის მქონეებია, არამედ მოგვიწესია, ეგეთივე მაგალითთა აქაც: ივინიცა შეწუნებდიან 83,7. ერთი სიტყვით, ასპექტის ახალი სისტემისაკენ გადმოხრის გამო აწეოს წრის მწკრივთაგან მყოფადის წრის მწკრივების გამოყოფის პროცესი დაწყებულია.

23. ვნებითი გვარიხა და მოქმედ. გვარის ზმნათა გათანაბრებისაკენ უღლებას მხრით I სერიის მწკრივებში. გ. მთაწმიდლის თხზულება საყურადღებოა როგორც ძველი, რომელშიაც ასახულია დასაწყისი მომენტი ვნ. გვარის ზმნათა უღლების გათანაბრებისა მოქმ. გვარის უღლებასთან I სერიის მწკრივებში; უფრო ზედმიწევნობით რომ ეთქვას, ძველი გვიჩვენებს, რომ ენაში იწყება ოდ და დ-საერცობიან ზმნათა გათანაბრება უღლების მხრივ სამ მწკრივში: უწყვეტელში, I კაჟმ-სა და I ბრმ-ში.

უკვე გამოკვეთილია², რომ ამ მწკრივთაგან ორს (უწყვეტელსა და I კაჟმ-ს) უძველეს ძეგლებში სხვადასხვა ნიშანი ჰქონდა იმის მიხედვით, თუ რა მოუდიოდა ზმნას საერცობად: .დ თუ ოდ. ეს ძველი წესი მთაწმიდელთა „ცხოვრებაშიც“ ძალაშია, მაგრამ მხოლოდ ნაწილობრივ:

ა) უწყვეტლისთვის შეიძლება დაეიმოწმოს შემდეგი ადგილები: ცრემლითა მწურვალთა ვევედრებოდე 45,14; რათამცა ეკლესიასაცა იღვტბდი და სენაკაცა ძილითა გაძღებოდე 94,7—8 [აქ მცა-ს გამო მწკრივი უწყვეტელია I კაჟმირებითის ნაცვლად]; ჩუენ არა დავდგებოდეთ 115,18.

I კაჟმირებითათვის: რათა უცხოებასა სავე წარვიდე და სული ჩემი ვიცხოვრო და გლახაკებით ვიყოფებოდე 33,23; როჩლითა გაეგრებოდე,

¹ მეორე ზნა კი თავის ზმნისწინს ინარჩუნებს: დაისუენებდეს.

² ა. შანიძე, სამი მწკრივის წარმოების თავისებურებაში ძველს ქართულში: საქ. წყნ. აკად. მთაბე, ტ. VI, № 10 (1945), გვ. 835 და შემგ.

იგი ხოლო დაიშვირე 98,12; რაფთა აღიღოს ძე თუის და ივლტოღის სპანიად 33,2; უკუეთუ ვინმე ტრაპეზსა ოღენ ვერ დასჯერღებოღის 80,11; გაუკუეთუთ ზეთი... რომელ იმსახურებოღის თუესა მისისა იგ... მიეცეოღის კანდელაკსა შემდგომითი-შემდგომად 119,5-7; რაფთა ერთგან ვიყოფებოღი 36,7; რაფთა საღმრთოთა მათ და მალათა საქმეთა მიერ დიუების მეტყუელებად და სურვილად აღვიძრვოღი და საუფლოთა მათ ბრძანებათა მიერ განენათლდებოღით და აღსრულებად მათდა მოსწრაფე ვიქმნებოღით 2,11-14; უკუეთუ მცნებათა ღმრთისათა დამარხვად ილუაწოთ და წესისაებრ და კანონისა საღმრთოთა იყოფებოღით 41,2-3; ჯელოსანთა დაჰვედრებენ, რაფთა მარჯუედ ექცეოღიან და არარას მიაჰირგებდენ 65,5; უკუეთუ ზედამიწვენით არა იცოღიან, ყოვლადვე არა იკადრონ მოჰყენებად 76,4.

I ბრძანებითის ძველი წარმოების ფორმებია: უწყოდეთ 63,9; საქმელსა ერთსა შეუქმოდეთო 100,3.

ამ მწკრივითაჲნი I ბრძანებითის შეჰრჩია თავისი ფორმა, რადგანაც თავისი ენიშნით I კავშირებითად იქნა გაგებული (თვით ღონიანი ზმნები ამ შემთხვევაში მათ დაემაგავსა), მაგრამ ორ დანარჩენ მწკრივში ოღიან ზმნებს ღონიანების მსგავსი ფორმები გაუჩნდა. ამ წინადადებაში: კულად შეესტოროღით და ვესამარალებოღით მეფეთა (118 ბ, 24) ზმნები, როგორც აღნიშნულა¹, უწყვეტლის ფუნქციითაა ნახმარი, მაშასადამე, ოღიან ზმნებს ნიშნად ამ მწკრივში ი აქეთ და არა ე, როგორც სხვა შემთხვევებში ვნახეთ.

24. გარდამავალი საფეხური. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გ. მთაწმიდლის ენაში უწყვეტლის ხოლმეობითი მკაფიოდ გამოკვეთილი მწკრივია, ამ მწკრივში საქმაოდ გვხვდება არა მარტო ღ-საერთობიანი ზმნები, არამედ ოღიანებიც, რომლებიც, ღ-ონიანების მსგავსად, ამ მწკრივის ფორმით სხვა ხოლმეობითის რიგებშია ჩაყენებული; მგალითები: ოღეს (ხილი) მოიწითეს, კელარნი ზედას-ზედა გავიდოღიან მეტოქთა და მოჰნახვიღიან ხილნართა და მუნ მყოფთა მოუწუენიან და დაამციან 98,8-11. ცხადია, „გავიდოღიან“ უწყვეტლის ხოლმეობითის ფუნქციითაა ნახმარი, მაგრამ მისი ფორმა I ხოლმეობითის ფორმას ემახვევა, თუ რომ უკანასკნელი ნაწარმოებია ძველი წესით: მართლაც, ზმნა „გავიდოღიან“ თავისი ფორმით არაფრით არ განსხვავდება „ექცეოღიან“ ზმნისაგან ამ წინადადებაში: ჯელოსანთა დაჰვედრებენ, რაფთა მარჯუედ ექცეოღიან (65,5), რომელიც ძველი ნორმების თანახმად არის ნაწარმოები და I კავშირებითად მიღის. შემთხვევით მოვლენად ასეთ ფორმალურ დამთხვევას ვერ ჩავთვლით, რადგანაც მოყვანილი ფორმა („გავიდოღიან“) მსგავსი ფუნქციით სხვაგანაც გვხვდება: მოსენაეთა კულა მოწაფენი ყოველსავე საეროსა სამსახურებელსა გავიდოღიან 97,5. ამ ფორმას ავტორი ისევე ხმარობს, როგორც „გავიდოღიან“-ს: მოსენენიცა ...მათავე თანა გავიდოღიან 97,8-9. ასევე უწყვეტლის ხოლმეობითია ესენიც: შურებოღიან 90,4; ექმარებოღიან 98,2 ბ.; შევიდიან და ეუბნებოღიან 29,5. აშკარაა, რომ უეკველ დამთხვე-

¹ ა. შანიძე, სამი მწკრივის წარმოების თავისებურებანი, გვ. 842.

ვას აქვს ადგილი ოდ-იან ზნათა უწყვეტელსა (თუ უწყვეტლის ხოლმეოპით-სა) და I კავშირებითს შორის: უწყვეტელთან 1-ლსა და მე-2 სუბ. პირ-ში, უწყვე. ხოლმეობითთან კი მე-3 სუბაექტურში. ეს, რა თქმა უნდა, დიდ უხერხულაბას ქმნიდა. საჭირო იყო ორ-აზროვნების თავიდან აცილება. და აი ენა ეძებს გამოსავალს და მონახა კიდევ: საშუალო ქართულში I კავშირებისა ოდ-იან ზნებშიც ნიშნად ე ხმოვანი გაიჩინა, უწყვეტელმა კი—ი, მაგრამ, ვიდრე ეს საბოლოოდ მოხდებოდა, I კავშ.-ის III სუბ. პირის მრ. რ.-ის ფორმა გამარტივდა — ამოღებით: ოდიან — ოდინ. ისეთი გარდამავალი საფეხურის ფორმები ჩვენს ძეგლშიც არის დადასტურებული: ჯუარი ერთი ანუ ხატი ესუენის (სენაკთა შანა), რადთა, რაქამს ილოცვიდენ, მათ წინაშე თაყვანის-სცემდენ და ე მოხუეოდინ 81,5-6; საკლროდსა წესი ესრეთ გაეწესა, რადთა საკმელსა არა იქმოდინ 96,1; ესრეთ დაემცნო: უკუეთუ ესე ადგილისა მრორინენი მონაზონნი მოვიდოდინ, უკუეთუ მწუხრსა მოვიდენ, ისერონ და სამხარი ჭამონ და გაუჯმენ და დაუჟოწმე, რომელ უეამოდ არა მოვიდოდინ 95,3-4. საინტერესოა, რომ მერმინდელ ხელნაწერებში, რომლებიც B C D ლიტერებით არის აღნიშნული, ჩვენთვის საინტერესო ფორმები შესწორებულია: ემთხუოდენ BCD, იქმოდენ BCD, მოვიდოდინ B (პირველ შემთხვევაში, ძველი ნორმის მიხედვით) ან: მოვიდოდენ BCD (მეორე შემთხვევაში, ახალი ნორმის მიხედვით).

ამგვარად, III სუბ. პირის ფორმებია I კავშირებითში: ერთი მხრით „ექცოდინ“ (ძველი ნორმით) და მეორე მხრით „მოვიდოდინ“. (გარდამავალ საფეხურზე), ხოლო „მოვიდოდინ“ უწყვეტლის ხოლმეობითად მიდის.

საყურადღებოა, რომ ერთს შემთხვევაში დ-ონიანი ზნაც ასეთსავე ფორმას გვიჩვენებს: მაშინ მისცნეს შეფეთა ზემონი ქუეყანანი საბერძნეთისანი კურაპალატსა, რადთა თავისა სიცოცხლესა ჰქონდინ 20,6-7. მოსალოდნელი იყო „ჰქონდენ“, მაგრამ, ოდ-იან ზნათა ანალოგიით, დენ დაბოლოება დინ-ად გადაკეთებულია. სამაგიეროდ, დამთხვევა აქ უკვე I ბრძანებითის მე-3 პირის ფორმასთან მოხდა; შდრ.: ესრეთ გაქუნდინ 70,16.

25. I თურმეობითი. I თურმეობითში აღსანიშნავია ძველი ფორმის გვერდით ახალიც (ია დაბოლოებით), რომელიც სქარბობს: აღუწერიეს 32,15; დაგეტეებიეს 78,14; იმიციემიეს 79,17; მაგრამ: დავკწერია 31,1 ბ.; 32,13; მომიცემია 27,1 ბ.; შემინდობია 53,14; დანიმცნია 72,6; გაუწესებია 72,3; მოგკსენებია 118 c, 25.

26. ჰქონდა, უნდა. ძეგლისათვის საზოგადოდ დამახასიათებელია, რომ ძველი ფორმების გვერდით ახალი იყოს. ამის მაგალითია, სხვათა შორის, ესეც: „აქუნდა“ (69,1; 104,11) და „ჰქონდა“ (98,6; 110,8).

„უნდა“ ზნას კი შენახული აქვს უწყვეტლის ფუნქცია და ჯერ არ არის აწმყოლ ქცეული (35,10; 89,5).

27.. ტმეხი. გვხვდება ერთად-ერთი შემთხვევა ტმესისა: მო- ვინმე -ვილს 51,1.

28. პირის ნიშნის მოკვეცვა. უღლებს საკითხებს რომ მოვრჩეთ, უნდა აღნიშნოთ კიდევ: რომ ორ შემთხვევაში მოკვეცილია III სუბ. პირის ნიშანი,

რომელსაც წინა თანხმოვანიც გაუყოლებია: ბრძანებულა 79,25 (= ბრძანებულ არს), გავი 68,7 (= გავალს).

29. სუფიქსიანი ვნებითის საწარმოებლად გვხვდება ძველი ნ და ახალი დ: შეწუხნა 17,4; შეწუხნეს 79,7; მაგრამ: შესწუხდეთ 83,6; შეწუხდებთან 83,7.

30. შუალობითი კონტაქტის ფორმებია: მოალები 70,11; მოაღრეკის 61,8.

31. კავშირთან აღსანიშნავია რომელ და თუ, აგრეთვე ვითა (მიღებული ვითარ-ისგან). მაგალითები ნახეთ თავ-თავის ადგილას ლექსიკონში.

32. თანდებულთაგან ყურადღების იქცევს და-ს ბატონობა უბრალო ობიექტთან, რომელიც ირიბისგან არის მიღებული გარდამავალ ზმნათა III სერიაში გადაყვანის დროს ან მათს უპირო ფორმებთან: მისდა მიენდო 88,6; კვლართა და ებრძანა 95,5; მზარეულისადა დაემცნა 97,6; მბატერისადა მიეცა 112,10 შეეთუალა ძმათადა 72,6-7; ზომებული იოვანესდა 31,2 და მისთ.

33. ნაწილაკად ხშირია „იგი“: რომელმან-იგი 35,3ბ.; რომლისა-იგი 118,24; სადა-იგი 45,18; 112,2ბ.; ვითარ-იგი 46,1; 112,12 და სხვ. გვხვდება ესეც: რომელი-ესე 117,9; რომელნი-ესე 80,6.

ხ ი ნ ტ ა ძ ხ ი

34. უჩვეულო შეთანხმება. ყურადღებას იქცევს XI ს.-ისათვის უჩვეულო „შეთანხმება“: ერთისა პირითა 118 ც, 31 (შდრ. თუკითა კელითა 79,21; დიდითა პატივითა 111,3; დიდითა ღუაწლითა და ფრიადითა წარსაგებელითა 118,9 და მისთ.).

35. მსაზღვრელ-საზღვრულის ადგილი. მსაზღვრელი შეიძლება უსწრებდეს ან მოსდევდეს საზღვრულს: ადგილსა უ და ბნოსა 35,2ბ. და: უ და ბნოსა ადგილთა 35,15; ერთი ფრიადი 55,1 და: ფრიადი ერთი 112,22; 115,17 დიდისა ლავრისა განგება 50,8; ესევეთარისა ვრცელისა ლავრისა დამკირკა 25,8; მაგრამ: საქმეთა მონასტრისათა 34,7. თუ მსაზღვრელად ატრიბუტია, სჭარბობს მისი წინ დაყენების შემთხვევები, და თუ მართული სახელია, მაშინ უმეტესად მოსდევს საზღვრულს.

36. ობიექტი სახელზმნახთან. სახელზმნას (საწყისსა და მიმღობას) ზოგჯერ შენახული აქვს ზმნური ძალა პირდაპირი და ირიბი ობიექტის მოთხოვნისა: ვერარას იკადრებდეს უწესოსა საქმესა ქნნად 98,13; მშლელი განგებასა 39,11; არცა დიდი ათანასი უმეცარ იყო თორნიკის საქმესა 14,15; მოხარკე იყვნეს შრომასა 69,7-8; წინდობითა ტკბილსა მას მოწყალე ბასა და სახიერებასა 40,4.

37. ორმაგი უარყოფა. ვ. თოფურია მ ერთ-ერთ თავის ადრინდელ ნაშრომში უკვე აღნიშნა, რომ გ. მთაწმიდლის თხზულებაში მოიპოვება ორმაგი უარყოფის შემთხვევები¹; ესენია: არა არა კეთილი არა მოგაკლოს ღმერთმან 41,5; ვერ გინ ვერ² მუუსწრის ცისკრისა ლოცვასა 58,7; ვერ არა და თ

¹ ვ. თოფურია, ორმაგი უარყოფა ქართულში: ქართ. საენციკლოპედია საზოგადოების წელიწადული, 1-11. 1924, გვ. 101.

² საინტერესოა, რომ სხვა ხელნაწერები აკლებენ „ვერ“-ს: ვერვინ მუუსწრის BC!.

ვერ დაარწმუნა მამამან 104,6; დღეს არც ამცა ერთი ქართველი არა იპო-
ვების ესევეთარსა ამას ვრცელსა და დიდებულსა ლაერასა შინა 117,8.

ხ ხ ვ ა ლ ა ხ ხ ვ ა

38. ხტილი. გ. მთაწმიდლის სტილის დამახასიათებელია სინონიმური გა-
მოთქმები, ე. წ. „ერთიორობის“ ხშირი ხმარება¹. ამას მაგალითებია: კიციხე-
ეა და ბასრობა 118 ხ, 30; განდგომილება და ორგულება 116,4; კელმწი-
ფება და უფლება 39,1; ჰაერონება და შეუნიერება 118 ც, 13; სწავლითა
და მოძღურებითა 93,4; უმანკოებით და სიწრფოებით 118,21; ამით პირითა
და სახითა 118,5; ლუწლნი და შრომანი 2,20; ლუწლთა და შრომათა 4,7;
დაბანი და სოფელნი 4,12; მცენებანი და ბრძანებანი 2,7; შშრომელთა და მა-
შურალთა 62,1; ცხად არს და საჩინო 2,2; ტკბილთა და ჰამოჯთა 68,4;
საკებით და უნაკლულად 80,8.

საყურადღებოა, რომ ზოგ შემთხვევაში ავტორი ძველი ტერმინის გვერ-
დით ახალს ხმარობს: აღ უქსნი და და განუმარტებდა 54,5; იჯმნა მათგან
და გამოეთხოვა 22,2.

39. ბერძნული ხიფავების გადმოცემა. „იოვანეს და ეფთვიმეს ცხოვრება“
საყურადღებოა იმ თვალსაზრისისაც, თუ როგორ არის გადმოცემული ბერძნუ-
ლი სიტყვა². ირკვევა, რომ აქ ერთგვარი მერყეობაა. მაგ., η ხან ე-თიჲ გად-
მოღებულა, რაც ძველ ტრადიციებზე მიუთითებს, ხანაც ი-თი, რაც ახალია და
ემყარება XI ს.-ის ბერძნულ გამოთქმას. η=ე: სქემა, სტრატელატი, მონას-
ტერი, სოხასტერი, ვლია 55,5. η=ი: აპოთიკი, ებტირიტიისი, დიმიტრი-
ამ მხრივ საყურადღებოა „ამინ“ის „ამინ“-ად შეცვლა. ეს სიტყვა ერთ ადგი-
ლას (118 d, 1 ბ.) შეუმოუტლებლად იკითხება და არავითარი ეჭვი არ არის იმა-
ში, რომ გ. მთაწმიდლის დროს ამ სიტყვაში მეორე ხმოვანი, იმ დროინდელსა
ბერძნულის გაგონით (თუ საყოველთაოდ არა, ათონის ქართველობაში მინც),
ი იყო, და არა ე, რაც ადრინდელი ძეგლების ენას ახასიათებს.

ი=ი: იკონომოსი, პარაკიმენონ.

„სეესტოფორ“-ში ე ვ-თი არის გადმოცემული, მაშინ როდესაც „ბასი-
ლი“ ინარჩუნებს ძველ გამოთქმას.

ჯ ჭანდ არის გადმოცემული: მეტოქი, მიქაელ 118 ხ, 33. მაგრამ უკა-
ნასკნელი სახელი ასეთი სახითაც გვხვდება: მიხაელ 118 ც, 3. ფსალმუნის ან-
დომოდან³ ვიცით, რომ გ. მთაწმიდელი ო-ლ-დ გამოთქვამდა ა-ს წინ (ოჲპ-
ლარ) და ა. ჯგუფი მისთვის ე იყო (ჲლ=კე). მაშასადამე, ქართული მასალები
გვიჩვენებს, რომ გიორგის დროს უკვე სიკმაოდ გამტკიცებული ყოფილა ახალი
ბერძნული გამოთქმა.

¹ ანუარ საკითხებს ეხებოდა შ. ძიძიგური: „ცნება სინონიმური პარალელიზმისა“
(საქ. მეცნ. აკად. მოამბე, II, 1941, № 7, გვ. 689 და შემდგ.).

² ნღრ. ს. ყ ა უ ხ ი შ ე ი ლ ი. ბერძნული მამაკაცთა სახელების გადმოცემის თვის ჭა-
თულში: „არალი“, 89, და შემდგომი.

³ ჯ კ ა ე ლ ი ძ ე ქ არ თ. ლიტ. ისტ. I, 197.

40. ლექსია. გ. მთაწმიდლის მიერ ხმარებული სიტყვების უმეტესობა აღნუსხულია ქვემოთ ლექსიკონში, ამ სიტყვების განხილვა გვიჩვენებს ერთგვარ ვალაბალისებებს ძველი მხარაგისას ლექსიკის დარგში. თავი რომ დავანებოთ ფონეტიკურად გამარტივებულ ფორმებს და ყურადღება მივაქციოთ სრულიად ახალ სიტყვებს, ან კიდევ ძველი სიტყვების ახალ მნიშვნელობას, ვნახავთ, რომ ენას საკმაო ნაბიჯი გადაუდგამს წინ. შეიძლება დავასახელოთ ზოგიერთი მაგალითი: ათუალულ-ი 31,6; აშენება (ბოძების მნიშვნელობით) 23,5; ბარე-მცა 118 c, 10; ბედით 97,4; დამკირვა 25,8; 21,8; დაუბნება; დაჩურჩნა 71,7; დაჩხუბა 105,15; დრისტ-ი 116,9; ზოგ-ი (ახალი მნიშვნელობით) 91,3; ზოგჯერ 82,4; თხრობა (თქმის მნიშვნელობით: უთხრის 59,8; 60,4; უთხრიან 76,3); კიდე (გარდა-ს მნიშვნელობით); მოგუ-ი; მონათლვა (მოინათლა 85,1); მოკმობა 63,1; 71,4; ნათესავ-ი (ახალი მნიშვნელობით: ახლობელი გვარში 8,4); ნახე-ვარი 87,1; ნახეა 85,4; რუდუნება-ა 117,5; სოფელ-ი (ახალი მნიშვნელობით 4,12; 24,2); უბნობა-ა 29,2; ცოცხალ-ი (ახალი მნიშვნ.) 50,4; წარმგზავნა; წუარ-თნა; ხან-ი 112,16; ჰაეროვნება-ა 118 c, 13 და სხვ.

ძველში ბევრია სამონასტრო ცხოვრებისათვის დამახასიათებელი ტერმინები: ლავრა, კრებულ-ი, მამა, ძმა, პროტ-ი, კელინ-ი, კელარ-ი, მოსენაე, ეპიტირიტის-ი და სხვ.; საკმაოდ მოიპოვება აგრეთვე სოფლის მეურნეობისა და საშინაო ყოფა-ცხოვრების ტერმინები: თოჯ-ი, დიკა, სელ-ი, აჯოჯვა, ასარვა, კოკობ-ი, კოკა, მოგუ-ი, ჩაფლა და სხვ.

აღსანიშნავია, სხვათა შორის, „ღამქერა“ და „წარმგზავნა“ ზმნების ხმარება შინათ, რაც მათ წარმოშობაზე მიგვიბრუნებს: პირველი ნაწარმოებია „მუქ“-ისაგან ერ სუფიქსის დართვით და შექუმების ნიადაგზე უმარცვლო უ-ს ამოღებით მან-ის შემდეგ; და-მუქერა — და-მქერა, შემდეგ: და-მქერა-ვ; მეორე კი ნაწარმოებია „მგზავრ“-ისაგან. ორსავე სიტყვაში მ, ზმნის თვალსაზრისით, ფუძისეულად მდის: დამქირე (98,12), წარმგზავნა (35,6 მან იგი)¹.

ძველში თუმცა არაბულ-სპარსული კულტურული წრიდან შემოსული სიტყვებიც მოიპოვება (ნიკრის-ი, კუმამ-ი, ლაშქარ-ი. ანჯმან-ი, ფოლ-ი, პასუხ-ი), მაგრამ სპარსობს ბერძნულიდან შემოსული სიტყვები: აპოთიკ-ი², ეპიტროპ-ი, იკონომოს-ი, კანდელ-ი, ტრაპეზ-ი, შტო, პროტ-ი, სუნგელოზ-ი, სოხასტერ-ი და სხვ., რაც ადვილად გასაგებია, რადგანაც ძველი დაწერილია საბერძნეთის ტერიტორიაზე მდებარე მონასტერში და ბერძნული ენის გარემოცვაში.

41. დახკვნა. გ. მთაწმიდლის თხზულების ენის თავისებურებათა განხილვ გვიჩვენებს, რომ ქართ. სალიტერატურო ენაში დაწყებულია შემობრუნება ძველი ქართულიდან ახალი ქართულისაკენ. გიორგის ბიოგრაფიიდან ვიცით, რომ ის დაიბადა და ბავშვობა გაატარა ქციის პირას (თრიალეთში), შემდეგ განათლება მიიღო ჯერ ტაძრისში (სამცხეში) და ხახულში (ტაოში), მერმე კი საბერძნეთში. კლასიკური ქართულის ძველებზე აღზრდილი, ის ცდილობს ძვე-

¹ მანანი ფორმები სხვაგანაც გვხვდება: წარმგზავნა იგინი (ილარიონ ქართვ.: ათოი კრებ. 101,8); წარმგზავნა იგი (გრიგოლ პართელი, 41,29). (გამომკვეთლს—ლ. მელიქიძე თბ გ —ზნაში ო ჩაუმატებია: წარმ[ო]გზავნა იგი).

² უკანასკნელი ი ქართველნი სახელობითის ნიშნად არის აღქმული.

ლი სალიტერატურო ქართულის უკანასკნელი პერიოდის (IX-X სს.) ნორმების მიხედვით წეროს, მაგრამ ვერ აქერხებს, თავი დაახწიოს ცოცხალი ენის ძლიერ გავლენას. ეს გავლენა თავს იჩენს ყველგან: ფონეტიკურ საკითხებში, სახელთა ბრუნებასა და ზმნის უღლებაში, სინტაქსურ მოვლენებსა და სიტყვების შერჩევაში; ერთი სიტყვით, ძეგლიდან ჩანს, რომ ქართული სალიტერატურო ენა შემდგარია ახალ გზაზე, მაგრამ ის ჯერ კიდევ თავისუფალია ელინოფილური მიმართულებისაგან, რომელმაც შეძლევაში მიმლეობიანი გამონათქმები და მიუშართავე ფორმების ძიება შემოიტანა. აი ეს განსაზღვრავს გ. მთაწმიდლის ადვილს ქართ. სალიტერატურო ენის განვითარების ისტორიაში: „ცხორებაჲ იოვანესი და ეთაჲჲესი“ უეჭველად საშუალი ქართულის დასაწყისი პერიოდის ნიშნებს ატარებს.

ლ ე ქ ს ი კ ო ლ ნ ი

ინდექსების ახსნა

ლექსიკონში ზმნის გამოსაველ ფორმად მიღებულია საწყისი, რომელსაც პირიან ფორმათა საჩვენებლად ქცევისა და ვნებითი გვარის ნიშნები აქვს მიწერილი. ნამდვილია ეს კატეგორიები თუ მოჩვენებითი (ე. ი. მოვკოვება მათ საპირისპირო ფორმები თუ არა), აქ ეს საკითხი უყურადღებოდ არის დატოვებული; საზოგადოდ ესა თუ ის ინდექსი (ა, ი, ე/უ და სხვ.) მიუთითებს მხოლოდ იმაზე, რომ პირიანი ფორმა სათანადო ნიშნით იწარმოება; სახელდობრ:

ა—პირიანი ფორმა იწარმოება ა ხმოვნით. გარდამავალ ზმნებში ეს არის საარვისო ქცევა.

ი—პირიანი ფორმა იწარმოება ი ხმოვნით. გარდამავალ ზმნებში ეს არის სათავისო ქცევა.

ე/უ—პირიანი ფორმა იწარმოება ი ან უ ხმოვნით (ე-თი I და II ობ. პირში, უ-თი III ობიექტურ პირში). ჩვეულებრივ ეს არის სასხვისო ქცევა. გარდამავლებში ის 3-პირიანია, გარდაუვლებში კი—2-პირიანი.

ი უობ.—პირიანი ფორმა იწარმოება ი ხმოვნით, მაგრამ პირდ. ობიექტი არა აქვს, 1-პირიანია, თუმცა სუბიექტი ბრუნვა-ცვალებადი აქვს.

ი ვნ.—პრეფიქსიანი ვნებითი იწარმოება ი ხმოვნით. ფორმა 1-პირიანია.

ე—პრეფიქსიანი ვნებითი იწარმოება ე ხმოვნით. ფორმა 2-პირიანია.

დ (ან ნ)—ვნებითი სუფიქსიანია და იწარმოება დ (ან ნ) თანხმოვნის საშუალებით. თავში ხმოვანი არა აქვს, ფორმა 1-პირიანია.

ა—დ—ვნებითი სუფიქსიანია (იწარმოება დ-თი), მაგრამ მას კიდევ თავში ა ხმოვანი აქვს. ფორმა 2-პირიანია.

ი/უ—დ—სუფიქსიანი ვნებითი სასხვისო ქცევის ფორმით იხმარება. ფორმა 2-პირიანია.

თუ ინდექსი არ უზის, ეს ნიშნავს, რომ პირიანი ფორმა თავში (ზმნისწინის შემდეგ, თუ ასეთი აქვს) რაიმე ხმოვანს არ მიიღებს.

ეს ინდექსები მიუთითებს მხოლოდ I და II სერიის ფორმათა წარმოებაზე. III სერიის ფორმები კი გარკვეული შაბლონის მიხედვით არის ნაწარმოები.

აქ ინდექსების საშუალებით ნაჩვენებია არა ყველა შესიძლებელი ფორმა ზმნისა, არამედ რაც ამ ძეგლში გვხვდება.

აღნიშნული ინდექსები ზოგჯერ ახსნა-განმარტებაშიც არის ნახმარი სიტყვადისათვის, ოღონდ იქ ისინი ფრჩხილებშია ჩასმული.

ძირთა რაოდენობა საქიროების მიხედვით ციფრებით არის აღნიშნული:

1-3. (ან 1)—ზმნა ერთ-პირიანია.

2-3. (ან 2)—ზმნა ორ-პირიანია.

3-3. (ან 3)—ზმნა სამ-პირიანია.

(2)1—ზმნის ფორმა ორ-პირიანია, მაგრამ შინაარსი ერთი პირისა აქვს მხოლოდ.

(3)2—ზმნის ფორმა სამ-პირიანია, მაგრამ შინაარსი ორი პირისა აქვს მხოლოდ.

სხვა ნიშნები

ობ. წყ.—ზმნა იხმარება ობიექტური წყობით.

უპირდ.—უპირდაპიროდ (ე. ი. ზმნას პირდაპირი ობიექტი არ ეწყობა).

უირ.—უირიბოდ (ე. ი. ზმნას ირიბი ობიექტი არ ეწყობა).

უობ.—უობიექტოდ (ე. ი. ზმნას არ ეწყობა ობიექტი, პირდაპირი თუ ირიბი).

სტატ.—სტატეკური ვნებითი.

ადგილები დამოწმებულია თავებისა და სტრიქონების მიხედვით. რადგანაც 118-ე თავი დიდია და სტრიქონების ჩათვლა ძნელი, ამიტომ ადგილის ადგილად მონახვის მიზნით ის ასეა განაწილებული:

118—რაც 50-ე და 51-ე გვერდზეა მოთავსებული.

118 ხ—რაც 52-ე გვერდზეა მოთავსებული.

118 ც—რაც 53-ე გვერდზეა მოთავსებული.

118 დ—რაც 54-ე გვერდზეა მოთავსებული.

ბ.—ბოლოდან (მაგ., 118 ც, 4 ბ.=თავი 118, ის ნაწილი, რომელიც 53 გვერდზეა მოთავსებული, მე-4 სტრიქონი ბოლოდან).

ნ.—ნახე.

ო—ოშკური ბიბლია (978 წ.).

P. P.—Paul Peeters, *Histoires monastiques géorgiennes (Extrait des *Analec-ta Bollandiana*, tome 36-37)*. Bruxelles 1923.

ლექსიკონი შედგენილია ძირითადი ტექსტისათვის. სვინაქსარული რედაქციიდან ამოღებული რამდენიმე სიტყვა იმითაც გამოირჩევა სხვებისაგან, რომ ჩასმულია კავებში (კვადრატულ ფრჩხილებში). ისინი დამოწმებულია გვერდობლივ და სტრიქონობლივ.

N. B. ჯ ასოს იქ მოუღის რიგი, სადაც მოსალოდნელია უი ჯგუფი: კურთხ, კუთ, კვრიაკე (=კურიაკე), კულა; საწუთრო, საწუშარ (=საწუშიმარ), საწუნი და მისთ.

აგარა სახნავ-სათესი ადგილი. აგარიანი მონასტრისანი (სისიკონი, კარიკონი, ღმრთისმეტყუელი) 102, 1.

აგვტობ-ი 55, 2 აგვისტო (თვე).

ადგილ. ადგილი ჩუენი 118 ხ, 36; წმიდაჲ ესე ადგილი 118, 16; ამას წმ. ადგილსა 118d, 1; თუსთაცა სულსა და ადგილსაცა 115, 15; მათუჲს ზოგჯერ ადგილსა შექმნიან (საქმელი), ზოგჯერ—სამზარეულოს 96, 3 (ამ შემთხვევაში ადგილსა—ადგილზე, ე. ი. საკლაროში); ესე ადგილისა მრორი-ნენი მონაზონნი 95, 2 ეს ერთი მონასტრიდან სხვა მონასტერში მოსიარულე მონაზვნები.

ადგომა ნ. ალდგომა.

ადრე მალე. ადრე შევირყევიით 115, 13.

აგლინ 81, 8. ს. ორბელიანით—სანაგვე, მე კი ეზო მგონია (აშღ:თ).

აზნაურ 35, 13; 104, 11 უმაღლესი წოდების კაცი. აზნაურთა შვილნი 10, 2.

ათოხმეტ 50, 7; 109, 1 თოთხმეტი.

ათორმეტ 26, 2 თორმეტი (ესეც გვხვდება 21, 4).

ათუალვა. ათუალულ ნანაგარიშვი. ოქროჲ განძად ათუალული კვლიტრაჲ 31, 6.

ათცამეტ 114, 3 ცამეტი.

ალვა 31, 21 ხე, რომლის სურნელოვანი მერქანი იხმარება, სხვათა შორის, როგორც საქმეველი ნივთიერება (ეს „ალვა“, მასსადაჲ, სულ სხვაჲ, ვიდრე ის ხე, რომელსაც ჩვენში ასეთივე სახელი ჰქვია). ალვაჲ ასი ლიტრაჲ 31, 21.

აშაო. უქმი, ძალას მოკლებული (სინონიმა: ცუდი). აშაო ყოფა გაცუდე-ბა, გაბათილება, გაცრუება, რაფთამცა პირველი იგი ბჭობაჲ ... ცუდმცა ყვეს და აშაო; არამედ განაცრუეა ღმერთ-მან ზრახვაჲ მათი და აშაო ყო აღძრვაჲ მათი 118 c, 4—6; აშაოდ 55, 12 ცუდად, ტყუილ-უბრალოდ.

ამბორის-ყოფა, ი/უ, კოცნა. ამბორს-უყოფდეს 113, 4; ამბორს-უყვეს 22, 4.

ამბოზ ჩოჩქოლი. ვმაჲ და ამბოზი 105, 18; ამბოზება ურჩება, წინააღმდეგობა. იწყეს თავველობად და ამბოზებად და უმეტეს და უმეტეს აღორძნებოდა ამბოზებაჲ მათი 110, 3—4. ამიერთგან 29, 12 ამას იქით, ამის შემდეგ. ნ. მიერთგან.

ამისთხცა 14, 5 ამიტომ, ამიტომაც. ნ. -თხ (თან.).

ამოწყუედა (3)2 მოშლა, ამოვდება. და ჩუენი საქსენებელი ამოსწყუდოს 118 d, 3.

ანდერძ 5, 10 წიგნის ბოლოს მოთავსებული ცნობა წიგნის დაწერასთან დაკავშირებულ გარემოებათა შესახებ. ბოლოსიტყვაობა. „ანდერძი“ (ავტორისა, მთარგმნელისა ან გადამწერისა) დღევანდელი გაგებით წინასიტყვაობას უღრის, მაგრამ მას წიგნის ბოლოს ათავსებდნენ ხოლმე.

ანთება, ი. საწერლად აინთიან 81, 3. ნ. ნთება.

ანუ...ანუ ან... ან. ანუ მონაზონნი, ანუ ერისგანნი 98, 1 ბ (ციტატი ზა-ხე კიდევ ანუჲმანთან).

ანჯმან (სპარს.) შეკრება. ანუ კართა ზედა შეკრებასა ანუ მონასტერსა შინა ანჯმანსა 95, 9. [ლელი.

ამოთიკ (Համոթիկ) 98, 1 საწყობი, ბე-არა-ჲ (= არარად). რაჲთა არას ვინ ზრუნეიდეს 78, 3.

არა თუ... არამედ. არა თუ უმძიმნ, არამედ უფროსად უხარინ 93, 2—3; არა თუ უღუმბათა და მთაწმიდას ოდენ, არამედ სამეუფოსცა 48, 11—12.

არა თუმცა... არცაშცა (რთულს პირობით-მედევობითს წინადადებაში) რომ არ... არ. არა თუმცა უფალი შეწუთულ იყო ჩუენდა..., არცაშცა ერთი ქართველი არა იპოვების ამას ვერცელსა და დიდებულსა ლვარასა შინა 117, 6—9.

არამედ 1. მაგრამ. კულად აღეცყინნეს ჩუენ ზედა ბერძენნი..., არამედ განაცრუევა ღმერთმან ზრახეაჲ მათი 118 ც, 6.

2. მაპირისპირებელი კავშირია უარყოფის შემთხვევაში (არა... არამედ). რომელმან-იგი არა შეიწყალა თავი თვისი, არამედ ყოველივე მოსწარაფებდა აჩუენდა 118 ხ, 14; არა ხოლო საქართველოსა ოდენ, არამედ საბერძნეთსაცა 118, 25.

არარაჲთ არაფრით. არარაჲთ უნაკულუო იყვნეს 3, 1 არაფრით ნაკლები არ იყვნენ.

არახალაჲთ 70, 7 არსაიდან.

არგან 75, 1 კეროთხი, ჯოხი (სატარებელი).

არცა თუ არც კი. არცა თუ შესაძლებელ არს 118 ხ, 5; არცა თუ ეგებების 118 ხ, 17; არცა თუ ფოლსა ერთსა ზედა უფალ იყო 26, 10.

არცაღა... არცაღა 17, 8.

ასაბიჲ მეშველი, დამხმარე, შემწე. უკუეთუ ვინმე იპოვოს ასაბიჲა და ერთი-მეორისა მეშუელი 68, 19.

ახარევა 89, 3. ნ. სარ.

აურაცხელ 119, 17 უთვალავი.

აქა-იქი აქეთ-იქეთ. აქა-იქი ეკუთვებოდა (ჯორი) 112, 20.

აქამომდე 29, 17, ვიღრე აქამომდე 2, 18 აქამდის (დროს შესახებ).

აღზნება, ე. აღევზნნეს ჩუენ ზედა 118, 42.

აღდგენა, ა, აყენება. აღადგინა 29, 18 ააყენა.

აღდგომა, ადგომა. ოდეს ტრაპეზის, აღდგის 70, 13; შემდგომად ტრაპეზით აღდგომისა 70, 6; აღდგომილ იყო 45, 2 ბ. ამდგარიყო.

აღდგომა წინა. ნ. წინა-აღდგომა.

აღვსება, ა. ყოვლითა კეთილითა აღაესნა 112, 8.

აღთქუმა, ი/უ. აღუთქუა 19, 3.

[აღლესა იღძრევა, წაქეზება. აღლესა იგი (ეშმაქმან) მოკლვად წმიდისა (სუნ. 59, 30)].

აღმართებულ. აღმენებულ იყო და აღმართებულ (ლაერაჲ) 117, 11.

აღმოსავლეთ, აღმოსავალ. ამ ტერმინის ქვეშ საბერძნეთში მყოფი ქართველები საქართველოს გულისხმობდნენ ხოლმე: იყო რაჲ თორნიკ აღმოსავლეთს 25, 1; ყოველთა ქართველთა თანა, რომელნი სადაცა არიან: აღმოსავალისათა და შავისა მთისითა და იერუსალემისათა 118 ც, 31.

აღმოფხურა ძირ-ფესვიანად ამოგდებდა; აქ: სრულიად გაძეება. სრულიად აღმოფხურაჲ ჩუენი ენება 118, 42; რამცა ქართველნი ამის მონასტრისაგან აღმოჰფხურნეს 117, 2.

აღმოვცა (3)2 (უირ.) ამოშლა. რამცა სახელი მაშენებელთაჲ აღმოჰქოცეს 118 ხ, 9.

აღორძინება ამოზრდა მცენარისა; გაზრდა, გამრავლება. ზრუნეაჲ ქართველთა აღორძინებისაჲ 118, 36.

ა. აღორძინა... ტალანტი 50, 2; აღეუარძინენ უფალმან 118 d, 17.

ბ. უმეტეს და უმეტეს აღორძინებოდა ამბოხებაჲ მათი 110, 4 უფრო და უფრო მატულობდა მათი ამბოხება.

აღპურობა ნ. კელის აღპურობა.

აღრაცხვა 108, 8, (აზრაცხვა), აღრაცხუვა დათვლა, ჩამოთვლა. ვინ აღრაცხოს 32, 14; აურაცხელთა 119, 17. შდრ. აღრიცხვა.

აღრიცხვა 118 b, 18; აღრიცხუვა დათვლა, ჩამოთვლა. რაჲთამცა აღვრიცხუენით 48, 12. შდრ. აღრაცხვა.

აღრჩევა, ი, არჩევა. აღირჩევ 79, 21.

აღსასრულ 1. დასასრული (საპირისპირო: დასაბამ). დასაბამი და აღსასრული 2, 3.

2. ცხოვრების დასასრული, სიკვდილი. კეთილთა აღსასრულითა დაძინეს 118, 14; ვიდრე აღსასრულადმდე თჳსად 107, 6. ნ. აღსრულება.

აღსრულება 39, 1 სიკვდილი. ნ. აღსასრულ 2.

ა. გათავება. უშფოთველი ცხოვრებაჲ აღასრულოთ 41, 10.

ე. აღესრულა 57, 2; 114, 1 გარდაიცვალა, მოკვდა.

აღსწრაფა, ი (უბო.). აღვისწრაფდი ხილვად 45, 17. სწრაფად ავდიოდი სანახივად.

აღტყინება, ე, ანთება (ი), აღის მოდება (ე). ცეცხლი მძაფრიად აღეტყინა 8, 2; კუალად აღეტყინეს ჩუენ ზედა ბერძენნი 118 c, 3.

აღღება, ი. აღიღო ძე თჳსი ...და მთაწმიდას მოვიდა 12, 3; რაჲთა აღიღოს ძმ თჳსი 33, 2.

აღშენება, აშენება, ა, წყალობა, ბოძება, ჩუქება. ვითარცა მნებაჲ, აღშენებნ 115, 1 ბ; ყოვლითავე ფერი-თა აღაშენის 115, 22; აღაშენის ანუ ჩოვითა ანუ საბეჭურითა 68, 26; თორნიკის აშენებისათჳს 23, 5; 33, 4. თორნიკის საბოძერების გამო, თორნიკმა რომ უწყალობა, იმის გამო.

აღძრვა გამოწვევა, წაქეზება. მტერის მიერი აღძრვაჲ თჳსი 105, 21; მთაჲ ყოველი აღძრეს 118 c, 4; აღძრაიგი მოკლვად 105, 5; შეფენი და მთავარნი... წყალობად ჩუენდა აღძრეს 41, 6.

ი ენ. აღიძრეს მამანი ჩუენნი 118, 7.

აღწერა დაწერა. აღწერით დაუტეეა 43, 1; აღწერნეს ცხოვრებანი მათნი 2, 20; მოსაქსენებელი ესე აღწერეთ 118 c, 28; აღგაწერია 4, 3; აღწერილნი (ანდერძნი) 5, 10; აღწერილთა წიგნთაგან 2, 19.

აღწოდება, ი/უ 3(2) (უპირდა). აღწოდა მას სამეუფოდ 110, 6.

აღჯნა, ი/უ. აღუჯნინდა მას დაგანუმარტებდა 54, 5.

აწლა 46, 2 აი ეხლა.

აწყუედა (3) 2 (უირ.). ქართველთა შინაგანმცემელექმნეს და ასწყვდნეს 118 b, 2.

ახალ-ნერგ ახალ-ჩაყრილი (მცენარე). ახალ-ნერგ იყვნეს წუთლა ვენაჲნი 89, 4.

ახოვან 7, 4 მამაცი, მხნე. ახოვნად 9, 4; ახოვნება 2, 17; 14, 5.

აჯოცა. ა-მცა-ჯოცილ არს იგი 118 d, 7.

აჯოჯვა (ვენაჲისა) 89, 0.

ბ

ბარე. ბარე-მცა 118 c, 10 მაინც, по крайней мере.

ბარძიშ 31, 7; 32, 4 ეკლესიაში საბ-მარებელი მალალ-ფეხიანი ღრმა სასმისი, რომელშიც წირვის დროს უსისხლო მსხვერპლს ამზადებენ (=πασίρσις). ფეშხუემ 31, 8; 32, 4 ფეშხუმი, დაბალ-ფეხიანი ფრია სასმისი (=მცოაც), რომელიც აგრეთვე უსისხლო მსხვერპლის წეწირვის დროს იხმარება.

ბახრობა ლანძღვა. კიცხევაჲ და ბახრობაჲ 118 b, 30.

ბაძვა. შურად და ბაძვად მოვიდოდით 2, 14. ნ. მობაძავი.

ბედით ტყუილ-უბრალოდ, ამოდესთენი ვანძი ბედით წაჭდეს 97, 4.

ბევრ ათი ათასი. ორნი ბევრნი 49, 47 ოცი ათასი.

ბელიარ 105, 1 ეშვაკი; ქრისტეს მბრძოლი, ანტიქრისტე (II კორინთ. 6, 15).

ბერ 60, 10 მოხუცებული. სხებერ 70, 2.

ბერძულ 49, 42; 49, 3 ბ. ბერძნული; ბერძულად 4, 1 ბ.; 45, 3 ბერძნულად.

*ბერჯ ნ. საბრვე.

ბილწ. ბილწო პურიოა 53, 11.

[ბორჯნეულ (სუნ. 60, 5) ვაცოფებუ-ლი].

ბოსტან (სპ.) 98, 1. მთაწმინდის ქართველთა მონასტრის ბოსტანი კელრის საურავე იყო. რადგანაც იქვე ხილნარაც არის ნახსენები (98, 10), ამიტომ ბოსტანში ბეხილი არ იგულისხმებოდა, მაშასადამე, ის მარტოოდენ მწვანის მისაყვანი ადგილი უნდა ყოფილიყო. მე ბოსტნე 106, 1.

ბოძ: დიდითა ბოძითა 33, 28. ბოძებულ 31, 4; ჩიმიშისა ბოძებულ იოვანესდა 31, 2.

ბრალ 80, 3 ბ. დანაშაული; თანადღები ყოვლისა ბრალისაჲ 33, 22.

ბრალეზა, ა, საყვედურის თქმა, გაკიცხვა. ფრიად აბრალა მას 11, 3; დიდად აბრალეს 33, 17; დიდად აბრალის 61, 5.

ბრალეულ ბრალის მქონე. რაჲთა არა ბრალეულ ვიქმნე 3, 6 რომ ბრალი არ დამედოს, რომ არ დამბრალდეს.

ბრძოლის - ყოფა, იწუ: ბრძოლა - გუჯეეს 118 c, 19 გვებრძოლნენ.

ბრწყალ ჯვარელი დასადგამი ფეშხუმზე, რომ ზემოდან დასაფარებელი უშუალოდ ფეშხუმს არ ეხებოდას (=ძოწჳ, ძოწჳცოაც). ფეშხუმი კოვზითურთ და ბრწყლით 31, 8.

ბუღე 31, 7 ნაწილის შესანახავი.

ბუე 1. კარი-ბუე, მთავარი კარი. ოდესცა ეკლესიას შევიდოდინან, ვიდრე უქლთა ზედა არა მოდრკიან და თაყუანის-სკიან წმიდასა ღმრთისმშობელსა, რომელ არს კართა ზედა, არა შევიდინან 64, 1—3 [აქედან არის ღვთის მშობლის ხატის სახელი რჳ; Πορταζωνοτης Κορθιατικισα („ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელნაწერი აღაპებით, 1901, გვ. 275. P. P., 43. ნ. კონდაკოვის აზრით, ის ხატი, რომელიც ამჟამად ათონის ქართველთა მონასტერში პორტატიკისის სახელს ატარებს, XII ს.-ის აღრიწდელი ვერ იქნება: Иконография Богоматери, II, 1915, გვ. 214—216]. ბქჳ, ბქენი, როგორც ხუროთმოძღვრების ტერმინი, განხილული აქვს ივ. ჯავახიშვილს შრომაში Термыши искусства, XV III, 29—30.

2. მოსამართლე. საქმე ბქისაჲ 74, 2 სასამართლოს საქმე. ბქობა საქმის გარჩევა სასამართლოში, გადაწყვეტილება.

ბჭობითა შეფუთადათა 11,7; პირველი
იგი ბჭობაჲ 118 c, 5; შემდგომად
ამის მეორისა ბჭობისა 118 c 24;

შემდგომად დიდთა ბჭობათა და გა-
მოძიებათა 118 b, 35. განჯჳობა: ფრია-
დითა გამოძიებითა განბჭო 118 c, 20.

ბ

გ ნ. გება.

გაგება ნ. განგება.

გაგზავნა. მონასტერისა არა დაიმჭირ-
ნის, არამედ გარე სოფელთა გაგზავნის
92, 3. შდრ. წარმგზავნა.

გაგონება, ა 3, გაგებინება. ნუჟკუე
და ვერ გააგონო 112, 13 ვაითუ ვერ
გააგებინო.

გადგომა ნ. განდგომა.

გავა ნ. განსლვა.

გავიდა ნ. განსლვა.

გაზრახება, ა 3, რჩევა (ი/უ). გაა-
ზრახეს 51, 12 ურჩიეს.

ე. კლარსა გაეზრახის იკონო-
მოსი 98, 9 მოელაპარაკებოდა, დაეთათ-
ბირებოდა ხოლმე.

გაკანონება ნ. განკანონება.

გაკუთთა, ი/უ, დანიშენა, ნორმის
დაწესება. გაკუთთეთ ზეთი წელი-
წაღსა შინა მეტრად ერთი 119, 4 დავეუ-
ნიშნეთ ზეთი; გაკუთთოლ გადაწყვეტი-
ლი ნორმა (უმეტესად სასმელ-საქმი-
სა) დღიურად ან თვიურად (ილარიონ კა-
ნანახსა) მისცეს მოწაღჳ და გაკუთთი-
ლი შეუქმნეს, თავისა კრასოფელისაგან
კიდე, კოკად ერთი ღვრამ თუესა შინა
და ყველი ერთი და სამი ლიტრად ზე-
თი და დღივ ერთი პური. და ესე იყო
გაკუთთილი მისი 84, 9—11; გაკუთ-
თილი შეუქმნეს 84, 9; 85, 6; კანანახი-
სა გაკუთთილი 86, 4. სინონიმი: გან-
წესებული (ნ.). შდრ. განკუთთა.

გალატელთა ეპისტოლედ 49, 44 პავ-
ლე მოციქულის ეპისტოლედ გალატელთა
მიმართ.

გალატოზ 25, 7 კალატოზი.

გალობა (pl. გალობებ-ი) 49, 38 სა-
გალობელი, ჰიმნი.

გამოვალ ნ. განსლვა.

გამოვლება, ი/უ, წართმევი. და ესე
ადგილი ქართველთა თავისა რადთმე
საქმითა გამოვგდოს 118 d, 3.

გამოვალს (გამოსავალი) 31, 4
შემოდის.

გამოზიდვა გადმოტვირთვა. გ—დნა-
ვისაჲ 89, 3.

გამოზოგება, ე, დამშვიდობება (ე).
გამოეთხოვა 85, 3.

გამოკითხვა. გ—და საქმისაჲ 111, 3.

გამორჩევა ა, გადაწყვეტა. ესე გ—
მოარჩიეს 23, 3.

გამოსავალ შემოსავალი (ადგილ-მა-
მულიდან). (ნეოს კენძლისაგან) გამო-
ვალს გამოსავალი ყოველთა წელ-
თა იდ ლიტრად, გინა ათხუთმეტი და
ოდესმე ოციცა 31, 4—6.

გამოსუნება, ი (უობ.), დასვენება.
მშრომელთა და მაშურალთადა განეწე-
სა მამასა და შემდგომად დაწესებულთა
წარვიდიან და გამოისუენიან 62,
1—2.

გამოჩენა ნ. გამოჩინება.

გამოჩინება, დ. გამოჩნდა 5, 7;
ი/უ—დ. გამოუჩნდა (ბელიარკაცსა)
105, 5; გამოჩინებულ (მიმდ.). ეგვიეთა-
რი თარგმანი, გარეშე ვათ პირველთასა.
არლარა გამოჩინებულ არს და
ვჭონებ, თუ არცაღა გამოჩინებად
არს 47, 6—7.

გამოცდილ 92,4; გამოცდილება: ზღვსა რაფთურითთ გამოცდილებამ არაფე გუაქუს 25, 5.

გამოძიება საჩივრის გამოკვლევა. ფრიალითა გამოძიებითა 118 ც, 20; შემდგომად დიღთა ბჰობათა და გამოძიებთა 118 ბ, 35.

გამოწულიღვა, ი, დაწერილებით გამოკითხვა. გამოძიება. გამოწულილი 13, 4; გამოწულილებით აღწერასა 27, 5.

განბჰობა საქმის გარჩევა (სასამართლოს წესით) ნ. ბჰე 2.

განგება. გაგება, ა, 1. მართვა, გამოგება (ლაერისა, ეკლესიისა, მონასტრისა. ან დაწესებულების რომელიმე ნაწილისა). დიღისა. ლაერისა განგებაჲ 50, 8; რაფთა მითუღლოს განგებაჲ მისი (საკათალიკოსო საყდრისაჲ) 57, 4; საურაფი და დახედვაჲ და განგებაჲ (დიღისა ლაერისაჲ) 88, 7; განაგებდა საქმითა მონასტრისათა 34, 7; მერმე გაგებზ იკონომოსი 99, 3; განგებულ 110, 6; 118, 15 დაწესებულების (ან მისი ნაწილის) სათავეში მდგომი (მე დამადგინა თჰუნენდა მსაჯულად და განგებულად 68, 8) ან შეფი, მფარველი (ჟუანასკნელი მნიშვნელობით სინონიმად ეპიტროპი იხმარება); განგებულად და ეპიტროპად თუთმეყრობელნი მფუენი განაწესა 40, 1. აქედანგეა განსაგებულ, გასაგებულ (ნ.).

2. გაკეთება. ვინაფგან ახალ-ნერგ იყუნეს ვენაჰნი, ყოველთა სარითა განგებაჲ უნდა 89, 5.

3. წესი, წესდება (ამ მნიშვნელობით ზშირად სინონიმურად წესი იხმარება). განგებაჲ და წესი 39, 2; საღმრთონი წესნი და განგებანი დაესხნეს მონასტერსა 58, 2; პირველად წესნი ეკლესიისანი და განგებანი ყოელისა წე-

ლიწლისანი 58, 3; შშელი განგებასა მამისა ეფთჰისსა 39, 11.

4. ზეციერის გარიგება, გადაწყვეტილება, прошение. განგებითა საღმრთოფთა 11, 6. ამავე მნიშვნელობით იხმარება განგებულება-ა 1, 3; 2, 5.

5. შეკეთება (გან-რა-ა-გებ დეს ბიღთა მათთა, მათ. 4, 21); აქედან: განსაგებულად შესაკეთებლად. მოეკსენა ხატი წმ. ი. მახარებელისაჲ, რომელი მხატვრისადა მიეცა განსაგებულად 112, 10—11.

ი. გაგება. ვიღრემდის სახშ განიგის 72, 8 ვიღრე საქმის ვითარებას გაიგებდა ზოღმე.

განგებულება ნ. განგება 4.

განგულება, ი, ფიქრი, ზრუნვა. რაფთა უმჯობესი ჩუენი განიგულოს 118 ბ, 12.

განგძობობილად 11, 1 დიღხანს, подо-
дольжательнo.

განღგომა, გაღგომა, ა, ლალატი (პოლიტიკური), აჯანყება. სკლიაროსი გაგუადგა 16, 14. განღგომილ. ეამთა განღგომილისა სკლიაროსისათა 118, 12; განღგომილება. განღგომილებაჲ სკლიაროსისაჲ 16, 1; განღგომილებაჲ და ორგულებაჲ დასწამეს 116, 4.

განღრეკა ვადაბირება. დიდებულნი ყოელნი განღრეკეს 118 ც, 4. ნ. მიღრეკა.

განვრცობა, ა, გადიღება, გაფართოება. განაერცეს და განამდიღრეს (ლაერაჲ) 118, 12.

განზავება, ე, გადაღება (ე) (სენისა). განეზავოს მაკლდინებელი იგი სენი 39, 2 ბ. გადაელოს.

განზრახვა, 1. ი, ფიქრი (ი). განიზრახეს 15, 4; თუსსა ნებასა და განზრახვისა შეუღდა 115, 4; ზოგადითა გან-

ზარახვითა 119, 4; ერთითა განზარახვითა 118, 4.

2. რჩევა. განზარახვითა მამისა ათანასესითა 15, 6.

განთევა, ა. ლამესა ათევენ; და ვითარ ლამე განათიეს 56, 4.

განთქმულ. განთქმული ცილობასა ზედა 54, 2 განთქმული კამათში; განთქმული სათნოებითა 51, 2.

განთხევა, 1. გაყრა. არა განგუთხინა ტაძრისაგან 118 ც, 8.

2. გადასხმა. გარე განთხევაჲ (საქმლისაჲ) 82, 5.

განკანონება, გაკანონება დასჯა, სასჯელის დადება სამონასტრო წესდების ზიხედვით. კელმწიფეებაჲ და უფლებეებაჲ შამასა ეფთუმეს მისცა, რაჲთა, რომელიცა განგებაჲ და წესი ენებოს, იგიცა დაუდგას მონასტერსა და მას ზედაცა განკანონოს 39, 1—3; კრულობითა და შეჩუენებითა განკანონა 39, 12 დაკრულა და შეაჩუენა. „განკანონება“ შეიძლებოდა მძიმედ (67, 3; 76, 5; მძიმედ გაკანონებ 94, 8), ძლიერად (78, 8), ჯეროვნად (50, 5) ან ფიცხლად (66, 5).

განკაფულ დაუძღურებული, დაგრომილი (სენისაგან, შრომისაგან). საღმრობასა შინა განკაფულმან 38, 2; სენთაგან განკაფულსა 34, 5; შრომითა განკაფულნი გუამნი მათნი 104, 32.

განკითხვა 1. თათბირი, ბქობა, მოლაპარაკება. თუნიერ განკითხვისა არარას იქმოდა 107, 2; განკითხეჲაჲ წინამძღუარი არს ცხორებისაჲ 107, 10.

2. გასამართლება („მეორედ მოსვლისას“). ღლესა მას განკითხვისასა 119, 17.

განკართმა (2)1 (უობ.). 1. ვაოცება, განკვიფრება. განკართა გონებაჲ ჩემი 46, 1.

2. დაფრთხობა (ენ.). ვითარცა დახელნა მანკიერმან მან საჯედარმან (იგულისხმება ჯორი), მყის განკართი და იწყო სიგლტოლად და აქა-იქი ეკუთებოდა 112, 9.

განკრძალულ. თუსსა მსახურებასა განკრძალულ იყო 115, 7 თავის საქმეზე იყო დამდგარი, მიჩენილი.

განკუეთა, გაკუეთა 1. გაკრა. განკუეთელ დაურღვეველი. განკუეთელი ერთებაჲ 41, 9.

2. ხელის აღება, უარის თქმა, ამოკვეთა. ნებისა თუსისა განკუეთაჲ 27, 2 თავის ნებაზე ხელის აღება.

3. მოშორება, ვაკლა. განკუეთილ. შეჩუენებულ და განკუეთილ წესისაგან ქრისტეანეთაჲსა 118 ხ, 5.

4. დანიშნა, დაწესება. გაკუეთილ (ნ.) განღევა, ი ენ. განიღეოდა შუარიითა 105, 4 შუარიით კვდებოდა.

განმართება (საქმლისა) 70, 12 შეკაზმება, უფრო კარგად გაკეთება.

განმარტება, ი/უ. აღუქსნიდა და განუმარტებდა 54, 5; უკუეთუმცა სიტყუასა წერილთასა იკითხვედ, განგომარტეთმცა 54, 7.

განმგებელ ნ. განგება 1.

განმზადება, ი/უ. ტაბლაჲ კეთილი განუმზადა 111, 2.

განმკუყნელი (სენი) 39, 1 ბ.

განმწნობა, ა. განგუამწნობნ 118 ხ, 31.

განრთხმა, ი. განირთხის თავი თუსი 68, 16 გაირთხებოდა ხოლმე.

განრონება, ა, გადარჩენა (განსაცდელისაგან). და ჩუენ ჳირისაგან განგუარიინეთ 19, 7. ენებითი გვარის საწყისი იქნება: განრომა (ნ.).

განრომა, გარომა, ე (უობ.). 1. გადარჩენა (განსაცდელისაგან). მის საუკუნოჲსა განკითხვისაგან განერებით 58, 11.

2. თავის რჩენა. რომლითა გაეგრეზოლი, იგი ხოლო დაიპირე 98,12 რითაც თავს ირჩენ, მარტო ის დაიკავე. აქედან: გახარომელ საჩხო. ჩუენი ყოველი გასარომელი ზღუთ შემოვალს 25,6; თავისა გასარომელსა სრულებით მისცემდიან მონასტრით 102,2 (განრომა ვნებითი გვარის საწყისად მიდის, განრინება კი--მოქმედებითი გვირისად).

განრყუნა გაფუჭება, მოშლა. განმრყუნელი (სენი) 39,1 ბ.

განსაგებელად 112,11 შესაკეიებლად. ნ. განგება 5, გასაგებელ.

განსლვა, გასლვა. 1. გამავალთა ძმათა ჰქითხაენ მიზეზსა განსლვისასა 61,2; ვერეინ იქარის განსლვა 61,3; გაედიან 97,9.

2. გახდომა. მონასტერი უწყსოდ გავი 68,7 გახდება, შეიქნება.

განსუენება, გასუენება მოსვენება. არა სცემდა განსუენებასა თავსა თვისსა 50,12 არ ისვენებდა; ქართველთა განსუენებისათჳს 23,5 იმისთვის, რომ ქართველთაგან მოსვენებულნი ყოფილიყვნენ.

ი (უობ.), მოსვენება. მრავალთა მთქირთაგან განვისუენეთ 118 ხ, 2 მოვისუენეთ.

ი/უ (3)2 (უპირლ.) მოსვენება, დაკმაყოფილება. ნუუკუე ვერ გაგისუენოთ 83,6 ვითუ ვერ მოგისვენოთ; ყოვლითა განსუენებითა განუსუენის 118,32 ყველაფერი საჭირო რამით დააკმაყოფილებდა ხოლმე; განუსუენებნ 28,4; განუსუენის 83,3.

ე. მათცა გაეისუენა 37,1 მათაც მოისვენეს.

განტევება ნ. გატევება.

განუჟუეთელ ნ. განუჟუთა 1.

განფრდილ 42,4 ვაყიდულს.

განყოფა, გაყოფა, ი/უ. რომელიმე ლაშქართა განუყო 21,8; ეგრეთვე საშოვალსა მისცეს განძი ინდიკტიონსა შლიტრად ათოთხმეტი გასაყოფელად ყოველთა და კუალად ია ინდიკტიონსა გაუყვეს სხუად ილ ლიტრად 32,1—2.

განჩინება, ა, დანიშვნა. სპასალარად თორნიკ განაჩინეს 20,4. შღრ. განწყისება 3, დაღვინება.

განცემა, (3)2 (უირ.). გინა განსცეს მიწად 118 ძ, 1.

განცოფებულ გაბრაზებული, გახელებული. გ—ლი იგი მონაზონი 105,10; გ—ლმან მან 105,15.

განცრუგება, ა, გაცუდება, გაბათილება, გაუქმება. განაცრუეი ონზრახვად მათი 118 ც, 6.

განცხრომა ხუმრობა (?). რეცა განცხრომის სახედ 55,10 თითქო ხუპრობით. იწყის უზნობად გინა განცხრომად 72,5 დაიწყებდა ხოლმე ლაპარაკს ან ხუმრობას (?).

განძ 1. ოქროულობა, ვერცხლულობა და თვლები, რაც შეიძლება აიწონოს ან ფულად იქნეს ნაანგარიშევი. ოქროა განძად ათუალული 25 ლიტრად 31,6; ოქრო-ბეკედი განძისა ორმეოცლა ოთხისა დრაჰინისად 31,2. „განძი“ უპირისპირდება „სათასეს“ ე. ი. ფულს (ურციხვთა საფასითა და განძითა 26,2), და დრისტ ტურფას ან კუმაშს: სამ გზის დაიტყუნენა მონასტერი და, რაჲცა დრისტი ტურფად იყო, ყოველი იავარი იქმნა, და ეგრეთვე განძი და კუმაში 116,9—11; უფროს ათორმეტისა კენდინარისა მოილო განძი ოდენ, სხუათა ტურფათაგან კიდე 26,2—1 ბ.

2. სიმდიდრე, ყასეულობა საზოგადოდ. ყოვლისა უფროს ეპისტატისათჳს ჰვედრებნ მაშად ეფთჳმე და ეტყუნ. ვითა: ნუცა რაჲ დააკლდების ეპისტატ-

სა, რომელ არა შეწუხდეს და 30 ანუ 40 მუშად არა მოაქონოს და ესთენი განძი ბედით წაჯღეს 97,1—4. მე განძიურ-ი 85,1.

განძღება, ი. არცა თუ წყლითა განძი ძღებდეს თავთა მათთა 80,4.

განწესება, გაწესება, ა. 1. წესის დადგენა, წესრიგის შემოღება, გარიგება. უმჯობესსა ყოველთასა განაწესებს 1,3; ესრეთ განაწესა 2,5; ესრეთ განაწესა, რაჟთა 39,8; ენა განაწესა მაჰასა 60,5; მშრომელთა და მამუშრალთადა განაწესა 62,1.

უნარო ფორმები უფრო ხშირია III სერიაში: მაჰასა გაუწესებია 72,3; საკელორთა წესი ესრეთ გაეწესა 96,1; კაბუკთადა გაეწესა 59,3; ესეცა გაეწესა მეტრაპეზისადა 72,1; მოსენათადა გაეწესა 103,1 (ნ. კიდევე: 73,2; 75,2). ი/უ. განუწესნეს წესნი და კანონნი 4,13.

2. დანიშვნა, მისჯა. ი/უ. კმელისა პურისა კამად განუწესის მას დღესა 61,7; უღვრნობად და უსაჰმლობად განუწესის მას დღესა შინა 60,1 ბ.

3. დანიშვნა (თანამდებობაზე), დადგენა. განმგებულად და ეპიტრობად თუთმპურობელნი მეფენი განაწესნა 40,1.

განწესებულ 1. წესრიგში მოყვანილი. ყოველივე განწესებულად იყო 101,8; 2. „გაკუთილი“ (ნ.). იკონომოსისა განწესებულნი 7 კრასოვული იყო 100,1.

განხრწნად-ი 79,4 ბ. წარმავალი, უმნიშვნელო.

განჯჰელ 106,3 გამხმარი.

გარდავლა. უწკრად გარდავლო 55,2.

გარდაკუთთა. მიზეზი გარდაეკუთთა 78,3 (გასამართლებელი) მიზეზი მოესპო, გადაწვეტილება მიიღო, რომ ყოველგვარი მიზეზის გარეშე...

გარდამოვლდება, ა. გარდამოავლო (ჯორმან ეფთუმე) 112,21.

გარდამოვანა (ხატი) 31,18 ხატი, რომელზედაც ქრისტეს ჯერიდან გადმოხსნის ეპიზოდია დახატული.

გარდაქცევა, ი. ენ. პირის მობრუნება, ზურგის შექცევა. გარდაიქცეს და მიექცეს ჩუენთა წინააღმდეგობა 118 c, 26.

გარდაჯდა, ი. დიდებულად გარდაიქადა (დღესასწაული) 112,6.

გარდავლომა, 1-3., გასვლა. გარდავლდა შვედული ერთი 17,3 ბ.; გარდავლეს ეამნი რავდენნიმე 116,1.

2-3., გადასვლა, არ შესრულება. თქუენსა ბრძანებასა არა გარდაეკვლდე 19,4; უკუეთუ ვინმე გარდაეკვლის მცნებასა 78,7.

გარე (საპირისპირო: შინა). შინა და გარე 39,3; 98,11; 111,11 გინი მონასტერსა, გინა გარე მეტოქთა 98,7; შინაცა და გარეცა 104,1.

გარე განთხევა 82,5 გარეთ გადასხმა.

გარე მიქცევა, ე. გარე მიექცა იორი მისი 53,11 სახე მიექცა (შემდეგ ნათქვამია: მოიქცა პირი მისი 53,16 გამობრუნდა, ე. ი. გამოსწორდა).

გარემოხს. გარემოხს მონასტრისა 23,10.

გარეშე გარდა. გარეშე მით პირველთასა 47,6; გარეშე საჭირომსა მის და უნდომსა საჰმრისა 104,9.

გარე-შექცევა გვერდის ახვევა. გარე-შექცევა შეუძლებელ არს 15,6.

გარეწარ. რაჟთა არა დაიწყებულ იქმნას და გარეწარ ესევითარი იესე მრავალ-ფერი ღლევა 118 c, 29.

გარნა 1. გარდა. სხუსანუ ვის ეუბნები, გარნა გაბრიელს ხრლო ხუცესსა 29,13; გარნა თუ 29,20 გარდა იმისა, თუ.

2. მაგრამ (11,4; 11,5; 58,2).

ნარომა ნ. განრომა.

გახაგებელ, განსაგებელ მართვა-გამგეობა, ხელისუფლება ან საურავი, საზრუნავი. ბასილი და კოსტანტი მას ეამსა წუთლა ყრმა იყენეს და ყოველი გასაგებელი (განსაგებელი BCD) დედოფალსა ეპყრა და პარაკიმენონსა 18,1—2. ნ. განგება 1.

„გახაგებელი“ და „საურავი“ ამ ძეგლში ერთი და იმავე მნიშვნელობით არის ნახმარი გარკვეულ შემთხვევაში: აპოთიკი და ბოსტანი და წისქვლინი კელრისა საურავნი იყენეს..., ხოლო საპარიკონომოსო და საწანგრო და სამკედლო და ხურონი და კალაფატნი და მანდრინნი და ვენაწნი—ესე იკონომოსისა გასაგებელი იყენეს 98,1—5.

გასარომელ ნ. განრომა 2.

გასაყოფელ ნ. გაყოფა.

გასლვა ნ. განსლვა.

გასუენება ნ. განსუენება,

გასწავლება, ა. პირველად ქართული სწავლა დასწავლა იერემ ბერძულად გაასწავლა ყოვლითა სწავლებითა სრულებით 45,3—4.

გახსმა, ა (პირდ. ობიექტით მრავლობით რ.-ში) გადგება. მრავალნი ძმანი მონასტრისაგან გაასხნა 76,6; ესე აღელი ქართველთა გამოუგდოს და ივინი გაასხნეს 118 d, 3.

გახჯა, ი ვნ. განკითხვა (ი ვნ.), გასამართლება. მას საუკუნესა მწარედ გაისჯებით 68,9.

გატვეება, ი/უ, (3)2 (აკლია ირიბი) გაშეება. უკუეთუ გაგიტვენიე 33,14 თქვენ რომ გაგიშვა.

გაყვანება, განყვანება. გარე განყენებისათჳს 72,7; ი. მამასა გაუწყნებია, რომელ გარე გაგიყენაო 72,4; გარე გაიყვანის 72,8.

გაყოფვა. არცა გაჰყიდღეს 78,8.

გაყოფა ნ. განყოფა.

გაყადება, ა 3, გაცნობა (ა). ყოვე-

ლიეე საქმე თორნიკ გააცადა 20,2: გააცნო.

გაწესება ნ. განწესება.

გაწყლომა, (2)1. კელორისა კარსა რადთურითთ არა გასწყლებოდა შეკრებად 95,6.

გავშობა. ფურცელი ხეთა და ვენაწთაე გაჯმა 55,3.

გაჯმნა, ი/უ (უპირდ.), გასტუმრება, გაცილება. გაუჯმენ 95,4. ნ. ჯმნა.

გბობა. უმგბარი 70,13 უხარზავი, ხარშვი რომ აკლია.

გემა, ე. არა ეგების არ შეიძლება. დაფარეად არღარად ეგებოდა 14,2; კაცისა წარუღენად არა ეგებოდა 16,6.

გემოსა ხილვა, ი, გემოს ნახვა, გემოს გასინჯვა. ძმათა საქმელი მოალეებისთვისა წინა და მისიცა გემოა იხილის 70,11; გემოსა იხილავნ (ღწისასა) 70,4.

გზა. გზითა გამო. მისითა გზითა 33,24 მის გამო, მისი მიზეზით; კრძალვისა გზითა 29,10 მორიდების გამო. გზის ჯერ: სამ გზის სანატრელნი 6,7; სამ გზის დაიტყუნა მონასტერი 116,9. ნ. საგზალი. გაგზავნა, წარმგზავნა.

გზება ნ. აღგზნება, მგზებარე.

გინა (კეშ., წარმოშობით ზმნა, მეორე პირის ფორმა). გინა უმეტეს 12,7; გინა შინა მონასტერსა, გინა გარე მეტოქთა 98,6—7. გინა თუ (ჩამოთვლისას): გინა თუ ზუცესნი, გინა თუ ლიკონნი, გინა თუ მეამობელნი 60,8; გინა თუ ზეთისხილი იყვის, გინა თუ ნიგოზნი, გინა თუ სხუად ხილი 98,7—8; გინა თუ მოვუნი, გინა თუ ჩაფლანი, გინა თუ ტყავი, გინა თუ საბლები, გინა თუ სელი 101,6—7. გინება. რაღენნი გინებანი 118 ბ, 6; გინებითა და შეურაცხებითა 118 ბ, 21. ნ. მოგინება.

გლახაკ 1. მათხოვარი. პოვა ვინ-
მე გლახაკი, რომელი ითხოვდა ქვე-
ლის საქმარსა 112,16; მრავალნი გლა-
ხაკნი ილუაწნა 112,6; ესევეთარი რა-
მე მისცაან გლახაკთა 104,20; მო-
ნასტერი ზრდის გლახაკთა 104,18;
რად ღმერთსა ებოძოს, გლახაკთა
მიუპყრობდით 42,2; ყოველთა გლახაკ-
თა ეურვიან 40,8.

2. ღარიბი, უქონელი (ათონის მო-
ნასტერნი) წუთლა გლახაკ იყენეს 30,3.

3. თავდაბლობის აღმნიშვნელი სი-
ტყუა თავის თავზე ლაპარაკის დროს:
აღწერილი გლახაკისა გეორგის მი-
ერ (სათაურში); გლახაკი ესე ერის
კაცი ვიყავ 33,21; ჩუენ გლახაკთა
გზობა 118 c, 17; მონანი ესე შენნი,
მწირნი და გლახაკნი 119,16; გლა-
ხაკება. რაათა... გლახაკებით ვი-
ყოფებოდი 33,23. აგლახაკე. მწირო-
ბით და სიგლახაკით ცხობება 5,3.

გლოვა, ე. ეგლოვდეს 113,7.

გმობა. იწყო გმობად 53,9; გმო-
ბასა მალისა მიმართ იტყვ 54,9; სი-
ტყუათა გმობისათა 54,7; რი-იგი
გმო 53,14; დაიყავნ პირი შენი მგმო-
ბარი 54,10.

გოდოლ მალალი და ვიწრო შენობა,
კოშკი. (ეფთუმეს სოფელი აქუნდა) გო-
დოლსა ზედა მალასა 58,7; აღვიდა
გოდოლად 105,9; კიბეთა გოდოლისა-
თა 105,10.

გონება 1. ფიქრი. ვჭგონებ, თუ
47,7; ვჭგონებდი 45,10; ნუუქუე
ვინმე ჭგონებდეს 6,5.

2. წარმოდგენა გონებით. ზოგათამე
გონებითა ევენების და ზოგათა შეხედ-
ვითა 91,3.

გრილ ნ. სიგრილე.

გუაღვა. გუაღვაე ფრიადი 55,1.

გუამ 1. სხეული. გუამითა ძლიერ
108,2.

2. წვერი. რაათა არა ყოველსა გუ-
ამსა კრებულისასა განეზავოს მაკუდი-
ნებელი იგი სენი 39,2 ბ.

გუემა. ცემითა და გუემითა 118 b, 8.

ი. ვნ. რ ი გუემაცა 118 b, 29.

გულ. გულ-კლებულ ნ. გულის კლე-
ბა. გულ-ფიცხელ 63,3 ჯიუტი.

გულება, ე. (და)პირება. ზემორე მე-
გულეზოდა თქუმა 6,1 ცოტა ზე-
მით ვაპირებდი თქმას; ეგულეზოდა
აღსრულებამ 39,1 აპირებდა (ე. ი.
მოელოდა) სიკვდილს.

გულის კლება წყენა. არა იყო
დრტუნვად გინა გულის კლებაი
68,2 ბ.; ფრიად გულ-კლებულ ვართ
36,4 ძალიან გვაკლია გულს, ძალიან
გვწყინს.

გულია სიტყუა საიდუმლო, გულის
ნადები, სურვილი. გამოლცხადა გულის
სიტყუა თჳსი 33,10; უნდოთაცა გუ-
ლის სიტყუათა ტირილით გამოუ-
ცხადებნ 27,4; მაქსიმესი რვათა გუ-
ლის სიტყუათა თჳს 49,5 ბ.

გულის წყრომა 68,3 გაჯაერება.

გულისხმის-ყოფა 45,5 გაგება, მი-
ხვედრა.

გულს-მოდგინებით 119,10 ბეჯითად.

ღ

და (ნაწილაკად ქცეული კავშირი).
კინღადა 48,9; 115,3 თითქმის.

დაბა სოფელი. მოუგნეს დაბანი და
სოფელნი 4,12; მოუგნეს დაბანი და
მონასტერნი 118,13.

დაბეჭდულ-ი (ეელოგია) 104,13 ბე-
ჭედ-დადებული, გაუხსნელი.

დაგება შერიგება (დაეგე პირვე-
ლად ძმასა შესა, მათე 5,24). ვიდრე
დაგებად მდე 63,4 შერიგებამდე.

დაგლეჯა. ფიცხელი შფოთი: გინა წუერთა და გლეჯაჲ გინა მიმთხუე-
ვაჲ 68,2.

დადგინება, ა, დაყენება, დანიშნება. მეკარესა მონასტრისასა ყოვლადვე ფრთხილსა და სულიერსა კაცსა დაად-
გინებენ 95,2; მამად დაადგინა 118,23; მე დამადგინა თქუენდა მსა-
ჯულად და განმგებელად 68,8.

დადგმა. სკამები საშოვალ დადგი-
ან 59,3.

დადგომა ვაჩრება. ჩუენ არა დაე-
დგებოდეთ 115,18 ჩუენ არ ვჩერდ-
ბოდით, არ ვდგებოდით.

დადგრომა, ა, დადგომა. და მასვე
ზედა დაადგრიან 63,3 და იმავეზე
დადგებოდნენ ხოლმე (ე. ი. იჯუტებ-
დნენ და არ შერიგდებოდნენ).

დადუმება ი (ჟობ.). და რად დაი-
დუმე 29,17.

დავედრება, 3, თხოვა. კელოსანთა
დაჰვედრებენ 65,5.

ე. ლოცვისა დაევედრა 111,2,
11 სთხოვა მილოცე(თ)ო.

დავიწყება. დაევიწყებად მოვიდა
118,35 დავიწყებულ იქნა.

დავრდომილ. ცხედარსა ზედა დაე-
რდომილი 33,30 ლოგინად ჩაეარ-
დნილი.

დათმენა, ი. მრავალი შრომაჲ და-
ითმინა 118 ბ, 29. შდრ. მოთმენა.

დათრგუნვა, ი, დატოვება, გაჩერება
თავის თან (?). დაითრგუნნის ეამ
რაოდენმე 83,2 დაითრგებდა (?) რამ-
დენიმე ხანს.

დათრობა, ა. (წუმამან) დაათრო
ყოველი ქუეყანაჲ 55,16.

დათუალვა, ი/უ, ჩათვლა, მიჩნევა.
ლოცვადვე დაუთუალის 60,7 ლოც-
ვადვე ჩათუვლიდა ხოლმე.

დაკლება, ა. ნურას დააკლებ 98,13;
ნუმკა ვინ იკადრებს დაკლებასა
119,8; დაუკლებელად 58,4.

ა—დ. ნუმკა რაჲ დააკლდების
ეპისტატსა 97,2; დაეაკლდით ტკბილ-
სა მას და საწადელსა მამასა 113,10.

[დაკაძალვა. დაჰკაძალა კარი
სენაკისად (სუნ. 60,3) დაჰშმა].

[დალტობა, ი ვნ. დაილტვენს
(სუნ. 59,1) დასველდნენ].

დამარხვა, (3)2 (ჟირ.), დასაფლავე-
ბა. თუსავან დაჰმარხა 44,2 ცალკე
დასაფლავი.

ი, დაცვა, შენახვა. მცნებათა ღმრთი-
სათა დამარხვაჲ 41,2; ესე წესი ვიდ-
რე აღსასრულადმდე თჳსად დაემარ-
ხა 107,6; ქალწულებაჲ შეუხებელი და
უბიწოჲ დაემარხა 108,13.

დამეცება, დ 2, უაუეთუ კულა პური
დაჰმეტდის 104,20 თუ პური მოჰრჩე-
ბოდათ ხოლმე.

დამკვდრება, ი/უ. კულად დაგკვ-
კვდრა ადგილი ჩუენი 118 ბ, 36.

დამოწმება, ი/უ, დაბარება. და-
უმოწმის, ვითარმედ: ამას ნულარა
იქმ 61,5; გაუჯმენ და დაუმოწმე,
რომელ უყამოდ არა მოვიდოდნ 95.4
გაისტუმრე და დააბარე, რომ უდროდ
აქ არ იარონ ხოლმე; მტკიცედ დაი-
მოწმა 76,3.

დამტკიცება. სხუათა რათმე წესთა
და კანონთა ენება დამტკიცებაჲ
115,4; სამართლობასა და დამტკიცე-
ბასა 118 დ, 12; დამტკიცებისა
ჩუენისათჳს 118 ბ, 15. **დამტკიცებულ-ი.**
დამტკიცებულ ი თჳსსა გულის სი-
ტყუასა 33,11 მტკიცე გადაწყვეტილება-
მიღებული.

ი/უ. ოქრო-ბეჭდითა დაუმტკიც-
ნეს 24,3. ესე ადგილი ნათესავსა ჩუენსა
დაუმტკიცონ 118 დ, 11.

დამცნება, ა, ბრძანება, სახელმძღვა-
ნელო განკარგულების მიცემა. დაამც-
ნინა 98,11; დამცივნია მეტრაჲ-
ზისადა 72,6; მზარეულისადა დაემც-

ნა 97,6; დაემცნა მამასა 100,3; ესრეთ დაემცნო 95,2.

დამწყხა. კეთილად დამწყესო საამწყესოჲ ესე 118,18.

დამპარვა დაქერა, ხელში ქონება. თნიერ მკედელთა და ხუროთა და გალატოზთა და მევენაგნთა და ნაიის მოქმედთა და სხუთთა ესევითართა ამის ესევითარისა ლავრისა დამპკირვაჲ ულონო არს 25,8.

ო. რომელიმე ლაშქართა განუყო და რომელიმე თუთ და იმპირა 21,8; რომლითა გაერებოდი, იგი ხოლო და იმპირა 98,12 რომლითაც თავეს ირჩენ მარტო ის დაიპირე (= დაიტოვე); მონასტერსა არა და იმპირანის (უწყურულნი) 92,3 მ—ში არ აყენებდა ხოლმე. დიდითა პარტივითა და იმპირეს 33,27

დამხედვარ ნ. ეპიტირიტის.

[დნაკ. გვხვდება სვინაქსარულ რედაქციაში, სადაც ის ვრცელი რედაქციის „მახლს“ უდრის. შეიშაბდა დანაკი ფრიად დიდი და ეძიებდა ვამსა მოკლედ დისა (სუნ. 59,3 ბ.); დაჩხუება და ნაკითა (სუნ. 60,9); მაგრამ იქვე მეორედ ნათქვამია: იგიცა დაჩხუება მახულითა].

დაპყრობა 118,37.

დარწმუნება. ღმერთმან დაგარწმუნოს 19,4; ფიცით დაგუარწმუნეს 52,9.

დასაბამ დასაწყისი. დასაბამი და აღასრული 2,3; დასაბამით განსოფლისაჲთ 2,18. როგორც ქრონოლოგიური ტერმინი „დასაბამით განსოფლისაჲთ“ მთაწმიდელთა ცხოვრებაში გულისხმობს ბიზანტიურ სათვალავს, ე. ი. 5508 წელს ქრისტემდე. ამიტომ, როცა ნათქვამია: აღესრულა მამაჲ ჩუენი ეფთაჲჲ „წელთა დასაბამით განსოფლისაჲთ 6536-სა წელსა“-ო (114), ჩვენს წელთაღრიცხვაზე გადმოყვანით ეს იქნება

(6536—5508=) 1028 წელი. შდრ. ინდიკტიონი [ქრონოლოგიური საკითხების შესახებ ნახეთ კ. კეკელიძის „წელთაღრიცხვა ძველ საქართველოში“: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, 1945, გვ. 325—341].

დასაყუდებულო 4,13 დაყუდებულის სამყოფელი [იგივე უნდა იყოს, რაც სოხასტერი (ნ.)]. წარმოება არ არის სწორი. მოსალოდნელი იყო ან „დასაყუდებელი“ ან „სადაყუდებულო“ (ნ.). დასდებელნი (მარხვითანი) 49,38.

დასლვა (მშისა) 69,3.

დასუნება, ი. რამცა ხატთა და იუსუნებდეს სენაკთა შინა 81,5.

დასხდომა. დასხდიან 59,5.

დასხმა დადება (პირდ. ობიექტიო მრავ.-ში). წესნი და განგებანი დაესხნეს მონასტერსა 58,2; წესთა, რომელ დაესხნეს მამასა ჩუენსა ეფთჳჲს 105,2.

ი/უ. 1. დადება (მრავლისა). დაუსხნეს სიმტიეცი 4,14. 2. (უპირდაპიროდ, მაგრამ მისი მრავლობითი ნიშნით) შეკაზმვა (ცხენისა და სხვ.). დამისხენ სავედარსა 112,13 შემკაზმე ჯორი [შდრ. დაესხნა კარაულსა თჳსსა III მეფ. 13,23 ო; ჰრქუა ძეთა თჳსთა: დამისხენით ჰე კარაულსა. და დაუსხნეს კარაულსა და დაჯდა მას ზელა, III მეფ. 13,13 ო].

ი ვნ. (სუბიექტიო მრ.-ში): გუამნი მითნი დაისხნეს საფლაგსა 104,32; (ნაწილი) დაისხნეს სამარხოსა ლუსკუმასა 113,14.

დატევება, დატეობა, ი/უ 3(2) (უირიბოდ), დატეება; ხელის აღება. რაჲთა სხუასა დაუტევებდეს წინამძღუარსა 39,10; არცა თუ მცირედი რაჲმე დაუტევა ეკლმწიფებასა ქუფე თჳსსა 26,5; დაუტევა ებსკოპობობაჲ 35,4; წინამძღურობაჲ მონასტრი-

სია დაუტევა 115,2; ესე ყოველი წარმოთქუა და აღწერით დაუტევა 43,1; არა ჯერ-ვიჩინეთ მოუქსენებელად დატეობაჲ ცხოვრებისა მათისაჲ 3,4.

დაბჟუენვა ტყვედ ჩადება ხელ-ში; გაძარცვა. დატყუენნა ყოველნი დიდებულნი 21,7; წინააღმდგომნი ჩუენნი დატყუენენ და ყოველივე დატყუენავი მათი შენი იყოს 21,3.

ი ვნ. სამ გზის დაიტყუენა მონასტერი 116,9 გაიძარცვა.

დაუბნება, ი, დალაპარაკება. კელარი დაიუბნის 70,12; შხარეული დაიუბნის 70,14; თუთ ვეილის შტოსა და დაიუბნის 58,1 ბ; დაიუბნის ძმანი სწავლითა სულიერითა 77,1; ეკლესიას დაიუბნის ძმანი 74,2; დაიუბნის წიგნთაგან და ზეპირით 68,5. ე. დაეუბნის შევაიენესა 70,4.

დაუკლმებლად 58,4.

დაურგება, ი, საურავი საქმის ვიკეთება. უკუეთუ საკრებულოჲ რაჲმე (საქმე) არნ, ძმათა უკმის და მათ თანა დაიურავის სამამოს 74,5; ვე დაურგება დმე ყოვლისა საურავისა 112,4.

დაუყენებლად ნ. დაყენება.

დალაკათუ 23,4; 40,4; 59,1; 104,8 თუმცაღა.

დაყენება შეჩერება. დაუყენებულად აღმოდინ (სიტყუაჲ) უწმიდეს ყოველთა ქართველთასა 46,9.

დაყოფა 1. დაზმა, გატარება (დროისა). მრავალნი წელნი დაყვნა სნეულებასა შინა 50,6; დაყენის დღენი მრავალნი 51,21.

2. იმოგება (სარკმლისა, კარისა): აქედან: ი ვნ. დაიყავნ პირი შენი 53,10; 54,10; დაიხზას, დაიხუროს (ე. ი. დაღუმდეს).

დაჟუღება განცალკეებით ცხოვრება (ბერისა). ბერი იოვანე გრძელის ძე

ცხოვნდებოდა დაყუდებით ოთხთა ეკლესიათა ლავრასა 35,2; იგიცა (ე. ი. არსენი ნინოწმიდელი) დაყუდებით ცხოვნდებოდა თვისსა მოძღუერისა თანა 35,7; სახედ დაყუდებისა 49,23. ნ. დასაყუდებულა.

დაშთომა დაჩრომა, დარჩენა. არცალა სიტყუაჲ დაშთომილ იყო მის თანა 45,11; რომელნი დაშთომილ ვიყვენით 116,8; შინა დაშთომილთა 60,4.

დაჩორჩა ჩორჩული, ხმა-დაბლა ლაპარაკი. იღუმალ დაჩორჩინიან 71,7 [შდრ. იხილა რაჲ დავით, რამეთუ ჩორჩინი დეს არასმე ურთიერთას მონანი იგი, II მეფე. 12,19 ო].

დაჩხუება დაჩენა, დაქრა. ივალა მახლი და უწყალოდ დაჩხუება სინატრელი იგი ძმაჲ 105,15; იგიცა დაჩხუება მახლითა 105,17.

დაცადება, ა, თავის დანებება, შეწყვეტა. აჲ უკუე დავაცადოთ ესევეთარისა ამის პირისათუ სიტყუაჲ 32,18; რაოდენიმე მოვიყსენოთ და სხუად იგი დავაცადოთ 30,7; კითილსა მას შრომასა თარგმანებისასა არა დავადებდი 50,11; დავაცადე სოფლიოთა მავათ საქმეთა უბნობაჲ 29,12.

დაცხრობა, ა, დაწყნარება. ეპიტრიტისთა დავაცხრენიან (ძმანი) 66,3.

დაძინება, ე. შინა ვიღუძებ და (ქკლეისისა) მით დამეძინებნიან 94,4.

დაწაშება, 3. განდგომილებად და ორგულეზად დასწამეს 116,5.

დაწესებულნი. უკუეთუ ვინმე არა მივიდის დაწესებულთა ზედა ცისკრისათა 60,4; შემდგომად დაწესებულთა წარვიდნიან (მშრომელნი) და გამოისუნინან 62,2 (ეს უნდა ყოფილიყო ცისკრის ლოცვა პირველი რეკის შემდეგ. მუშა ბერებს ნება ეძლეოდათ, რომ დაწესებულთა

შენდგე მოსვენებით მეორე რეკამდე).

დაჭირვება, ა, გაქირების მიყენება. უკე მტრისა საფრცქ არს, რაათა მცირისათჳს დიდი დაგაქირვოს 94,5.

დახედვა თვალ-ყურის დევნება. საფრავი და დახედვა და განგება (დაღისა ლავრისაჲ) 88,7. აქედან: დამხედვარ-ი (ნ. ეპიტირიტისთან).

დახრწვევა, ე. დაეხრწეოდა თარგმანებისაგან 109,6 ცდებოდა, ხელი ეწღებოდა თარგმნაში.

დახუდობა, 2, შეხედობა. ესეეთა-რი რად ჟამი დახუდა იოვანეს 19,1.

დაჯსნა, დ. დაჯსნდის 62,3 დაუძღურდებოდა ხოლმე (მუშაობისაგან); უდგზნი და დაჯსნილი 65,4.

დაჯჴვა დახურვა (კარისა). დაჰქშა კარი მოწაფემან 105,9.

დაჯღობა. დაჯღა... და განბჴო 118 c, 19—20.

დაჯერება, დ 2. უკუეთუ ვინმე ტრაპენსა ოდენ ვერ დასჯერდებოდის 80,11 თუ ვინმე არ დასჯერდებოდეს (ე. ი. არ იკმეებდეს) მარტო იმას, რაც ტრაპენიდან მიეცემა.

დგობა. საშოვალ ეკლესიასა დგობაჲ 59,3; ეკლესიის დგომასა მგნე, რ დგან იგი თვნიერ კუერთხისა 108,5; დგან იგი ეკლესიას 58,9.

დეკანოზ 59,6. P.P.-ის თანახმად (გვ. 41), ამ ტერმინით ძველად ქართულში აღინიშნებოდა *ἐκκλησιάρχος* (მღრ. კ. კეკელიძე, Литург. пам. 479, 868. 2 და Иерус. канонарь, 327).

დიად დიდად. დიად საქიროჲ საქმე 61,3.

დიაკონი, გინა თუ ხუცესნი, გინა თუ დიაკონნი, გინა თუ მეთაბოელნი 60,9; ხუცესნი და დიაკონნი 84,5; აღდგომისა დიაკონი 84,2; დიაკონობა. მრავალნი წელნი დაყენა დიაკონობასა შინა 84,5.

• დიალოღონ 49,51; 51,1 წიგნის სახელია (გრიგოლ პაპისა).

დიდებულ. დიდებული და წარჩინებული 7,2; საბერძნეთისა დიდებულნი 117,14; დიდებულნი ყოველნი 53,4; დიდებულთა და მთავართა პალატისათა 113,3.

დიკა 90,3 პურია ერთგვარი.

დრაჰკან (ნათ. დრაჰკნისა, ვით. დრაჰკნად) 31,17; 91,5 თავდაპირველად დარბეული ანუ დარიოს მეფის მოჭრილი ფული; შემდეგ ფულის ერთეული ოქროსი (აპარიანის ლექსიკონი II, 383). ჯურორ-ცუმისა ხატი ცულოანი დიდი, ას დრაჰკნად ფასებული 31,17; ოქრო-ბეჭედი განძისა ორას ორმოცდა ოთხისა დრაჰკნისაჲ 31,2; გაყიდეს მონასტერი იგი სამას ორმოც დრაჰკნად 86,4; უფროჲს ათას ხუთასისა დრაჰკნისა: უწერიან წიგნი 111,8; ამათი შირჩეენია შეწყნარებაჲ ვირე ათასიმცა ვინ დრაჰკანი მომცა 83,10.

დრისტი. სამჯერ დაიტყუნა მონასტერი და რააცა დრისტი ტურფაჲ იყო მამათა ჩუენთა მოგებული, ყოველი იაიარ-იქმნა, და ეგრეთვე განბი და კუმეში 116,9—11. ს. ორბელიანის მიხედვით, რომელიც ამავე ადგილს იმოწმებს, „დრისტი“ სასალუქო ტურქელს ნიშნავს, რომელსაც დ. ჩუბინაშვილი ასე თარგმნის: *изыясная посуда*; მე კი მგონია, რომ ეს არის სპარს. სიტყვა, რომელიც დღევანდელ სალიტერატურო ენაში დურუტს-ად გამოითქმის და ნიშნავს, სხვათა შორის, მთელს, სრულს, ნამდვილს. „დრისტი ტურფა“ —საუცხოვო რამ, საუკეთესო.

დრტჯვა უკმაყოფილება, პროტესტი. ყოვლადვე არა იყო დრტჯვაჲ 68,3 ბ; უდრტჯველად 12,6; 90,5.

დუჟა (dux) ძმა ვენევენტოს დუჟისაჲ 51,3.

დღე. დღე ყოველ 60,6 მთელ დღეს. დღე 84,10 დღიურად; შრომისა

დღე 73,2 სამუშაო დღე. დღისი დღისა. დღისი იგი ლოცვა მათი 60,6.

ე

ენების ნ. გება.

ეკვეთარ. საზოგადოდ ეს სიტყვა „ეკვეთარს“ ნიშნავს, მაგრამ ამ ძეგლში „სწავლულებრივ დღევიანდელი ამბიარის“ ნიშნავლობით იხმარება: არცა ვინ იყო ეკვეთარის კაცი, რომელმანმცა სრულყო ნება გულისა მოთისა 16,6; ეკვეთარმან მან განთქუმულმან და საინომან კაცმან 26,6.

ეგრე ვინაჲთგან ეგრე მოჰდა 68,7.

ეგრეთვე. ეგრეთვე მევაჲინენი 96,5; ეგრეთვე განძი და კუმაში 116,10.

ევლოგია (εὐλογία) ძღვენი, შესაწირავა, ფულადი დახმარება. ევლოგიასა წარსტემ 35,13; გინა თუ ევლოგიასა ვისმე წარსტემ 71,3; მრავალ გზის ევლოგიასა წარმოსცემდეს 104,12.

ეპისტატ-ი (ἐπιστάτης ზედამდგევი, მოძღვარი) „რომელ არს მუშათა უხუცესი“ 98,1.

ეპისტოლე (ἐπιστολή) სახელია ახალი აღოქმის ზოგიერთი წიგნისა, რომლებიც წერილის ანუ მიმართვის სახით არის დაწერილი და რომლებიც უმთავრესად პავლე მოციქულს ეკუთვნის. თარგმანებად გალატელთა და თესალონიკელთა და კრომიელთა ეპისტოლოლისა 49,36.

ეპიტრიტიხ-ი (ἐπιτρίτης). ორნი ეპიტრიტიხნი, რომელ არიან დამხედვარნი, დაედგინნეს, ერთი უხუცესი და ერთი უმრწემესი 60,1; 66,3.

ეპიტროპ (ἐπίτροπος) მზრუნველი, შეფი. განმგებელად და ეპიტროპად თვთმყრობელნი მეფენი განაწესა 40,1.

ერ ხალხი. ფრიადი ერი 112,22 (ან: ერი ფრიადი 56,2) ბევრი ხალხი; ყივილი ერისა მრავლისა 56,8; სხუად მოცალე ერი 73,3; ერისა საერავთა თანა 88,1; სხუადეა ერი მოსლვად არს 51,15; არა მცირედნი ნათესავნი და ერნი 33,5 (უკანასკნელ შემთხვევაში „ნათესავი“ და „ერი“ სინონიმურად არის ნახმარი). ნ. ერისგან-ი, ერისკაც, ერის კრება, საერო.

ერთ (მრ.-ის ფორმით: ერთ-ნ-ი—ზოგიერთნი). ერთთა ჩოვათა მიამთხუნ ღუეღითა 68,17. არცა ერთი რაა არაფერი, არავითარი. არცა ერთი რაა უქმს ჩუენმიერი ქსენება 2,5; არცა ერთი რაა ზრუნება აქუნდა 118,36.

ერთად. ყოველნი ძმანი ერთად შეკვერბით 118,4.

ერთგან ერთად. ენება, რაათამცა ერთგან იყენეს მონასტერისა 51,9. საწინააღმდეგოა თჳს-თჳს: ლიტონთა დღეთა თჳს-თჳს იღუწიდიან, ხოლო დღესასწაულთა და კარიობათა ერთგან აღასრულიან წესი ლოცვისა და პირი ერთგან იკსნიან 104,21—23. ნ. ერთად.

ერთი-მეორე. ერთი-მეორისა მემუეღი 68,19.

ერთმანერთ. ერთმანერთსა თანა უბნობად 67,1; ერთმანერთისა მიმართ 67,1.

ერთობა. ერთითა ერთობითა 118 c, 30.

ერისგან-ი საერო წოდებისა, არა სასულიერო. სამონასტრო ცხოვრებაში მისი საპირისპიროა „მონაზონი“: ანუ

მონაზონნი, ანუ ერისგანნი 98,1 ბ.; ორნი ერისგანნი ჰყვიან მსახურად და მსუეტლად 93,1; კელართადა ებძანა, რაჲთა ერისგანთა იგინი ისტუმრებდენ და უჯმნიდენ 95,5. სინონიმა „ერის კაცი“.

ერის კაც. იგივე ჩანს, რაც „ერისგანნი“. გლახაკი ესე ერის კაცი ვიყავ სოფელსა შინა მყოფი 33,21.

ერის კრება ხალხის შეკრებილება, აურ-ზაური. მოვიდა თუხი ჩემი თორნიკ და მისითა გზითა დიდთა შულლთა შთავარდი და ერის კრებასა 33,25.

ესე 1. (ზმნიზ.) ისე. ესე კულა 74,5; 81,1 ისე კი (?).

2. (ნაწილაკი). რომელნი-ესე 80,6. ეხვეითარ 1. 25,8; 101,7 ამგვარი.

ესევეითარსა მას მზაკუფარსა 118დ,8.

2. (ჩამოთვლის შემდეგ მრ.-ში) და ესევეითარნი ი. თ. ი. თვნიერ მქედელთა და ხუროთა და ვალატოზთა და მვენაწეთა და ნავის მოქმედთა და სხუთა ესევეითართა 25,8.

3. იმნაირი. ხ ხუცესი იგი ესევეითარი კაცი იყო, რლ 29,13.

ესეზომ. ჩვეულებრივ „ამდენს“ ნიშნავს. მაგრამ აქ „იმდენის“ გაგება აქვს:

ვან 5. სავანე.

ვაჲმე. ვაჲმე უბადრუქსა 111,12.

ვაჲნი 5. მევაჲინე.

ვე (ნაწილაკი). კაცნი, რომელთა ღირსევე არა იყო სოფელი ესე 80,4 კაცნი, რომელთა ღირსიცი კი არ იყო ეს ქვეყანა. ორნივე 55,1ბ.; მათ თანავე 89,6. ნ. ყოველ, ყოვლადვე.

ვედრება. 1. თხოვნა, ხვეწნა. ვედრებანი და ქენებანი 16,2ბ.; იწყეს ვედრებად მისსა 17,2; რაჲ ესმა ვედრებაჲ მითი 17,3; წიგნები ვედ-

ესეზომი მჭურვალეზაჲ აჩუნა 26,8.

ესთენ ამდენი. ესთენი განძი 97,4 (მიღებულია „ესოდენ“-ისაგან, რომელიც აგრეთვე გვხვდება (ნ. შედგომა).

ესოდენ 1. ამდენად. მას უამსა წუთლა გლახაკ იყენეს და არა განმრავლებულ ესოდენ 33,4; 2. იმდენად. ესოდენ ლმობიერ იქმნნიან 77,1.

ესრეთ 1. (ზმნიზ.) ასე, ამგვარად. პირველითან ესრეთ იყენეს 6,5; და ესრეთ ორნივე ჰმადლობდეს ღმერთსა 55,2ბ.

2. ისე. ვითარცა თუხი და მეცნიერი, ესრეთ მოიციოთეს 51,6.

ექსორია (გწიჲსა უცხო ქვეყანა, უცხოება). ექსორია იქმნა 116,6 გაძევებულ იქნა უცხო ქვეყანაში, გადასახლებულ იქნა. ექსორიობა. აღსრულა ექსორიობასა შინა 116,7; მიიცვალა ექსორიობასა შინა 118, 38, 41.

ეშმაკ. აღძრა ეშმაკმან 106,1. საბრწყეთავან ეშმაკისათა 119,3 ბ.; მახული იგი ხაეშმაკოა 105,15. ეშმაკეული-ი 44,4.

[ეჭა განცვიფრების გამომხატველი შორისდებული. ეჭა საკრველი დიდებული! (სუნ. 56,23)].

მ

რებისაჲ 19,3ბ. თხოვნის წერილები; ჰვედრებნი 97,2 ეხვეწებოდა ხოლმე. ე. მვედრებოდა 34,1 ეხვეწებოდა.

2. ლოცვა. ხატი ვედრებისაჲ 31,17; 32,6 ხატი, რომელზედაც შუაში მაცხოვარია მოთავსებული და აქეთიქით ხელგამაყრობილი ღვთისმშობელი და იოვანე მახარებელია დახატული, ე. წ. „ღვთის“. ე. ცრემლითა მჭურვალითა ვევედრებოდე ღმრთისმშობელსა 45,14.

ველაზმაგ ნ. მელაზმაგ.

ვენაჯ 1. (უმეტესად მრ.-ში). ვაზი. ფურცელი ხეთა და ვენაჯთაჲ გავმა 55,3; ახალ-ნერგ იყენეს ვენაჯნი 89,4; ვენაჯთი ასარევისა გინი თუ აჯოჯვისა 89,3.

2. ვაზნარი, ზვარი. მისცეს მუნვე ვენაჯი რჩეული, ხუთ ლიტრად ფასებული 32,12; უფროდანი ღლენი ვენაჯთა შრომასა შინა დაყენიან 89,6. ზვარი („ვენაჯნი“) იკონომოსის გასაგებელში შედიოდა (98,4—5), ამიტომ „ქელარსა ვენაჯთა ზედა ყურძნისათჳს არა ჰქონდა ჴელმწიფებაჲ“ 98,5. სავენაჯე (საქმე) 74,4.

ვერარა. ვერარაჲთ ვერ დაარწმუნა 104,6.

ვეშაპაკ 32,11 (შღრ. გამოსლვათა 28,13). ამ ძეგლში ვეშაპაკებად თათქო ლაქინჲ იგულისხმებაო (P.P., 27).

ვიღრედა 55,2; 77,4 ისე რომ, იქამდის რომ.

ვიეთმე, ვიეთნიმე ნ. ვინმე.

ვითა (— ვითარ, ვითარმედ) 1. როგორ. და თუ ვითა მოჰქდა, არა უწყი 33,24. 2. რომ. იტყუნ მაჲჲ; ვითა 83,9; უბრძანა, ვითა 55,10; შეეთუალა... ვითა 72,6; შეუთუალე, ვითა 72,3. 3. როგორც მაგალითად. ესე ქულა ვითა 115,24.

ვითარ-იგი 118 b, 25 როგორც მაგალითად.

ვითარმცა 70,16 ვითამც (ვითომც).

ვითარცა როგორც. ვითარცა ხედაჲთ 6,4; ძე ჩემი, ვითარცა ობოლი 11,5.

ვითარცა სახედ 118,27 როგორც მაგალითად. ვითარცა... ეგრეცა: ვითარცა ბრძანონ, ეგრეცა ჰქნენ 33,15.

ვინ ვინმე. უცხოჲ ვინ 29,20; რაჲთა არას ვინ ზრუნვიდეს 78,3; ვინა სხუაჲ ვინ 118c, 34. ვირე ათასიმცა ვინ ღრაჰკანი მომცა 83,10; რომელიცა ვინ სათნოებაჲ გამოიძიოს 108,11; არცალა შეფთა თანა მიც შესაპოვარი, არცალა სხუასა ვის 17,8; ვინცა ვინ 87,1 ვინც უნდა.

ვინაჲთჳან 8,1; 9,4; 10,1; 12,1 რადგანაც.

ვინაჲცა 40,9; 51,18; 105,7 ამიტომ.

ვინმე. მო-ვინმე -ვიდა მონაზონი 51,1. მრ. სახ. ვიეთნიმე. უჴუეთუ ვიეთნიმე შეილაღნიან ძმანი 63,1; უჴუეთუ ვიეთნიმე მოცალედ იყენენ 83,7; მოთხრ. (და შიცი.): ვიეთმე. უჴუეთუ ვიეთმე ტუჴვილით სიტყუად რაჲმე უთხრიან 76,2.

ვირე ვიდრე. ამითი მირჩევია შეწყენარებაჲ, ვირე ათასიმცა ვინ ღრაჰკანი მომცა 83,1 ბ.

ვლტ. ი ვნ. გაქცევა. ივლტით ჩუნგან 33,19 გავვირბინართ; რაჲთა ივლტოდის სპანიად 33,2; ივლტოდა წარსლვად 105,16. ე. ევლტოდა დიდებასა 9,2; 57,5 გაურბოდა. სივლტოლაჲ იჴუშია 8,7 გაიქცა.

ვნება 1. მრავალფეროთა ვნებათაჲთჳს 95,7. ე. ევნების 91,3. სავნებელი 91,5; მავნებელი 91,2.

2. ავადმყოფობა, სეტკივარი. არა რაჲ არს ვნებაჲ შენ თანა 46,6; ყოვლითურთ მთელი და უვნებელი 45,1 ბ.

ვრცედ დიდი, ოხширный. ესევითარისა ვრცელისა ლავრისა 25,8; ესევითარსა ამას ვრცელსა და დიდებულსა ლავრასა 117,9. ნ. განვრცობა, სივრცე.

ზ

ზაკუფა დანაშაულებრივი მოქმედება. რათაცა ღონითა ანუ მანქანებითა ანუ საფასისა სიხარბითა ანუ სიყუარულითა ბერძენთადათა ანუ კაცისა ვისმე შეპოვნებითა ანუ სხვთა რადთმე ზაკუფითა ეორგულოს 118 c, 1 ბ.; უზაკუფელი მორჩილებად 41,4; 41,9. მზაკუფვარი 54,6; 118 d; 9. მზაკუფარებათა ვან კაცთადასა 119, 3 ბ.

ზამთარ. უამსა ზამთარისასა 118 b, 22.

ზარ 56,7 დიდი შიში.

ზარღ ნ. ზარღა.

ზეგარდამო ზეციერი. ზეგარდა-მოკთა ბადლითა 58,1; 104,4.

ზედამიწვენი ზედმიწვენი, ზუსტად. უკუეთუ ზედამიწვენი თ არა იკოდთან 76,3.

ზედაახ-ზედა ზედიზედ. ზ.-ზ. მიუწერ 35,12; ზ.-ზ. მიუწერ 48,4; ზ.-ზ. ელბნებინ 53,5; 65,4; ზ.-ზ. მოვალნ 51,20; ზ.-ზ. მივალნ 90,6. წინამძღურათა ზ.-ზ. ცვალებად 110,3.

ზეთ. უკუეთუ ზეთი აკლდის (საქმელსა) 70,12; სამი ლიტრაჲ ზეთი 84,10; გაუკუეთეთ ზეთი წელიწადსა შინა მეტრაჲ ერთი 119,4—5.

ზეთისხილ 98,7; 100,4.

ზემო 1. (ზმნიზ.). ეა ზემო წერილ არს 118,14; ეა ზემო მოვიგსენეთ 118,33. 38. ზემორე ცოტა ზემოთ; რომლისა-იგი ზემორე მეგულებოდა თქუნად 6,1; ვითარცა-იგი ზემორე ეთქუთ 45,2.

2. (ზედსართ.). ამის ზემო წერილისაგან კიდე 32,16; კელინნი, რომელთა ზედა წააგეს საშენებლად: ზემოთა ზედა 500 დრაჰკანი, და ქუემოთა—100 დრაჰკანი 31,23. ზემონი ქუეყა-

ნანი 20,6 კოროხის სათავეში მდებარე ქვეყნები.

ზეპირით ზეპირად. დაიუბნის წიგნთაგან და ზეპირით 66,5.

ზიარება. ვიღრე უამისა ზიარებადმდე 55,15.

ზნონება ფრთხობა. სინედგრე მისი (ჯორისა) და ზნონებაჲ 112,16 („ზნონი“ და „მანკიერი“ ამ ძველში ჯორის მიმართ ხმარებისას(სინონიმებია).

ზოგ (ზრ. ზოგ-ნი), ზოგ-მე. ზოგ თამე გონებითა ევენების და ზოგ თამე—ზედღეთა 91,3.

ზოგად (ზმნიზ.) საერთოდ, საზოგადოდ (საპირისპიროა: თუთოეულად). ყოველთავე ზოგად და თუთოეულად კაცად-კაცადსა 30,5.

ზოგად (ზედსართ.) საერთო, საზოგადო. ზოგადითა განზრახვითა 118,3 (ამას უპირისპირდება ასეთი გამოთქმა: თუსსა ნებასა და განზრახვასა შეუღვა 115,4, ხოლო სინონიმური გამოთქმა: ერთითა განზრახვითა 118,4).

ზოგჯერ... ზოგჯერ 82,4; 96,2—3.

ზრახვა ლაპარაკი, მსჯელობა, კამათი. იწყეს ზრახვად შჯულისა 53,7; იძულა ზრახვად მისა 54,4.

ა, რჩევა: აზრახა მასცა მოკლვაჲ 106,2.

ე. რადთა ეზრახოს 53,6.

ზრდა კმევა, კვება. მონასტერი ზრდის გლახაკთა 104,18; გუზრდიდიან 118 b, 25. ნ. საზრდელ.

ზრუნვა. ზრუნვაჲ დიდისა ლებრისაჲ 88,5; 110,1; ყოველი ზრუნვაჲ და საურავი მონასტრისაჲ 50,4; დიდსა ზრუნვასა შინა იყენეს 16,6 დიდ საგონებელში იყენენ.

ზუაობა იშპარტავენება. ზუაობითა ჰურიებრივითა 54,2.

ზღვევა სასჯელი. ზღვევაა რამე სულგერი 29,7; რადთა ზღვევაა რამე მოვატყუა სულსა შენსა 29,11.

ზღუა. ზღუკსა გამოცდილება 25,5. ზღუთ შემოვალს 25,6; ზღუთ და კმე-

ლით 118 ხ, 18; იმერად ზღუადმდე 23,10.

ზღუდე. სახლნი, შუღლიტრად სყიდულნი ზღუდი თურთ 32,11; ცეცხლითა დაწუნის ზღუღესა შინა 78,2 ბ.

თ

თავ 1. დასაწყისი, მთავარი. სათნოებათა ყოველთა თავი მორჩილება არს 27,1.

2. თვითული მხარებლის წიგნი. თარგმანება იოვანეს თავისა სახარებისა 49,2; თარგმ. მათეს თავისა სახარებისა 49,40.

3. თავით თუხით თვითონ, თავისი ნებით. თუთ თავით თუხით ჰმსახურა 112,7; ჩუენ თავით თუხით არა რად აღგუწერია 4,3.

4. (უკუქც. სახელთნაცვ., იხმარება მრ. რ.-შიც). ვინაჲთა არა გუნებაეს მცირედცა იძულება თავთა თუხთა 80,9; არცა თუ წყლითა განიძლებდეს თავთა მათთა 80,4.

თავად-ი თვითონ. თავადი წიგნთა საღმრთოთა თარგმანებასა შეუღდა 109,9; თავადი მუჟდროებით ცხოვნდებოდა 118,23 (ზღრ.: თუთ თავით თუხით ჰმსახურა 112,7).

თავისა თავისი. კურაპალატისა და თავისა წიგნები 20,4; თავისა კრასოულისაგან კიდე 84,9; თავისა რადთმე საქმითა 118 დ, 2; რამცა ნახნა თავისა უფლისწულნი 85,4 [აქ „თავისა“ ნათ. ბრუნვის ფორმა ჩანს „თავ“ სიტყვისაგან, რომელსაც უკუქცევითი სახელთნაცვალის მნიშვნელობა აქვს. მის მაგიერად რომ „თუხი“ ჩავსვათ, ერთ შემთხვევაში გვექნება „თუხი“ (თუხის წიგნები); მეორეში „თუხისა“ (თუხისა

კრასოულისაგან კიდე), მესამეში „თუხითა“ (თუხითა რადთმე საქმითა), მეოთხეში კი—„თუხნი“ (თუხნი უფლისწულნი)].

თავს-ღება, ი, თანხობა (ღ), კისრება (ი), თავის თავზე მიღება. არა თავს იღებდა შფოთთა შთავრდომად 34,4; არა თავს-იღებდა არგნითა ეკლესიად შესლვად 75,1; არარას თავს-იღებდეს აღებად 104,9; ჯორთა მსახურებისა ლუაწლი ახოვნად თავს-იღევა 9,5; დალაცათუ უძნდა საქმე ესე იოვანეს, გარნა... თავს-იღევა 22,6; ფრიად აიძულა მეფემან ეფთუმეს, რადთა მიითუალოს განგება მისი (საყდრისა ეპიფანე კუბრელისაჲ), ხოლო მან ყოვლადეე არა თავს-იღევა 57,5; პირველითაგანეე უძნდა შულლიანობა და შფოთი, გარნა თავს-ეღევა მუნ ჯამდმდე 33,4.

თავვეღობა. იწყეს თავვეღობად და ამბოხებად 110,2.

თანა. ამის ყოვლისა თანა 50,10 ყველა ამასთან ერთად. თანავე ნაშინე. თანავე განვიდის 89,2.

თანა დახუღობა. რომელნი თანა დახუღენ და ეწაშნენ 118 დ, 8.

თანა ღგომა მხარში ამოდგომა, დახმარება. თანა-ღგომითა მამათა ჩუენთაჲთა 51,19.

თანა-ღება. თანა-გლუც 97,4 გემართებს, გვეელებს; თანა-მღები ყოვ-

ლისა ბრალისაჲ 33,22 დამნაშავე, ყოველგვარი ბრალის მიზეზი.

თანა მოღვაწე თანამშრომელი, თანამებრძოლი (საქმისა). რომელნი თანამოღვაწე ექმნეს 118 d,13.

თანა შეწვევა, ი, დახმარება (ი). მთავ ყოველი თანა შეიწიეს 117,4.

თანა წარკვლევა, 2-3., თანა წარკვეცილით 27,6 გვერდი აუუარეთ.

თარგმან 1. სხვა ენიდან გადმოღებული, მთარგმნელი, переводчик. ეგვიპტისა თარგმანი არღარა გამოჩინებულ არს ენასა ჩუენსა 47,6.

2. განმარტება, ახსნა, толкование. „მამაო ჩუენოჲსა“ თარგმანი 49,21; იოვანე მახარებელისა ხილვაჲ და ხილვისსა თარგმანი 49,24.

თარგმანება 1. (ზმნა) ერთი ენიდან სხვა ენაზე გადმოღება, переводить. ესე ყოველნი და ამათსა ფრიად უმრავლესნი წიგნნი თარგმანნა 50,1; ფრიადნი წიგნნი თარგმანნა 109,10; თარგმანებაჲ წიგნთაჲ 108,14; თარგმანებასა შეუღება 109,9; თარგმანებითა წმ. წერილთაჲთა 4,17; 118,17; დაეხრწყოდა თარგმანებისაგან წმ. წერილთაჲსა 109,6; კეთილსა მას შრომისა თარგმანებისასა არა დააცადებდა 50,11.

2. (სახელი) კომენტარი, толкование. თარგმანებაჲ სახარებისაჲ 32,5; თ. იოვანეს თავისა სახარებისაჲ 49,2; თ. ფსალმუნთაჲ 49,4; თ. მათეს თავისა სახარებისაჲ 49,40.

თარგმნა გადათარგმნა, გადმოთარგმნა (=თარგმანება 1), переводить. ხედვიდა რაჲ თარგმნასა წიგნთა საღმრთოთაჲსა 105,3; წიგნთა საღმრთოთაჲსა თარგმნასა შექუელუ 115,8; იწყო თარგმნად 47,5; შეუსუენებულად თარგმნინ 48,6; რაჲთა თარგმნიდეს 48,5; ქართულისაგან თარგმნა ბერძულად 5,16; თარგმნა წიგნნი 48,8; უფროსნი წიგნნი ლამით სანთლითა უთარგმნიან 50,13. მის მიერ თარგმნილთა წიგნთა შინა აღწერილნი ანდერძნი 5,10.

თაყუანის-ცემა თავის დაკვრა მოდრეკით. ახლად მოსრულთაჲ ქუე მოდრეკით თაყუანის-სცემნ 64,7; ვიდრე არა მოდრეკიან და თაყუანის-სციან მდაბლად 64,5.

თევა, ა. ღამეთა ათევენ 50,12. ნ. განთევა.

თეხლონიკელთა (ეპისტოლე) 49,36. თეხვა. სათესავი 90,2 რაციითეხება.

თიბა. თივისა თიბაჲ 90,2. თივა ნ. თიბა.

თითოეულ, თუთოეულ. თუთოეული 32,14; 39,9; თითოეულად 48,2 ბ.; თუთოეულად 16,12; 118 b,5.

„თუთოეულის“ საპირისპიროა „ზოგნი“: ყოველთავე ზოგად და თუთოეულად კაცად-კაცადსა ფრიადი საფასე განუყვეს 30,5.

თორმეტ. თორმეტი ათასი 21,4. ნ. ათორმეტ.

თოჯ. უფროსი სათესავი მთისა შინა იქმნებოდა თოჯითა 90,3.

თუ. 1. უქუეთუ, если. თუ ესე ვერ შეგიძლია 94,7; და თუ საჭიროჲ რაჲმე საქმე არნ 97,7; მაგრა კელართა მწუხრსა თუ რაჲმე ეკმარებინ 96,6. ნ. არცა თუ, თუ არა, თუ ვითა, თუ რა, თუ რაბამი, თუ უნდა.

2. რომ. ნუ ვინმე ჰგონებდეს..., თუ პირველთგან ესრეთ იყენეს 6,5; არცა-და ვგონებ, თუ 47,7; მე ვიცი, თუ 17,6; ნუ იტყვ, თუ კაცთა ვჰმსახურებ 70,15; თუკუეს, თუ მისთჳს უნდაო მეფობაჲ 116,5.

თულაჲ ნ. ათულაჲ.

თუ არა თორემ, თვარა (გურ.). აქა ნუ დაძინებ, თუ არა მძიმედ გაგკანონებ 94,8; მავას ნულარა იქმ; თუ არა 72,3.

თუე. თუესა შინა 84,9; თუესა მისსა 114,1

თუ ვითა, თუ ვითარ თუ როგორ. თუ ვითა მოჰდა, არა უწყი 33,23; თუ ვითარ იქმნა, ღწ უწყის 116,4.

თუ რა-მ. ხილედ, თუ რა-მ-ი იქმნა 45,4 ბ.

თუ რაბამ თუ როგორი. არა უმეცარ ხარ შენ, თუ რაბამი სიუყარული აქუს 33,13.

თუ უნდა და თუ არა 25,9—10 ნეთუსით თუ უნებლიეთ.

თუა. მე თკთ წარვიდე 112,14 მე სკითონ წავალ; თკთ თავით თქსით მქსანურა 112,7.

თუმპყრობელ 33,21; 40,1; 118 ბ,20.

თუთოეულ ნ. თითოეულ.

თუნიერ უ—ოდ, გარეშე. თუნიერ კუერთისა 58,8 უკვერთხოდ; თუნიერ მისისა ბრძანებისა 78,4; თუნიერ ცნობისა მეთეთადას 13,5; თუნიერ ყოვლისა მიზეზისა 16,15; 68,26 ყოველი მიზეზის გარეშე.

თუხ-ი 1. (სახელთნაცე.) თავისი. ამ მნიშვნელობით ხშირად იხმარება, მაგ., ქუეყანასა თუხსა 13,1; ნებისა თუხისა 27,2 და სხვაგან. „თუხი“ აღნიშნავს არა მარტო III პირის კუთვნილებას, არამედ სხვა პირებისასაც: არა გუნებავს მცირედცა იძულებად თავთა თუხსთა 80,10 (= ჩუენთად).

2. (არსებითი სახელი. როგორც ასეთს, მას უყოლია მსაზღვრელად მიიღოს „ჩემი“, „შენი“, „მისი“, „მათი“ და სხვ.). „თუხი“ უნდა ნიშნავდეს საზოგადოდ ცოლის შერთვის გზით დამოუყარებულს (свойственник) „ნათესავი“ კი—საერთო ჩამომავლობის მქონე პირს, მაგრიმ

ამ ძეგლში ეფთვმეს შემდგომი წინამძღვარი გიორგი ხან „თუსად“ არის ნახსენები, ხან „ნათესავად“: ეგვლეზოდა რაჲ (იოანეს) ისრაჟლებად, ყოველი კელმწიფებად და უფლებად მამისა ეფთვმეს მისცა... და მერმე შემდგომად თუსა უბრძანა, რაჲთა გიორგის დაუტეოს მამობად, რომელი-იგი თუხსივე იყო მათი“ 39,5; (ეფთვმემ) იჯმნა წინამძღვრობისაგან... და ესრეთ მოიცილა და თუსსა სენიკსა დაჯდა, და წინამძღვრობად მძათად შეჰვედრა გიორგის, რომლისათუხს ემცნო მამისა იოვანეს, თუსსავე ნათესავსა 109,8. ამივე ამბის შესახებ შემდეგ ნათქვამია: შემდგომად მცირელისა ეამისა (ეფთვმემ) იჯმნა წინამძღვრობისაგან და თუსი ნათესავი გიორგი მიმად დაიდგინა და თავიდი მყულროებით ცხოვდებოდა 118,23. თორნიკი იოვანეს „თუსად“ არის ნახსენები: მათ ეამთა შინა თუსა მისი დიდი თორნიკ თუსსა ქუეყანასა მონაზონ იქმნა 13,1; თვითონ იოვანე ჩივის: მოვიდა თუსი ჩემი თორნიკ და მისითა გზითა დიდთა შულლთა შთავგარდი 35,24. ე კიდე: ეა თუსი და მეცნიერი, ესრეთ მოიცილა 51,6.

თუხ (თანდ.) გამო. ეფთვმეს თუს 11,2; გარე განყუანებისა თუს 72,7; ფრიიდიერი საწმარ იყო სივრცისა თუს მონასტრისა და სიმრეილისა თუს სამსახურებელთადას 115,18; ამის მიზეზისათუს 35,14; 76,5; 77,5 ამ მიზეზის გამო.

თუხ-თუხ ცალკ-ცალკე. საპირისპიროა: ერთგან (ნ.).

თუხაგან ცალკე. თუსაგან დამპარხა 44,2.

თქუმულ, თქმულ თხზულება, ნაწარმოები. წმ. გრ. ნოსელისა თქუმულნი 49,20; თქუმული წმ. ი. დამასკელისა 49,26; თქმულნი მისნი 45,17.

თხემ-ი (შაისად) 56,3 მწვერვალი.

თხოვა მოწყალების თხოვა, მათხოვრობა. თხოვით აღვიდით სამეფუოდ 118 ბ. 22.

ი. აზნაურთა შვილნი მძევლად ითხოვნა მისგან 10,2.

ი/უ. გვთხოვე შერლობა 119,16. თხრობა, ი/უ. რა წარვიდეს და უთხრის 112,11; უთხრის 59,8.

o

იავარ-ყო 21,7 დავლად ჩივიდო ხელნა; იავარ-იქმნა 116,10 აკლებულ იქნა, გატაცებულ იქნა.

იგი 1. (პირის სახელთნაცვ.). ხოლო იგი წინააღმდეგა 33,10; იგი იყო შეწე მათდა 118 ბ, 1; და იგიცა წასანახავად ანუ საწერლად აინთიან 81,2; მოიკითხნეს იგინი მეფეთა 33,17.

2. (ნაწევარი) ჰურია იგი 53,8.

3. (ნაწილაკი) [=ც, ცა] რად-იგი 6,2 რაკ; რომელი-იგი 33,8; რომელმან-იგი 118 ბ, 14; რომელნი-იგი 30,3; რომელთა-იგი 118 ბ, 16.

იდუმალ ხმა-დაბლა, ჩურჩულით. იდუშალ დაჩურჩნიან 71,7; იდუშალ თხოვიან 71,9 (შდრ. საიდუმლოდ უბრძანის 58,10).

ივლის (თვე) 37,1.

ივნიხ (თვე) 55,1.

იკონომოს (*ἐκονομῶς*) 34,8; 58,11; 63,5; 74,5; 91,1; 98,2; 118 ბ, 34 მონასტრის მთავარ სამეურნეო საქმეთა გამგე; რომელსაც რამდენადმე ექვემდებარებოდა კელარიც (ნ.). თუ რა იყო იკონომოსის უფლება-მოვალეობა, ანუ მისი გასაგებელი, ეს მოთხრობილია 98 და 101 თავში. იკონომოსობა-ა 84,3.

იმერ-ი გადაღმა მდებარე (?). ვიდრე იმერად ზღუადმდე 23,10.

ინდიკტიონ. „ინდიკტიონი“ გულისხმობს 532-წლიან მოქცევასაც, მაგრამ სადაც ამ ძეგლში ინდიკტიონია ნახსენები, იგულისხმება ესა თუ ის წყე-ლი ე. წ. „მცირე ინდიკტიონისა“, რო-

მელიც უდრიდა 15-წლიან მოქცევას და რომელიც პირველად 1.IX.312 წელს დაიწყო. იოიანეს და ეფთჳმეს ათონის მთაზე მოღვაწეობის ხანამდე გასული იყო უკვე 44 ასეთი მოქცევა და 972 წელს დაწყებული იყო 45-ე. შემდეგი მოქცევები იწყებოდა 987, 1002 და 1017 წლებში. საშოალსა მისცეს ინდიკტიონსა 8 (8-სა) ლიტრად ათოთხმეტი გასაყოფელად ყოველთა და კულად ია (11-სა) ინდიკტიონსა გაუყვეს სხუად იდ (14) ლიტრად 32,1—3. [8-ე ინდიკტიონად, ე. ი. მოქცევის 8-ე წლად, აქ უნდა ვიგულისხმოთ ალბათ 980-ე წელი (972+8=980), როდესაც თორნიკი ახალ-დაბრუნებული იყო სკლიაროსზე გამარჯვების შემდეგ დიდი ნადავლით. სკლიაროსის დამარცხება კი მოსდა 979 წ. ლალისის ხეობაში]. შემდგომად თორნიკის სიკუდილისა იგ (13-სა) ინდიკტიონსა მთასა გასაყოფლად ლიტრად ოცდარვა 32,9; აღესრულა მამად ეფთჳმი თუესა მათსა ათცამეტსა, დღესა ორშაბათსა, ინდიკტიონსა ათერთმეტსა წელთა და საბამითგან სოფლისაჲთ ექუსათას ხუთას ოც და მეთექუსმეტესა წელსა 114,1—3. ჩვენში ინდიკტიონებს გამეფების წლიდანაც თვლიდნენ: «დაიწერა ბრძანება და სიგელი ესე ჩუენი ინდიკტიონსა მეფობისა ჩემისასა მეოცდაათერთმეტესა» (ბაგრატ IV-ის სიგელი 1058 წლისა: ა. შანიძე, ძვ. ქართულის ქრესტომათია, 1935, გვ. 96)].

იშვთ-ი იშვიათი. იშვთი დღს ვარ-
დაჯდის 78,4 იშვიათად გავიდოდა დღე;
იშვთ იშვიათად. იშვთ სადმე ნელიად
სიტყუაჲ მიუგის 71,2.

იძულეზა. არა გუნებავს მცირედცა

იძულეზაჲ თავთა თუსთაჲ 80,9; მი-
იუენის იძულეზით 53,3.

ი ე ნ. იიძულა ზრაზვად 54,4.

იწროება. გაჭირება. ქირითა და იწ-
როებითა 16,3; იწროებითა წა-
იღეს საწუთროჲ ესე 80,2.

ქ

კადნიერ გაბედული. დაღაცათუ კა-
დნიერ არს სიტყუაჲ ესე 40,4. კად-
ნიერება. კადნიერებითა მისითა
113,1 მისი (გაბედული) მეოხებით, მისი
შუამდგომლობით (?).

კადრება, ი, ბედვა, გაბედვა. ვერვინ
იკადრებდა 58,1 ბ.; არავინ იკად-
რებდა 95,10; არცა ვინ იკადრებ-
და 72,7; ვერარას იკადრებდეს უწე-
სოსა საქმესა ქმნად 98,13; ვერვინ
იკადრის განსლვაჲ 61,3; ნუშკა ვინ
იკადრებს დაკლებასა, და რომელმან
იკადროს 119,8.

კათალიკოზ 53,1, 4. ხაკათალიკოზო
(საყდარი ეპიტაფე კვრელისაჲ) 57,1.

კალაფატ-ნი-ი 98,4 *καλαφατες*, *navium*
stipatores (P.P.).

კანანახ (*κασιναρχης*) 84,1; 85,5 გა-
ლობის დამწყები.

კანდელ (*καθηλειον*) ზეთის სანთელი-
სუა კანდლისა მისგან 44,5; არა
იყო წესი, რაჲთამცა კანდლებსა ინ-
თებდეს 81,4. შდრ. ქორაკანდელ.

კანდელაკ (*καθηλιακους* მნათე)
119,7. შდრ. მნათე.

კანკელ (*καρκελιον*). კანკელი სა-
უფლოთა დღესასწაულთაჲ 32,4 *κυμα-*
riarum festarum Domini (P. P.); კან-
კელი ათორმეტთა მოციქულთაჲ (ხა-
ტი) 31,19.

კანონ (*κανων*) სხუათა რათმე წესთა
და კანონთა ენება დამტკიცებაჲ
115,4; კანონსა და შენდობასა ით-

ხოვნ 27,5; და თუსსა კანონსა, დიდ-
სა და მძიმესა, ძლიერად აღასრულეზ-
და 50,10; კანონსა და განგებასა
ზედა წმ. ბენედიქტესსა 51,2 ბ. ნ. რაჲ-
ლის კანონ.

კარ. კელრისა, კარსა რაჲთაურ-
თით არა გასწყდებოდა შეკრებად 95,6
(ე. ი. კართან, ეზომი?); ესე კელა კარ-
თა ზედა შეკრებასა 95,8. ნ. მექარე.

კაც (მრ. კაცნი ხალხი) დიდსა ურ-
ვასა მინა იუენეს კაცნი 55,4; კაცთა
ნათესავი 2,10 კაცობრიობა.

კაცად-კაცად-ი თვითეული, ცალკეუ-
ლი. ყოველთავე ზოგად და თვითეუ-
ლად კაცად-კაცადსა ფრიადი
საჲჲჲ განუყვეს 30,5; კაცად-კაცად-
დისა კელა მიცემული 32,13.

კდემა, ე (ობ. წყობით). და არა
გეკდ იმეზისა 79,3 ბ. და არ გრცხვე-
ნინან?

კეთილ. კეთილად ჳხენებული ნე-
ტარ-ხსენებული, ცხონებული (გარდა-
ცვალებულის ხსენებისას). ფრიად საყუ-
რელი და საკეთარი კეთილად ჳხე-
ნებულისა დავით კურაპალატისაჲ 7,7.

კელაპატარ (*καρδιακταιρη?*) 32,8 ცვი-
ლის სანთელი დიდი ზომისა.

კელარ (ფუძე იკლშვება: კელრისა,
საკელრო) [ლ. *cellarius*, ქართულში
ბერძნულადან] 70,12; 95,6; 96,5 მო-
ნასტრის გარკვეულ სამეურნეო საქმეთა
გამგე, რომლის უფლება-მოვალეობა გან-
საზღვრულია 98-ე და 101 თავში: „აპო-

თიკი და ბოსტანი ზა წისკელნი კელ-
რისა საურავნი იყენეს და ამათგანსა,
რადცა ვის ეკმარებინ, კელარი ეურ-
ვინ იკონომოსსა თინა და მამასახლისსა“. მისივე საურავი იყო აგრეთვე ხილი (ზე-
თისხილი, ნიგოზი და სხე, გარდა ყურ-
ნისა). აქედან: საკელრო 96,1; 100,5.
როგორც ჩანს, კელარი ორი იყო: კე-
ლარნი კულა სამხრად ყოვლადვე სატრა-
პეზოს მივიდიან, ერთი პირველსა და
მეორე მეორესა ტაბლასა 96,3—4.
ამიტომ სიტყვა მრ. რ.-შიც იხმარება:
კელართა და ებრძანა, რაჟთა ერის-
განთა იგინი ისტუმრებდენ 95,5.
შდრ. იკონომოს.

კელინი (ლ. cella — *κελλιον*, ქართულ-
ში ბერძნულიდან) 66,3 საცხოვრებელი
ოთახი (მნიშვნელობით იგივე ჩანს, რაც
სენაკი). კელინნი, რომელთა ზედა
წააგეს საშენებლად: ზემოთა ზედა 500
დრაჰკანი და ქუემოთა—ასი დრაჰკანი
31,22 (შდრ.: ალაშენნა კელინნი კა-
რიიანანი: ალაპები, გვ. 270,18).

კენდინარი (ლ. centenarium, *κεντηναι-
ριον*, ქართულში ბერძნულიდან) „ასიან-
ნი“ (ე. ი. ას-ლიტრიანი). უფრომს ათ-
ორმეტისა კენდინარისა მოილო გან-
დი ოდენ 26,2. ჰრ. აკარიანის სიტყ-
ვით, დასავლურ სომხურში კენდარი-
(*կենտար*) უდრის ოსმალურ „ყინთარს“,
ანუ 44 ოყის, 56 კილოს (ეტიმოლ. ლექ-
სიკ. III, i 930, გვ. 1141). ი. მანანდი-
ანის ანგარიშით კენდინარი იწონიდაო
32 კილოსა და 640 გრამს (იქვე). [შდრ.
„უბრძანა მოღებდა ოქრომასა და მისცა
ორი კენდინარი პორფირის ენისკო
პოსსა“ (ცხორ. პორფირი დაზავლისაჲ,
P. P.-ის გამოც. Analecta Boll., LIX,
: 941, გვ. 167, § 53)].

კერძი ნ. ჰმელით ეგრძ-ი.

კერძო-ნი მხარე. კერძოთა სპა-
ნიისათა მიმევალი 33,7 სპანიის მხა-

რეს, სპანიისაჲ; წარვიდეს კერძოთა
პონტოკოსათა 35,15.

კეც-ალ: ორ-კეცად და სამ-კე-
ცად ღვიან, და სკამები საშოვალ და-
ღვიან და, ოდეს ჯერ-არნ, ვერეთვე ორ-
კეცად და სამ-კეცად დასხდიან
59,3—5 (ორ-კეცად=ორ რიგად),

კიდე 1. (არს.). ნაპირი. ცეცხლისა
კიდეცა 82,3.

2. (ზნინზ.) ცალკე. რაჟთა კიდე
თავისუფლად თუსი მონასტერი ალაშე-
ნონ 23,3; რაჟთა კიდე, შეუკავშირდენ
პურსა 69,6.

3. (თანდ., ერთვის განდართულ
ნათ. ბრუნვის ფორმას) გარდა. ჩუენი
შემწე დავით კურაპალატისაგან კიდე
არავინ არს 16,4; თუსისა ენისაგან კი-
დე არცა მან იცოდა, არცა მან 52,4;
სხუათა ტურფათაგან კიდე 26,3; ამის
ზემო წერილისაგან კიდე 26,3; თავი-
სა კრასოვულისაგან კიდე 84,9.

[კიდეგან-ი. სართად და კიდეგან-
ნად ყოველთა მოღუაწეებათა (სჯნ.
61,5)].

კითხვა, 3-პ., *спрашивать*, ი, 1.
იკითხის მხარეულისაგან 82,3.

2. *читать*. აქედან: მკითხველი
(ნ.); წიგნის კითხვასა 59,6.

კილო 5. ლილო-კილო.

კიცხევა ლანძღვა. კიცხევაჲ და
ბასრობაჲ 118 ხ, 30.

კლენა, ა. აკლან (წიგნნი) 47,2. ნ.
დაკლება, ნაკლულეგან.

კმა. რომლისა-იგი სახელი ოდენ
კმა არს 5,7; კმა არს 80,8. კმა-ყო-
ფა, ი, კმარება (ი). ძმათა პურსა და კრა-
სოვულსა მათსა კმა-იყოფდეს 104,8.

კინნ-ლა, კინნა-და თითქმის. კინნ-
ლა უკატრულ 90,2; კინნა-და შეუ-
ძლებელ არს 48,9; კინნა-და უმე-
ტესნი წესთაგანნი 115,3.

კოვზ. ფეხშუბები კოვზითურთ და ბრწყკლით 31,8 [ჯაჭვ: P. P.-ის მიხედვით, რომელიც იმოწმებს W. Nissen-ის წიგნს: Die Diataxis des Michael Ataleiotes von 1077. Jena 1894, p. 81].

კოკა (როგორც საწყაო). კოკაჲ ერთი ღვწოჲ 84,9.

კოკობ-ნი 82,2 ქოთნები.

კრახოველ (კრახაველ:?) ღვინის საღმისი, კახთა. იკონომოსისა განწესებული შუდი კრასოველი იყო. და ოდეს ტრაპეზსა დაჯდის მწუხრსა, ოთხი კრასოველი მიართუან 100, 1—2; (გვრპელს) მისცეს მოწაფს და გაკუთილი შეუქმნეს, თავისა კრასოველისაგან კიდე, კოკაჲ ერთი ღვწოჲ თუესა შინა 84,9; ძმათა პურსა და კრასოველსა მათსა კმა-იყოფდეს 104,8.

კრება. მეექვსე კრებაჲ (49,43). [იველინსხეზა მსოფლიო საეკლესიო კრება კონსტანტინეპოლს 680—681 წ.წ.]. ეკრის კრებაჲ 33,25 ხალხის შეკრებილება, აურ-ზაური (?).

კრებულ მონასტრის პირადი შედგენილობა, სოხასტრებში მყოფი პირების გამოკლებით. უკუეთუ მოვიდის ვინმე ქართველი, რომელსა კრებულსა შინა შეეძლის მსახურებაჲ, რადცა ეგმარებინ, ყოვლითავე ფერთა აღაშენის; ხოლო უკუეთუ კრებულსა შინა არა ენების ყოფაჲ, სადაცა სოხასტერთა მონასტრისათა ენების დაჯდომად, პურსა არაინ უყენებნ ქართველსა 115, 20—24; კრებულსა შინა მყოფნი 93,5; რა კრებული მშულობით იყოს 76,6; ყოველთავე წესთა კრებულისათა მჭურვალედ აღსრულებისათჳს 77,9. საკრებულო (საქმე) 74,3.

კრულობა. კრულობითა და შეჩუნებითა განკანონა 39,12.

კრძალვა მორიდება. კრძალვისა გზითა 29,10 მორიდების გამო; კრძალულემა. მოსწრაფებითა და კრძალულებითა 58,9; მორჩილებისათჳს და კრძალულებისა 77,7.

კუალად 1. კიდევე. მერმე კუალად თავიცა თჳსი 8,5.

2. ისევე. კუალად უცხოებასავე მიჰმართა 12,3.

3. ამას გარდა. და კუალად ძმანი ყოველნი ძლიერად შურებიან 83,6. „კუალად“ ხშირად ახალი ამბის მოთხრობას იწყებს. მეგ., 84-ე თავში მოთხრობილია ილარიონ კანანახის შესახებ, შემდეგ — გვრპელისა (თ. 85) და ათანასე პერიოთურელის შესახებ (თ. 86). ორი უკანასკნელი თავი „კუალად“—ით იწყება: კუალად მოვიდა გვრპელი (85,1), კუალად მოვიდა ათანასე პერიოთურელი (86,1). ეს „კუალად“ შეიძლება ასე ითარგმნოს: ამას გარდა. ნ. კიდევე თავები 90, 92, 106. შდრ. კულა.

კუართ 79, 6, 8, 10, 19, 21.

კუღინება ნ. მაკღინებელი.
კუეთება. აქა-იქი ეკუეთებოდა 112,20 აქეთ-იქით ეხეთქებოდა (დამფრთხალი ჯორი).

კუერთხ 58,8; 75,3; 108,5 ჯოხი (სატარებელი).

კუთ ნ. საკუთარი.

კრიაკე (კრახაქ) პირველი დღე შვიდეულისა, კვირა (დღე). დღესასწაულთა და კვრიაკეთა 73,1; **კრიაობათა**, კვრიაობათა კვირაობით. დღესასწაულთა და კვრიაკობათა 77,1; დღესასწაულთა და კვრიაკობათა 104,22 დღესასწაულებზე და კვირაობით.

კულა 1. (ზმნიზ.) კვალად, ისევე. და უკუეთუ კულა ქმნის-და 61,6 (შდრ.: და უკუეთუ მეორედ ქმნის-და 67,3).

2. (საპირისპირებელი კავშ., დისმის ყოველთვის მეორე ადგილზე, მაშინაც

ი, როდესაც სახელს ახლავს განსაზღვრება, წინ თუ უკან, ან მოსდევს თანდებულს) კი, კიდევ, ხოლო, ჯე. მოსენაეთა კულა მოწაფენი 97,5; სხუად კულა სავმარი 101,5; სხუად კულა ძმათაგანი 71,5; კაცად-კაცადისა კულა მცემული 32,4; ეკლესიასა კულა შინა 58,1 ბ. ხშირია მისი ხმარება სხვა კავშირებთან: ვინაძთაგან, ოდეს, უკუეთუ: ვინაძთაგან კულა: ვ. კ. გმობასა მალლინა მიმართ იტყვ 54,9; ვ. კ. ნეტარმან იოვანე შეისუფნა 6,11. ოდეს კულა: ო. კ. შინა არა არნ 99,3; ო. კ. ანუ ზეთი ივიდის ვინმე 81,7; ო. კ. რაამე წარსაცემელად სავმარ არნ 98,8; უკუეთუ კულა: უ. კ. ბერნი და უძღურნი იყვნინან 60,10; უ. კ. გულ-ფიცხელნი იპოვნინან 63,3; უ. კ. ვინმე იხილნის უდებნი 65,3; უ. კ. წინააღდგომა ვინმე იკადრის 66,4; უ. კ. მე აქა მცირედ გწუბართანე 68,10; უკუეთუ მარჯუედ არნ (ლწნო), არარად ბრძანის, უ. კ. ანუ

ძმრიანი არნ ანუ მეტი წყალი ერთის 70,5; უ. კ. შინა არა იყვის 100,2 და მისთ. სხვა შემთხვევები: რომელნი კულა ანუ მოცალეებით იყვნინან 60,7; ესე კულა ვითა 115,24 ისე, როგორც (აქ კულა'ს მნიშვნელობა ჩემთვის ნათელი არ არის); ესე კულა სხუანი. საქმენი წურილინი 74,5 ისე კი სხვა წერილი საქმეები; ესე კულა სყიდა ვინა ღვინისა 81,1 ისე კი ყიღვა ან ღვინისა; სხუად კულა არა იყო წესი 81,4 სხვაფრივ კი (?) არ იყო წესი.

კუმაშ 116,1 ბ. (არაბ. كوماش ქსოვილი). [„კუმაში“ ამჟამად სვანურში „საკონელს“ ნიშნავს (უმთავრესად ხარს ან ფურს), ჩვენს ძველში კი ქსოვილებს უნდა აღნიშნავდეს].

კუნძულ 31,3.

კურაპალატ (კურაპალატის) 7,3; 10,2; 16,4; 18,5; 19,3 ბ.; 20,1; 21,4; 46,1.

კურთხევა. მაგალითები ნ. სავსენებელთან.

ღ

ღავრა (ღაპრა) 4,7; 16,9; 22,3; 25,2; 40,6 დიდი მონასტერი. ითონის ქართველთა მონასტერი „დიდ ღავრად“ იწოდება (30,2; 31,1; 88,4; 110,1) ან „გრცელ ღავრად“ („ეგვიეთარისა გრცელისა ღავრისა 25,8). აქედან; ღავრელ— 69,6 (იგულისხმება უთუოდ დიდი ათანასეს ღავრის წინამძღუარი (ამ ღავრაზე საუბარია 12,4-ში).

ღაღვა წაკიდება, ჩხუბი. ნ. შეღაღვა.

ღაღვა ხუმრობა. უკუეთუ ვინმე იხილო ვინა უბნობად ვინა სიცილად ვინა ლილობად ტრამეზსა ზედა 72,2. ღაშქარ (სპ.). რომელიმე ღაშქართა განუყო 2,8; საღაშქართა საქმეთა 29,2.

ღაღანი (ღაღანი). [სვნ. 58,31] საყოველთაო ღოცვა ეკლესიის გარეთ მუხლ-მოდრეკით და მხურვალედ. იმართებოდა დიდ დღესასწაულებზე და რაიმე განსაცდელის დროს. საღაღანი (ჯგურა) 31,15.

ღიჭონ (დღე) სადაგი, სამუშაო დღე. საპირისპიროს: დღესასწაული და კარიაკე; ღიტონთა დღეთა თუსთუს იღუწიდიან, ხოლო დღესასწაულთა და კარიობათა ერთგან აღასრულიან წესი ღოცვისა 104,21—22.

ღიტრა (ღიტრა, ლ. libra) 31,5, 6,21; 84,8 საწყისო ერთეული, დაახლოებით გირანქა. რომაული ლ. (ძველად) = 327,45 გრამს, არაბული ლ. („იტლ“, ამჟამად) = 449,28 გრამს.

ლოქნა პირფერობა. შეპონენებანი და ლოქნანი 115,16.

ლმობა, ე (ობ. წყ.) ტკივილი. რაა გელმის 46,4 რა გტკივა; ყოვლადე არლარაა მელმის 46,7 სრულიად აღარაფერი მტკივა; ფრად ელმოდა 105,4, ელმოდა გული მისი 118 ხ, 10, აქედან: საღმობა და ლმობიერ.

ლმობიერ გულ-მტკივნეული, გრძნობიერი. ესოდენ ლმობიერ იქმნიან 77,4 ისე მოგრეოდათ ხოლმე გრძნობა; ლმობიერად დგეს (ლოცვასა) 94,6.

ლოცვა, ი/უ. ულოციან 104,13 მადლობას გადაუხდინენ ხოლმე.

ლოცვის-ყოფა: ლოცვა-ყვიან 52,6; რაათა ლოცვა-ყოფა 53,15 რომ ილოცოს; ლოცვა-ყოფა 53,16 ილოცა.

ლტობა, ი ვნ., (და)სველება (დ). ცრემლითა ილტობვოდეს 113,4.

ლუსკუშა (γλαυκώμα, ქართულში სირიულიდან) ლარნაკი, მიცვალებულის ნაწილენის დასაცავი კუბო (ს. ორბელიანით: „მაღალი საფლავი“). ნაწილნი მისნი დაისხნეს სამარხოსა ლუსკუშასა 113,15.

ლზინება ცოდვების პატიება, შემსუბუქება. ზემევე ყოსს და ყოს ლხინება 45,15.

ქ

მაგიერ. ქირისა მაგიერ 90,2 მაგ ქირისაგან, მაგ ქირის გამო (შდრ. გარდამოჭედ მაგიერ ჯუართ, მათ. 27,39; მარკ. 15,30 ვადმოლი მაგ ჯვარიდან; იხილე მაგიერ ადგილით დაბად. 13,14 ა).

მაგრა (- მაგიერად ?) 1. მაგრამ, სამაგიეროდ. კელარნი კულა სამარად ყოვლადე სატრაპეზოს მივილიან და ეგრეთვე შეევეინენი. მაგრა კელართა მწუხრსა თუ რაიმე ეწმარებინ, შინა იქმარიან 96,3—6.

2. მაშინ, იმ შემთხვევაში (?). განკარგულება იყო ეფთუმესვან, რომ საჭმარი (გაკუეთილი და სხვ.) ძმებისა და ხელოვანთათვის კელარს მიეცა, ამიტომ იკონომოსთან არაივინ მიდიოდაო. შემდეგ განკარგობს ბიოგრაფი: უკუეთუ მაშა შინა არა არნ, უკუეთუ კულა სტუმარნი ეინმე მოვილიან, მაგრა იკონომოსმან განაგოს 101,4.

მაის (თვე) 55,1.

მაკაბელთა 31,13 ძველი აღთქმის წიგნის სახელია.

მაშა მონასტრის წინამძღვარი. მაშამან ეფთუმე წინამძღურობა მონასტრისა და დუტევა და გიორგი მაშად დაადგინა 115,2; (ეფთუმე) იჯნა წინამძღურობისაგან და თჯი ნათესავი გიორგი მაშად დაადგინა 118,23; და მერმე შემდგომად თჯა უბრძანა (იოვანემ ეფთუმეს), რაათა გიორგის დაუტეოს მაშობა 39,5 [აქედან ჩანს, რომ „წინამძღუარი“ და „მაშა“ სამონასტრო ცხოვრებაში სინონიმებია! წინამძღუარი არის „მაშა“, სხვი ბერები კი—ძმანი“. ოდესცა ეკლესიას შევილოდიან,—პირველად მაშა ეფთუმე და მერმე ძმანი ყოველნი 64,1. საშაშო 68,15; 69,6; 74,5 მაშის დარბაზი. მაშობა 1. წინამძღვრობა. მე, მაშამან გიორგი, მაშობასა ჩემსა მოვცვალენ ნაწილნი წმ. ეფთუმესნი 119,2. 2. მაშობაა შენი (ან: მაშობაა თქუენი) შენი (ან: თქვენ) [ირიბი ნიშართვისა ბერისადმი]: რააცა მიბრძანოს მაშობამან თქუენმან 19,3.

მამახახლის მონასტრის წინამძღვე-
რი, ანუ მამა. ესრეთ განაწესა, რაჟთა
თუთოელი მამახახლისი, შემდგო-
მად თჳსისა აღსრულებისა, სხუასა დაუ-
ტევებდეს წინამძღუარსა 39,9—10;
არცა პროტი, არცა სხუანი მამახახ-
ლისნი 88,3; მამახახლისნი და
სხუანი ძმანი მონასტრისანი 35,3;
ძმუთი დღე გარდაცდის, რომელსა ათი
ანუ თხუთმეტი მამახახლისი არა
მოვიდის მათ წინაშე 88,4; იკონომოსსა
თანა და მამახახლისსა 98,3; გინა
მამახახლისი გინა იკონომოსი
118 c, 4 ბ.

მანღა 36,4 მანღ.

მანღრინ (მანჳრჳ ბაკი, გომი). მან-
ღრინნი 98,4 მწყემსები (?).

მანკიერ ზნიანი, ფთხობა რომ იცის.
იყო ჯორი იგი მანკიერი და მათ არა
იკოდეს სიმედგრე და ზნოანებამ მისი
112,15; მანკიერმან მან საველარმან
112,19 (მანკიერი ამ შემთხვევაში—
ისეთი, რომელიც ფთხებდა). ნ. უმანკოა.

მანქანება (მარქანება) მოტყუება, მო-
ხერხება. რაჟთაცა ღონითა და მანქა-
ნებითა 118 c, 3 ბ.

მარილ. მარილიან მლაშე, უმარილო
მარილი რომ აკლია. უკუეთუ (საკმელი)
უმგებრი იყვის, ანუ უმარილოა ანუ
მარილიანი 70,13.

მარტო. მან ხოლო მარტომან იგ-
ნარენ 80,12.

მარტოდ მყოფი 104,3 განდევილი,
დაუღებული (ბერი).

მარტულია სულიწმიდის მოფენის
დღე (აღდგომიდან 50-ე). ლოცვანი წმ.
მარტულიისანი 49,45.

მარჯუე 1. კარგი. გემოსა იბილაენ
(ღვინისასა) და, უკუეთუ მარჯუედ
არნ. არარაჲ მარძანის 70,4; რაჟთა
მარჯუედ ექცეოდინან 65,5. 2. თრითა-
თავე მარჯუე კაცი, რომელიც მარცხე-

ნა ხელსაც მარჯვენასავით ხმარობს;
აქედან საზოგადოდ: ყოჩალი. და ესრეთ
რაჲ ეურვოდა, მისცა ღმერთმან კაცი
ორითავე მარჯუე და სავსე გო-
ნიერებითა 118 ხ, 12.

მარჯუენეთა ნ. ნაწილ-ი მარჯუენე-
თა-ე.

მაღალ 1. მის ნეტარისა საყოფე-
ლი სიმაღლესა იყო, გოდოლსა ზე-
და მაღალსა 58,7. 2. ღვთის ებითე-
ტი. გმობასა მაღლისა მიმართ იტყუ
54,9; 3. გადატანით ზნეობრივ სიფაქი-
ზეზე: კაცი მაღალი სათნოებითა 35,3.

მაშენებელ (მონასტრის) აშენებელი
ესეცა ენება, რაჟთამცა სახელი მაშე-
ნებელთა და აღმოჰყოცეს 118 ხ, 9; მა-
მათა ჩუენთა და მაშენებელთა
118 d, 14.

მაშინ 69,8.

მაშურალ მუშა, მშრომელი. მშრო-
მელთა და მაშურალთა და განეწესა
62,1 (აქ „მშრომელი“ და „მაშურალი“
სინონიმები ჩანან).

მაშფოთებელ ნ. შფოთ.

მახლობელ. შორიელთა და მახლო-
ბელთა 5,13.

მახლობელად (მოითხოვს მიცემითს):
მ. სენაკსა 52,3.

მაჯღ 105,7 [სიხიბაკსარულ რედაქ-
ციაში ამის ნაცვლად „დანაკი“ არის].

მბრძოლ მებრძოლი. მბრძოლი
იგი წმიდათაჲ ბელიარ 105,1; მბრძო-
ლი ჩემი ფთუჲმე 105,6 (ამბობს ეშმაკი).

მგზავნა ნ. წარმგზავნა.

მგზებარე რომელიც ანითია („აგ-
ზია“). ცეცხლი მგზებარე 56,7.

მდაბალ 84,9 თავმდაბალი. ნ. სიმ-

დაბლე.

მემობხნე 106,1 ნ. ბოსტან.

მებრ მხოლოდ, მარტო(?). და თჳთ
მებრ მათ საქმეთაგან 5,6 (შდრ.: ყო-
ველნი იგი გუნდნი მართალნი და მებრ

ხ წი იელტოდეს: სახისმ. 20,48; წადიერ იყვნეს ხილვად მებრ ხატისა მისისა: ილირ. ქარი. 80,18; დიდად სარგებელ ეყოფოდრა შევითხუევა მებრ ოღენ მისი. ib., 80,22. სამაგიეროდ სულ სხვა მნიშვნელობით იხმარებოდა უფრო ძველად ეს სიტყვა: ვითირმე წიგნი იცის ამან, რ უსწავიეს მებრ არა, იოვ. 7,15 C უსწავიეს მებრ არა—სრულებით არ უსწავლია; მქედელი რკინისა მებრე არა იპოვებოდა მათ ჟამთა ქუეყანასა ისრაელისასა I მეფ. 13,19).

მეგანძორთა უხუცეს 85,1. ნ. განძ.

მედგარ. ძველად „მედგარ“ საზოგადოდ ზარმაცს ნიშნავდა („მიგუოლე კინკელისა ღჰბაძავდ, შ მედგარო“: სახისმ., 15), მაგრამ აქ ეს სიტყვა მონაზონზეა ნათქვამი, რომელმაც ეფთჳმეს მოკლა განიზრახა და ორი მისი მოწაფე „დაჩხუპა“: ხ მედგარმან მან აღიარა მტერის-მიერი აღძრვა თვისი 105,3 ბ. („მედგარი—საძაველი?). ნ. სამედგარე.

მევაჟინე მწღე. კლარნი სამხრად ყოვლადვე სატრაპეზოს მოვილიან, და ეგრეთვე მევაჟინენი 96,5; დაეუბნის მევაჟინენსა 70,6.

მევენაჟენი 25,7.

მეკარე. მეკარესა მონასტრისასა ყოვლადვე ფრთხილსა და სულიერსა კაცსა დაადგინებნ 95,1; რა მეკარე უჯმნიდეს 95,8.

მელაზმაგ. მელაზმაგისა (ველაზმაგისა BCD) ხატებითა 31,16.

მენავენი 98,4.

მეორე. მეორესა ხ წელსა 37,1. მეორედ 67,3.

მეოტ ვინც მიბრბის. მეოტად წა რიქცია 21,6 ვააქცია (ომში გამარჯვების შემდეგ).

მეობ 43,4; 113,12 შუამდგომელი (ღმერთთან); მეოხება 117,7; მეოხებითა 118 d,18; 119,11.

მერმე. პირველად მამა ეფთჳმე და მერმე ძმანი ყოველნი 64,2; უკუთუ კულო (მამა) შინა არა არნ, მერმე გააგებნ ეკონომოსი 96,3 (აქ „მერმე“ = მამინე?).

მეტადრე ცოტა უფრო მეტად. რნი მეტადრე უძლურნი იყენიან 75,3.

მეტოქ (ματρυχη) მონასტრის კუთვნილი, მაგრამ სხვაგან მდებარე დროებით სამყოფი სახლი. გინა შინა მონასტერსა გინა ვარე მეტოქთა 98,7; კლარნი ზედაჲს-ზედა გავიდოლიან მეტოქთა 98,10.

მეტრა (ბერძნ.) გაუკუეთთ ზეთი წელიწადსა შინა მეტრაჲ ერთი 119,5.

მეტრაჲჳე 70,3; 71,6; 72,1, 6. სასაღილოს გამგე. ნ. ტრაჲჳ.

მეუფე მეფე. იხმარება მხოლოდ „ზეციერის“ მიმართ: კაცთ-მოყარებითა ქეს მეუფისათა 41,10. მაგრამ: ნიქი სამეფოჲ 33,1 ბ. (ზღრ. საქმე სამეფოჲ 74,2).

მეფობა. მეფობაჲ თქუენი—(ირიბი მიმართვისას მეფისადმი). მეფობასა თქუენსა ურჩ ვერ ვეჴმნიბო 19,11; მეფობაჲ ჩუენი (თავისთავზე საუბრისას): რაჲთა იოვანე-თორნიკ მოვიდეს მეფობისა ჩუენისა 16,3 ბ.

მეუ თვალის დახამამება. მეყსა შინა 45,10; მეუსეულად 16,9; მჳის 112,19.

მეშუელ. ასაბიაჲ და ერთი-მეორიაჲ მეშუელი 68,20.

მეცნიერ 1. მცოდნე. დაცალათუ ყოველსა საქმესა მეცნიერ იყო 74,6. აქედან: მეცნიერება ცოდნა. ძმათა უჴმის, რომელთა აქუნ მის საქმისა მეცნიერებაჲ 74,3. ნ. შუჯლის მეცნიერი.

2. ნაცნობი. ვა თვისი და მეცნიერი, ესრეთ მოიკითხეს 51,6; მეფენი მეცნიერ იყენეს აბუჰარბისა 10,6; და

ეწა გარდამოაგლო (ეფთჳმე ჯორმან), ფრიადი ერი შეერბა მის ზედა, რ ყოველნი მეცნიერ იყვნეს 112,22.

მეჯორე 93,1.

მზაკუვარ, მზაკუვარება ნ. ზაკუვა. მზარეულ 70,14; 82,3; მზარაულ 97,6; მზარეულობა 12,7; სამზარეულო 82,2; 96,3.

მზევალ. ნ. მძევალ.

მთავარ. მეფენი და მთავარნი 41,6; მოქალაქეთა, დიდებულთა და მთავართა დღ პალატისათა 113,3; სევასტოფორი, კაცი წირჩინებული მთავართა შორის დედოფლისათა 16,10; მთავართა შორის დავით კურაპალატისათა 7,3; მის ეამისა წარჩინებულთა და მთავართა წინაშე 115,9.

მთავარ-დიაკონ 79,1.

მთავარ-ეპისკოპოზ 57,3.

მთავრობა. რომელი იგი მას ეამსა მთავრობდა ავიდოსს 33,8.

მიანჩრილება ნ. მიუანჩრილებელ.

მიგება, მოგება, ა 3, ანაზლაურება, გადახდა. ათას წილად მიიგენ უფალმან 118 ხ,27; მიიგენ ქრისტემან ათას წილად 118 ა,22; ღმერთმან მოაგოს სულსა შენსა 18,7; ი/უ, პასუხის მიცემა. უკეთუშეცა ჩუენ გუკითხვედ, მიიგეთმცა 54,9.

მიგებება, ე. დიდითა პარტიეთა მიგებენეს 22,1.

მიღება (ბრალისა), ი, პასუხისმგებლობის თავის თავზე მიღება. ყოველი ბრალი მამამან ათანასი და მამამან იოვანე მიიღვეს 17,1 ბ.

მიღრეკა. ყოველნი მიღრიკენეს 117,5 ყუყლანი გადახარეს, მიიხრეს. შირ. განდრეკა.

მიღრეკობა. მიიღა მიმართ მიღრეკა 115,12 მათვენ გადახარა.

მიერიოჯან 6,12; 14,6; 29,19; 46,9 იმ ხნიდან, მას შემდეგ.

მიზეზ. ამით მიზეზითა 115,17 ამის გამო; ამის მიზეზისათჳს 35,4; 118,26 ამის გამო; თწნიერ ყოვლისა მიზეზისა 16,15; 68,26 ყოველი მიზეზის გარეშე, უთუოდ; თწნიერ დიდისა მიზეზისა 89,7; თწნიერ ეპისწირვისა ანუ დიდისა რადსმე მიზეზისა 70,2; რადთა მიზეზ ცხორებისა ექმნა სულსა მათსა 51,14; მიზეზითა მრავალ-ფერთა ზრუნვათადათა 109,5 მრავალ-ნაირი ზრუნვის გამო; მიზეზისათჳს შრომისა 69,7; მიზეზი გარდაეკუეთა, რადთა არას ვინ ზრუნვიდეს 78,3 ყოველგვარი (თავის გასამართლებელი) მიზეზი მოესპო, რომ...

მიზეზობა. მრავალთა მიზეზთა ვმიზეზობთ 80,10 მრაველნაირი მიზეზი მოგვეყავს თავის გასამართლებლად.

მიით იმიტომ. შინა ვილჯებ და (ეკლესიასა) მიით დამეძინებინ 94,4.

მიითუალგა, ი 1. მიღება, ჩაბარება (ი). წიგნები მიფეთდა მიითუალა 20,2; რადთა მიითუალოს ზრუნვეა მონასტრისადა 34,1; რადთა მიითუალოს განგება მისი (საყდრისადა) 57,4; უკუეთუ მადლობით მიითუალოთ 68,10.

2. მიღება, მიჩნევა. სწავლად მისი ეწა წამალი მიითუალიან 70,2 ბ.

მიითხრობა, ი/უ, მზობა. მოკლითა სიტყვთა მიიგითხრა 6,3 მოკლედ გიამბობთ.

მილიონ (μῆλον, ლათინურიდან) რომაული მანძილის საზომი, საკუთრივ 1000 ნაბიჯი, შემდეგ საერთოდ 8 უტრევიანი (დაახლოებით კილომეტრ-ნახევარი).

მიმართება, მომართება (3) 2 (უპირად). კუალად უცხოებასავე მიმართა 12,3; მას მომართა 13,3; (გლობაქი) აღდგა შემოსილი ძონძებთა და მომართა მიღება დქველისა საქმისა 112,18; სხუანიცა მოგუმართებენ 15,5; ქართუელნი მოგუმართებენ 23,3

მიმთხუევა, ა, ცემა, დაკრა, დარტყმა. ერთთა ჩოჯათა ზედა მიაამთხუ-
ან ლუელითა 68,18; ფიცხელი შფო-
ან: გინა წურეთა დაგლეჯამ გინა მი-
მთხუევაჲ 66,2.

ე, მიღწევა; შეხვედრა. მიემთხუ-
ნეს მამასახლისსა 35,15; ღირს გუჟვე-
ნინ უფალმან ნაწილსა მას მარჯუენეთა-
სა მიმთხუევად 1,12.

მიმოსლვა 118 ხ, 18, მიმოსულა
115,14.

მიმოტაცება. დიდსა ლელეასა და
მიმოტაცებასა შთაცვევნით 116,8.

• მანდობა. მინდობაჲ თავისა თუხი-
საჲ 107,3 *полагаться на самого себя*;
მინდობითა ტებალსა მას მოწყალე-
ბასა და სახიერებასა 40,4 *полагаясь*.

მინიჭება ბოძება, მიცემა. შეიღისა
მინიჭებითა 5,6.

მიპურობა, ი/უ, მიცემა, მიწოდება;
გადაცემა. რაჲ ღმერთსა ებოდოს, გლა-
ხაკთა მიუპურობდით 42,2; რაჲთა
მოპპარსნე და მიზნე ცხოვრებისა ექმნა
სულსა მათსა და ღმერთსა მიუპურნე
51,14—15.

მისლვა ღმრთისა გარდაცვალება.
შემდგომად მრავლისა ჟამისა ღმრთი-
სა მიმართ მისლვისა 4,2;
ღმრთისა მივიდა 29,22; 38,2.

მიუარდილებელ ღრდილ-მიუდგომე-
ლი. ნათელსა მას მიუარდილებელსა
113,11.

მიუწომელ რასაც ვერ მისწვდება
კაცი (ფიზიკურად თუ გონებრივი წარ-
მოდგენით). მიუწომელითა სახი-
ერებითა 1,4.

მიქცევა, მოქცევა, ი ვნ., 1. მიბრუ-
ნება, მო- (დ). კულად მიიქცის თუ-
სავე მონასტერსა 51,21; აქავე მოიქ-
ცა 26,2; მოიქცა პირი მისი 53,3 ბ.
პირი მოელრიცა.

ე. მიზრობა (ე). ბერძენთა მიიქცა
115,19; 118,37; გარდაიქცეს და მიიქ-
ცეს ჩუენთა წინააღმდეგობა 118 ც,27.

მიღება ნ. წაღება (ი/უ).
მიღმართ მიმართ. ეგვიეთართა მათ
მიღმართ 65,2.

მიყოფა ნ. ჭელის მიყოფა.

მიგრდნობა. თანიერ კურთხისა და
კედელსა მიყრდნობისა დგან იგი
58,8; 108,6; (უძღურნი) დგან მიყრ-
დნობით კურთხთა მითთა ზედა 75,3.

ე. კედელსა არავინ მიიყრდნო-
ბინ 59,2.

მაშეება, ი/უ (გარდამ., უირ.), გა-
შეება, არ დაშლა, დაშეება. უკუეთუ
მიგიშუნე აპას საქმესა ზედა 68,6;
უკუეთუ უწურთველად მიგიშუნე
68,9; უკუეთუ უძღურთანი იყენიან (კო-
ქობნი), მიუშუს 82,4.

მიც (— მიძს, ძირია: ძ) მაქეს. არ-
ცალა მეფეთა თანა მიც შესაპოვარი
17,8.

მიცვალება (წე ღრისა, ღრისა მი-
მართ, ან მხოლოდ ზნა), ი ვნ., გარ-
დაცვალება. მიიცივალა ექსორიობასა
შინა 118,38; უფლისა მიმართ მიიცი-
ვალა 118,33; წინაშე ღმრთისა მიიცი-
ვალნეს 104,26; მიიცივალნეს წე
ღმრთისა 105,20.

მიწა (დღევანდელი მნიშვნელობით).
გინა განსცეს მიწაჲ 118 ძ,2.

მიწერა, ი/უ. მიუწერეს წიგნები
36,2 მისწერეს წერილები; კურაპალატო-
ცა ზედაჲს-ზედა მიუწერნ 35,12.

* მიჭირ, დ 2, გაჭირება (ი/უ—დ)
ღილად მისჭირდა ქუყიანასა 55,2.

მიჭირვება, ა 3, გაჭირების მიყენე-
ბა, შეწუხება. რა არარას მიაჭირ-
ვებდენ 65,5.

მიხუდობა. ვა მიხუდებინ 73,3
როგორც შეხედებოდა.

მკითხველ. რა არა საწყინო ვიქმნ-
ნეთ მკითხველთა და მსმენელთა
30,8; და იგიცა, რნი მკითხველნი
იყენიან 81,2.

მკვდრ 1. მოსახლე, მცხოვრები. ქართველნი არა მცირედნი ნათესავნი და ერნი მკვდრ არიან მუნ 33,6 სახლობენ; რა ქართველნი ოდენ იყვნენ მონასტრისა ამის მკვდრნი ყოველნი 25,3; უფალმან... სასუფეველსა ცათასა მკვდრ გვჩინენ 118 d, 18.

2. პატრონი, მემკვიდრე. მკვდრად და განმგებელად დაუტყვევ ნეტარი ევთჳმი 1:8,15.

მნათე. აჰჳამად „მნათე“ ყველაზე დაბალ მსახურს ეწოდება ეკლესიაში, მაგრამ ძველად რა უფლება-მოვალეობა ჰქონდა მას, ეს გამოარაკვევია. დეკანოზი ოდეს აწუევენ ანუ მნათე გინა წიგნის კითხვისა გინა წარდგომასა 59,6. შდრ. კანდელაჳ.

მობაძავ ვინც ჰბაძავს, მბაძველი. ანგელოზთა (ანგელოსთა) მობაძავნი 4,16; 104,4; ანგელოსთა მობაძავსა 113,6; მობაძავნი ბათნი 104,3; 118,29, 31; მობაძავად წმ. მოციქულთა 5,8; მობაძავ ყოფად 1,11; ეკლესიანი ცათა მობაძავნი 4,11.

მოგება, ა. ნ. მიგება. ი. შეძენა, შოვნა. რა არცა რას მოიგებდეს 78,4; უკუთუ ვინმე საფასე მოიგის 78,8.

ო/უ. მოუგნეს დაბანი და სოფელნი 4,12; მოუგნეს დაბანი და მონასტრნი 118,13; მოგებულ—შეძენილი (116,10); მონაგები 8,3; 30,5.

მოგინება, ო/უ—დ. დიდად მოუგინდის 68,20 ძალიან გალანძღავდა ხოლმე.

მოგუ ჩქემა. სხუად კულა სავბარი ოკონომოსისაგან ითხოვიან: გინა თუ მოგუნი გინა თუ ჩაფლანი გინა თუ ტყავი 101,6.

მოგუნი, 3. მიველად მოჰგუარეს მიუფსა 10,4.

მოდ (ლ. modius, ქართულში ბერძნულიდან) თხევადისა და მარცვლეულის

საწყაო (დაახლ. 8³/₄ ლიტრი). ნავი ხუთასისა მოდისაჲ 31,22 (500-მოდისანი ნავი ზემო მოყვანილი ანგარიშით, დაახლოვებით, 4 ტონა-ნახევარიანი იქნება; სხვა ანგარიშით მოდა=დაახლ. 2ბ ლიტრს, 26×500=13000 ლ., ე. ი. დაახლ. 13 ტონა. უფრო სავარაუდებელია უკანასკნელი).

მოდრეკა მოხრა. ქუე მოდრეკით თაყუანის-სცემენ 64,7. მოუდრეკელთა 19,9 მოუხრელობა, მტკიცედ დგომა თავის გადაწყვეტილებებზე. ნ. მუქლის მოდრეკა.

მოზავება ბლომად მოზიდვა. მოზავებელ სულიერთა მონაზონთა საყოფლად 23,12.

მოზიდება (ან: მოზიდვა?) მოწყევა; მოზიდნის ნელად 58,12.

მოთმენა, ი. არცა თუ ეგების, რადენნი ლუწლნი მოითმინეს 118 b, 17. შდრ. დათმენა.

მოკითხვა, ი, მისალმება; მიღება. კუთილად მოიკითხეს 10,8; პატივით მოიკითხეს 18,4; პატივითა მოიკითხნეს იგინი მეფეთა 33,17.

მოკლედ: მოკლითა სიტყუთა 6,2 მოკლედ.

მოკუეთა, ი (ნებისა თვისიან),—ხელის აღება, უკუგდება. ყოველივე ნებათუხი მოიკუეთა 26,8.

მოლხინებით 55,3ბ. მხიარულად. ნ. უმოლხინეს.

მომადლება, მადლის მოცემა, მონიკება. ღმერთისა მომადლებითა 23,6.

3-პ. ღმერთსა მოუმადლებია შენდა 47,3. ი, მადლობის დამსახურებე (ი) ვისგანმე. დიდად მომადლა 21,10.

მომართება ნ. მიმართება.

მონაგებ შეძენილი ქონება, შეძლებ ქონება სასოვდლოდ. მონაგები მათი იავარ-ყო 21,7; ყოვლითურთ მონაგებით 118 c, 21; მონაგებნი და სიმ-

დიდრე 8,3; საფასენი და მონაგებნი 79,16; ფრიალნი საჭმარნი და მონაგებნი მისცნეს 30,5. ნ. მოგება.

მონახვა დათვლიერება. მოჰნახვიდიან ხილნართა 98,10.

მოპარხვა ბერად აღვეცა. შეგუნდეთ, ვერ მოგპარსავთ 83,3; რაათა მოჰპარსნენ 51,14.

ი ე ნ, რაათამცა მოიპარსნეს 83,2.

მორეწა, ი. ქირით შოვა, მოჯამავირეობით შოვა. არცა იყიდდეს და არცა გაჰყიდდეს და არცა რას მოირეწოდეს და არცა დას მოიგებდეს 78,4.

მორჩილ. ვა იყო ყოველსავე ზელა მორჩილი 47,5. **მორჩილება**. სათნობათა ყოველთა თავი მორჩილება არს 27,1; მორჩილებისათვის და კრიძილულებისა 77,6; მორჩილებითა 93,6.

მოსაჯხენებელ 118 c, 28 მემორანდუმი.

მოსენაე 97,8; 103,1 სენაჰმი მცხოვრები ბერი, $\alpha\lambda\epsilon\iota\acute{\alpha}\nu\eta\epsilon$ [როგორც ჩანს, ზოგ ბერს ცალკე ოთახი ჰქონდა, უმეტესობა კი საერთო საცხოვრებელში იყო. მოსენაეს მოწაფეები ჰყავდა (97,5—6). ეს იყო, მაშასადამე, წარჩინებული ბერი].

მოსწრაფე სწრაფი (საქმეზე), დაუზარებელი, მეტად მონდომებული, გულმოდგინე. ფრიალ მოსწრაფე იყო 28,2; რა მოსწრაფე იყვნენ მოსლვად ეკლესიად 58,5; რაათა აღსრულებად მათდა (ბრძანებათა) მოსწრაფე ვიქმნებოდით 2,13; უკეთუთ ვინმე იხილნის მოსწრაფენი ძმანი 65,1. **მოსწრაფედ**: კუალად მოსწრაფედ შეიქცის 61,4; მოსწრაფედ შეუღდა ბრძანებასა მისსა 47,5; ადრე შევირყევით და მიმოსულასა მოსწრაფედ შეუღდებით 115,14; მოსწრაფედ მისლვისათვის ეკლესიად 77,8. **მოსწრაფება**.

დიდი მოსწრაფეებად აჩუნდა 117,3; ყოველივე მოსწრაფეებად აჩუნდა 118 b, 15; ყოვლითა მოსწრაფებითა 57,5; 52,9.

მოტყუება, ა. თავს დატება (ა). შემთხვევა (ა). არა მნებავს, რაათა ზღვევა რაამე მოვატყუა სულსა შენსა 29,11.

მოულრეკელობა ნ. მოდრეკა. **მოურნე** მზრუნველი. კუალად აღველგინის ლნ მოურნენი და გუზრდიანი 118 b, 25. ნ: ურვა.

მოქალაქე ქალაქის მცხოვრები (= $\pi\omicron\lambda\iota\acute{\alpha}\nu\eta\epsilon$). მოქალაქეთა, დიდებულთა და მთავართა და პალატისათა დიდი სარწმუნოებად და სიყუარული აქუნდა (ეთუჟმესი) 113,2 (აქ კონსტანტინეპოლის მცხოვრებლები იგულისხმებიან); მრავალნი მოვიდინა მოქალაქენი და სხუთა ადგილთაგან 83,1 (აქაც კონსტანტინეპოლის მცხოვრებლები უნდა იგულისხმებოდნენ).

მოღვაჯაობა მოღვაწეობა (= $\pi\omicron\lambda\iota\acute{\alpha}\nu\eta\epsilon$). უწყებად ღირსისა მის მოქალაქობისა მათისა (სათ.); საღმრთოთა მოქალაქობითა ცხოვნდობოდეს 37,5; ღმრთისა მოქალაქობასა შინა მიიცვალა 118,33; ცხოვრებანი და მოქალაქობანი 2,9.

მოქცევა, ა. 1. მობრუნება. ჰმადლობდეს ლა, რა კუალად მოაქცია მწვდობით 22,4; (ლნ მეფე) წყალობად ჩუნდა მოაქცია 118 b, 5b.

2. მოქცევა ქრისტიანად გაქრისტიანება. რამცა მოაქცია იგი ქრისტიანედ 53,5.

მოღება, ი. სივრძე ეამთად ყოველსავე დავიწყებად მოიღებს 2,1.

მოღუაწე ნ. თანა-მოღუაწე. **მოღუაწება** მოქმედება, შრომა. სენაკას შინა მოღუაწებითა მისითა 108,8; თვისთავე მათ მოღუაწებისა სენაკათა 104,2 b;.

წინაძღომითა და მოღუაწებითა 118 b, 2 b.

მოშურნე ნ. შურ.

მოჩუენება, ი/უ. მოჰნაზვიდინი ხილ-
ნართა, მუნ მყოფთა მოღუენიან და
დაამცინიან 98, 11.

მოცალე (მიმლ.) მოცილილი, ვისაც
სცალიან. სხუად მოცალე ერი 73, 3;
უკუეთუ ვიეთინიმე მოცალედ იყე-
ნენ 83, 7.

მოცალეზა. რომელნი მოცალე-
ბით იყენიან 60, 7.

ო (უობ.). იჯმნა წინამძღურობისაგან

და ესრეთ მოცალა 109, 7.

ე. არა მოცალეზინ ძილი 60, 6
ძილისთვის არ ეცალა ხოლმე.

მოცვალეზა ადგილიდან დაძვრა და
გადმოტანა. მოცვალენ ნაწილნი
წმ. ეფთჳემსნი 119, 3.

მოცთუნება, ა, მოცდენა. ნუმცა რად
დააკლდების ეპისტატსა, რლ არა შე-
წუხდეს და ოცდაათი ანუ ორმოცი მუ-
შადა-არა მოაცთუნოს 97, 3.

მოძილ ძილის გუნებაზე ჰყოფი,
მთელუძარე. ოდეს იხილის ძმათაგანი
ვინმე უღბად და მოძილად ეკლესიი-
სა ლოცვასა 94, 1.

მოძღურება. სწავლითა და მოძღუ-
რებითა 93, 4.

მოწაფე. მოწაფეები ათონზე მამასაც
ჰყოლია (მამისა მოწაფენი 97, 7)
და მოსენაეთაც (მოსენაეთა მოწა-
ფენი 97, 5).

მოწვენა. უკუეთუ გაგიტევენ, დიდი
ბოროტი მოწვენად არს. ჩემ ზედა
33, 14.

ა. დიდსი რისხვასა მოვაწევთ
ჩუენ ზედა 17, 12; ბოროტი, რომელი
მოაწიეს ჩუენ ზედა ბერძენთა 118, 2.

ო ვნ. მოაწია დღესასწაული 55, 6;
დღეთა ანათ უკუნადასკნელთა მოვიწი-
ენით 6, 3.

მოწეხე სამონასტრო წესის მიმდევა-
რი, ბერი. შეკრიბნეს მას შინა (ლავრა-
სა შინა) მონაზონნი და მოწესენი
4, 16 („მოწესის“ საპირისპირთა „ერის კა-
ცი“: „მოწესეთა და ერისკაცთა, რუს-
ურბნისის ძეგლის წერა).

მოწიფება, ი ვნ., შემოსვლა, დაძწი-
ფება (ხილისა). ოდეს (ხილი) მოაწი-
ფის 98, 9.

მოწიწებით 34, 2 [—*მოძიწებით; შდრ-
ძწოლა, ძ(რ)წოლა].

მოწლედ (მოკითხვა)—ტკბილად მო-
კითხვა, კარგად მიღება. მოწლედ მო-
იკითხნენ 115, 1 ბ; მოწლედ მოიკი-
თხეს 22, 1; მოწლედ მოიკითხნეს 37, 3.

მოწყალეზა საბოძვარი, ქველის საქ-
მე (ფულად თუ ნივთის სახით). უმეტეს-
ყოველთა სათნოებათა მოწყალეზაა
შეეტკობ 32, 21.

მოწყლვა 1. დაქრა, დაშავება. ფიც-
ხლად მოწყლვა (ჯორმან) წმ. იგი
112, 20. 2. ქნჯნის გამოწვევა. რა არა
მოწყლას გონებად მისი 29, 4.

მოკლობა ნ. გელ-მოკლობა.

მოხარკე ნ. ხარკება.

მოხუტებულეზა 104, 6.

მოწვლვა, (2)1. თუ ვითა მოჰქნდა,
არა უწყი 33, 24; ვინათგან ეგრე მოჰ-
ქნდა, რლ 68, 7; უკუეთუ რადმე მოჰ-
ქნდის მტერისა მიერ 68, 1.

ი/უ. (შეჯულის მეცნიერი) მოუქნდა
მამსა ეფთჳემს 54, 2 მოვიდა მ. ეფთჳ-
მესთან; რწინცა სარწმუნოებით მოუქ-
ნდებიან 44, 4; 113, 2 ბ.

მოწვობა, ი/უ (3)2 (უპირდ.), მოწო-
დება, დაძახება. მოუქმის მამამან
63, 1; მოუქმის მოწაფესა 71, 4.

მოტხენება, ი. ვა ზემო მოვიტხენ-
ნეთ 118, 34, 38; რაოდენიმე მოვიტ-
ხენოთ 30, 6. ესე მრავლისაგან მცირე-
დი მოგუკტენებთ 118 c, 25 [შეიძლ-
ებოდა ეგვე ფორმა ა ნიშნისადაც მო-

ეცა: მოგავსენეთ — მოგვკენებია].

ე. მოექსენა 112,10 მოაგონდა. წერილი- მოსავსენებელ-ი 118,5 შემორანდუმი.

შუამოხელ მალობელი (?). გინა თუ ხუცესნი, გინა თუ დიაკონნი გინა თუ მეთამოხელნი. 60,8. შდრ. ეამოზა.

მრავალ. მრავალი შრომაჲ და ქირი 117,5; ყოილი ერისა მრავალი-საჲ 57,8 (შდრ. ერი ფრიალი შეკრების 56,2—3). მრავალ ფაშ 15,1ბ. დიდ ხანს; მრავალ-ფერი (ღელვებ) 118 ა, 30 მრავალნიირი.

მრთელ ჯანსალი. ყოვლითურთ მრთელი და უენებელი 45,1ბ.

მრორინე ნ. რორინ.

მსახურ. საჯორეს ორნი ერისგანნი ჰყვიან მსახურად და მხუეტლად 93,2; შემწედ და მსახურად შეიწყინარა ბერძენნი 118,20; ღმრთის მსახურნი მეფენი 24,1.

მსახურება 1. (ფთხვე ეუბნება მზარეულს:) შიშითა ღმრთისათა იქმოდე, ძმაო, სამსახურებელსა შენსა და ნუ იტყვ, თუ კაცთა ვჰმსახურებ, ად ესრეთ გაქუნდინ, ვრმცა ანგელოსთა ღმრთისათა ჰმსახურებდი 70, 15—16; ესეითარნი მსახურებანი ჰმსახურნეს და დიდნი საქმენი უქმნენს (მეფეთა) 24,2; ჯორთა მსახურებისა ლუაწლი და სხუანი უნდონი მსახურებანი და შეურაცხნი 9,5; უკეთეთ მოვიდის ვინმე ქართველი, რომელსა კრებულსა შინა შეეძლის მსახურებაჲ 115,21; თჳსსა მსახურებასა განკრძალულ იყო 115,7 (აქ იგულისხმება ეფთვიმეს თარგმნა წიგნებისა, ასე რომ თჳსსა მსახურებასა—თავის საქმეს).

2. წირვა-ლოცვის შესრულება (ან მოსმენა). ეკლესიაში. მშრომელთადა

დღესასწაულთა და კვრიაკეთა და გინა თუ პიერი არნ, მაშინ გაეწესა მსახურებაჲ 73,1—2 მუშებისათვის წირვა-ლოცვის მოსმენა დაეწესებინა დღესასწაულებზე და კვირა დღეებში, ან თუ უამიდობა იყო ხოლმე. ნ. სამსახურებელ.

მსაჯულ. ღწ მე დამადგინა თქუენ-და მსაჯულად 68,8.

მხგავსად. მსგავსად ძალისა 59,2 შეძლებისამებრ.

მხგევხ. შეიდუელი, ერთი კვირე (7 დღე). (ცემის შემდეგ) რომელმანმე ორი მსგევხის დაყვის ქუე მწოლარემან და რომელმანმე სამი 68,22; უკეთეთ პური დაჰმეტდის, მეორისა მსგევხისსაჲ არაორა აღიდიან 104,21; ნ. შდრულ.

მხმენელ. რაჲთა არა საწყინო ვიქმნეთ მკითხველთა და მსმენელთა 30,8.

მხოფლიო, ხოფლიო საერო, არა სულიერი. ხუცესი იგი ესეითარი კაცი იყო, რლ პირსა მისსა მსოფლიოჲ სიტყუად არა გამოდილოდა, არამედ ყოველივე საზმრთოჲ და სულაერი 29,14; დააცადე სოფლიოთა მაგათ საქმეთა უბნობაჲ 29,12.

მხწრაფლ 45,16 სწრაფად, ჩქარა.

მხხურაჲლ. შეწირვაჲ უსისხლოჲსა მსხურაჲლისაჲ 79,5 საზიარებელი მასალის შემზადება წირვის დროს მასთან დაკავშირებული ლოცვებითურთ.

მტკიცე ნ. სიმტკიცე.

მუნ 8,1; 12,5; 13,4; 98,11; 102,3 იქ. მუნ ფამადმდე 33,4; 46,9 იმ დრომდე, მანამდე.

მუშა. ეპისტატი, რომელ არს მუშათა უხუცესი 97,1; ოცდაათი ანუ ოროცი მუშად არა მოაცთუნოს 97,2; უწუერულთა მუშათა 91,2. ნ. მუშაკი.

მუშაკი. მუშაკი ქრისტეს მცნებათა 35,4. ნ. მამუშაკე. შდრ. მუშა.

მუჭლის მადრეკა. მუჭლ-მოდრეკათ 68,21.

ა. დაჩოქება (ა). ასი მუჭლი მოდრეკიის 61,8.

ან. ღრკ (ღერკ). ვიდრე მუჭლთა ზედა არა მოდრეკიან 64,2;

ზღღელ. მღღელსა გაბრიელ ქარველსა 52,1; ვამცენ მღღელსა 45,15.

მეხს ნ. მეყ.

მყოფ (მიმღ.) რომელიც იყოფება. კრებულსა შინა მყოფნი 93,5; შინა მყოფნი 73,2.

მყუღრო მშვიდი, წყნარი. სახითა მყუღრო 108,1; მყუღროება. მყუღროებით ცხორებაჲ 35,11; მყუღროებით ცხოვნდებოდა 118,23.

მშლელ. მშლელი განგებნსა 39,11.

მშრომელ. მშრომელთა და მიშროლთადა განეწესა 62,1 (აქ „მშრომელი“ და „მიშროლი“ სინონიმურად არის ნაზნარი); მშრომელთადა 73,1; მშრომელნი ვინმე 96,2.

მშჯღობა. მშჯღობაჲ ქმნიან 63,2.

მცა...მცა. იხმარება პირობით-შედგობით რთულ ქვეწყობილ წინადადებებში, პირველი მათგანი „უკუეთუ“-სთან შედრთებით. უკუეთუ მცა შესაძლებელ იყო, თანიერ მისისა ბრძანებისა ალცამცა წყლისა გემოჲ იხილა 26,8-9; უკუეთუ მცა სიტყუასა წერილთასა იკათხევდ, განვიმარტეთ მცა და, უკუეთუ მცა ჩუენ გუკითხევდ, მიგიგეთ მცა 54,8-9.

მციჩე. მცირე ღრუბელი 55,14; მცირედცა იძულებაჲ 80,9.

მციჩედ. ესე მრავლისაგან მცირედლი მოგუჟსენება 118 c, 25.

მცნება, ა, 1. შეტყობინება. ვამცენ მღღელსა 45,15.

2. ბრძანება (ღვთისა). საუფლონი იგი მცნებანი და ბრძანებანი მისნი 2,7; მცნებათა შინა ღმრთისათა 29,10

(მღრ. საუფლოთა მათ ბრძანებათა მიერ 2,12). ნ. დამცნება.

მძაფრ. სენითა მძაფრითა შებყრობილ იქმნა 45,8; ცეცხლი იგი ქრისტეს სიყუარულისაჲ გულსა მისსა მძაფრიად აღეტყინა 8,2.

მძევალ. ბერძენთა მეფემან აზნაურთა შეილნი მძევლად ითხოვნა... ეფთზე სხუათა თანა უფლისწულთა მძევლად მიბჟუარეს მეფესა 10,1—4 (B-ში აქ ორსავე შემთხვევაში „მძევლად“ იკითხება); ძე ჩემი, ვითარცა ობოლი, მძევლად გასწირეთ 11,5.

მძიმ, ი/უ (გარდაუე). არა თუ უმძიმნ, ად უფროსად უხარინ 93,3; არა უმძიმდა 90,5.

მძიმე. ფრთხილი და მძიმე კაცი 115,16 (ალბათ არ „ირყუოდა“ აღრე. შღრ. 115,14); მძიმედ. ესრეთ მძიმედ ბრძოლა-გუჟყვის 53,19; მძიმედ განკანონნის 67,3; 76,5.

მძოვრ მარტო მცენარეულის მკამელი კაცი. ცხორებაჲ წმ. ონოფრი მძოვრისაჲ 49,30.

* **მწარე.** მწარე გეგისჯებით 68,9.

მწერალ. მწერალნი 81,3. ნ. კელოვნებით მწერალი.

მწვალებულ ერეტეიკოსი. მწვალებულად ხადითა 118 ხ, 8.

მწირ უცხო ქვეყანაში მყოფი, უქონელი. მწირნი და გლახაკნი 119,16; მწირობით ცხორებაჲ 5,3.

მწუხრ საღამო. უკუეთუ მწუხრსა მოვიდენ 95,3; კლართა მწუხრსა თუ რაჲმე ეკმარებინ 96,5; ყოველთა მწუხრთა 52, 8.

მწყალობელ 40,2.

მზედელ 25,7. (საქმე) სამკედლოჲ 98,3.

მჭირვა, ი/უ, (და)კერა, (და)კაევა. ერთი ძმად თავსა უმჭირავნ, და ერთი ფერკთა 68,17. ნ. დამჭირვა.

მხალ 104,19.

მხილებმა, ა, საყველურის თქმა, ნაკ-
ლი და დანაშაული რომ უთხრა კაცს.
ამხილებნ 65,4; ამხილა მას 29,4;
ამხილა დედოფალსა 19,2; და რად
არა მამხილე 29,17; ფიცხლად ამ-
ხილის 78,8; ფიცხლად ამხილიან
67,2.

მხოლო მარტო. იჯმნა ყოველთა-
გან და მხოლოდ ლავრასა დიდებულ-
სა ოთხთა ეკლესიათასა შევიდა 8,7.

ნ, ი/უ. უნდა უნდოდა. ვინაშთგან
ახალ-ნერგ იყვნეს ვენაწნი, ყოველთა სა-
რითა განგებამ უნდა 89,5; ვითარ-იგი
უნდა მყუდროებით ცხორებამ 35,10;
უნდის 71,3 უნდოდა ხოლმე.

ნაგვევ 8,3 ნაგავი. ნაგევად შეკაცბ-
ვა არაფრად ჩაგდება. ყოველივე დიდე-
ბამ ამის სოფლისამ შეურაცხ-ყო და ნა-
გევად შეჰკაცხა 8,3.

ნავ. ნავის მოქმედ 25,7 ნავის მკე-
თებელი, ნავის ოსტატი. მენავე 98,4
ნავის წამყვანი, მენიჩბე.

ნავთხაყუდელ (გადატანილ) იმედი,
მფარველი. ბერი გრიგოლ იყო ნავთ-
ხაყუდელ ქართველთა ნათესავისა
118,39; მოიწინეს ნავთხაყუდელად
სულთა მრავალთა 118,8.

ნათესავ 1. ერი, ხალხი. ნათესავი
ჩუენი ქართველი ერი. გამოჩნდა სამ-
კაულად ნათესავისა ჩუენისა 5,8;
გვრგვანად და განმანათლებლად ნათე-
სავისა ჩუენისა 108,15; განმამრავლე-
ბელად ნათესავისა ჩუენისა 118,9;
რომელთა წმ. ესე ადგილი ნათესავე-
სა ჩუენსა დაუმტკიცონ 118 d, 10; გა-
ნანათლა და შეამყო ნათესავი და
ენამ ჩუენი 118,17; ასმიოდა, ვ'დ

მხუეტელ საჯორეს...ორნი ერისგან-
ნი ჰყვიან მსახურად და მხუეტლად
93,2.

მველარ 21,6 მეოპარი (ცხენოსანი).
მვენე. ეკლესიასა დგომისა მვენე
108,5; ხიმვენედ ახოვნებისა 2,17.

მჭურვალე. ცრემლითა მჭურვა-
ლითა 45,17; მჭურვალედ ლოც-
ვად 58,6. მჭურვალემა გულმოდგინე-
ბა. ესეზომი მჭურვალეებამ აჩუენა
26,8; მჭურვალეებასა მისსა 28,1.

ნ

ქართველნი არა მცირედნი ნათესავე-
ნი და ერნი მკვდრ არიან მუნ 33,5;
შემდგომად ჩუენსა მომავალთა ნათე-
სავეთათჳს 118 c, 28.

2. კაცთა ნათესავი 1,5 კაცობრიობა.

3. ეროვნება. ნათესავით ქართ-
ველი 7,2.

4. გვარი. წარჩინებული ნათესა-
ვით 51,4.

5. ახლობელი გვარში, ერთი ჩამო-
მავლობისა, родственник. უკუეთუ ძმა-
თა ვიეთმე მოიყვანნიან თუსნი ნათე-
სავენი უწუერულნი 92,1; მეულლე და
შვილნი თუსნი და ნათესავენი 8,4.
შემდეგ ნაწყვეტში წარმოდგენილია
1-ლი და მე-5 მნიშვნელობა: შემწედ და
მსახურად შეიწყნარნა ბერძენნი უმან-
კობით და სიწრფოებით და ესრეთ გან-
მრავლდა ნათესავეი ბერძენთამ
ლავრასა ამას, და შემდგომად მცირედის-
სა ეამისა იჯმნა წინამძღურობისაგან
და თუსნი ნათესავეი გიორგი მამად
დაადგინა 118,20—22.

ნაკლულ. ნაკლულეგან რომელსაც
აკლია. ქართლისა ქუეყანამ დიდად ნა-
კლულეგან არს წიგნთაგან 47,2. ნა-
კლულეგანება ნაკლი. რამთა არარად

იპოვოს რადეორთით მის თანა ნაკლულე ევანგება რადმე 28, 3. უნაკლულე. არარადეთ უნაკლულე—არაფრით ნაკლები. ესე ნეტარნი მამანი ჩუენნი არარადეთ უნაკლულე იყვენეს პირველ გამოჩინებულთა წმიდათა-სა 3, 2.

ნამეტნავ. კმა არს ქეშმპრიტად და ნამეტნავ 80, 9; თარგმანებად წიგნთაჲ აქუნდა ნამეტნავად ყოველთა სათხოებათა 108, 14.

ნამუშაკევ. რომლისა-იგი ნამუშაკევი ახარებს შორიელთა და მახლობელთა 5, 12. ნ. მუშაკ.

ნახხურ. ბერძენნი ფრიად რადმე შეიყუარანა და განამრავლნა და სრულიად მათდა მიდრკა, ხოლო ქართველნი, ვითარცა ნახხური რადმე და უნდონი, უგულებელს-ყვნა და შეამიკირნა 115, 11-13 (შდრ.: მეგობართა ჩუენთა ულოცავთ: ვითარცა ნარჩენნი სოფლისანი შევიკმნენით, ყოველთა ნახხური მოაკამდე, I კორ., 4, 13; აქ ნახხური = *αελε-ψυχη* „ნავაგი“; ნუ იყოფინ ესე ჩემდა, ვითარმცა ნახხორ წარმართთა ვიყავ: იპოლ., ქება ქება 6, 15).

ნატრ. ნ. სანატრელ.

ნატყუენავ ნადავლი, ლაშქრობით მოპოებული. წინააღმდეგომნი ჩუენნი დატყუენენ და ყოველივე ნატყუენავი მათი შენი იყოს 21, 3; ნატყუენავი დიდძალი ფრიად 21, 8.

ნაყროვნება უზომო ჭამა. უკუეთუ ნაყროვნებით ვინ იქმნ 82, 4.

ნაწილ 1. ხის მცირე ნაჭერი, რომელიც იმ ჯგირს ნაწილად მიაჩნდათ, რომელზედაც ქრისტე აცვესო. ძელისა ცხორებისა ნაწილი ვეცხლისა ბუდიითა 31, 7. 2. სეფისკერიდან ამოჭრილი ნაწილი, ბარძიშში ჩაისავენებელი. ნაწილის შთასასუენებელით ვეცხლისაჲთ 31, 8.

3. (ჩეულებრივ მრ. რ.-ში) მიცვალებულის გვამი ან გვამის ნაშთი საფლავში (ძელები, თმა და სხვ.). პატიოსანნი იგი ნაწილნი მისნი (ეფთჳმესნი) აღმოიყვანნეს თჳსსავე მონასტერსა და დაისხნეს სამარხოსა ლუსკუმასა ტაძარსა შინა წმ. ი. ნათლის-მცემელისასა 113, 14—15; მე, მამამან გიორგი, მოეცვალენ ნაწილნი წმ. ეფთჳმესნი ნათლის-მცემელისა ეკლესიით დიდსა ეკლესიასა ღმრთის-შობლისასა 119, 3-4.

4. ნაწილი ქრისტეანეთაჲ ქრისტიანი ხალხი. ა-მცა-ჟოცილ არს იგი ნაწილისაგან ქრისტეანეთაჲსა 118 d, 7.

5. ნაწილი მარჯუენეთაჲ „გაკითხვის დღეს“ მარჯვენა მხარეს მდგომი ხალხი („ცხონებულების“ მხარე). ღირს გუყვენინ უფალმან ნაწილსა მას მარჯუენეთასა მიმთხუევად 1, 12.

ნახევარ. ნახევარი საფასისა თჳსისაჲ ეკლესიასა შეწირისა 87, 1.

ნახვა. რამცა ნახნა თავისა უფლისწულნი 85, 4. ნ. მონახვა.

ნება. 1. რომელმანმცა სრულ-ყო ნებაჲ გულისა მათისაჲ 16, 7; ყოველივე ნებაჲ თჳსი მოიკუეთა 26, 8; ნების-მყოფელი 38, 3.

2. (სტატ.). რომლითაცა სახითა გნებავეს 19, 5; ჰნებავეს 1, 1; ენება სიტყუად 54, 3. ნ. უნებელი. შდრ. ნ.

ნელიად წყნარად. მოზიდნის ნელიად 58, 12; იშუთ სადმე ნელიად სიტყუად მიუგის 71, 2.

ნემხ 78, 2. ნ. ოქრო-ნემსული.

ნერგ. ახალ-ნერგ წუთლა იყენეს ეენაქნი 89, 5.

ნესტუ საყვირი. ნესტუ ოქროსაჲ 5, 13.

ნეტარ წმ. მამათა ეპითეტი. ნეტარნი მამანი ჩუენნი 3, 1; ესე ნეტარ-

რი მამად ჩუენი იოვანე 7, 1; ნეტარი მამად ჩუენი ეფთვმე 58, 1; მერმე აკურთხა ნეტარი ეფთვმე 43, 2; ნეტართა მათ მამათა ლოცვაჲ 9, 1; მათ ნეტართა პრქჳან 104, 15. შდრ. სანატრელ.

ნეფხით თავის ნებით. სხუათა მათ სათნოებათა აღწერასა ნეფხით თანაწარგჳედით 27, 6.

ნთება, **ე. რამცა** კანდელსა ინთებდეს 81, 4. **ნ. ანთება.**

ნიგოზ კაკალი. გინა თუ ზეთისხილი იყვის გინა თუ ნიგოზი გინა თუ სხუად ხილი 98, 8.

ნიკრის (არაბ. نقرس) პოდაგრა, ქარები ფეხში. ნიკრისისა სენსა შთავარდა 33, 29.

ნიჳ საბოძარი. ვითარცა პატიესა და ნიქსა სამეუფოსა 33, 1ბ.

ნიჳება ბოძება. ნიჳებულ ბოძებული, ნაჩუქარი. ნიკიფორ მეფისა ნიჳებული 31, 18.

ნუ. ნუ იყოფინ 6, 6; 79, 20.

ნუგეშინის-ცემა. ნუგეშინის-სცემნ ცემნ სიტყვთ და საქმით 68. 24 (საქმით ნუგეშინის-ცემა, როგორც ჩანს, ჩუქებას, ანუ რისამე წყალობას ნიშნავდა); კელსანთა დაჰედრინის, რაჲთა ნუგეშინის-სცემდენ 68, 25; ნუგეშინის-სცის და ალა-

შენის 68, 26. ნუგეშინის-საცემელ. ამათ ძმათა ნუგეშინის-საცემელი სხუად არასადათ აქუს, ამის ტრაპეზისაგან კილე 70, 7.

ნუხსა (არაბ.) ნაწერი (?). ეფთვმეს კელთა ნუსხისაგან დაგჳერია 21, 1ბ. (ე. ი. ეფთვმეს ავტოგრაფისაგან? არა მგონია, რომ აქ ნუსხა „სიას“ ნიშნავდეს. შდრ.: ჟოველნივე ქართულნი სახარებანი, მთაწმიდით გამოსრულნი, ღირსისა მამისა გიორგის თარგმნილნი, საეკლესიოსა სახარებისაგან, რომელ მთაწმიდელნი იჳმარებენ, აღწერილნი არიან და არა მისგან, რომელი თვთვიორგი თარგმნა და ნუსხად მდებარე იყო ღიადსა წიგნისა საცავსა, არამედ მისგან ვარდაწერილისაგან. და მას ნუსხასა თანა ფრიადი ნაკლულევენებაჲ აქუს“: ვანის სახარების ანდერძიდან. ა. შანიძე; უძველესი ქართ. ტექსტების აღმოჩენის გამო. ტფ. უნივე. მოამძე, II, 1923, გვ. 404).

ნუუკუე 1. ნუთუ. ნუუკუე შვილ არა გესხნესა თქუენ 11, 3 ნუთუ შვილები არ გავადათ თქვენ?

2. ვაითუ. ნუუკუე ამის სახისათვის ზღვევაჲ რაჲმე სულიერი შამთხვოს 29, 7; ნუუკუე შეწუხნეს 79, 7; ნუუკუე ვერ გაგისუნოთ 83, 5; ნუუკუე და ვერ გაავგონო 112, 13.

ო

ობოლ 11, 5.

ოდენ 1. (ნაწილ., დაისმის იმ სიტყვის შემდეგ, რომელსაც ზღუდავს) მარტო, მხოლოდ. არა თუ ულუმბათა და მთაწმიდას ოდენ თარგმნა, არამედ სამეუფოსცა 48, 11; სახელი ოდენ კმა არს 5, 6; რაჲთა ქართველნი ოდენ იყვნენ მონასტრისა ამისა მკვლრნი

25, 3; მას ოდენ ესმინ 59, 8. გვხედება „ხოლო“-სთან ეროადაც: არა ხოლო საქართველოსა ოდენ, არამედ საბერძნეთსაცა 118, 25.

2. ოლონდ. შენ ოდენ ამათ ობოლთა კელი აღუპყარ და, რაჲცა ბრალი იყოს, ღმერთმან ჩუენგან იძიენ 19, 13; თქუნსა ბრძანებასა არა გარდაჰქვდვ

ოღენ შრომაჲ თავს-იდეე და წარვედ
კლავალატისა წინაშე 19, 4.

ოდეს, **ოდესცა** როდესაც. ოდეს
ღებრთმან წარგმობართს 21, 2; ოდეს
ახლის ძმათაგანი ვინმე უღბად და
ზიკილად 94, 1; ოდეს მოიწითის 98, 9;
ოღესცა მივიღის ხილვად მამათა 52, 3.

ოდესმე 1. ოდესლაც, ერთხელ. ეშ-
მაკული ვინმე მოუტად მის ოდესმე
44, 5; იქონა ოდესმე გუაღუაჲ 55, 1;
ოდესმე ინება წმ. მამამან ჩუენმან
ეუთუმე 56, 1; გამთა ბასილი მეფისათა
ოდესმე აღესრულა მთავარ-ეპისკოპო-
სა 57, 2. 2. ზოგჯერ, ხანდახან. გამო-
ვალს გამოსაყალი ყოველთა წელთა 14
ლატრაჲ გინა 15 და ოდესმე მეტი-
ცა 31, 5; მრავალ გზის მივალნ მისა და
ოდესმე მან მიიყვანის იძულებით
53, 3.

ოთხთავ 31, 14 ოთხი თავი სახარე-
ბისა (მათე, მარკოზ, ლუკა და იოვანე).

ოზ. ორითავე მარჯუე ნ. მარჯუე.

ორგულდება დალატი. განდგომილო-
ბაჲ და ორგულე ბაჲ დასწამეს
116, 4.

ე. უკუეთუ ვინმე გამოჩნდეს და
რათმე ზაკუეთია ეორგულოს ამას
წაიდასა ადგილსა 118, 1 ბ.

ორგულთბა (გარდაუე.) ექვობა, ყო-
ყვანი. ნურარას ორგულობ 21, 2.

ორ-კეცად 59, 3, 5.

არმოღ. ოცდაათი ანუ ორმოცი
მეწაჲ არა მოაოტუნოს 97, 3 (შდრ.
არშეთღ 31, 2; 86, 4).

ოჯება, ა, გაქცევი (ა). აოტა
სკლიაროსი 21, 5 გააქცია.

ო. (თორნიე) იოტა სკლიაროსი
26, 1; ვესავ ღმერთსა, რომელ იოტოთ
იგი უღბრთოჲ სკლიაროსი 19, 7. მეოტ

ვინც გარბის. მეოტად წარიქცია
21, 6 იოტა.

ოქრო-ბეჭედი (= χρυσόβαλλος, bulla
aurea). დაუსხნეს სიმტიციენი და ჯელით-
წერილინი და ოქრო-ბეჭედნი მეფე-
თანი 4, 15; რომელიცა ადგილნი და
სოფელნი სთხოვნეს (მეფეთა), ყოველნი
ოქრო-ბეჭედითა დაუმტიციენს 24, 3;
დიდსა ლაერასა მისცეს ოქრო-ბეჭე-
დი განძისა ორას ორმეოცდა ოთხისა
დრაჰნისაჲ, ჩიმიჰისა ბოძებული იოვა-
ნესდა, და ესე ყოველთა წელთა აქუს
პალატით ლაერასა 31, 1—3; მოუგნეს
დაბანი და მონასტერნი ოქრო-ბეჭედ-
ნი 118, 13.

ოქრო-ნემსულ ოქროს ძაფით ნაკე-
რი. საკურთხეველის შესამოსელი ოქრო-
ნემსული და მეორე ოქსინოჲ 31, 10.

ოქრო-ცურგებულ (ვერცხლის ნიე-
თი) ოქროთი დაფერილი, ოქროში გა-
ვლებული, მოოქრელი. ჯუარი სალი-
ტანიე ვეცხლისაჲ ოქრო-ცურგებუ-
ლი 31, 16; კუალად მოსცეს... ძელისა
ცხორებისა ნაწილი ვეცხლისა ბუდითა
და ორნი ბარძიმინი დიდნი ვეცხლისანი
და ფეშხუემი კოვხითურთ და ბრწყლით
და ნაწილის შთასასუნებელით ვეცხლი-
საჲთ, და ესე ყოველნი ოქრო-ცურ-
გებულნი 31, 9; ბარძიმი-ფეშხუემი
ვეცხლისაჲ ოქრო-ცურგებული
32, 3.

ოქსინო. საკურთხეველის შესამოსელი:
ერთი ოქრო-ნემსული და მეორე ოქ-
სინოჲ 31, 10 (... et alteram acu pic-
tam, P. P.).

ოც. უფროჲს ოცისა ლიტრისა
84, 8; ოდესმე ოციცა 31, 6.

ოხრა საყვირის ხმობა. მისთა წიგნ-
თა სიტყბოებაჲ, ვითარცა ნესტჲ ოქ-
როჲსაჲ ვმა-მალალი, ოხრის ყოველსა
ქუეყანასა 5, 14.

5

პალატა (palatum) მეფის სასახლე. ესე ყოველთა წელთა აქუს პალატით ლაიკრასა 31, 2; პალატისა წარჩინებულნი 117, 4. **პალატისა** მეფის სასახლის წვერი (palatinus) ან კარის კაცი. მოქალაქეთა, დიდებულთა და მთავართა და პალატისათა დიდი სარწმუნოება და სიყუარული აქუნდა (ფეთვმესი) 113, 3.

პაპ 1. მამის მამა ან დედის მამა [პაპმან მისმან (სუნ. 56, 10)]. **პაპთა** მათგან მამისა და დედის წინაპართაგან. მშობელთა და პაპთა მათგან დიდებული და წარჩინებული 7, 2.

2. რომის პატრიარქი. ცხორებაჲ კლემენტოს პრომოთა პაპისაჲ 49, 13.

პარაკიმანოს-ი, პარაკიმენ-ი [παρακίμανος-ი, პარაკიმენ-ი] მესაწოლეთ უხუცესი (საქურისი). ბასილი და კოსტანტი მის ჟამსა წუთლა ყრმა იყვნეს და ყოველი გასაგებელი დედოფალსა ეპყრა და პარაკიმენოსსა; და ვითარცა აღვიდა თორნიკ სამეფოდ, მეყსეულად შეიყვანა იგი პარაკიმანოსმან მეფეთა წინაშე 18, 2—3; კულად დედოფალმან და პარაკიმანოსმან ჰრქუეს 19, 12.

პარაკიმანოს-ი (παραισιμόσιος) იკონომოსის მოადგილე. გინა თუ იკონომოსისადა ებრძანის გინა თუ პარიკონომოსისადა, მოზიდნის ნელიად 58, 11. **ხაპარაკიმანოს-ი** 98, 3 პარიკონომოსის სახელო.

პახუზ (პარს.). მან გასცეს ღმერთსა პასუხი 119, 9.

პატოცე, პატოცისა უყოფდეს 12, 2.

პატოხან ხატის ეპითეთია. განაბრწყინვნეს იგინი (ეკლ.) ხატთა მიერ პატოხანთა 4, 12.

პირ 1. ა) სამეტყველო ორგანო. დაიყუან პირი შგნი 53, 10; 54, 10 დაიხ-

შეს შგნი პირი, ხმა ჩაეწყვიტოს: ეწა ერთისა (ერთითა BD) პირითა 118 c, 21 როგორ; ერთი პირით, ერთხმად.

ბ) სასმელ-საჭმლის მისაღები ორგანო. აქედან: **პირის** ვსნა სასმელ-საჭმლის მიღება მარხულობის შემდეგ; სმაქმა საზოგადოდ. ლიტონთა დღეთათუს-თუს ილუწიდიან, ხოლო დღესასწაულთა და კვირობათა ერთგან აღასრულიან წესი ლოცვისაჲ და პირი ერთგან იქსნიიან 104, 23; თავდამან პირი იქსნა 112, 9.

2. პირისხე. გარე-მიექცა პირი სისი 53, 11; მოიქცა პირი მისი 53, 16.

3. სახე, ონგავ. ამით პირითა დასახითა 118, 5 ამგვარად (აქ „პარითა“ და „სახითა“ სინონიმებია).

4. (იხმარება მრ. რ.-შიც) რამე, საქმე, გარემოება. ესე პირი მოეწერა 16, 3 ასეთი რამ მოეწერა; მე ვიცი, თუ რომლისა პირისათუს მივმობენ 17, 6 რა საქმისთვის; ამით ესევითართა პირთათუს უზნობაჲ 29, 2; ზემო თქუმულთა პირთათუს 29, 6.

5. ამხ პირისათუს ამიტომ, ამის ვაიმო. ფრიად მწუხარე ვიყუე ამის პირისათუს 46, 9. (ნ. კიდე 3, 6; 12, 3; 16, 8; 33, 6; 117, 3; 118, 1).

პირველ (რიცხვ. სახ.) 1. პირველსა ცა მოსლვასა და მეორესა ცა 84, 6; ხოლო ჩუენ პირველსა ცე სიტყუასა მოვიდეთ.

2. აღრინდელი, უწინდელი. მსგავსად პირველთა მათ ღმერთ-შემოსილთა მამათა 6, 9; გარეშე მათ პირველთა 47, 6.

პირველ (ზმნიზ.) წინათ, უწინ. მამანი ჩუენნი არააჲთ უნაკულლო იყვნეს პირველ გამოჩინებულთა წმიდათასა 3, 2; პირველ თქუმულსა მას-

სილომობასა შინა განკაფულმან 39, 1; პირველ მოქსენებულსა გაბრიელს 52, 1; რაათა შეიმოსოს კუართი ივი შესამოსელი პირველ ქსენებულისა მთავარ-ღიაკონისა 79, 6.

2. (თანდ., მოითხოვს მიც.-ს ან ნათ.-ს) უწინ, -მდე. პირველ შენებასა მონასტრისასა 84, 2 მონასტრის აშენებამდე; პირველ დღისა ერთისა 55, 6 ერთი დღით წინ; პირველ სახარებისა წარკითხვისა 55, 14. ეს უკანასკნელი მწიგნობრობა კარგად ჩანს შემდეგ წინადადებაში: პირველ ამის მეორისა ბუობისა (118 c, 23), რადგანაც შემდეგ მოსდევს საპირისპირო სიტყვა: შემდგომად ამის მეორისა ბუობისა (118 c, 24).

პირველითგან 6, 5; 84, 1 თავიდან. პირველითგანვე 33, 3 თავიდანვე. მოგნა, ი ვნ. უკუეთუ ვინმე იპოვის 7c, 4; უკუეთუ ქულა გულ-ფიცხელნი იპოვნინან 63, 3.

[პორტატიხა (ხატი). ნ. ბუქსთან].

პროტ (πρωτος) არქიმანდრიტი, რომელიც მთაწმიდის ყველა მონასტრის სათავეში იდგა. არცა პროტი, არცა სხუანი მამასახლისნი 88, 1. აქედან ჩანს, რომ პროტობა ერთ-ერთ მამასა-

ხლისს, ანუ ერთ-ერთ წინამძღვარს ჰქონებია მთაწმიდაზე, სადაც მონასტერი ბევრი იყო. პროტის სამყოფელი იყო კარიას, სადაც ღვთის მშობლის ეკლესია იყო აგებული. აქ იკრიბებოდნენ ათონის ბერები ყოველ წლივ საზოგადო საქმეების გასარჩევად და მოსავჯარებლად (შდრ. „მისცეს კარიისა ეკლესიასა, რომელ არს შესაკრებელი ყოველთა 32, 3). 976—1313 წწ. პროტებს ნიშნავდნენ ბიზანტიის იმპერატორები: А. Натроев, Иверский монастырь и Архиеп. Т. 1910, გვ. 176, 186—178. გაარსა თუ ლაველი მოვიდის ანუ პროტი 69, 5.

ბურ 1. პური და ღვინო 104, 7; ძმათა პურსა (იქვე). 2. პურის კვერი. დღევ ერთი პური 84, 10. 3. პურის შეკაზმვა საქმლის გაკეთება. რაათა კიდე შეუკაზმიდენ პურსა 69, 6.

პურობა, ი. განაგებდეს და იპყრობდეს ყველსა წინამძღურობისასა 6, 8.

ი/უ. მიპყრა ზელსა 46, 5 მომკიდა ხელი ხელს.

ი/უ (სტატ.). ეპყრა—ეპირა. წინამძღურობა ეპყრა 118 b, 1; ყოველი გასაგებელი დედოფალსა ეპყრა და პარაკიმენნსა 18, 1; დიდითა პარტივითა ეპყრნეს იგინი 14, 6.

ქ

ქამ 1. დრო, ხანი. ქამ რაოდენმე 8, 11; 83, 2 რამდენსამე ხანს; მრავალ ქამ 15, 9 დიდხანს; ამას ქამსა 17, 12 ამეამად; სხუასა ქამსა 106, 1 სხვა დროს; შემდგომად რაოდენისამე ქამისა 12, 1; არა მრავლისა ქამისა შემდგომად 118, 35; მის ქამისა წარჩინებულთა და მთავართა წინაშე 115, 9; მრავალნი ქამნი გარდაქდეს 112, 4; გარდაქდეს ქამნი რაოდენნიმე 116, 1;

ჩუენთა ამით ქამთა 48, 4; ჩუენთაცა ამით ქამთა შინა 1, 5; უკუანდსკნელთა ამით ქამთა 104, 29; ქამთა რომანოზ მფისათა 116, 2; ქამთა სემონ მამისათა 118, 5; ქამთა განდგომილისა სკლიაროსისათა 118, 12; ქამთა არამციერელთა 9, 4; ქამთა მრავალთა 118, 18; მათ ქამთა 8, 9; მათ ქამთა შინა 13, 1; სიგრძე ქამთა 2, 1. უუამოდ 95, 4; 105, 12 უდროოდ.

2. ხელსაყრელი დრო. ესევეთარი
 ჟამი რაჲ დახუდა იოვანეს 19, 1;
 ბერძენთა ესევეთარი ჟამი პოვეს
 117, 1; ჟამი პოვეს ბერძენთა 118, 41.

3. ხანა, ეპოქა. თუთოეულთა ჟამთა
 შინა 1, 4; 2, 9.

4. ხორცისა და სისხლის საიდუმლო
 (სერობის მოსაგონებელი: მათე 26,
 26—27). ვიდრე ჟამისა ზიარებად-
 მდე 55, 5.

ჟამითი-ჟამად 68, 23 დრო და დრო,
 დრო-გამოშვებით.

ჟამისწირვა დღისით შესასრულებე-
 ლი მსახურება, ლიტურგია (ეკლესიაში
 შესასრულებელი მსახურებანი: ცისკარი,
 ჟამისწირვა და მწუხრი. შდრ. „ყოველ-

თა კათოლიკეთა კურეჟქსთა შინა ივნე-
 ნებოდის: ჟამისწირვისათა და
 მწუხრისათა და ცისკრისათა:
 ალაპებო, № 57, 15). მოიწია ჟამის-
 წირვისა ჟამი 55, 12; მოიწია ჟამი
 ჟამისწირვისაჲ 56, 4; ჟამის-
 წირვაჲ აღასრულეთ 55, 8; აღასრუ-
 ლა ჟამისწირვაჲ 79, 12; მოიკნე-
 ნებდით წმ. ჟამისწირვათა შინა
 42, 9.

ჟამობა 1. ნ. მეამობელი. 2. (ან ჟა-
 მებაჲ), ი./უ. ეფთუმეს პირად მდივანს
 ეუბნებია: „წინაჲ მამისა აღვალ და
 მიქამე“ (105, 11). აქ „მიქამე“ ნიშ-
 ნავს: „შემიშვი“, ან „მოახსენე, რომ
 ნახვა მინდა“.

წ

რა 1. ხილვად, თუ რაჲ-ძი იქმნა
 45, 1 ბ. რად (ვით. ბრ.) რატომ. და რად
 დიდიუმე აქამომდე 29, 16.

2. რამე. არცა ერთი რაჲ უჯმს
 ჩუენ მიერი ჯსენებაჲ 2, 4; რაოდენიცა
 რაჲ არს ამის სოფლისაჲ 8, 4; ბარემ-
 ცა დიდი ეკლესიაჲ რაჲთ მიგვლეს
 118 c, 10 (რაჲთ=რითმე, როგორმე)

3. (ნაწილ., მაგრამ მიც. ბრუნვის
 ფორმით: რას (ბ).

რაბამ როგორი. რა ბამი სიყუარუ-
 ლი 33, 13.

რათმე ნ. რამე.

რამე (ბრუნვის დროს „რე“ ბოლოს
 რჩება). არცა მცირელი რამე დაუ-
 ტევა ველმწიფებასა ქუეშე თუსსა 26, 5;
 ნაკულევენებაჲ რამეჲ 28, 3; სხუთა
 რაჲთმე საჭმრითა 68, 27; სხუთა
 რაჲთმე ზაკუეთა 118 c, 1 ბ.; თავისა
 რაჲთმე საქმითა 118 d, 2; სხუთა
 რაჲთმე წესთა და კანონთა ენება და-
 მტკიცებაჲ 115, 4.

რაჲ (ნაწილ.). ესე რაჲ ცნა იოვანი
 10, 4; იყო რაჲ მის თანა 53, 6; ესრეთ
 რაჲ დაარწმუნის 69, 12; ხედვიდა
 რაჲ სულიერთა ამით წესთა 105, 2;
 აღვიდა რაჲ გოდლად 105, 9; იქმნა
 რაჲ კმაჲ და ამბობი 105, 18; ამათ
 რაჲ ჰირსა შინა ვიყენით 118 b, 27;
 ესე ყოველი იხილა რაჲ ღმერთან
 118 b, 32.

რამეჲ 1. სახელობითი ბრუნვის
 ფორმა „რამე“ სიტყვისა (ბ.). 2. (ნაწილ.).
 ბერძენნი ფრად რამეჲ შეიყუარნა
 115, 11.

რაჲთურთით (უკუთქმითს წინადა-
 დებაში) სრულებით, ოდნავ: ზღვსა
 რაჲთურთით გამოცდილებაჲ არაჲ
 გუაქუს 25, 5; რაჲთა არარაჲ იპოვოს
 რაჲთურთით მის თანა ნაკულევა-
 ნებაჲ რამეჲ 28, 2; რაჲთურთით
 არა სცემდა განსუენებასა თავსა თუსსა

48, 6; კელრისა კარსა რაჲთურთით არა გასწყდებოდა შეკრებად 95, 6; უბნობასა ურგებსა რაჲთურთით არავინ იკადრებდა ყოვლადვე 95, 10.

რაოდენ-ი-მე. რაოდენიმე მოვიკსენოთ 30, 6; შემდგომად რაოდენისამე ვამისა 15, 1.

რახ (ნაწილ.). ამისთჳს იკონომოსსა თანა არავინ რას მივალნ 101, 3.

რაცა. რაჲთაცა ღონითა ანუ მანქანებითა 118 c, 3ბ.

რე (ნაწილ.) ცოტად. უკუეთუ უმჯობესი-რე იყოს 70, 9; რომელინი მეტად-რე უძლურნი იყვიან 75, 3.

რეკა. ცემა რითმე დიდ ზამოკიდებულ ფიცარზე ხმის გასაღებად (ძველად ზარი არ იყო და ეკლესიაში წირვალოცვის დაწყებას ამნაირად ატყობინებდნენ ხალხს). ვიდრე ცისკრისა რეკადღე 52, 1.

რეცა ვითომ. რეცა განცხრომის სახედ 55, 10 ვითომ ხუმრობით; რეცა სამართალი შესწევდა 118 c, 11.

რთვა, ი/უ (გა)რევა. უკუეთუ სუბუქი ღუნოა იყოს, ყოლა ნუ ურთავ წყალსა. და უკუეთუ საშუვალი იყოს, ჯერისებრ ურთე 70, 8—9. ჰრთავს (სტატ.). ურევირა. უკუეთუ მეტი წყალი ერთის (ღუნოსა) 70, 6.

რომელ (კავშ.) რომ (=იმერ. რომე). ესე ცხად არს, რომელ მათსწყალობდით 11, 4; ვესავ ღმერთსა, რომელ 19, 6; 55, 11; ვიცით, რომელ 21, 1; გულ-კლებულ ვართ, რომელ არა ინებებ 36, 4; მრწამს ღმერთისაჲ, რომელ 41, 5; წესი იყო... რომელ 68, 3; ებრძანა მეტრაპეზისადა, რომელ 70, 3; მამასა გაუწყნებია, რომელ გარე გაგიყვირო 72, 3; დამიძენია მეტრაპეზისადა, რომელ არავინ აღგადგეს წინა 72, 6; წესი იყო მამისა ჩუენისაჲ, რომელ გკლვისას დაიუბნნის

ძმანი 74, 1; ესრეთ ვიხარკოთ, რომელ შეკრებაჲ ჩუენი ამას წმ. ადგილსა არა ცუდად იყოს 77, 10; ნუმცა რაჲ დააკლდების ეპისტატსა, რომელ არა შეწყუბდეს 97, 3; დაუმოწმე, რომელ უთამოდ არა მოვიდოდინ 95, 4.

რომელ-ი-მე ზოგი. რომელიმე ლაშქართა განუყო და რომელიმე თუთ დაიძიკირა 21, 8.

რომელ-ი-ცა. რომელითაცა სახითა 19, 15 როგორაცა.

რორინ. ესე ადგილისა მრორინენი მონახონნი 95, 3 [„რორინება“ ხეტი-ალის მნაშენლობათ (ходить, скитаться) დამოწმებული აქვს ნ. მარს იპოლიტეს გამოუცემელ თხზულებათაჲგან: TP III, გვ. XLIX. შდრ. აგრეთვე: მრავალ მრორინეთა მათ და მიწყითთა მთხოველთა მეკარე განისტუმრებდეს; არა კელ-ეწიფების მიმოვლად სახლითისახლად შინაგან მონასტერსა: ვაჰანის ქებათა ვანგება. ლ. მუსხელიშვილის გამოცემა, 69, 21—24); რაჲსა გამოხუელით ხილვად, ლერწმისა, კარისაგან მრორინებულისა, მათ. 11, 7 C; გურიაში „რორინება“ დღეს ტარებას იწმინავს: გააორონიე—გაატარე (რომ იაროს), გაასიორნე].

რუდუნება გაქირება. მრავალი შრომაჲ და ქირი და რუდუნებაჲ ჩუენზედა მოაწიეს 117, 5.

რქუ, ა. მე ვარქუ 46, 4.

რჩევა, ი. ირჩიეს ძმათა 69, 5.

ი/უ (სტატ.). ამათი მიჩევიცა შეწყნარებაჲ 83, 10.

ჩრულის კანონი 49, 43 (ეთთუმეს მიერ ნათარგმნი „ჩრულის კანონი“ უკვე; გამოცემული: Н. А. Заозерский и И. А. С. Хаханов, Номоканон И. Постника в его редакциях грузинской, греческой и славянской. М. 1902).

რწმენა. გ რ წ მ ე ნ ი ნ, ძმანო 83, 9 გვეროდესთ.

რწმუნებულ მინდობილი, ჩაბარებუ-
ლი. სამწყსოა ესე მისდა რწმუნებუ-

ლი 118, 18; მათდა რწმუნებულსა
მის სამწყსოსა 6, 10; მისდა რწმუნებუ-
ლი იგი ტალანტი 50, 52.

ს

საბელ. გინა თუ ტყავი გინა თუ
საბლები გინა თუ სელი 101, 6.

საბეჭურ. მოკლე ჩასაცემლი უნდა
იყოს (უსახელო, თილეტის მსგავსი). და
იყოსა წუარათის თილეტი მიზეზისა, ნუ-
გეშინის-სტის და ალაშენის: ანუ ჩოვითა,
ანუ საბეჭურითა, ანუ სხვთა რაათ-
მე სავჭრითა 68, 27; მრავალ გზის გზი-
ლიეს, რომელ, გინა საბეჭურნი იყე-
ნიან გინა შესამოსელნი ანუ თუ კუნ-
კული, ცეცხლითა დაწუნის ზღუდესა
შინა 78, 2 ბ. (კ. კეკელიძე ამბობს,
რომ ზოგ წიგნში ამ სიტყვის ნაცვლად
„პალეკარტი“ იხმარებოა. ეს არისო
იგივე, რაც ბერძნ. Πάλατος, და ათო-
ნამდელუ ძეგლებში უდრიდა სომხ. „შურ-
ჯარსაო“: Иерус. капиоварь, 336).

საბრვე ნ. საფრვე.

საგზალ. უხავზლონი 118 ხ, 21.

სადა-ვე სადაც გინდა, ყუაა-ჩხრყაჲ
არა აქუნ ჯელწიფებდა სადავე მი-
ცემად, არამედ კელარსავე მისციან
103, 2 (შდრ. მოვიდოდეს მისა ვინაა-
ვჱ, მარკ. 1, 45 C=მოვიდოდეს მისა
ყოფლი კერძო D); სადა-ცა 104, 15.

სადაათ საირდან. **სადაათ-ეხე** საიდა-
ნაც. **სადაათ-ესე** გამოვიდა შჯული
4, 3 ბ.; **არახადაათ** 70, 7 არსაირდან.

სადაყუდებულთ დაყუდებულის სა-
ყოფელი. მონასტერნი და სადაყუ-
დებულთნი 23, 10 (ეს სიტყვა თარგ-
მანი ჩანს ბერძნული „სოხასტრისა“:
ἡσυχασ—ყუდრო, წყნარი; ἡσυχαστήριον
სადაყუდებულთ). ნ. დისაყუდებულთ.

სადგურ გასაჩერებელი სახლი, სა-
სტუმრო. ერისონს მისცნეს სახლი სა-
დგურად მიმავალთა ძმათა 32, 11.

სადღეხახწაულთ 31, 14 დღესასწაუ-
ლების ლოცვებისა და საგალობლების
შემცველი წიგნი (минея праздничная).

საერო 1. არა საეკლესიო. „საეროა
საქმე მონასტრისა“ (89, 1) იყო: ნაგის
გამოზიდუა, ვენახთა ასარუა ან აჯოჯუა,
ყურძნის დაკრეფა (სთულეზა) და მისთ.
მოსენეთა მოწაფენი ყოველსავე საე-
როსა სამისხურებელსა ვაეილოდიან
97, 5.

2. საყოველთაო, საზოგადო. ზოგ-
ჯერ გარე განთხევა უბრძანის და ზოგ-
ჯერ საეროსა საქმელსა თანა ჩასხ-
მა 82, 5.

სა-გ, ე. ვესავე ღმერთსა 19, 6;
55, 11 იმედი მაქვს ღისა.

საგანე. საგანის ყოფა დაიდგომა. მერ-
მე წარიღეს მონასტრად, სადა-იგი სა-
ვანე ეყო 112, 1 ბ.

სავედრებულ სათხოვარი. **სავედ-**
რებელთა წიგნთათჳს 118 ხ, 19.

სავენავე (საქმე) 74, 4.

სავენებით. სავენებით და უნაკლუ-
ლოდ 80, 8.

საზრდელ საქმელი. **საზრდელ** ი-
თა და სასუმლითა 90, 7; **საზრდე-**
ლი მიიღეს 55, 17 პური ჰამეს; მიღება
საზრდელისა 80, 7.

სათეხავ 90, 2 სათესი.

სათნო. მოსაწონი. ღმრთისა სათ-
ნოთა მოქალაქობითა ცხოვნებლ-

დეს 37, 5; ღირსთა და სათნოთა თუსთა გამოაჩინებს 1, 4; სათნოდ მისა აღასრულეს ცხოვრებამ თუნი 2, 4. სათნო-ყოფა: სათნო-ეყვენეს ღმერთსა 113, 12; 118 d, 20; სათნო-ეყვენეს უფალსა 119, 12.

სათნოება უაღრესი ზნეობრივი სიფაქიზე ქრისტიანული მორალის მიხედვით. ყოვლითავე სათნოებითა საეყენო იყო ნეტარი ესე: სიმდაბლითა, სიწმინდობითა და უმინკაობითა 27, 7; სათნოებათა ყოველთა თავი მორჩილებამ არს სულიერთა მამათამ და ნებისა თუსისა განკუთვამ 27, 1—2; უმეტეს ყოველთა სათნოებათა მოწყალებამ შეეტკობო 32, 21; მობაძენი სათნოებისა მათისანი 1, 9; ძმათა სათნოებისა თუს 97, 8 ძმების ხაირით(?)

საიდუმლო-ნ-ი. წმ. ხ. ქეს სერობის მოსაგონებლად შეწირული პურ-ღვინო, საზიარებელი. აზიარნა წმ. საიდუმლოთა 105, 20.

საკათალიკოზო ნ. კათალიკოზ.

საკელრო 100, 5. ნ. კელარ.

საკრებულო (საქმე) 74, 3. ნ. კრებულ.

საკუთარ ხასი, მეფესთან დაახლოებული პირი. ფრიად საყუარელი და საკუთარი დავით კურაპალატისამ 7, 7; ვითარ ესმა კონსტანტი მეფესა, წარაგენდა თუსი ვინმე საკუთარი ი 113, 2; დიდად წარჩინებულ იქმნა გიორგი წინაშე რომანიოზ მეფისა და დიდად საკუთარ და პატიეცემულ 116, 3.

საკურთხევად ეკლესიის ნაწილი აღმოსავლეთის მხარეს, რომელიც ოდნავ ამიღლებულია. საკურთხეველის შემსამოსელი 31, 10.

სალაშქრონი (საქმენი) 29, 2. ნ. ლაშქარ.

სალმობა ტკივილები, ავადმყოფობა. სალმობასა შინა განკაფულმან 33, 1.

სამ. ამით სამითა საქმითა 93, 5. სამ გზის განსაზღვრება „სანატრელი-სა“ (ნ.); ორ-კეცად და სამ-კეცად 59, 3, 5.

სამამო 68, 15; 69, 6; 74, 5 მონასტრის მამის (ე. ი. წინამძღვრის) მისაღები ოთახი ან საყოფელი. ნ. მამა.

სამართალ სიმართლე. რეცა სამართალი შესწევდა 118 c, 11 ვითომც სიმართლეს მათ მხარეზე იყო.

სამართლობა ჩივილი, ლაერისა სამართლობასა და დამტკიცებასა 118 d, 12.

მ. ვესამართლებოდით მეფეთა 118 b, 24 უჭიროდით მეფეებს (შდრ.: ჩუენ სამეფოს შეეგდით და დავესამართლენო: ალაპები, 249).

სამარხო, სამარხვო სამარე, საფლავი. გუამნი მათნი დაისხნეს საფლავსა შინა... ერთსა შინა სამარხვოსა 104, 2 ბ.; ნაწილნი მისნი აღმოიყვანნეს თუსსავე მონასტერსა და დაისხნეს სამარხოსა ლუსკუმსა 113, 15; გაუყუეთეთ ზეთი სამსახურებელად სამარხოსა 119, 5.

სამე სადმე. რა უცხოებასა სამე წარვიდე 33, 22.

სამეფუფო, სამეფო 1. (ზედსართ.) მეფისა. სამეფოთა წიგნთა შინა 16, 1 ბ.; ეა პატიესა და ნიქსა სამეფოსა 33, 1 ბ.; უკუეთუ დიდი რაამე საქმე არნ, გინა. სამეფოთა გინა ბჟისა 74, 2.

2. (უმეტესად „სამეფო“-ს ფორმით) კონსტანტინეპოლი (ნ. გეოგრ. სახელებში).

სამზარეულო 96, 3. შევიდის მამამ სამზარეულოსა და, უკუეთუ კოკობნი იხილნის ცეცხლის კიდესა, იკითხის მზარეულისა გან 82, 2—3.

სამკვდრებელ საცხოვრებელი ადგილი. ალაშენეს დიდებული ესე ლაფრად

სამკვდრებელად ქართველთა 18,41; დაპყრობაჲ სამკვდრებელისა ჩუენისაჲ 118, 43.

სამოსელ. არნ სამოსლად მისა ძაძაჲ 108, 10. ნ. შესამოსელ.

სამსახურებელ 1. (მიმღ.) მსახურებისათვის დანიშნული. გაუკუეთეთ ზეთი სამსახურებელად სამარხოსა მათ წმ. მამათაჲს, რომელ იმსახურებოდის თუესა მისისა იგ 119, 5—6.

